

114 /
1962/2



საქართველოს
აქრონობი

მეცნიერება



2

1

9

6

2

მნათობი

საბჭოთა
კავშირის

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 39-ე

№ 2

თებერვალი, 1962 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

8796

შ ი ნ ა კ რ ს ი

1887 ბ. ს. პუშკინი 1962

ა. ს. პუშკინი — ლექსები, თარგმანი კ. ჭიჭინაძის, ვ. გაღინდაშვილის, მ. ქვლივიძის და ვ. წულუკიძისა	3
ნიკოლოზ ტიხონოვი — პუშკინი — ჩვენი თანამედროვე და თანამებრძოლი	7
გიორგი ლეონიძე — ლექსები	15
კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი, ტეტრალოგია, ვაგრაქლება	18
ნიკოლოზ ჩაჩავა — ლექსები	29
თეიმურაზ ჭანგულაშვილი — ვერ დამთავრებს დრო შენს სიცოცხლეს, ლექსი	30
ოტია იოსელიანი — ცეცხლთან თამაში, მოთხრობა	31
შოთა აკობია — ენგურქესის მშენებლებთან, ლექსები	47
პოლიკარბე კაკაბაძე — ცხოვრების წარა, კომედია 4 მოქმედებად, დასასრული	48
ელეზბარ ზედგინიძე — გაზაფხული დაიწყო აღრე... რომანი, დასასრული	65

ნ ა კ ა ვ ა მ ა

ვალერიან ჩეკურიშვილი — შრომის სიმფონია	89
ბ. გიგაური — არაგველთა შექმერა	91
ლევონდ როსტოვეცი — კომუნისტის დედა	96

(იხ. მეორე გვ.)



კრიტიკა და პუბლიცისტიკა

დავით მაისურაძე — სოციალიზმის მსოფლიო სისტემა	98
სერგი ქვიციანი — ირაკლი აბაშიძის შემოქმედება. დასასრული	107
შოთა რვეიშვილი — პეტრე დემეტრეს ესთეტიკური რევიზიონიზმი	115



პუბლიცისტურის საკითხავი

გიორგი წერეთელი — ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის	125
ივლიმე თაყაიშვილი — ელენე თარხან-მოურავისეული ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი	139

მეცნიერება, ხელოვნება

გიორგი გიორგიძე — ქართული ფრანკმასონობის საკითხისათვის	143
კუკური პატარაძე — კოტე მარჯანიშვილი რეპერტიოაზე	151
რევაზ ნათაძე — მეცნიერული ფსიქოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში	161
აღ. ქიქვაძე — ვაჟა-ფშაველას ტექსტის დადგენისათვის	165

წიგნების მიმოხილვა

დავით მ. ლანგი — საყურადღებო გამოკვლევა	177
შალვა რადაანი — მონოგრაფია ვაჟა-ფშაველაზე	178
ნოდარ ლომოური — ფლავიუს არიანე „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“	183
სიმონ არველაძე — მამია ასათიანის მოთხრობები	186
ლევან ფრუიძე — შრომა ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიაზე	188
ახალი წიგნები	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი — ვ. წულუკიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ა კ ო ლ ე გ ი ა :

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
ე. მალრაძე, ბ. ფლენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/11-62 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა 7/4×12 1/2.
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 05105
ტირაჟი 6500. შეკვეთა № 124.

საქ კპ ცკ-ის გამოშვებობის სტამბა № 1, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

დეკაბრისტებს ციმბირში

დაე, ციმბირის მადნის ბუდობში
 შეგრჩეთ ამაყი თქვენ მოთმინება:
 არ გაცუდდებთ მწუხარე შრომა,
 თქვენი მაღალი ფიქრის დინება
 იმედმა—ქირის დამ განუყრელმა
 ალბათ ეგ თქვენი საკინიც ჰპოვა,
 ის მოგანიჭებთ მხნეობას, ხალისს;
 გჭეროდეთ, ჟამი ნანატრი მოვა-
 სიუყვარული და ძმობა თქვენთანაც
 შემოანათებს დილეგის ბნელში,
 როგორც ჩემი ხმა თავისუფალი
 შემოდის თქვენი კატორღის ხვრელში.
 დაინგრევიან საპყრობილენი,
 გატყდება მძიმე ხუნდების რეალი,
 მიგიღებთ ლაღი თავისუფლება
 და მოგერთმევათ ძმებისგან ხმალი.

თარგმანი კონსტანტინე პიონიაჩისა

არიონი

ბევრი ვიყავით ჩვენ მძიმე ნავზე:
 ზოგი სკიმავედა ფრთააშლილ აფრას
 და ზოგი კიდევ, ძალღონით საესე,
 წყალზე უსვანდა ნიჩაბს თანაბრად.
 საჭესთან იჭდა წამყვანი ჩვენი,
 იგი მართავდა ნავს — გონიერი.
 მე კი ვუმღერდი მცურავეებს რწმენით.
 სწრაფ ამოვარდა ქარი ძლიერი,
 აბობოქრა ტალღა ხშიერი
 ნცურავთ, მესაჭეს ერგო სიკვდილი,
 მე — მომღერალი, ღონემიხდილი —
 ზღვამ გამომავდო ნაპირზე ობლად.
 იმავ სინღერებს კვლავ გავიძახი,
 და სველს საშოსელს, ანთებულ სახით,
 მე ვაშრობ მზეზე ტინის მახლობლად.

თარგმანი პალეაჩინა გუბრინდავნილისა



მე თქვენ მიყვარდით... სიყვარული ჯერ კიდევ იქნებ
მთლად არ გამჭრალა და ჩემს გულში ბინადრობს ისევ,
მაგრამ ამაზე ნუ იღარდებთ, თქვენს ნათელ ფიქრებს
მე ხელმეორედ მწუხარების არ მივცემ მიზეზს...

მე თქვენ მიყვარდით, უნუგეშოდ, ფარულად, უხმოდ,
ხან უძღვრებით და ხან ეჭვით ვიყავი საესე,
მე თქვენ მიყვარდით ისე წრფელად და ისე უღვთოდ,
რომ დაე, ღმერთმა ნოცნეთ, სხვასაც უყვარდეთ ასე...

თარგმანი მიხ. ქვლივიძისა

ზღვას

მშვიდობით, ლაღო ძალავ ბუნების!
უკანასკნელად, ზღვაო, ჩემს წინა
აგორებ ტალღებს, მედუღუნები
და მედიდური მშვენებით ბრწყინავ!

როგორც მეგობრის ხმა სევდიანი,—
შორი ძაბილი, დამშვიდობება,
მომწოდებელი და ნაღვლიანი
შენი ხმაური არა მშორდება.

შენ, ჩემი სულის მიჯნავ ნანატრო,
რამდენჯერ ფარულ განზრახვის ძალამ
მე დაღვრემილი და მუდამ მარტო
შენს ნაპირებზე მახეტიალა.

რა რიგ მიყვარდა ძლიერ მოღწეული
ჩუმი გუგუნი შენი ხმებისა,
შენი ღუმელი დაბინდებისას
და ალტყინება ანაზღეული.

შენი სიწყნარით წაქეზებული
იალქნიანი მშვიდი ტლუ ნავი
მარდად რბის ჭავლზე გალაღებული,
მაგრამ ატოკდი მოუთრგუნავი
და იძირება გემთა კრებული.

ვერ შევძელ, ზღვაო, მოვშორებოდი
უღაბნოსავით მოსაწყენ ნაპირს,
შენ ალტაცებით მოგსალმებოდი
და გასაფრენად შემოველებოდი
შენს ქედს ბობოქარს და ფაფარაყრილს!



შენ კი მიხმობდი, —მედვა ბორკილი,
 შენსკენ ილტვოდა სული ამაოდ,
 უძლიერესი ვნებით პერობილი
 დავრჩი ნაპირზე მე სამუდამოდ.

აწ რაღა დამრჩა მე დასანანი!
 სადღა წარმართავს ჩემს გზას ოცნება?
 შენს უდაბნი.ში ერთი საგანი, —
 მხოლოდ ერთი კლდე გამოცუბდა!
 ის კლდე დიდების არის სამარხი.
 იქ მოგონება და ორეოლი
 ძილს ეძლეოდნენ ცივს და მარადისს, —
 იქა ჰჭრებოდა ნაპოლეონი!

ჩაქრა, დასტოვა ტანჯვით სოფელი,
 და მას კვლავ გაჰყვა როგორც გრიგალი,
 მეორე ჩვენთა ფიქრთა მპყრობელი,
 ისიც ბორკილთან შეურიგალი!

თავისუფლების მოგვშორდა ბარდი,
 დასტოვა ჩანგი მან ტკბილზმოვანი.
 აღსდექ, აღელდი, აბობოქარდი,
 ის იყო, ზღვაო, შენი მგოსანი!

შენი ხატება იყო მის გულში,
 შენ იყავ მისი სულის მშობელი,
 შენსავეით მძლავარი, ღრმა და პირქუში,
 შენსავეით იყო დაუცხრომელი!

დაცარიელდა მიწა და მარტოს
 სადღა გამრიყავს ტალღა მდინარი?
 ერთი ბედი აქვს ყველგან კაცთა ტომს,
 საღ სიკეთეა, იქ მას სდარაჯობს
 ან განათლება, ანღა ტირანი.

მშვიდობით, ზღვაო, დაუვიწყარი
 იქნება ჩემთვის შენი მშვენება!
 მწუხრისას შენი გუგუნი წყნარი
 მე მუდამ, მუდამ გამახსენდება!
 ვიქნები მკვიდრი მთისა თუ ბარის,
 მე თან გამყვება შენი ხატება:
 შენი ზვირთების ეს საუბარი,
 ეს კლდე, ეს უბე, ეს ბრწყინვალეება!



მზის, დღის მნათობის ბრდღვიალი ჩაქრა!
 ბინდი გადგეკრა ზღვის ლურჯ სარკეს, ლალად მდინარეს.
 მაშ იხმაურე, იფრიალე, მორჩილო აფრავ,
 შენც იბობოქრე ჩემს ქვეშ, ქუშო ზღვაო მძვინვარე!

გონების თვალწინ სჩანს შორეული
 მხარე, შუადღის მზით ნაშუქები.
 მე სევდიანი მღელვარებით იქ ვეშურები,
 მოგონებებით აღმოდებული.—
 თვალები ჩემი დაუნამავს მოწოლილ გრძნობას,
 გული სიამით თრთის და ღონდება,
 ძველი ოცნება შეჩვეული არა ნშორდება,
 კვლავ მაგონდება სიჭაბუკის გიჟური ტრფობა,
 სუყველაფერი, რაც მტანჯავდა და მწვავედა მძაფრად, —
 აუხდენელი იმედის და ნატერის სიმწარე.
 მაშ იხმაურე, იფრიალე, ნორჩილო აფრავ,
 შენც იბობოქრე ჩემს ქვეშ, ქუშო ზღვაო მძვინვარე!

გასწი ხომალდო, გამაქანე, გაპყვე მაცდური
 ზღვის მკაცრ დინებას, ნიმაცურე იქ — აღთქმულ მხარეს,
 და არა ნისლით დაბურული ჩემი მამულის
 კაეშნის აღმძვრელს ნაპირს მწუხარეს,
 სადაც პირველად ვნებებს მცხუნვარეს
 მივენდე ყრნული გულმხურვალებით;
 სადაც მუხანი მიღიმოდნენ იღუმალებით,
 სად ქარიშხალი მძაფრად მიტევდა,
 დამიქნო ადრე ახალგაზრდობა;
 სად ფრთანსუბუქმა მილალატა ღხენამ, გართობამ
 და გული ჩემი წამებისათვის გამოიმეტა
 ახალ განცდათა ძიების ნდომით
 გაგექეც, მშობლის მთაო და ბარო,
 თქვენ გაგექეცით წუთიერი ბავშვობის, ყრმობის
 და სიჭაბუკის წუთიერო ტოლ-ნეგობარნო!
 თქვენც მკერდსავესენო, მიწიერი პირველი გრძნობის
 ცელქო აღმძვრელნო, ცვალებადი გულის ასულნო,
 ვისაც შეგწირეთ უღრტვინველად, უსიყვარულოდ
 სულის სიმშვიდე, დიდება და თავისუფლება, —
 თქვენც დამავიწყდით, დამავიწყდა თქვენი ცდუნებაც!
 მაგრამ ვერ ვკურნავ მაინც ტრფობის პირველ იარებს
 და პირვანდელი სიყვარულის კვლავ მდავავს ზაფრა.
 მაშ იფრიალე, იხმაურე, გაშლილო აფრავ,
 შენც იბობოქრე ჩემს ქვეშ, ქუშო ზღვაო მძვინვარე!

ნიკოლოზ ზინოროვი

პუშკინი—ჩვენი თანამედროვე და თანამებრძოლი

1943 წლის 6 ივნისს, იმ დღეს, როცა შესრულდა ალექსანდრე პუშკინის დაბადების ასორმოცდამეოთხე წლისთავი, ალყაშემორტყმულ ლენინგრადში, მოიკას სანაპიროზე გამოჩნდნენ განმარტოებით და ქვეითად მიმავალნი ერთსა და იმავე მიმართულებით. მოიკას სანაპირო ზომბებთა და ჭურვებით დანგრეული და უკაცრიელი იყო. ქვებსა და ქვებს შუა ბალახს ამოეყო თავი. ისეთი სიჩუმე იდგა, რომ ძირს ჩამოვარდნილი აგურის ჩქამი მაღალ ხმას გამოსცემდა.

ამჯერად მტერი ყუმბარას უშენდა სხვა რაიონს და ეს ხელს არ უშლიდა ადამიანებს, რომლებიც პოლიგრიმებს ჰგავდნენ, განეგრძოთ გზა ძველებური პატარა სახლისკენ. რა სახლი იყო ეს? ეს იყო სახლი, სადაც ცხოვრობდა პუშკინი, სადაც ტრადიციის ძალით ამ დღეს მუდამ თავს იყრიდნენ მისი პარტიისმცემელნი. ბომბი დავარდნილიყო სწორედ ამ სახლის ეზოში. კედელი გაბზარულა, მაგრამ არ ჩამოქცეულა. ოთახები დაცარიელებული იყო — ნივთები ყველა გაეტანათ და გადაეხიზნათ. მხოლოდ პოეტის ბიუსტი იდგა პატარა კვარცხლბეკზე, მისწინ სიტყვებს ამბობდნენ და კითხულობდნენ ლექსებს.

თითქოს პოეზიის სული და სიხარული უნდა მოსცილებოდა ამ შიშველ კედლებს, სამხედრო ფორმაში ჩაცმულ ამ მკაცრ, დაღვრემილ ადამიანებს და აქედან შორს გადაკარგულიყო. იმ დროს, როცა სულ ახლო ჭურვები სკდებოდა, ამ ცარიელ ბინაზე თავმოყრა და საუბარი უმაღლეს საგნებზე —

პოეზიაზე, ხელოვნებაზე, ისტორიაზე, თითქოს უცნაურობად ჩანდა.

და მაინც ეს ასე როდი იყო! სწორედ პოეზიის სულით იყო გაღვინებული თვით პაერიც კი. პოეზია ცოცხლობდა ირგვლივ, მიმოფანტული ათას დეტალად, რომლის შემჩნევა შეეძლო ყველას. პოეზია დამკვიდრებულიყო ქუჩების ღუმელშიც, მინებჩაღეწილ ფანჯრებშიც, ქვებსა და ქვებს შუა ამოწვერილ ბალახშიც; და როგორც არასდროს, ისე იგრძნობოდა სიმართლე პოეზიის პუშკინისეული განმარტებისა: „იგი მოიკავს და იტევს ყველა დაკვირვებას, ყველა ღონისძიებას, ცხოვრების ყველა შთაბეჭდილებას“.

სწორედ ამ დიდ სიერცეში, რომელიც ამ ცარიელი ოთახებიდან ქალაქის უსაზღვროებისაკენ, ფრონტის მოწინავე ზაზისაკენ, — სანგრებისა, დოტებისა და ბატარეებისაკენ, ტყეებისა და ზღვისკენ მიემართებოდა, შესაძლოა, განსაკუთრებული, სიძლიერით ეღერდნენ ლექსები, რომლებიც თავისი არსით ხალხისადმი იყვნენ მიმართული და არ საჭიროებდნენ კაბინეტურ მყუდროებას და ყურადღებას.

ხმა პოეზიისა ნამდვილად გახდა „მსგავსი ზვირთთა ხმაურისა“, ამკვიდრებდა კავშირს აწმყოსა და გარდასულ დროთა შორის, — ხდიდა პუშკინს ჩვენს თანამედროვედ, იმ დიდი საქმის მებრძოლად, რომელსაც იცავდნენ აქ მის სახლში მოსულნი!

პოეტის მთელი შეურიგებლობა, მთელი მისი იმედი, მშობლიური ხალხის მაღალი მოწოდების მისეული განკურება პოეზიად ახალ ხორცშესხმას.

მტრად იქცა და განქარდა ყველა მოსაზრება აკადემიურობასა და წარმავლობაზე. პოეტი კემმარიტად იქცა „სახალხო საკუთრებად“, და ამ საკუთრებაზე ყველამ მოიპოვა უფლება.

• • •

შეიძლება ითქვას, რომ ვერავითარი საზეიმო სხდომა ვარდ-ყვავილებით მორთულ და ჭაღებით გაჩირადლებულ დარბაზში თავისი ძლიერებით ვერ შევდრებოდა ამ საუბარს, საუბარს ყველაზე მთავარზე, საუბარს პირისპირ, როცა გული დულს და გრძნობს გვერდით ასეთსავე დუდილს გულებისას, რომლებიც საკუთარი ძალის და სიმართლის შეგნებას აღფრთოვანებით განუმსჭვალავს.

დიახ, ის იყო პოეტი სინამდვილისა! ხოლო ჩვენ სინამდვილე მებრძოლის სულის ისეთ სიმადლეზე აღმოჩნდა, როცა პოეზია იქცა საარსებო შავ პურად, არაჩვეულებრივი საბჭოთა ადამიანების ჩვეულებრივ ულუფად. ამიტომაც გზა უკაცრიელ მოიკახე, გზა პუშკინის ცარიელ ბინისაკენ, არ ჩანდა საშინელ ან ნაღვლიან გზად. საშინელი მაშინ იქნებოდა, ჩვენ რომ სულიერად გავლატაყებულყავით, ჩვენ რომ პოეზიისთვის გვეთხოვნა — გვანუგეშე ან მოგვაჯაღოვე ლამაზი გამოწავონით. მაგრამ ჩვენ ამას არ ვსაქობრებდით.

• • •

Есть в России город Луга
Петербургского округа;
Хуже не было б сего
Городишки на примете,
Если б не было на свете
Новоржева моего*.

ჩემს წინ ჩანდა ეწროო ტბა ძეძვიანი

* არის რუსეთში, პეტერბურგის მხარეში, ჭალაქი ლუგა; არ იქნებოდა ამ პაწია ჭალაქზე უარესი ჭალაქი, რომ ქვეყნად არ ყოფილიყო ჩემი ნოვორჟევი.

ვაკე ნაპირებით. მისგან ცოტა დამორბებით, დაბალ ხეებს შორის მდებარეობდა პაწია ჭალაქი. ტბიდან ხელმარჯვნივ მოსჩანდა ხეივანი, შუქმწვანე და ხშირფოთლოვანი. ხეივნიდან ვარდისფერად გამოიყურებოდა დაისის სხივებით განათებული მდალი შინაური რომელიღაც უცნაური შენობისა, რომელსაც საოცარი თაღები და ნიშები ჰქონდა. გზის მეორე მხარეზე მალალს, იტალიურის მსგავს, ბაზილიკას ზეაღმართა თავისი კვადრატული კოშკი.

მიდამოს ზაფხულის წყნარი ბინდი ეფინებოდა. დაბაში, ხან იქ, ხან აქ ნაპერწკლები გაიფლებდნენ ზოლმე. უამრავი და ნაირნაირი ფერისა, ისინი ხეებსა და ხეებს შუა ციმციმებდნენ, ხან პაწია ვარსკვლავებს, ხან კი ყვითელ ან წითელ ნაკვერცხლებს ემსგავსებოდნენ და მთელ პეიზაჟს რაღაც მშვიდ მომხიბლაგობას ანიჭებდნენ.

ისეთი მყუდროება და შვების მომგვრელი სიმშვიდე მომბრავდა ამ ნაპერწკლებიდან, ამ ვარდისფერი უცნაური კედლიდან, მდალი წითელი ბაზილიკიდან, რომ უნებურად მებადებოდა სურვილი მივსულიყავი იქ, ამ პატარა ჭალაქში, გამესეირნებინა მის ჩეროიან ქუჩებში, შენახა მისი მკვიდრნი და მათთან ერთად შესუნთქა სადამოს გრილი ჰაერით.

შე ვუყურებდი ხარბად, ერთი წამითაც თვალს ვერ ვაშორებდი ამ პაწია ჭალაქს, რომელიც ოდესღაც პუშკინმა თავისი მახვილი კალმის წვერზე წამოაგო, ხოლო ახლა არავითარი მსგავსება არ ჰქონდა მიყრუებულ და მოსაწყენ ნოვორჟევთან.

არა, აქ არ იყო ფანტასტიკური შენობა ნიშებით და თაღებით. ეს იყო აფეთქებისაგან დანგრეული კედლი ძველი საპატიმრო შენობისა, ალაგ ჩამოქცეული, ალაგ—გაბზარული. ის, რაც იტალიურ ბაზილიკად მეჩვენებოდა, აღმოჩნდა ძველებური ტაძარი, აფეთქებით ფასადი ჩამონგრეოდა, გუმბათი მოძრობოდა და წითელი აგური გამოჩენოდა.

ამ მღუმარე და ცარიელ ნანგრევებს შორის ადამიანის ჭაჭანება არ იყო. ის, რაც ნაპერწყლებად მეჩვენებოდა, თურმე, ყოფილა შუშის ნამსხვრევებზე, სველ თუნუქზე, ჩამონგრეული კედლების ნაფშვენებზე დაცემული ჩამავალი მზის სხივების წამიერი და უცარი ანარეკლი.

სულ ცოტა ხნის წინათ ეს პატარა შეუმჩნეველი ქალაქი გააფთრებული ბრძოლის სარბიელი გახდა. ის შევიდა დიდი სამამულო ომის ისტორიაში; არა ერთხელ მოხსენებული იყო სარდლობის ოფიციალურ ცნობებში. მის მიდამოებში და მის ირგვლივ საგმირო ამბები დატრიალდა. პუშკინის ლექსი უკვე აღარ შეესაბამებოდა მას. მის შესახებ უნდა დაიწეროს სულ სხვანაირად. უნდა დაიწეროს, თუ როგორ აწკარუნდა პირველი ცული და აზუზუნდა პირველი ხერხი მის ნანგრევებს შორის; დაიწეროს იმაზე, თუ როგორ დაბრუნდნენ ტყეებში გახიზნული მკვიდრნი და როგორ აღადგინეს მკვდრეთით ახალი ნოვორეკევი. დაიწეროს იმაზე, რომ არაერთი შემთხვევითი შგზავრი, რომელსაც ნოვორეკევის მიდამოებში შემოღამებია, კვლავ მოტყუებულა, — მიუღია რა აღმდგარი ქალაქის ნამდვილი ელექტროშუქურები ჩამავალი მზის სხივების ანარეკლებად.

• • •

პუშკინის გენიის ყოვლისმომცველმა ძალამ, ამავე დროს ღრმა ჰუმანიურობამ, ადამიანის სულის უნატიფეს განცდათა სიღრმეში წვდომამ, მთელმა შემოქმედებამ, რომელიც მოიცავს ეპოქალურ ისტორიულ ამბებს და ხასიათებს, დიდმა პატრიოტულმა გრძნობამ აქცია პუშკინი არაჩვეულებრივ, განუმეორებელ და განსაოცარ მოვლენად.

რევოლუციონერი დემოკრატები — ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, მას თვლიდნენ თავის მოკავშირედ თავისუფლებისათვის ბრძოლაში, მიაჩნდათ გონიერების ჩირაღდნად, რომელიც გზას უნათებდა

თაობებს და ფანტავდა პატრიოტური რუსეთის წყვდიადს.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს უკავარდა პუშკინი; გადასახლების მძიმე წლებში სიამით და სიხარულით ეწაფებოდა პუშკინის შთაგონებულ სტრიქონებს.

პუშკინი გახდა ჩვენი ცხოვრების თანამგზავრი, იგი მუდამ ჩვენთან არის — სახალხო დაღბნების და უბედობის დღეებში“ და ჩვენს განცდათა ანტიმურ სამყაროშიც. ჩვენ მასში ვხედავთ დემოკრატიზმის, ჰუმანიურობის, სამართლიანობის და ცხოვრების სიმატლის იმ სათავეს, რომელმაც თავის დროზე მკვეთრად შესცვალა ჩვენი ლიტერატურის განვითარების გზა, აღჭურვა იგი ახალი რეალისტური სტილით, ახალი პოეტური მსოფლმხედველობით.

რეაქციულ, შავბნელ ეპოქაში ნობილმა პუშკინმა სიყრმიდანვე დაინახა თავისი გზა და შეფიცა რუსულ მწერლობას, რომ გადაექცევა მას ადამიანის და მოქალაქის უფლებებისათვის ბრძოლის იარაღად. მისი პატრიოტიზმი იყო ნამდვილი ღრმა პატრიოტიზმი. 1827 წელს პუშკინი წერდა: „ზოგიერთი ადამიანი არ ზრუნავს არც სახელისათვის, არც მამულის ჭირვარამისათვის; სამშობლოს ისტორიას იცნობენ მხოლოდ თავად პოტიომკინის დროიდან; აქვთ ერთგვარი წარმოდგენა იმ გუბერნიის სტატისტიკაზე, სადაც მათი საკუთარი ადგილმამული მდებარეობს. ყოველივე ამასთან თავი მიაჩნიათ პატრიოტებად, იმიტომ რომ უცვართ თავისი ბოსტანი და შვილები წითელ ხალათებში დაურბიან“.

თვითონ პუშკინმა უკუაგდო ცდენება ეცხოვრა შეზღუდული ხელოვნებით და გაბედულად დაადგა გზას პოეტიკულ-თაურისას, რომელიც წინ უძღვის სხვებს, რომ თავის ქვეყანა განათლების მხრივ გაუთანაბროს მოწინავე ქვეყნებს. მაგრამ საამისოდ ნაჭირო იყო არა მარტო ესუნთქა თანამედროვეობით და ცოდნოდა ხალხის ცხოვრება; საჭირო იყო არა მარტო სძულდებოდა

ყველაფერი, რაც პროგრესს აფერხებს და სპობს ადამიანის ღირსებას, არაქნდა უქონოდა რწმენა! გარდაუვალი გამარჯვებისა; რათა თავისი ხალხის მომავლის განსჯერებისას ეთქვა შემდეგი წინასწარმეტყველური სიტყვები:

რუსეთი უკენ ძალს თავს

დააწევს,

და თვითმპყრობელობის ნაშთს და

ნანგრავს

ჩვენი სახელი წაეწერება“.

დაუცხრომელი ენერგიით, შეუპოვრობით, განხოგადების გენიალური მადლით დაჯილდოებული პუშკინი წერდა თითქოს ყველას მაგიერ; თითქოს მხოლოდ მას ერთს დააკისრა რუსმა ხალხმა. ყოფილიყო მისი შგოსანი, პისი პროზაიკოსი, ისტორიკოსი, დრამატურგი, სატირიკოსი.

რომანტიული პოემები, რომანი ლექსად (რომანი კი არა „რუსეთის ცხოვრების ენციკლოპედია“), ლირიკა, დრამა, ხალხური ლექსები, ეპიკა, ამეზი, თარგმანები, — ყველაფერს ამას ეპოვით მის შეუდარებელ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. მის შემოქმედებაში აღბეჭდა ნაპოლეონის წინააღმდეგ გაჩაღებული დიდი ომის და იმ დროის რევოლუციური ბრძოლების მონაწილეთა — დეკაბრისტების, იტალიელი, ბერძენი, ესპანელი რევოლუციონერების სახეები. პუშკინი წერდა ისეთ ბუმბერაზზედაც, როგორც პეტრე პირველია, და ისეთ სახალხო ბელადებზეც, როგორც სტეფანე რაზინი და ბუგაჩოვი. მის პოეზიაში აისახა ბატონყმობაც, დეკაბრისტული მოძრაობაც, რუსი მემამულეც და რუსი გლეხიც. მთელი ეპოქა ყველა მისი წინააღმდეგობებით გამოიხატა მის მხატვრულ ნაწარმოებებში, რომლებიც დღემდე მთელი ძალით ქლერენ და გვაფრთოვანებენ.

„მხოლოდ რევოლუციურ გონებას... ძალუძს უყვარდეს რუსეთი ისე, როგორადაც მხოლოდ მწერალს შეუძლია უყვარდეს მისი ენა. ყველაფერი უნდა იქმნებოდეს ამ რუსეთში და ამ რუსულ ენაზე“.

აქედანაა პუშკინის რეალზმიც. აქედანაა მის მიერ უაუგადება ყოველივე იმისა, რაც ხელს უშლის ნათელს და უკიდურესად შეკუმშულ მის ენას, რომელსაც მოეპოვება ნაირნაირი ფერებით მდიდარი ხალხური მეტყველების ფერადოვნება და ქლერადობა.

პუშკინის ჩანაწერებში ჩვენ ვპოულობთ ბევრ ისეთ მსჯელობას ლექსის თაობაზე, რომელიც ხსნის ან აზუსტებს მის შეხედულებას პოეზიის არსსა და ბუნებაზე. მას დაწერილი აქვს: „შეიძლება, პოეტმა იხმაროს ერთი ან ორი სიტყვა, მანამდე უცნობი პოეზიაში, მაგრამ ეს როდი ნიშნავს პოეტურ გაბედულებას. საცოდავია ხვედრი პოეტებისა, — წერს პუშკინი, — თუ ისინი იძულებული არიან თავი მოიწონონ მსგავსი გამარჯვებით მომეცულ გემოვნებაზე“.

არის უმაღლესი გაბედულება, გაბედულება შექმნისა და წარმოსახვისა. როცა ვრცელი და ფართო მიზანდასახულება განათებულია შემოქმედებითი აზრით.

და ჩვენც ვებღავთ, რომ პუშკინის გენიით შობილი ნაწარმოებნი აღბეჭდილი არიან სწორედ ამ უმაღლესი გაბედულებით. ასეთია „ევეგენი ონეგინი“, „კაპიტანის ქალიშვილი“, „ბორის გოდუნოვი“, „ბრინჯაოს მხედარი“. დავკმაყოფილდეთ თუნდაც ამით.

„საუკუნის სულსიკვეთება მოითხოვს მნიშვნელოვან ცვლილებებს დრამატულ სცენაზე“, — წერს იგი „ბორის გოდუნოვი“ გამო, იმ ნაწარმოების გამო, რომელიც მას ყველაზე მეტად უყვარდა.

„წარმატება თუ წარუმატებლობა ჩემი ტრაგედიისა გავლენას იქონიებს ჩვენი დრამატული სისტემის გარდაქმნაზე“.

ხოლო „პოლტავის“ გამო პოეტი აღნიშნავს „...მასში თითქმის ყველაფერი ორიგინალურია, ჩვენ კი მხოლოდ ამისთვის ვიბრძვი“.

— სამწერლო სარბიელზე პუშკინის გამოსვლას იმ ეპოქის გამოჩენილი პოე-

პუშკინის დაღუპვიდან თითქმის ასი წლის შემდეგ, რევოლუციის უძლიერესმა მომღერალმა, ჩვენი ეპოქის ყველაზე გამოჩენილმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ასეთი სიტყვით მიმართა პუშკინს: „შეიძლება, მე ერთი ვნაღვლობდე ნამდვილად, რომ დღეს თქვენ ცოცხალი არა ხართ“...

მაიაკოვსკი დარწმუნებული იყო, რომ პოეტი უნდა იყოს რევოლუციის მოწინავე ადამიანი, რომ იგი თავის კლასთან ერთად უნდა იბრძოდეს ყველა ფრონტზე, რომ საბოლოოდ უნდა გაცამტვერდეს ზღაპარი აპოლიტიკურ ხელოვნებაზე. და პუშკინსაც, როგორც რევოლუციურ პოეტს, როგორც იმ ეპოქის კაცობრიობის მოწინავე მწერალს, არ შეუძინებია ჩაბმულიყო უაღრესად გადამწყვეტ ბრძოლაში თვითმპყრობელობასთან და ეწეოდა ამ ბრძოლას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

და თუ პუშკინი მთელ თავის სიცოცხლეში სწავლობდა მიეღწია უმაღლესი ფორმისათვის ხელოვნებაში, მაიაკოვსკიც არ უარყოფდა კლასიკოსებს თავისი შემოქმედების სიმწიფის წლებში; ამობდა „ონეგინი“ ზეპირად ვიციო, რომ უნდა ვისწავლოთ და შევითვისოთ კლასიკოსების უაღრესად კეთილსინდისიერი შემოქმედებითი ხერხები, რომლებიც გვანიჭებენ უსაზღვრო კმაყოფილებას და იძლევიან საძიებელი და განცდილი აზრის სწორი და სხარტი გამოთქმის შესაძლებლობას.

დღეს ყველა რუსი პოეტის შემოქმედებაში ასე თუ ისე, ზოგში შესამჩნევად, ზოგში კი ფართულად სჩანს პუშკინის შემოქმედება, და ეს ასეც უნდა იყოს ეს არის გენიალურად მიგნებული და პრაქტიკულად განხორციელებული ლექსის გავლენა, განახლება ცოცხალი ხალხური მეტყველებისა, რომელიც დღეს იესება ახალი რევოლუციური შინაარსით.

პუშკინს მომადლებული ჰქონდა კიდევ ერთი შესანიშნავი თვისება: იგი

ხედავდა არა მარტო რუსი ხალხის და მისი ცხოვრების აყვავებას, მის გონივრულ შემოქმედებით ცხოვრებას მომავალში; მას მიაჩნდა ყველა სხვა ხალხიც ცოცხალი საწყისების მატარებლად; ეს ხალხებიც მისთვის სულიერად ახლობელი იყვნენ თავისი უმაღლესი გრძნობების გამოვლინებით, თავისი ეროვნული თვისებებით და მოძრაობით.

იგი წერდა ქართველების, ბაშკირების უკრაინელების, თათრების, ტუნგუსების, ბოშების მთიელების შესახებ. თემა რუსი ხალხისა, რომელიც, უამრავ ისტორიულ განსაცდელში გამოვლით, მიისწრაფვის წინ თავისი საუკეთესო მერმისისაკენ, მთელი კაცობრიობის კეთილდღეობისაკენ, წითელ ხაზად გასდევს პუშკინის მთელ შემოქმედებას.

რუსეთის ბუნების და რუსი ადამიანის ხასიათის ღრმა მცოდნე, მათდამი ესოდენ გულისხმიერი და მოსიყვარულე, ჩვენი სამშობლოს მკვიდრი სხვა ხალხებისადმი ადამიანურად გულთბილი პუშკინი ღრმად სწავლობდა აგრეთვე დასავლეთის ქვეყნებსაც; შესანიშნავად იცნობდა მათი ხელოვნების და ლიტერატურის მიღწევებს, ცხოველ ინტერესს იჩენდა ყველაფრისადმი, რაც ნაპოლეონის შემდგომი დროინდელ, რევოლუციური აფეთქებებით შეძრულ ევროპაში ხდებოდა.

— „როცა უცხო სახელმწიფოთა ახ მისი საკუთარი ქვეყნის პოლიტიკაზე მის მსჯელობას ისმენდით,—წერს ადამ მიცევეჩი, — შეიძლება გეფიქრათ, რომ ეს არის სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც საზოგადოებრივ საქმეებში დაბერებული და ყოველდღიურად კითხულობს ყველა პარლამენტის დებატების ანგარიშს“.

ამიტომაც არის ცხოვრებისეული სიმაართლით აღბეჭდილი პუშკინის შენიშვნები ინგლისურ კაპიტალიზმის შესახებ, ამერიკული „დემოკრატიის“ პუშკინისეული დახასიათება, ჯონ ტუ

ნერის ჩანაწერებზე გამოთქმული მისი შენიშვნები...

ამასთან ერთად პუშკინი წმინდა ეროვნული მოვლენა, რეალისტური ლიტერატურის წარმომადგენელი, მსოფლიო მნიშვნელობის პოეტია. სასტიკად ცდებოდნენ ისინი, ვინც ცდილობდა პუშკინის შემოქმედება დამოკიდებული გაეხადა, მაგალითად, ბაირონზე. მათი შემოქმედება, მათი ცხოვრება იმდენად განსხვავდება ერთიმეორისაგან რომ მხოლოდ ძალზე შეზღუდულს, ძალზე მიყრდნობულს და არა სწორს აზრს შეუძლია გამოიჩინოს სიჯიუტე ამ მიმართულებით.

ეს განსაკუთრებით ცხადი და ნათელი გახდა ჩვენს დროში, როცა პუშკინის პოეტურმა მემკვიდრეობამ ესოდენ დიდი პოპულარობა მოიპოვა იმ ხალხებში, რომლებიც ადრე არც ისე კარგად იცნობდნენ გენიალური რუსი პოეტის შემოქმედებას.

„რამდენადაც საგანი ჩვეულებრივია, იმდენად მალალ დონეზე უნდა იდგეს პოეტი, რომ ამ ჩვეულებრივისაგან შექმნას არაჩვეულებრივი, რომ ეს არა ჩვეულებრივი იყოს, სხვათაშორის, სრული ჰემშარიტება“ (გოგოლი).

ჩვენი დროის სრული ჰემშარიტება—ეს არის ჩვეულებრივი გმირობა კაცობრიობისათვის არაჩვეულებრივი ჩვენი თანამედროვეებისა, საბჭოთა ადამიანებისა, რომლებიც აღიზარდნენ და დავაყვადნენ ლენინის გენიით განათებულ ეპოქაში. სწორედ ეს ადამიანები აღნიშნავენ ხოლმე რუსული კულტურის ნათელ საზეიმო თარიღს, რუსული ლიტერატურის უკვდავი შემოქმედის—ჩვენი გულითადი მეგობრის ალექსანდრე სერგეისძე პუშკინის გარდაცვალების 125 წლისთავს.

•••

თავისი სიმდიდრით და ფერადოვნებით, ლიტერატურული აზრების და გამოთქმების სიუხვით, წერის მანერით და ბრწყინვალეობით გასაოცარია ჩეხოვის მიწერ-მოწერა. ხოლო პუშკინის

მიწერ-მოწერა არაჩვეულებრივი განძობაა პოეზიის განსაკუთრებულ სახეობაა და ამ მხრივ უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს. მაკაფიო, დახვეწილი ფრაზა, ულტრესი გულახდილობა, ღრმა აზრი, ცხოვრების მოვლენების ნაირნაირობა, ახალწარმოებთა წინასწარი გეგმები, სხვისი წიგნების და ლექსების გარჩევანი, ლიტერატურული და საოჯახო ყოფის წვრილმანები, სახელმწიფოებრივი, ლიტერატურული, ოჯახური საქმეები, ანექლოტები ან აფორიზმები, მახვილი ოხუნჯობანი და ღრმა მოსაზრებანი, ასეთია პუშკინის მიწერ-მოწერა.

ამ მიწერ-მოწერით ჩვენ უფრო მკვეთრად ვეცნობით ლიტერატურის მდგომარეობას, ვიდრე მთელი გამოკვლევის წაქითხვით.

პუშკინი პოეტ-დეკაბრისტს რილუევს მისი ლექსთა კრებულის „Думы“-ს გამო სწერს: „აბა, რა უნდა გითხრა ამ ლექსებზე? ყველგან ვხვდებით ცოცხალ სტრიქონებს; პეტრეს მონოლოგის ბოლო სტროფები ძალიან ორთვიანაა. მაგრამ, საერთოდ კი, ყველა ლექსი სუსტია გამოვონებულობის და თხრობის თვალსაზრისით. ყველა ერთ თარგზეა გამოქრილი; ბევრია საერთო ზოგადი ადგილები: მოქმედების ადგილის აღწერა, გმირების სიტყვები და ხნეობის გაკვეთილი ყველგანაა. სახელების გარდა, მათში რუსული, ეროვნული არაფერია (გამონაკლისს წარმოადგენს „ივან სუსანინი“, რომლის წაქითხვით ვიკრძეინი შენში ნამდვილი ნიქი)“. აი სწორი და მოკლე კრიტიკული შეფასების ნიმუში!

ცნობილ კავალერისტ-ქალიშვილს, 1812 წლის სამამულო ომის მონაწილეს, პარტიზან ქალს ნ. ა. დუროვას განზრახული ჰქონდა თავისი ჩანაწერების წიგნისათვის ეწოდებინა „ამორძალის ჩანაწერები“. საინტერესოა პუშკინის პასუხი ნ. ა. დუროვას ამ განზრახვაზე. „ამორძალის ჩანაწერები“ უაღრესად ნატიფი, მალაღფარდოვანი და მანერულია, მოგვაგონებს გერმანულ რომა-

ნებს. სახელწოდებას „ნ. ა. დუროვას ჩანაწერები“—უბრალო, გულწრფელი და კეთილშობილურია. სხვათა გაბედული—გამოდით ლიტერატურულ სარბიელზე ისევე მამაცად, როგორც იმ საქმეში, რამაც სახელი მოგიხვეჭათ“.

აი, პეტერბურგის საზოგადოების ნაუცბათევი პუშკინისეული დახასიათება: „ერთი კვირაა პ.-ში ვარ, მეტი არა! მთელი საზოგადოება აქ საოცრად აღვზნებულია. მხიარულებენ თავდავიწყებამდე, ე. ი. მუხლის მოკვეთამდე, ცეკვავენ რაუტებზე, რაც აქ დიდ მოღვაწეა. აქამდე დიდი ხნით აღრე უნდა მიმხვდარიყავით, რომ ჩვენ გაჩენილი ერთ რაუტებისათვის, რადგან საამისოდ არც ჰქუაა საქირა, არც მხიარულება, არც საერთო საუბარი, არც პოლიტიკა და არც ლიტერატურა. აბი“ ჯბ სხვების ფეხებზე როგორც ნოხზე, მობობიღებ და ეს ცვლის საუბარს. თვითონ მეც ამ რაუტებით აღტაცებული ვარ—ვისევენ ზინაიდას (ვოლკონსკაია, ნ. ტ.). „წყეული სადილებიდან“. რა მომაცვინებელი სარკაზმი, რამდენი ზიზღია ამ სიტყვებში ფუქსავატი და ყოყონა საზოგადოებისადმი, რომელიც დროს ჰკლავს რაუტებში, უაზრო მოღურ თავშეშეცევაში. დიდებულად ატარებენ დროს—არც ჰქუა, არც მხიარულება, არც პოლიტიკა და არც ლიტერატურა!“

პუშკინი ვარბის ამ საზოგადოებიდან, მისადმი მტრულად განწყობილი ამ მაღალი წრიდან, სამეფისკარო ცერემონიებიდან, მაგრამ რამდენი სიმწარე და ნაღველია 1835 წლის 21 სექტემბერს მიხაილოვსკოედან ცოლის სახელზე გაგზავნილ ბარათში: „შენ ვერ წარმოიდგენ, რა ცოცხლად მუშაობს გონება. როცა ზიზარ მარტო ოთხ კედელს შუა ან ბოლთასა სცემ მანამდე, ვიდრე ბრუ არ დაგესხმება. იცი, რაზე ვფიქრობ? აი რაზე: რთი და როგორ უნდა ვიცხოვროთ? მამაჩემი მამულებს ვერ დამიტოვებს, სანახევროდ უკვე გაფლანგული აქვს. თქვენი მამულიც ბეწვზე

ჰკიდია. მეფე ნებსას არ მამდევეს ჩავერიცხო მემამულეებში ან ჟურნალისტებში. წიგნების წერა ფულისთვის! ღმერთა მოწმე, არ შემოძლია. ჩვენ არა გვაქვს გროშიც კი უტყუარი შემოსავლიდან, უტყუარი გასავალი კი—30.000. ყველაფერი, მთელი იმედი დამყარებულია ჩემზე და მამიდაჩემზე. მაგრამ არც მე ვარ უკვდავი და არც მამიდაჩემი. რა მომელის, ღმერთმა უწყის, ჯერჯერობით... დარდი მკლავს“.

პუშკინის მიწერ-მოწერა თავის შემამარწყნებელი ძალით იმ სასტიკი საუკუნის ეპოქის დოკუმენტია, როცა აუცილებელი იყო პუშკინის გენიის გოლიათური ძალა; რომ ერთი შგორეს მიყოლებით დაგეწერა დიდებული ნაწარმოებები, შეგენარჩუნებინა სულის სიმშვიდე, გქონოდა უდრეკი ნებისყოფა, რომ ყოველ დღე გამკლავებოდი რეაქციის ყველა დარტყმას, ყოველგვარ ვერავობას, ცილისწამებას და მამეზღარობას ნიკოლოზ პირველის რეჟიმის აგენტ-ლიტერატორებისას, რომლებიც, მსგავსად ყბადალებული ფადეი ბულგარინისა, ფულზე ყიდდნენ სინდისს და პატიოსნებას; ამასთან განუწყვეტლივ გეფიქრა მშობლიური ლიტერატურის ბედობაზე, როგორც საერთო საქმეზე. „მე გგონი, თუ ჩვენ ერთ ჯგუფად შევჭუნდებით, არ შეიძლება ლიტერატურა არ გათბეს და რაიმე არ წარმოშვას—ალმანახი, ჟურნალი, და იქნებ, ვახეთიც კი“ (წერილი პლეტინოვისადმი. 1831 წ. აპრილი).

წყნარად შრიალებენ ქალაქ პუშკინის ცაცხვები. ისინი გარემომორტყმიან ყოფილი ლიცეუმის შენობის ახლო დადგმულ მერხს, რომელზედაც ზის ბრინჯაოს ლიცეუმელი მოწაფე.

პოეტის დაბადების დღეს მის მშობლიურ ადგილებში თავს იყრიან ათასობით კოლმეურნენი, რომ ისუნთქონ მდ. სოროტს გაღმა მდებარე ვრცელი ველების სურნელებით და გულს სიამე

მოფინონ სოფელ მიხაილოვსკოეს ხეივანებში სეირნობით.

ძველ მცხეთასთან ახლაც არის კედელი ძველი ტაძრისა. ოდესღაც ამ კედელთან იდგა ოდნავ დაღლილი, მომცრო ტანის კაცი მზიარული თვალებით და ნათელი ღიმილით, გაპყურებდა საქართველოს მთებს, რომელთაც „მწუხრის ბინდი ეფინებოდა“.

ჭარი უბერავს და აყენებს მტვრის კორიანტელს ურალის სტეპებზე, რომლებსაც ახსოვთ პუშკინი, ამ შიდაპოვებში მიმავალი, დიდ სახალხო მოძრაობაზე ჩაფიქრებული, სახალხო ბელადზე—პუგაჩოვზე ღრმა ფიქრებით შეპყრობილი.


ბეზობდალის უღელტეხილზე, იქ, სადაც ერზერუმს მიმავალი პუშკინი შეხვდა თეირანიდან წამოდებულ გრიბოდოვის ცხედარს, ჩუხჩუხებს ჭავლი ანკარა წყაროსი, რომელიც პოეტის ხსოვნის პატივსაცემად, სოფელ პუშკინოს კოლმეურნეებს ქვის ჩარჩოში ჩაუსვამთ.

ეს მუდამ ცივი ჭავლი დაუშრეტელად და უკვდავია, როგორც პუშკინის ნათელი ლექსი.

ამიერკავკასიის კოლმეურნეობებში წყაროებს ქვის ასეთ ჩარჩოებს უკეთებენ დიდ სამამულო ომში დაცემულ გმირთა სამახსოვროდ და პატივსაცემად.

პუშკინი იყო მამაცი მონაწილე თავისი ღვიძლი ხალხის დიდი ბრძოლისა თავისუფლებისათვის, შეუპოვარი მებრძოლი რუსული ლიტერატურის გამარჯვებისათვის.

პუშკინის ძლიერი შემოქმედების წყარო, რომელიც საზრდოს დაუშრეტელი რუსული ხალხური სიტყვიერების უღრმესი წიაღიდანღებულობს, მთელი ძალით ჩუხჩუხებს, და ეს მზიარული ხმაური ახარებს ყოველ კეთილშობილ გულს ჩვენი საყვარელი დედამამულობის არნახელი აყვავების დღეებში.



გიორგი ლონია

თეთრი შროშნები...

თეთრი შროშნები
ვერცხლის სურათში
ჩაეყარე შენდა მოსაგონებლად...
ასე მგონია,
ვიყო ბურანში,
სევდის უფალი მკერდს მეკონება.

თუ შენ აღარ ხარ;
ვის ვაძლევ სალამს,
შენც დამღეწიხარ, სულის ვეფთარო,
წავიდე რომელ იერუსალიმს,
რომელ ქარიშხალს ამოვეფარო!..

სად,
სად დავიწვია,
რომელ ქურაში, —
ადუღებულ ბორგავს გონება...
თეთრი შროშნები
ვერცხლის სურათში
მიწყვია შენდა მოსაგონებლად.

საიხვე ტბა...

მთაში თოვლი აიხვეტა,
ვერხვნარები ვნახე ჩავლით,
მთის მკერდზე კი საიხვე ტბა
ალივლივდა მზისფერ ჭავლით.

მაგრამ, იხვი აღარ ცურავს,
ჩემს თვალს აღარ ენახებოდა, —
ის ბუნებამ დალია და...
ტბა კი ნაპირს ელახებოდა.

იუბილეო

ყველა მშობილი,
ყველა დობილი,
ამ დღეს მილოცავს...
ტკბილი ძღვენია! —

თითქოს მომავალს ვემშვიდობები,
ნეტავ იცოდეთ,
რა საწყენია!

ვალი დამადეს გადასახდელი,
ქათინაურიც,
ბევრი მსმენია.
მე სიმღერისთვის მერგო სახელი.
თქვენ რომ იცოდეთ,
რა რიგ მრცხვენია!

ვღგევეარ და ვფიქრობ,
— ეს როგორ არი,
მე ჩემთვის ვაზი ვადმიწვევია,
გამონაფიქრი და ნავონარი,
ვულის ფსკერიდან —
ვის შესწუდენია?

მე ჩემთვის უნდა მეჭირვარაჲმნა,
იქნებ ჩუმადაც ცრემლი მდენია.
პებელის ფრთების ღონეც არა მაქვს,
თავს დამძახიან, — შავარდენია!

ცხენი რომ მიჰქრის
ნაჯირითალი,
ის ქროლვა არი, ვანა ცხენია?
უბრალო რბენა
ლტოლვა რით არი? —
თქვენ რომ იცოდეთ,
როგორ მრცხვენია!

თუ სიტყვა სიტყვას მწყობრად
მივაწყე, —
ხომ ჩემი სულის მონაფმხვენია...
მე ჩემი სიტყვის
მაკრობს სიმარცხე...
თქვენ რომ იცოდეთ...
როგორ მრცხვენია!

9678



ქონსჯანონი გამსახარია

ღავით აღგაშენებელი *

აღდგომის წიგნზე, ბაგრატის ტაძარში ზუთნი იდგნენ პირველნი იკონოსტასის გასწვრივ: დავითი, მარიაში, გვანცა, ვლანგ ერისთავი და კურაპალატისა მელიტა.

მლოცველთა შორის დიდი მითქმამოთქმა დაბადა ამ ამბავმა, დიდი და მცირე დარწმუნდა, რომ, სადაცაა დავით მეფე ცოლად შეირთავსო შამან ერისთავის ასულს, ზოლო მელიტას ვლანგ ერისთავი ირთავს და შემდგომ ამისა ჯვაროსნულ ომში მიდისო ბაგურ ერისთავის ვაჟი.

ამ ამბავს ხელს უწყობდა თავით მელიტას მიერ გავრცელებული ჭორი. მეორე დღეს გეგუთის ველზე ჯირითი გამართა მეფემ, არგვეთის საერისთავოს, ქუთაისის სამოქალაქოს, საეგროს და აფხაზეთის საუკეთესო ცხენოსნები შეეჯიბრნენ ურთიერთს. ამ ჯირითში განსაკუთრებით თავი ისახელეს გვანცამ და ვლანგ ერისთავმა.

დავითი ყოველდღე დადიოდა გელათში, თვალს ადევნებდა მშენებლობას, მცხეთელ, სამცხელი, ლაზი და ბერძენი ოსტატები ჯერაც ლოდების მოპირკეთებით იყვნენ გართული. სატაძრე ადგილის გარშემო მიწის დამბებს აკეთებდნენ.

წმიდა გიორგის ეკლესიის კარზე დასვა მდა ხუროთმოძღვრებს და ეთათბირებოდა მათ.

უთვალოვალეზდა კირითხუროთა, ხუროთა და მოქანდაკეთა მუშაობას.

ნიანიასა და ჯონდის ეუბნებოდა ხმა-დანლა:

„მე თუ მკითხავთ, ესენია მარილნი მიწისა, იგინი ქმნიან თავის შრომით უკვდავ ძეგლებს, მაგრამ რა საწყენია, რომ ათასში ერთის სახელი არ დარჩება მომავალ თაობათა ხსოვნაში.“

რამდენ უგუნურ მეფეს ასხამდნენ ხოტბას ჩვენი მემკვიდრენი, ისეთებსაც, რომელთაც უაზროდ ხმლის ქნევისა და ქვეყნის აკლების მეტი არაფერი გაუკეთებიათ.

აბა, რა ვიცით ჩვენ, თუ ვინ შექმნა დიდებული ბაგრატის ტაძარი, ბედიო, წრომი, ყინცვისი, წულრულაშენი, გინდა ბოლნისი“.

ოთხი კალატოზი მოათრევდა უზარმაზარ ლოდს, უკვე გათლილს, გელათის ქვაკუთხედთაგანს ერთს. დავით გაეცალა თავის მხლებლებს, გამოართვა კალატოზებს ლოდი და საჭირო ადგილზე ჩადგა.

ნიანი და ჯონდი სახტად დარჩნენ, მეფემ დაამშვიდა ისინი და ოფლი მოიწმინდა მუბლიდან“.

„არაფერია, ჩემო კარგებო, ეს მათ გამხნეებს მხოლოდ. კარგი იქნება, მანდილოსნებს თუ არ გაუხმებლთ ამას, თორემ ეს ამბავი დედაჩემს მისწვდება და მას ისედაც გულის მანკის ნიშნები აქვს უკვე“.

1 ავტორისეული რემარკა: ეს ლოდი დღესაც მინიშნებული აქვთ გელათელებს და შეგ მინახეს იგი მრავალჯერს.

მანდილოსნები ერთ ორჯერ ეწვიენ მშენებლობას, მარიამსა და გვანცას ნამეტნავად მოსწყინდათ ბიზანტიელი სტუმრების გართობა.

მზარეულთუხუცესი ხუმრობდა: „რა მალე ინელებენ ეს ოჯახქორები ხბოს ბეჭებსა და მშვილის მწვადებს, მშიერი ხომ არ ჰყოლიათ მათ პატრონებს ეს სტუმრები დაბმული?“

მარიამი და გვანცა მოუთმენლად მოელოდნენ შაბათს, დავითს დათქმული ჰქონდა: დილიდანვე სათაფლიას წაეყვანა ისინი.

დავითს რატომღაც უმძიმდა სათაფლიას წასვლა, ამიტომაც ფეხს ითრევდა. ბოლოს მეორე შაბათი დადგა და მეჯინბეთუხუცესს მზად ჰყავდა მარიამ დედოფლისათვის ეტლი, ხოლო დავითისა, გვანცასათვის, კურაპალატისა მელიტასათვის, ჯონდისა და ნიანიასათვის — ცხენები.

ბიზანტიელი სტუმრებიც თან გაჰყვინენ მათ.

მახარა და ბაზიერთუხუცესი ეღარუნა მიმიწოების საგაზაფხულო ბავლით იყენენ გართულნი. სტრატეგი ნოტარი და დრუნგარი ლასკარის მათ მიეყედლნენ. ბიზანტიელები პირველად ზედადნენ ბავლის გაგდებას.

მახარას თავი ჰქონდა გაბეზრებული მათი შეკითხვებისაგან. ბოლოს ტანმორჩილ ჯორზე აღმხედრებულმა ისეთ ლარტაფებისკენ გადაუხვია, ბიზანტიელების სატალახო ულაყები, რომელნიც ისედაც უოჩნდებოდნენ თავიანთ მხედრებს, ვეღარ მიჰყვენენ მახარას და მის მენადირეებს.

ჯონდი შორიდან დალანდა ისინი, ჰენებით წამოეწია დავითსა და გვანცას, გააფრთხილა:

თუ ცხენები არ ავანქარეთ, ჩვენი სტუმრები წამოგვეწვიან და თავს წაგვეკაძენო კათხვა-გამოკითხვითა.

დავითი დაჟინებით ცდილობდა უგუნებობა დაემალა გვანცასათვის. ყოველი სამლოცველო გზის პირად, ყოველი

მარტოზე, აყვავებული ბროწეულებს მწერივები, დედისიმედს აგონებდა მას.

გვანცა და ნიანია შეუჩინდნენ ჯონდს, ბიზანტიელი სტუმრების გამოჩაგრება დაეწყო. ჯონდი ჯერ სტრატეგ ნოტარსავით წაიგრძელებდა კისერს და ტრახახობდა, თუ როგორ შემუსრა მან ქსერიგირდნთან თურქები, მერმე ცერიდან წაიძრო ბეჭედი და ათამაშებდა, ნაირნაირ სახელებს არქმევდა ერთსა და იმავე ნივთს.

ახლა გომბეშოსავით გაიბერა, ლოყები დაბუშტა, თვალები დაკუსა. ებიფანე არამსმელივით ჩამოიფხატა თავზე ჭული და დაიწყო ლალადი:

„ღმერთი არს არსი არსობათა თვით უძრავი, მაგრამ მამოძრავებელი ყოველთა არსთა.

სატანა ბნელეთის თავადია, მაგრამ ხილულეთში განცხადებული, იგი თრთის მაისოვრის ჩვენის წინაშე შიშით, ვითა ფოთოლი ვერხვისა.

უფლის უფსკრულებში არც დასაწყისია და არც დასასრული, ამიტომაც უჩაქვამს ბრძენს:

უფალი პირველთაგან პირველია და უკანასკნელთა შორის უკანასკნელი, ღმერთი არს ანი და პოე ამ სამყაროისა“.

ჯონდის მანქვა-გრუნამ დავითი და გვანცაც გაამხიარულა.

ნიანიამ ბორცვზე შეაყენა ცხენი და ეუბნება დავითს:

„მოდი, სიჭაბუკე მოვიგონოთ და ცხენები გავაჭენოთ, თორემ სტრატეგი და მისი ამაღა წამოგვეწვიან სულ მალე“.

დავითმა პირველმა მოუცაცუნა თავის ალერსას დეზი. გვანცას იაბო გაგულისდა და უკან გამოუდგა ულაყს. ნიანია და ჯონდი შესდგებოდნენ, უკან იხედებოდნენ და ისევ აჭენებდნენ ცხენებს.

დავითმა ცხენი შეანელა და გვანცასაც წამუყო, ახლა ორივენი თანაბრად

მიდიოდნენ, ოთხახმით სვლაზე გადასულნი.

როცა ცხენებმა სვლა შეანელეს და-ვითმა სთქვა:

„რა უცნაურია, გვანცა, ბუნებაში რომ არაფერი იცვლება, ათი წელი მის ცხოვრებაში არაფერია. ეგერ საყვარელი ზომლის მთა, აბა, სათაფლიას მიმდგომი კორდები“.

გვანცამ შენიშნა:

„ეს ჩენა ვართ ბედშავნი ცვალებადობის ჭირვეულობის მსხვერპლნი. დედოფალმა მარიაჰმა სამი ჭალარა იპოვნა ჩემს თავზე“.

„ახლა შენ ეგა სთქვი თავათ, როგორ შეიმოსა მხცით მისი მშვენიერი თავი, გინა ცოტა რამ გადახდა ამ წლებში! ჭალარა არაფერია, ხალიფების ცოლები უკვე თექვსმეტი წლისანი იღებავენ თმებს, რათა მათმა ქმრებმა აროდეს ნახონ მათ თავზე ჭალარა“.

„საოცარი ეგაა, მარიამის მარმარი-სებრ თეთრ სახეზე არც ერთი ნაოჭის ნასახიც რომ არა ჩანს.“

წუხელ ჩემს გვერდით იჭდა კარას ველუსის წინ. მკლავი მომხვია და სთქვა: სამი რამ მინდა ვინატრო, — გვანცა, კონსტანტინე პორფიროგენეტის დღეგრძელობა, დავითის დაქორწინება და ისეთი სიკვდილი, რომელიც სახის ვაგლახად დამანჭვას წინ წაუსწრებს“.

მზე სამზეოსკენ მიისწრაფვოდა, ჩრდილები ზოლებად ლაგდებოდნენ კოლხეთის მშვენიერ კორდებზე. გზა დაფნის ტყეზე გადადიოდა, უცნაურად საამო სუნი სცემდათ მხედრებს, როცა მათი ცხენები ტლამა-ტლუშათ მიიკვლევდნენ გზას.

გვანცამ შეაყენა თავისი ცხენი, ზომლის მთას მიხედა და სთქვა: „მხოლოდ მთებსა და მამაკაცებს შვენიით, მეფევე ბატონო, ჭალარა“.

რა ლამაზად არიან შევერცხლილნი გიორგი მეფე, გიორგი ჭყონდიდელი და გვარამ ბექისციხის პატრონი... რამდენი ჩამოვთვალო მხცოვან ერისთავთაგან. ან

ჩენი კათალიკოსების ჭალარა! ის ბერი კირიონიცა, საცოდავ კარიონს, თოვლი-ვით თეთრი წვერი ჰქონდა, — უმბრველ შავი წარბები“.

„ეპ, ჩემო კარგო, სთქვა მეფემ, ჭალარა არაფერია, მთავარზე უმთავრესია სულში არ გაუჩნდეს აღამიანს ჭალარა“.

„არა, მეფევე ბატონო, მე კი ვისურვებდი მეოთხე ჭალარას გაჩენამდის მომისწრებდეს სიკვდილი“.

„არ გეწყინოს და ეს კი ნამდვილი სულმოკლეობაა, გვანცა. უფლის ნებას ვინ შეცვლის, საქმე ისაა, ჩვენ არ გვეკითხება თუნდაც ერთი ბეწვის გაჩენა ჩვენს თავზე“.

„მშველები! მშველები!“ — წამოიძახა გვანცამ. მეფე უძრავად იჭდა მშველის უნაგირზე... აღერსიანი მზერა ესროლა წვეილად მიმქროლავ შუნსა და ხარს.

გვანცა ევედრა მეფეს, გამოეუდგეთ და მოველათო.

„იცი, გვანცა, ახლა შუნები მაკეთარიან, ხომ ხედავ, იმ ორში ერთი რომ უკან რჩება, სწორედ იგია მაკე შუნი. ამ დროს ცოდვთა მათი დახოცვა, თორემ შუნი იაბო და ჩემი აღერსაი ჩრდილის უსწრაფესად წამოეწეოდნენ მათ.“

თუ თურქები კვლავ არ გათავებდნენ, ამ შემოდგომის მიწურულში, მე და შენ ავიყოლიოთ ჯონდი და ნიანია, კირიონ ბერი მოვიანხლოთ, მზიანეთის ველზე ვინადიროთ მშველებზე.

მე კოლხეთშიაც ბევრჯერ მინადირონია, მაგრამ იმ ველებს, სადაც მშველები ბინადრობენ, გაეკებულა მისადგომებ-აქვს, ყველა ნადირობს. ამიტომაც მომეტებულად ფრთხალებია აქაური მშველები.

ან მხარეში ბალღებსაც ემარჯვებათ მოიხარობა.

მზიანეთში, როგორც ჩანს, ცხენდაცხენ ვერ ავალოთ, ისეთი დახორგილი ბილიკებია გადასალახა“.

„ენტამც ვიცოდე, — სთქვა გვანცამ, — რას მოინადირებთ გზადაგზა“?

„ამ მხარეში ჩამორჩენილი მწყერი“

ბევრი, რადგან კოლხური ზამთარი ვერას ვნებს მათ. ახლა, ალბათ, ტყის ქათმებზე მიუშვებდნენ ქორ-მიმინოთა, შესაძლოა, მშვლებიც დახოცეს. მახარა ამ საქმეში მეურჩება“.

ცხენოსნები ბექობზე შესდგნენ, ველია პირეთიდან მარამ დედოფალი და მისი ამაღა გამოდიოდნენ.

გვანცას რომელიღაც ფრთოსანის ქაქკიკი შემოესმა.

„ეს ბულბული ხომ არ არის ნეტავი?“

„ბულბული აგვისტომდის არა მღერის, ალბათ მზეწვიანა“.

„ჰო, მაგრამ, აგვისტომდის სადღაა ბულბული?“

„გამოცდილ მენადირეთაგან, მსმენაა და მახარაც მიმოწმებდა ამას წინათ, ბულბული კოლხეთიდან არსად შიდის თურმე. იგი სექტემბრის მიწურულში ნაკრტენს იცვლის ხოლმე, მსცოვანი მონადირენიც აგრე იტყვიან, ბულბული ბელურის ერთ-ერთი სახეობაა, შემოდგომაზე ბელურისფერი ბუმბულით შეიმოსება და დადუმდება.“

მე, როგორც მენადირეს, სარწმუნოდ მიმჩნია ეგ ამბავი, გიორგი ჭყონდიდელს იანერის პირველს მიგვარეს ძიძაშვილის შვილებმა ბულბულები.

გაცეანა თურმე მამი გიორგის. რათ შეაწუხეთ, შვილებო, ეს სამღეთო ფრინველები, მე ხომ ხალიფა არა ვარ, ბულბულის ენებისგან გაკეთებულ კერძს რომ შესანსლავედა ხოლმე. სოქვა, ერთ მათგანს ეამბორა თავზე და გააფრინა ყველანი“.

„ჰო, მაგრამ ამ მშვენიერი გაზაფხულის პირზე რად არ გალობს ბულბული?“ იკითხა გვანცამ.

„გაზაფხულზე ბულბულებს ბარტყე-ბი ჰყავთ დაჩეილა, ვიდრე პატარები არ წამოჩიტდებიან მამალი ბულბული ეხმარება თავის მეუღლეს ბუდის აგებაში, შვალეების გამოკვებაში, მარამო-ბ-ს თვეში გააფრენენ წამოჩიტებულებს და მამალი ბულბული იწყებს გალობას“.

„რა უცნაური რამეა!“

„ეჰ, ჩემო გვანცა, ამ ქვეყნად იმდენივე საიდუმლოა, რამდენიც ვარსკვლავი ცაზე და შვრიის მარცვალი მიწაზე. როგორც სჩანს, ეს ქვეყანა ჩვენ დაგვიტომო სატანჯველად ღმერთმა, ხოლო იღუმალებათა კლიტენი თავათ შემოანახა“.

გვანცამ უკან მიიხედა; ბიზანტიელუბი, მათნი მუაბჯრენი და მეჯინიბენი ოთხხსმით მოაგვლევდნენ ცხენებს. კისერგაფშეკილი სტრატიგი ნოტარი წან მიუძლოდა მათ.

დავითი და გვანცა დიდხანს დაყოვნდნენ გზაში, ბოლოს მანდალოსანმა და რაინდმა საუბარს თავი დაანებეს და დეზი მოუცაქუნეს თავიანთ ცხენებს. ჭენებას მოხატრულნი მიჰქროდნენ სათაფლიასკენ.

ამ ალვის ხეებმა, ამ დაფნის ბუჩქებმა მოაგონეს დავითს ის ბედნიერი საღამო და ეს იყო მისთვის დედისიმედთან ერთად გატარებული ნეტარი წუთები ელიზიუმის საოცნებო ბაღნარში.

მხედრებმა შორიდან შენიშნეს კოცონები უზარმაზარი გვირაბის წინ.

კოცონებს გადმოღმა მუხის მორები ელაგა, როგორც სახელდახელოდ მოწყობილი ძველი ბერძნული თეატრონი...

დედოფალი მარამი, კუროპალატისა მელიტა ერთ მორს გარს უსხდნენ განმარტობით. შორაახლო ბიზანტიელი სტუმრები ისხდნენ.

მახარამ და მესტუმრეთუხუცესმა კარვად იცოდნენ, ბიზანტიელი სტუმრები ვერ ეგუებოდნენ პურობის წინ დიდხანს ლოდინს, ამიტომაც ადრე მიუსხვეს ისინი ხორაგით ვავსილ ტაბაკებს. ჩქიფების წამოღება დაეიწყებოდა მზარეულოთუხუცესს, მიუხედავად ამისა, ყოველ ბერძენს თითო ბარკალი მშვლისა გარკობილი ჰქონდა პირში.

მზარეულები ატრიალებდნენ შამფურებზე ჩამოგებულ მშვლებსა და ხობებს.

სტრატიგი ნოტარი ოდნავ ნასმურე-

ვრ ეახლა მეფესა და მარიამს და შესჩივლა, „მე და დრუნგარი ლასკარის ქემარიტად საწყალობელნი ვართ, ავგუსტა. ხელში შეგვიკლეს ამ ბერებმა ღმერთისა და სატანის გამო საუბრით.

ჯვაროსნების საქმე ვერ მიდის რიგზე. არავინ იცის, რა მოხდება, განაგრძონოტარმა, იმპერატორი ჩვენი ანტიოქიის გამო ედავება მათ, ბოჰემუნდი ხან იერუსალიმის პატრიარქს ექიშქება, ხანაც ალექსი კეისარს.

აღმათ გეკოდინება ბოჰემუნდი ტყვედ ჩაუვარდა თურქომან ამირას, გულშტეკინ იბნ-დანიშმედს კაპადოკიაში. ამოდ ეცადნენ ჯვაროსნები ძალით მის გამოტაცებას, ბოლოს სომეხმა დიდვაჟარმა გაბრიელმა გამოასყიდა იგი.

საერთოდ, საკმაოდ უგუნურად იქცვიან ფრანკთა ბელადები.

იერუსალიმის მეფეს, გოდფრუა დე ბულონს სტუმრად ეწვია ერთი ამირა, გამარჯვება მოულოცა, დიდძალი ძღვენი მიართვა და ერთი ცვაშლი კედრისა. გოდფრუამ შესჴამა ცვაშლი და იმ ლამესვე გარდაიცვალა.

მოიწამლნენ გოდფრუას კარისკაცები და მოსახლეობა იმ უბნისა, სადაც იერუსალიმის მეფის სასახლეა დღესაც. ბოლოს იერუსალიმის მეფედ აირჩიეს ედესის მთავარი ბალდვინი.

ბოჰემუნდი ზედაედა, დღითი დღე უძღურდებოდნენ ჯვაროსნები. მამაკაცები ომებში იხოცებოდნენ, მოსახლეობის ახალი ნამატი არსად ჩანდა.

ბოლოს გულადრენილი გაემგზავრა ევროპას.

მოგესხენება, ბოჰემუნდი იმპერატორის, კონნენის მოსიხარის, რომერტ გენსკარის ვაჟია. თავათაც უდიდესი მტერი ბიზანტიისა. ახლა მოგახსენოთ, რა ხრიკი იხმარა ამ თავაწყვეტილმა რაინდმა. კარგად იცოდა, კეისარი მას კონსტანტინეპოლშივე დაატყვევებდა, ამიტომაც თავი მოიმკვდარუნა, კუბოში ჩაწოლილი აიყვანეს იგი მსლებლებმა

გენზე და აგრე იმგზავრა კორფუს კუტულამდის.

ბოლოს ფრანკების მეფეს, კლოდოვანს ექუს ეახლა პარიზში და მისი ქალი შეირათა. ახლა ხმადაბლა უჩუჩრჩულა დავითს:

„თუმცა მასზე უფრო ლამაზი საყვარელი ჰყავდა, იტალიელი პრინცესათი, მაგრამ მოგესხენება, მეფეთა და მთავართა საერთო ბედაი ავეთი, მათ გულს მიჯნურის ცოლად შერთვა აღკვეთილი აქვთ... ჰი, ჰი...“

ახლა დაეხეტება მთელს ევროპაში ბოჰემუნდი, ოქროსა და ჯვაროსნებს ავოოვებს“.

მოუბარმა შენიშნა, ყურადღებით უსმენდა დავითი, ამიტომ ახლოს მიიწია მისკენ.

„აეის მომთხრობთაგან მაქვს განავთნი, მეფეე ბატონო, მაინც და მაინც არ უყვარხარო დავით მეფესა...“

„რას ბრძანებთ, სტრატეგო, მე მუდამ ვაფასებდი, როგორც დიდ მეომარსა და რაინდს...“ უთხრა დავითმა, ნოტარი გამხნედა და ახლა უფრო ომახიანად განაგრძო საუბარი.

„თუმცა მე მუდამ ვიცოდი, არა არს მართებულ ბრძენის მიერ თავისი სიბრძნის ქადილი, არც თუ რაინდს შეენის თავის საგმირო საქმეთა თავად თხრობა. მაგრამ მიმეტებული ტანჯვა თუ გადახდა ვაჟაკს, ეს ყოველივე მას აკარგვინებს უკეთილშობილესს გრძობას. რომელსაც თავმდაბლობა გვიქვია“.

„ეგ აგრე არის უთუოდ“, — შენიშნა მეფემ.

„აბა ერთ რამესაც მოგახსენებ, მეფეე ბატონო, მე შენს სამეფოში ჩამოვდივარ სტუმრად, არა მარტო შენო ლეთივმშენიერი მამიდის სანახავად, რომელსაც მე თავიანს ვცემ, როგორც ლეთიებს, სწორედ ასეთია იგი. კონსტანტინეპოლში მრავალგზის დახატეს მისი საზე ეკლესიაში და მე დარწმუნებული ვარ, გელათშიაც ვიხილავთ ჩვენ მის ღმერთშემოსილ სახეს.

ერწუხის ომში თურმე ოციოდე ბერ-

ძენი რაინდი გსლებია, მეფევე ბატონო, და მათ გვაუწყეს შენი იგავმიუწევდომელი გმირობის ამბავი.

ღმერთი მყავს მოწმედ, პირმოთნეობით არ მოგახსენებ, ვინ ბოკემუნდი, ვინ ტანკრედი, ვინ გოდფრუა დე ბუჟონი, შენ რომ არ იცავდე კავკასიის სამხრეთს, როგორც ბიბლიური გოგი და მაგოგი, უთუოდ უწინამძღვრებდი ჭვაროსნებს და შავს დღეს გაუთენებდი.

ჩვენ ყველანი აღტაცებულნი ვართ, თუ როგორ დააოკე შინაური მტრები, როგორ დათრგუნე თავგასული ქართველი ერისთავები და გულარძინი ეპისკოპოსები.

ნეტავი ჩვენს ალექსი კეისარს მისცემოდა ასეთი მტერთათვის რისხვის მიძეცი ძალი, საუბედუროდ, იგი დავვიბერდა, დასნეულდა და გაცილებით მეტ დროს ახმარს ლოცვას, ვიდრე სახელმწიფურ საქმეებს, თუმცა იგიც დიდი გმირი იყო სიქაბუჯეში.

პირველთქმულს რომ მივუბრუნდეთ, ყოველივე გმირობა, თუნდაც მეფეთა და უდიდესს სარდალთა, საესებით ამოა, თუ მათ ღირსეული მემართიანე და შეხობტე არ აღმოაჩნდა.

ალბათ არც ოდისე, არც იტაკის მეფე და არც აქილევი ჩვენთვის ცნობილი არ იქნებოდნენ, ჰომეროსი რომ არ აღმოჩენოდა მათ მეხობტედ.

შენ რა გიშავს, მეფევე ბატონო, შენს ქვეყანაში ფრად ტალანტიანი მწერლები არიან თურმე. დრო გავა და დიდ-დიდნი მესიტყვენი აღწერენ შენს გმირობას.

მწერლები ჩვენცა გვყავს, არც თუ უნიჭონი, მაგრამ სულით მდაბალნი, ისინი ყოველი ახალი კეისრის მეხობტედ მოგვევლინებთან ხოლმე, მოკედება თუ არა ესა თუ ის იმპერატორი, მათი ნაქლბანები ისევე მიეცემა დავიწყებას, როგორც კეისრისეული ხასები, რომელნიც კურტუმის ქნევით ართობენ ხოლმე ცეკვის დროს იმპერატორებს.

როგორც ამბობენ, ალექსი კომნენი

ანტიოქიას მიპირებს სალაშქროდ წარგზავნას და თუ იქიდან ცრცხლნი მოგზარუნდი, მე კიდევ გეახლები შენს წყაბართვით და თუნდაც მრჩევლად ამიყვანე, ვინდ კოპორტი ჩამაბარე ერთი და, ღმერთმა ინებოს, ტფილისის აღებისას კიდევ ერთხელ ვუჩვენო საქარისტიანოს პაპიჩემისეული ხმლის ელვარება. განა მარტო სახელისათვის, მეფევე ბატონო?"

„სახელი მარტო რა ბედენაა, სახელი სიკედლისა ჰგავს, როცა საქიროა იგი თავათ მოგვაკითხავს“.

სთქვა დავითმა.

„ოჰო, რა კარგად ბრძანე ბრძენაკო...“ ნოტარი დავითოვა მეფეს და ბიზანტიელი თავის შეინახებებს მიეკედლა. ებიფანე არამსელი გამალებული ცლიდა მოზვრის ყანწებს და ყვიროდა:

In vino veritas!

დავითმა მორიგი კრძი მიართვა თავის მაშიდას და უთხრა:

„ეგ ნოტარი არც თუ ისეთი შლეგია, როგორც მეგონა“.

„შლეგი როდია, ნამეტნავად ბევრს ლაპარაკობს და ტრახახობს მაგ ოჯახქორი, ის კი არ იცის, რომ ეს ჩრდილს აყენებს მასვე“.

დავითს აღარ უნდოდა ისევე ნოტარის ვამო საუბარი და ეუბნება მარიაჰს:

„ეს სათაფლია განა მარტოოდენ მეფეთა და ერისთავთა სალხინო ალაგი იყო, არამედ საჭურჭლეთა და იარალთა სამალი.“

შარშანწინ მახარამ და ნიანია ბაკურიანმა შეინახეს მანდ დიდძალი ოქროვერცხლი, საყდრის იარალი ოქროსა და ვერცხლისა, თორნი ვერცხლისანი, შობორკანული და ზალდადური, დმანისური და ბიზანტიური.

ამ მორებზე მსხდარან პაპა ჩემი ბაგრატი და მამა ჩემი გიორგი...“

მცირე ხნის დუმილის შემდეგ მარიაჰმა სთქვა:

„ინებოს უფალმა, შენთვისაც სალხინოდ იქნეს სათაფლია, გუთაყვანე. ჩი-

1. ლეონოვა ჰეშვარიტბა.

ნებულ გუნებაზე დამყენა კონსტანტინე პორფიროგენეტის წიგნმა, ერთ-ერთი კუროპალატის ლეიპრდებულოს ქალს ირთავს შემოდგომაზე...“

„უკვე დროა“, — სთქვა დავითმა.

„შენთვისაც დროა, გეთაყვანე, ჩემი ეუბი რაღაც ათიოდე წლით უმცროსია შენზე. გეყოფა მარტოობა, გეყოფა სულ ომებისთვის ზრუნეა... გეყოფა მარტოობა“.

მეფემ ახლოს მიუტანა ტუჩპირი თავის მამიდას და უთხრა:

„მეც გადაწვივით, ავგუსტა...“

„როგორ? ისევ ყიფჩაღთა უმთავრესის ასული?“

„არა, მე მინდა გვანცა შევიერთო...“

მარიამს ლოყები შეუფაქლა სიხარულისაგან.

„სვებედნიერი ამბავი მითხარი, გეთაყვანე, უკეთესს სასძლოს ვერც საქართველოში ვერც საქრისტიანოს სხვა მხარეში ვერ ვიპოვნიდით. მე ხომ პირადად ვიცნობ კონსტანტინეპოლის, მთელი ბიზანტიის ლამაზმანებს...“

სწორედ გვანცასებრი ცოლი დაგამზვენებს შენ. ცოლ-ქმრობის საქმეში განა მარტოოდენ სილამაზეა მთავარი, შენ ისეთი ბოზოქარი ცხოვრება გაქვს, ასეთი მამაცი დიაცი უნდა გედგას ვერდით“.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ დავითმა სთქვა:

„მართალია, მიცემული სიტყვა გამიკუდრდება, მაგრამ როგორც სტეფანოზ წილკნელი იუწყება, ოცნებები არ აძლევენ თურმე მშვიდობის გზას ყიფჩაღებს“.

„სიტყვა გამიტყდებაო? რასა ბრძანებ, გეთაყვანე, ბიზანტიელ კეისრებს რამდენჯინს საქვეყნოდ დაუნიშნავთ სასძლო და მერამე სხვა შეურთავთ. მოგესტენება. მეფეთა მიერ ცოლის შერთვა მეჭადაგეთა დაქორწინება როდია, ხამს აქაც ისე მოიქცევი, როგორც შენი გული და საქვეყნო საქმენი მოითხოვენ“.

„გულწრფელად მოგახსენო, მეც მოწყინდა ლოდინი, დედისიმედის პოვნის

იმედები მიიწურა. გარდა ამისა, დედინემი მებრალება, ამას წინათ თვალცრემლიანმა მითხრა: სწავლამდის მალისეთა შენი დაქორწინება“.

გეგუთს ჩამოსვლის მეორე დღესვე აზნაური მორკნეველი წარგზავნენ ნაქარმაგვეს და შევეუთვალე გიორგი ჰყონდიდელს, სტეფანოზ წილკნელი უკუნიშნოს და შარადინძეს უარი შეუთვალოს დამოყვრების გამო“.

ეგვე ფრიალ ეამა მარიამ დედოფალს. დავითმა დანდობილად შესცვალა საუბრის შინაარსი.

„ნუ თუ არ მოგვიდა, მამიდაც ბატონო?“

„ცხენით სვლამ უცნაურად მომაშვივა, გეთაყვანე“.

დავითმა მშვლის მწვადები მიართვა მარიამს, და თავთაც აპირებდა შექცევის და ამ დროს გაისმა ცხენების თქარა-თქური.

შტორა მორკნეველი და გეგუთის ციხისთავი შარვაშისძე ეახლნენ მეფეს:

„რა მოხდა, შტორა? რაიმე სიავის მაცნენი ხომ არა ხართ?“

„არავითარი სიავისა, მეფეც ბატონო. ესეცა გიორგი ჰყონდიდელი გაიხლა გეგუთში და დაუყოვნებლივ ჩამობრძანებდას ვთხოვს“.

მარიამს ლუკმა გაუცივდა პირში. ხოლო დავითი გველცემულივით ზეწამოიჭრა. დავითს უსიამო ყრყოლა მოგვარა მორკნეველის ნაუწყებმა.

მარიამი გადაფითრდა, სტრატეგი ნოტარი მოიხმო და აუწყა: დაუყოვნებლივ უნდა გავბრუნდეთო გეგუთს.

სტრატეგი ნოტარი შეკრთა: თურქები ხომ არ დაგვესხენო თავს?

„არა, დავით მეფე შეუძლოდ გახდაო. მიუგო მარიამმა. გარდა ამისა, უკვე შეგვიანდა და ამ გზებზე ცხენით მგზავრობა მიმძიმსო ფრიალ“.

სტრატეგი ნოტარი და დანარჩენი სტუმრები უხალისოდ გაეყარნენ მშვლის მწვადებსა და ალადასტურის ღვინოს. მახარა ანუგეშებდა მათ: თუ გნებავთ გეგუთში განგვარძოთო პურობა.

ცხენოსნებს წინ მიუძღოდა თორმეტი თოროსანი რაინდი, მათ უკან მიყვებოდნენ დავით მეფე, მარიამ დედოფალი, გვანცა და მელიტა.

გზის პირად გლეხები ვაზის წალამს სწავადნენ, თითქმის მთელი გზის პირეთზე კოცონები ენთო; ასე რომ ცხენოსნების ლანდები აღმხედრებულ მღვევებს მიაგავდნენ.

გვანცა და მელიტა დაწინაურდნენ.

დავითი დიდხანს ჯდებოდა, ბოლოს ეს უთხრა მარიამს:

„ამ რამდენიმე წლის წინათ მახარამ ერთი აცინგანი დიაცი მოგგვგვარა მე და ნიანიას, მკითხავი. იმ დიაცმა დიდხანს უუკერიტა ჩემს მარცხენა ხელისგულს და ასეთი რამ მითხრა ბერძნულად:

„შენ სეუბედნიერ იქნები ყოველ ომში, ჰაბუკო, მაგრამ სიყვარულის ღმერთი რატომღაც არა გწყალობს.

ყოველი ქალი, რომელსაც შენ ვაეკვრები, მწუხარებით აღივსება უთუოდ“.

მოგეხსენება, ორგზის ამიხდა ეს და ახლა, როგორც ვხედავ, მესამე ჯერაც...

გიორგი ჭყონდიდელის ჩამოსვლა დიდ რაიმეს მოასწავებს უთუოდ“.

მარიამს სამსქვალივით მოხვდა გულში ეს სიტყვები, მაგრამ განგებოსად გულგრილად მიიღო ისინი, ესლა სთქვა მხოლოდ:

„ეჰ, გეთაყვანე. მკითხავენს ბევრი რამ არ დაეჭერება, მეც არა ერთხელ გამოიწვლია მათთვის ჩემი მარცხენა, ვინ იცის რა სიივენი არ უთქვამთ წინაშე, კონსტანტინეს გამო, ბოლო ხანს ეგვი მიჩურჩულა ერთმა მკითხავმა:

„აღეჭი კომნენი მოწამვლას გიპირებსო...“

როგორც ვხედავ, ყოველივე კეთილად წარიმართა დვითთ, ჩემი ვაჟი ცოლს ირთაქს უახლოეს შემოდგომაზე, ხოლო კეისარი კომნენი პირიქით, უფრო მეტად დამიმეგობრდა, შემომითვალა კიდევაც სტრატეგი ნოტარის პი-

რით: უშენოდ დიდი მოწყენაო სამეფო ქალაქში“.

სამი ცხენოსანის ლანდი მდებარეობდა შვეიდა გეგუთის ციხის პირველ გოდოლში. დავითი თორის გაუხდელად გაემართა ჭყონდიდელის საძილო დარბაზისაკენ, მეფის შემოსვლა არც კი შეუმჩნევია, ხმადაბლა ლილინებდა მონაზონი გიორგი:

„ავუარდები უფალსა რამეთუ კეთილ, რამეთუ უკუნისამდე არის წყალობა მისი.

ავუარდები ღმერთსა ღმერთთასა, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მისი“.

როცა ხატებით მორთულ კედლიდან გამობრუნდა ჭყონდიდელი, იგი გადაეხვია დავითს, ისე როგორც ხანგრძლივად მასთან გაყრის შემდეგ სჩვეოდა ხოლმე. საჯაროდ ღმერთს დაჯდომა აცალა მეფეს და ეუბნება ხმამილეული:

„ლხენა მოგვიხალე, შვილო, მაგრამ განა ეს წუთისოფელი სალხენად მოუნიკებია ჩვენთვის არსთავანმრიგეს? განსაკუთრებით, შენთვის და ჩემთვის“...

დავითს სუნთქვა შეეკრა, რაღაც უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ ღუმილი არჩია.

„მე ავადმყოფი წამოკედი შენს სანახავად, ვხაში გაუცივდი კიდევაც, მაგრამ ეგ არაფერია. წინა კვირას წიგნი მოიწერა სტეფანოზ წილკნელმა, შარალან რაინდი და ასული მისი, მცირე სპით უკვე ჩამოსულან კავკასიონის მისადგომებთან, მაგრამ ოვსთა მეფენი და მთავარნი გზას მშვიდობისას არ აღლევენ.

დაუყონებლივ უნდა გავემგზავროთ შენ და მე დვალეთს, ოვსთა მეფეებს მე კარგად ვიცნობ, ისინი სამეფოს ჩვენის ყმადნაფიცნი არიან, მოგეხსენება, მხოლოდ სიკეთე მიუძღვით ოვსთა წინაშე, უძველეს დროში ჩვენი მეფეები ხაზარბთან ბრძოლაში შველოდნენ მათ“.

დავითი სდუმდა მცირე ხანს და მერმე ეს უთხრა:

„მე აქ გელათის მშენებლობის ამბებზე მქონდა დაულაგებელი, მაგრამ რაკი აგრეა, იყვენ ნება შენი, მამაო გიორგი, ზვალეე დავადგეთ გზას“.

„გელათის საქმეები არც ისე საშუაროა, ნიანია ბაკურიანი დავტოვოთ აქ“...

დავითი ამჩნევდა: უჩვეულოდ დელავდა მამაი გიორგი. საუბრის დროს მას ქვედა ყბა უცახცახებდა...

„მე ყველაფერი მესმის, შეილო ჩემო, დიას, შეილო ჩემო, რადგან მე სულიერი მამა ვარ შენი, როგორც ჩანს, ზეარაკად ავირჩია ჩემის პირით უფალმა. ვა, ჩემს სიბერეს, ასეთი მძიმე ტვირთი რომ დამაკისრა არსთაგანშირეგემ.“

რა გაეწყობა, აწ არჩევანი უკვე მომზდარია უფლის მიერ.

განა მე არა ვყოფილვარ ჰაბუცი, განა მე არა მქონია კაცური ვენებანი, მაგრამ ზეარაკი ზეარაკია, შეილო. ლმერთი რჩეულთაგან რჩეულს მოითხოვს ერის ჰიროთა მეურვედ.

ჰყონდილში ერთადერთი მუხა იდგა ჩემს მამაპაპათა ნასახლარზე. იმ მუხას ათასი წლის მანძილზე თაყვანსა სცემდნენ მამა-პაპანი ჩემნი.

თაყვანსა სცემდნენ და თაფლის სანთლებს მიაღწობდნენ ხალმე მის გოლიათურ ტანს.

ამასწინათ მაცნობეს, იმ მუხას მეხი დასცემია და შეუშუსრავს.

ეგ იყო ერთადერთი ხე, რომელიც ატარებდა ჩემს სახელს საქართველოში. ახლა შენ განსაჯე, შეილო, რამდენი სსახლენი და რამდენი ზეგბია დარგული შენს სახელზე და ისინი დღესაც ჰყვებიან“.

დავითი წამოდგა.

„ყოველივე მესმის, მამაო გიორგი. რაც შენა ბრძანე, მე ზვალინდელი დღის სამზადისს შევეუდგები, ცხენები და ეტლები დილაადრიან მზად ეყოლება მეჩინიბეთუხუცესს“...

მარიამ დედოფალი უკახმავე დაუხვდა საძილო ოთახში თავის მძისწულს.

მეტეს ისეთი ნაღვლიანი სახე ჰქონდა,

გვანცა და მელიტა ადგნენ და გაეცადნენ იქაურობას.

„ეგებ ძილს ეპირებოდნენ მამიფსუმი, მამატიე ეგზომ გვიან რომ გეახელი, მაგრამ გულში არ დამეტია ბოლმა, ყველაზე უფრო მახლობელისთვის უნდა გემეზიარებინა ეს დარდი...“

„მე უსიტყვოდ ვიცი, გეთაყვანე, თუ რად მობრძანდა მამაი გიორგი“...

როცა ყოველივე წვრილად მოუთხრო დავითმა თავის მამიდას, მარიაში გადაფითარდა და საეარძლის ზურგს მიეყრდნო.

დავითი ადგა; ურთხელის მრგვალ მაგიდიდან ვარდის სუნამო გაღმოიღო და ასუნთქვინა გულშეღონებულს.

„რას იზამ, გეთაყვანე, მართალი უთქვამს მამაი გიორგის, შენ შენი ქვეყნის ზეარაკად ავირჩია არსთაგანშირეგემ, ეგ არის და ეგ“...

„მთავარზე უმთავრესი, რის გამოც გეახელი, მამიდაც, ეს არის გვანცას ბედი. შენ იგი თაყვანსა გცემს და დაგიჭერებს უთუოდ.“

ამცნე ჩემი უბედობის ამბავი, თანაც ურიგო არ იქნება, შენებურად ფრთხილად, რუდუნებით ურჩევდე შენის სახელით, ვალანგ ერისთავს ცოლად გაყვეს, უსაჩინოვებს ერისთავის, ბაკურის ნაშიერს, თავათაც ულამაზესს მამაკაცთა შორის“...

მარიაში მცირე ხანს სდუმდა, ხელახლა უყნოსა ვარდის შარბათს, მძიმედ ამოიოხრა და სთქვა:

„ვალანგ ერისთავს? არა მგონია, შენდამი ტრფობა ეგრე იოლად გადაიტანოს გვანცამ, მაგრამ მეორეს მხრით მე აგრე ვფიქრობ, გვანცა ჰყვიანი ქალია, განა არ იცის მეფეთა ნაშიერების ბედი. ჩემს მაგალითსაც ვუამბობ, როცა მე ნიკიფორე ბოტანიატის და მიხეილ დუკას მიმთხოვეს, მკითხა ვინმემ? ეგ შევრატებ უძციველ ბედისწერად და დავემორჩილე კიდევაც მას“.

როცა მესტუმრეთუხუცესმა გვანცა მიგვარა დედოფალს, მარიაშს შეცვლი-

ლი ეჩვენა იგი, თითქოს ყოველივე წინასწარ ჰქონდა გაგებულნი და შესმენილი.

გვანცა სასიკვდილო განაჩენსავეთ ისმენდა დედოფლის შეგონებებს, ბოლოს, როცა ისევ ვარდის სუნამოს მისწვდა მარიამი, მრისხანედ მომზირალმა და პირგამეხებულმა სთქვა:

„ეჭა, უმშვენიერესო და უსათნოესო დედოფალო, ჩინებული რაინდია ვიღაც ერისთავი, შესაძლოა მე მისი ცოლობის ღირსიც არ ვიყვე, მაგრამ რაჟი ბედი არა მქონია, მე უმალ სიკვდილს გავყვები ცოლად, ვიდრე რომელიმე შამაკაცს“.

როცა მარიამი მარტო დარჩა, იგი აღგა, ხატების წინაშე დაინოქა, ლოცულობდა, მერმე დააქრობინა შანდლები შესანდღეთუხუცესს. დიდხანს მისტიროდა ბნელში თავისი საყვარელი ძმისწულის ტრაგიულ ბედს.

დავითმა მხოლოდ ერთადერთი შანდლი დაადგმევინა სასთაულთან. ნელი, ნელი ხმით დიდნებდა:

„უფალო ნუ გულისწყრომით შენითა მამრიდე მე,

ნუცა რისხვითა შენითა მსწავლი მე, მიწყალე მე უფალო, რამეთუ უძლურ ვარ,

ვანმკურნე მე უფალო, რამეთუ შემიძრწუნდეს ძვალნი ჩემნი“.

პირველი მამლები უკვე ჰყოფდნენ გვუთის ცახის გარეუბანში. დავითი უკავშირდებოდა დადიოდა ეზოში, მოღუშულ ცახე სულ ორიოდვე ვარსკვლავი ბეჭტავდა.

აფხორილი ღრუბლები დაღოღავდნენ ცახე. უსიამო ქარი ქროდა. დავითმა ორგზის ჩაუარა ქალთათვის განკუთვნილ დარბაზებს, ჩქამი არსაიდან ისმოდა...

თუნდებოდა, მაგრამ ციხის დერეფნებსა და საძილო დარბაზებში ჯერაც ბნელოდა.

გვანცას დიდხანს ევედრა მელიტა: ტანთ გაიხადე და ისე დაიმჩნეო, ბოლოს

ყური ათხოვა მის მუდარას, მაგრამ როგორც კი დარწმუნდა: სძინავსო ოდნევე ნასმურვე მელიტას, ადგა და ფეხაქრეფით გაემართა იმ დარბაზისაკენ, სადაც მთვრალი სტრატეგი ნოტარი და ეპისკოპოზები ისვენებდნენ.

ნოტარი პირაღმა იწეა და ისე ხერიანავდა, თითქოს ათასი ეშმა ჩასვლიათ გვამში.

ხატების წინ შანდლები ბეჭუტავდნენ, გვანცა შიგ შევიდა, ხელის ფათურით მოსძებნა შავი მამაკონის კოლოფი, ღვთისმშობლის ხატთან მიიტანა, ილაცა მცირე ხანს, მერმე ამოიღო ბეჭედი პალას ათინა.

ბედითი ბრწყინვალემა გადასდიოდა ღმერთქალს. სწრაფად და ზედიზედ მოსწოვა ოქროს გველის ენა, გემმა ისევ თავის ალაგას დააბინავა და თითქმის სირბილით მივიდა დერეფნის ბოლომდის და საძილო დარბაზში შევარდა. თავის საწოლზე ცალი მუხლი დააბჯინა, ხელები ზეაღაპრო და შეკვივლა.

კუროპალატისსა მელიტა დაფეთებულნი წამოხტა, თავათაც კივილი მოართო. გვანცა საწოლზე წაიქცა, მელიტა კოცნიდა, ევედრებოდა:

რა მოგივიდაო, სიზმარი ხომ არა გქონიაო უხიაგი რაიმე?

გვანცას კრუნჩხვა წამოეძალა.

ქალების კივილზე გამგეთუხუცესი, შესანდღეთუხუცესი და ბოლოს მარიამ დედოფალი მოვარდნენ.

არავინ იცოდა რა მოხდა, ან რა მოემოქმედნათ.

მეფე იხმეთო, ბრძანა მარიამმა, გამგეთუხუცესი გამობრუნდა.

ჰყონდიდელის დარბაზში არიანო ჩაკტილნი მეფე და ორივე სპასალარი.

მარიამი სტიროდა, გულგახეტეილი დადიოდა, ბოლოს თავათ გაემართა ჰყონდიდელის საძილო დარბაზისაკენ დავითის მოსაყვანად.

მეფემ თურმანიძე ახმობინა.

გვანცას გულისრევა აუტყდა, უკვე მოწამვლის იჭვი დაიბადა, ცხელი რძე მიიძალეს, არ გაიკარა რძე. ღვინოში დაგბოლავილი პილპილი ვსინჯოთო, ეუბნება დავითი თურმანიძეს.

გვანცამ წამალი პირში დაიგუბა და ამონერწყვა.

მეფის ბრძანებისამებრ გამგეთუხუცესმა შეპყარა მეშანდღენი, მესტუმრენი, მზარეულთუხუცესი.

გამოირკვა: იმ საღამოს არათერი უჭამია გვანცას.

ყველანი სდუმდნენ, მხოლოდ მეშანდღლე ლაჩიამ უჩვენა:

„წინაღამის უძილო დერეფანში ეთვლემდი, ფეხისხმა მომესმა, ერისთავის ასულმა დერეფნის ბოლოდან გამოირბინა და სტრატეგი ნოტარის საძილოში შევარდა. მე არ ვიცი მანდ რა მოიმოქმედა, ეს იყო ოღონდ, ე ლანდზე გამოვიდა და ისევ სირბილით მიაშურა თავის საძილოს. მე შემოძლია ეგ მოგახსენოთ, დანარჩენი უფალს ეცოდინება უკეთ“.

მეფემ პირადად დაჰკითხა გვანცა; ქალმა ხელადებით უარპყო მეშანდღლე ლაჩიას ჩვენება.

თურმანიძე თავის საძილოში ჩავიდა, ბოლოს ნაირნაირი, ქართული და არაბული წამლები ამოიტანა. გვანცამ ორივე ხელით დაიმუწა პირი, დავით მეფეს შესცქეროდა ბალღივით ატირებული და ამბობდა:

„გვედრები, მეფეე ბატონო, უბრძანე ყველას: 'სიკვდილი დამაცალონ, ამასაც გთხოვდი, უზიარებლად ნუ მომკლავთ მე ცოდვილს“.

მხოლოდ კარის ეკლესიის მღვდელს, საჩინოს გაანდო გვანცამ თავისი დაღუპ-

ვის ნამდვილი მიზეზი. გათენებისას მან უკანასკნელად წაიტერა დამნობრელმა და ერთი დაიკვნესა საწყალობელად:

„მოვდივარ, დედიკო“.

დავითმა და მარიამმა მუხლი მოიყარეს მიცვალებულის წინაშე, მეფემ აკოცა შუბლზე გვანცას, იგი სიკვდილის ანგელოსივით გადაფითრებული იწვა თავის სარეცელზე.

როცა მღვდელი საჩინო ცხედრის გაპატიოსნებას შეუდგა, მარიამმა დერეფანში გაიყვანა დავითი და ჩურჩულით უთხრა:

„დაგვაქცია იმ ოჯახქორმა ნოტარმა, ვეთაყვანე, გუშინ გვიჩვენებდა თავის საძიალე გემებს, ერთი ბეჭედი იყო მანდა „პალას ათინა“, გველის თავი აქვს ამ ბეჭედს გარშემოგრაგნილი, აგრე ამბობდა: როცა სიკვდილი მომენატრება, ამ პაწია ხრახნის მოვსხნი და იმდენ შხამს მოვსწოვ, სამ სპილოს წააქცევსო.“

მეშანდღლე ლაჩია მართალს ამბობს, გვანცამ ერთი წუთით შეირბინა ნოტარის საძილოში და მოსწოვა გველის გესლი ალბათ“.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ ცრემლი შეიწმინდა დედოფალმა და უთხრა დავითს:

„მართალი უთქვამს იმ ტილა აცინგანს, მკითხავს“.

როცა გვანცას ოთახიდან ჯონდი ერისთავის ტირილი მოისმა, მეფე აჩქარებული ნაბიჯით ჩავიდა ციხის ეზოში.

დიღხანს დადიოდა თავშიშველი ქარში, ბოლოს გამგეთუხუცესის ვედრებას ყური ათხოვა, თავის საძილო დარბაზში შევიდა, შანდღლები ჩააქრობინა და თავქვე მწოლარეს აღმოხდა:

„ჯოჯობეთო აღახვენ პირნი შენნი და ცოცხლად ჩამიტანე მე“...

(გაგრძელება იქნება)

ნიკოლოზ ჩაჩავა

დაბრუნება...

„გამარჯობა ჩემო თბილის ქალაქო“
ეთიმ გურჯი

ბაბი, ბახჩა.

კენწერონი ხეთა.

თბილისამდე —

ავჰალა და მცხეთა.

გზას მივეყვები,

მაგრამ გული მისწრებს.

აპა, დიღმის

მინდვრებმაც კი მიცნეს,

და შემომხვდნენ

სიმღერით და ფიცით.

სუნი ასდით

აგურის და ფიცრის...

მივისწრაფი —

ვერ ჩამასწროს მტკვარმა.

შორს ვიყავი,

ახლობელი ვჩანვარ.

მოვედი და

ამ ჩემ თბილის ქალაქს

მეც მივახმარ

შემონახულ ძალას.

ჩემთა ფიქრთა...

სალამოა, ვარსკვლავები

ცაზე ჩუმად სხდებიან —

ისინი ხომ ჩემთა ფიქრთა

უტყვი ნაპერწკლებია,

გაათევენ ღამეს ცივად,

დილით ისევ ქრებიან.

ჩემო ფიქრო, საით მიქრი,

სანამ უნდა ვიარო,

სანამ ვინდა შენი ლტოლვა

ზეცას ვაუზიარო,

სულ ერთია, სად წამიხვალ,

ჩემთან უნდა იარო.

მე შეგქმენი, მე გივლიდი,

ასე რატომ თარეშობ,

ღამიჭერე, ვერ იბოვი

ბუდეს არემარეში,

სულ ერთია, ვერ იცხოვრებ

ჩემი სულის ვარეშე.

სალამოა, ვარსკვლავები

ცაზე ჩუმად სხდებიან,

ისინი ხომ ჩემთა ფიქრთა

უტყვი ნაპერწკლებია.

გაათევენ ღამეს ცივად,

ისევ მიბრუნდებიან.



თეიმურაზ ჯანგელაშვილი

ვერ დაამთავრებს დრო შენს სიცოცხლეს

აკაკი ბელიაშვილის ხსოვნას

შენ მზეს შესციინე ლაღად იმ დილით,
თურმე თავს ღამე დაგკანკალებდა...
და ყურის ძირში მჭდარი სიკვდილი
გზად გადაგიდგა მცხეთის კარებთან.

და დარჩა, როგორც სადღეგრძელონი,
შენი სიტყვები უკანასკნელი...
მკერდს იკაწრავენ მცხეთის მდელონი,
თბილისი კმუნვეთ შენს გზას
გასცქერის,

მიხვალ, თან მიგყავს ცოლი პატარძლად
და საპატარძლო კაბა არ შეგნის...
თქვენმა დუმილმა გული დაკაწრა,
თუ გაიბუტეთ, როგორც ბავშვები...

წახველ და ქვეყნად დასტოვე
ცეცხლი —

უსაყვარლესი და უმთავრესი,
ვერ დაამთავრებს დრო შენს
სიცოცხლეს
„შვიდკაცასავით“ დაუმთავრებელს.



ოზია იოსელიანი

ცეცხლთან თამაზი

ვეირა დღე იყო. დილიდანვე ისეთი უგუნური ამინდი დაიჭირა, ხასიათს რომ მოგიწამლავს, მით უმეტეს, თუ მარტოხელა, ღარიბი სტუდენტი ხარ. ერთ ვიწრო ფანჯარაში შედილობა გაიხედო, ფანჯრის წინ კი მეზობელი სახლის მაღალი ყრუ კედელია აზიდული. ზევით ცის პატარა ნაჭერს ძლივს ხედავ დარში და ახლა ისიც ტყვიასავით მძიმე ღრუბლითაა დაფარული. წვიმს. მეოთხე დღეა წვიმს... გუშინ და გუშინწინ რა გიშავდა, ლექციები გქონდა. დღეს პირდაპირ რა დააღამებს, არ იცი. არც კითხვა გინდა, არც წერა. ფიქრიც კი რაღაც ისე მძიმე და სევდიანი გაქვს, ფიქრიც კი არ შეგიძლია. არა, სახლში ყოფნა არ გინდა. გარეთ, ქუჩაშიაღარ ვერ გაჩერდები.

მოდი, წავალ სადმე, ვინმე შეგობართან. შენსავით მარტოხელა სტუდენტის გახსენებაც არ გინდა. აქაურებთან ჯობია, ოჯახი აქვთ, ბევრი კარგადაც ცხოვრობს. რაღაცას დაუკრავ, ვინმე იმღერებს, ან მთვრალი იქნება ან ფიზიკელი, და მერე ან გამოიღარებს, ან გუნებაზე მოხვალ ან რაღაც იქნება.

ასეთ დროს ყოველთვის გურამთან ვარჩევდი წასვლას. არაა ცუდი ბიჭი, მამაც შშვიდი და წყნარი კაციცა. დღემისი კია ცოტა — „არამკითხე მოამბე“, მაგრამ ამ დილა აღრიან ჩვენთვის სად ეცლება, და, რაც მთავარია, გურამს ორი რადიომიმღები აქვს, მაგნიტოფონი, უამრავი, ჩვენი და საზღვარგარეთული მუსიკა ფირებზე ჩაწერილი! ერთი ცხელი საუზმე კიდევ არ ავცდება და, ერთი სიტყვით, დროს როგორმე მოკლავ, მოკლავ და არც ისე უაზროდ მოკლავ.

დავრეკე ხარი. ერთხანს პასუხი არაა. მეორედ უფრო გრძლად მივეცი ხარი. კარგა ხნის მერე გაიღო კარი.

— პა, რომელი ხარ?
— რომელი ვარ? რა ამბავია, გძინავს?
— არა კაცო, რა დროს ძილია!
— აბა?
— არაფერი, წერილს ვწერდი.
— ეუპ, აბა მთელი დღე წასულხარ ხელიდან.

კამეჩივით ზანტი წერა იცის. ისე შშვენიერად ლაპარაკობს, კაცმა რომ თქვას, მაგრამ წერის დროს სიტყვას სიტყვაზე ვერ მიაბამს, სათქმელს ვერაფრით თავს ვერ მოუყრის.

— არაფერი ისეთი, ორი სიტყვა მაქვს მისაწერი.

— ვიცი შენი ორი სიტყვა...
— შემოდი, რას ატუზულხარ, ნუ გერიდებ, სახლში არავინაა.

— არავინაა, მაგრამ შენ თუ წერა არ გადადევნი, რილას მაქნისი ვარ!

— გაქვს რანმე სასწრაფო საქმე?
— არაფერი, მარა...

იგი ისევ მაგიდას მიუჯდა, კალმის წვერი ორჯერ გულდაგულ გაწმინდა.

— პო, მაცალე ახლა ცოტა ხანს...
— რაიმეს დაუუკრაველი მაინც...

— მაცა, ორი სიტყვა მაქვს დასაწერი სულ. — და ჩაუჯდა. ფიქრობს, ფიქრობს. მე ხან ფანჯარას მივაბჯინე შუბლი, ხან წიგნების კარადას. გარედან წავიკითხე ყუაზე მიწერილი ავტორები და სათაურები, ოთხჯერ დავითვალე ფიკუსის ფოთლები, არც ერთხელ არ შემშლია.

— რა ჰქენი, არ მორჩი?
— მოიცა, კაცო, ორი სიტყვა...

— კიდევ ორი სიტყვა...

ისევ დავთვალე ფიქუსის ფოთლები და განჯინის თავზე თეთრ თაბაშირში ჩამოსხმულ ჩახრუხადის ქანდაკებას ვუცქირე.

— წავალ აბა მე და, მერე გამოვივლი. — კარებისაკენ გავიწიე.

— მოიცა, კაცო, სად წახვალ ამ თავსხმაში, დაჯექი, აგერ.

— რა ვქნა, რომ დავჯდე!

— დაწერე რამე, ან დახატე.

— მე რომ მხატვარი ვარ... რა დავწერო!

— წერილი მიწერე სახლში.

— გუშინ გავგზავნე, ლექსებზე დავწერე...

— დღეს სხვაგან გავგზავნე.

— ეს ყოველდღე წერილის წერა რა უბედურებაა, შენ მაინც ვის წერ და რას წერ!

— არაფერი, კაცო, წელს რომ ვისვენებდით...

— შენ და ლილი...

— ჰო, მე და ლილი... ლილიმ ჩინური ქოლგა დაკარგა. მე მგონია, იქ დარჩა. დაუეჩინია, შენ დავრჩა სადგურშიო, მე მამბრალეხს. არა, ნამდვილად იქ დარჩა. რა ეშმაკია ერთი ქოლგა, მაგრამ ლილის უყვარდა, ამას გარდა, მე არა ვარ მტყუანნი.

— ჰო, შენ ახლა ეჩინიანობ, გასაგებია...

— რა ეჩინიანობაა... ვიკითხავ თუ არის. თუ არა და...

— ჰოდა, მორჩი ბარემ.

— მოიცა, კაცო! შენც და, დაწერე რამე.

— კაცო, შენ მართლა ამბობ? ვის მივწერო, ან რა მივწერო, ჭირივით მძულს წერილების წერა.

— არა, არა, მართლა მისწერე.

გურამმა ერთი, დაწყებული საქმის მიტოვებაც არ შეუძლია, რადგან ძნელად დაიწყებს რამეს, მეორეც, ჩემი გამშვება, როგორც არ დაკლავ, არ უნდა.

— მოდი, იცი, ვის მისწერე? მე გეტყ-

ვი, ეს კარგი ოინი იქნება. იქ ერთი გოგო იყო...

— ვინ გოგო, ბიჭო?

— მეზობლის, საოცარი გოგო, არც მდინარეზე დადიოდა, არც ვინმესთან ლაპარაკობდა, ედო ამოდენა წიგნები და კითხულობდა. ლილისთან ვნახე ერთი ორჯერ, ისიც რამდენიმე წუთით. ლილის მისამართი მისცა, ძალიან მიყვარს, როცა წერილებს მწერენო. ლილის მერე არც ვახსენებია, ხომ იცი მისი ამბავი. მისამართიც მე ჩამრჩა ჯიბეში.

— გავიედი, რა მივწერო, მიცნობს, ვიცნობ...

— სწორედ ეს იქნება საინტერესო. ლილი აქებდა, ჰკვიანი გოგოა, მაგრამ ვერაფერს ვაუღებო, ვნახოთ, იქნებ — გიპასუხოს.

მე გამეცინა. სწორედ გურამისაგან მივიკირდა ასეთი ხუმრობა.

— აბა მისამართი... რა ჰქვია?! — იგი მწვანე მეღმით ნაჩხაპნს ჩაახერდა: — თეკლა, თეკლა ჰქვია, ახლა გამახსენდა. აი, რა საოცარი გოგოა, თეკლა ახლა ვის ჰქვია, თვითონ კი თურმე ძალიან უყვარს თავისი სახელი...

— კი, მაგრამ რა უნდა მივწერო?..

— სულერთია, რამე მისწერე. ერთმხრივ, კარგიცაა, ოდესმე რომ ჩახვიდე. ნაცნობი გეყოლება, — იგი ისევ საწერს ჩაუქდა.

მე გამეცინა ამ უჩვეულო თამაშზე.

— რა ნაცნობი იქნება, ახლა, შენ თუ გგონია, მიპასუხებს და მერე კიდევ მე გავუგზავნი პასუხის პასუხს!

— ერთი სიტყვით, თავი დამანებე.

მეც დავექვი. სუფთა ქალაღი გადმოვიდე.

— თეკლა, — დაწერე და გამეცინა ისევ.

— ეს კაცი პირდაპირ გადამრევს, — ეთქვი ჩემთვის გურამზე და ისევ მივწერე — თეკლა, — პირდაპირ უსაქმო კაცის ამბავია, — თეკლა, — ერთხელ კიდევ დაწერე და ძაბილის ნიშანი დაეუსვი.

რა ამბავია ამდენი თეკლა, — გამიკვირდა თვითონ. მინდოდა, ორი წამეშა-

ლა, მაგრამ არ წაეშალე. — იყოს, რა მენაღვლება, მართლა ხომ არ გავუგზავნი!

„თეკლა, დღეს კვირა დღეა, — განვაგრძე წერა, რაც პირველი სიტყვა მომადგა ენაზე, — და ძალიან მოწყენილი დღეა. ვიცი, შენც მოწყენილი იქნები. მართლა, სულ წიგნს ხომ არ იკითხავ კაცი. პო, შენ მოწყენილი ხარ და იხედები ფანჯარაში, იქნებ, გამოჩნდეს ფოსტალიონი და მოიტანოს წერილიო. ჰეც მიფიქრია ხშირად, როცა ძალიან მოწყენილი ვარ, ვინმეს მოსვლა არ მინდა, ვისაც ვიცნობ, ისინი არ მაინტერესებს, მოვიდეს ფოსტალიონი, მოიტანოს წერილი, წერილი სრულიად უცხო ვინმესი, რომელიც არასოდეს არ მინახავს, მაგრამ, როცა წერილს წაიკითხავ, გამიხარდეს, გამიხარდეს, რომ ჩემს ნაცნობ და ჩათესავეს კი არა, ვიღაცას გავახსენდი, გავახსენდი ისე, რომ არ მიცნობდა და იმ წუთს ძალიანაც რომ მინდოდეს, ვერ გავიცნობ. ის შორსაა, მე კილევ შორს. ჰოდა, თეკლა, მე რომ მივიღო ასეთი წერილი, არ ვიკითხავდი, რატომ გამომიგზავნეს, ან საიდან იცოდა, თუნდაც მარტო სახელი ან მისამართი. აბა რა საჭიროა, თეკლა, საიდან, რატომ და რისთვის, როცა ყველაფერი გაიგება. გამოვა, რომ ან მანდ იყო შენს სოფელში, ან შენ იყავი სადმე და გაიგო, ვინმემ უთხრა, თუნდაც ჩიტმა უთხრა. ყველაზე ლამაზი ისევ ის იქნება, რომ ჩიტმა უთხრა. მაგრამ, როცა გაიგებ, რომ ჩიტმა უთხრა, მაინც კარგავს სილამაზეს.“

ასე რომ კარგა გვარიანად შევტოპე და რაღაც რაღაცას მივაბი კილევ. კაცმა რომ თქვას, მე თვითონ მომეწონა ის ამბავი, რომ მართლა გამიხარდებოდა, ამ დილით უცნობი ქალიშვილისაგან მიმეღო წერილი, მიმეღო და არ მცოდნოდა, ვინ და საიდან. ამაზე, ალბათ, მთელი დილა დამჭირდებოდა თავის მტკრევა, სინამდვილეში კი უბრალო ამბავი იქნებოდა: ეტყოდა გურამი ან ბიჭნტი. და მეტი არაფერი.

მერე მიყე-მოყე ასეთ რაღაცეებზე

და კარგა გვარიანად გამიგრძელდა. უკვე წვიმაც გადაეღო და გურამსაც დაეწერა „ორი სიტყვა“.

— რა ჰქენი, ჯერ არ იწყებდი, აღარ ამთავრებ?

— უჰ, შე კაცო, მე შენ გიცდიდი, თორემ საწერი რა მაქვს... ისე, რაც მომადგება ენაზე. — ავდექი და ქვევით უბრალოდ მივაწერე. — ჯიბო.

— ჰა, შენ კონვერტი!

— მოიცა, მოიცა, დახვდევუს გავგზავნი, — გავიციან მე და კონვერტს მისამართი დაეაწერე.

— მე ჩაუტყეპელი ვარ, მიდი ეგერ და ყუთში ჩაყარე.

— მოიტა, შენი წერილი, ჩემი მართლა არ გავაგზავნი! — ვთქვი და კონვერტი მოვკმუჭუნე.

— სულელო! — ხელებში მეცა გურამი. — გავგზავნე, რა გენაღვლება, და წერილი გაქვს მაინც.

თქვენ წარმოიდგინეთ ამ სიცილ-ხუმრობაში მართლა გავგზავნე. მაშინ არაფერი, მაგრამ სალამოს, როცა მარტო ვიყავი ოთახში, მომავონდა, რომ დღეს წერილი გავუგზავნე უცნობ ქალიშვილს. გამახსენდა და ხელი ჩავიქნიე, გავგზავნე რა, ცუდი ხომ არაფერი მიმიწერია, უბრალო ზრდილობიანი ბუმრობაა და მეტი არაფერი, წაიკითხოს და გადააგდოს. თუ უნდა, სულ ნუ წაიკითხავს.

მერე ლექციებს გადავხედე. ბოლოს დიასახლისთან გავედი, ჩაი მინდოდა ამედულებინა, მაგრამ დიასახლისმა ადულებული დამისხა. სასთუმალში წიგნი დავიდე და დავეწქი.

დავეწქი. წიგნი გავშალე, მაგრამ ისევ ის მომავონდა. არა მართლა რომ მიუვიდეს და წაიკითხოს, მომწერს ბასუსს? და რომ მომწეროს, რას მომწერს? რა უნდა მომწეროს? მომწერს, ვიღაც ხარ, დიდი საქმეშემოღეული ყოფილხარო, ანდა არც ამას მომწერს. რაში მოგწერს, ვინა ხარ და რა ესაქმება შენთან.

მეორე დღეს ლექციაზე გამახსენდა და გამეცინა. ხვალ ან ზევ მიიღებს, ალბათ. მიიღოს მერე, წაიკითხავს და რა

მონდა, ბოლოსდაბოლოს, დედა არ მიგინებია და მამა, ის კი არა და არც ცუდად დამიწერია. აგერ ჩვენმა თანაკურსელმა გოგობმა რომ მიიღონ, მე მგონია, უპასუხებენ კიდევ და ყველაფერი მაგალითად, ჩემს წინა მერსზე რომ ზის სოფიკო, მშვენიერი გოგონა და ვთქვათ, მიიღო ასეთი წერილი, მაგრამ რა იცი, ქალია მაინც.

— სოფიკო, — ვეუბნები შესვენებებზე და გვერდზე გავიყვანე.

— რა გინდა, ჯიბო, რა საიდუმლო გაგინდა ჩემთან?

— რა და ერთი რაიმე უნდა გკითხო.

— საიდუმლოდ?

— ჰო, მარტო შენი აზრი მაინტერესებს.

— დიდი სიამოვნებით, — სოფიკომ ორივე მხრები აიჩინა.

— ვთქვათ, სოფიკო... იცი, რა მინდა გკითხო? ვთქვათ, შენ მიიღე უცნობი ადამიანისაგან წერილი.

— მივიღე.

— ჰოდა, რომ მიიღო, რას იზამ?

— რა უნდა ვქნა, მივიღებ და ის იქნება.

— არა, თუ წაიკითხავ?

— წაიკითხვით აუცილებლად წაიკითხავ.

— უპასუხებ?

— რა ვიცი, ვაიხნია, ვისგანაა, რას მწერს...

— ვისგანაა, არა, არ იცი...

— მიკო, ასე როგორ... მისამართი ხომ უნდა ეწეროს.

— მისამართი კი, აწერია.

— ჰოდა, ვინაა, — სოფიკომ გადაიხსენისა, — იქნებ, საინტერესო ვინმეა. ჰო, ვაჟია.

— ჰოდა, რას მწერს...

— რას გწერს და... გწერს ისე... განწყობილებასზე, ამინდზე, ლაპარაკობს.

— მამაცხონებულმა, რა უნდა დაწეროს...

— არაფერი არ უნდა, ისე, წერს...

— ისე წერა არ ვიცი მე, ისე დაწერილს, რა უუპასუხო... არ ვიცი, ჯიბო,

რას შეკითხვები, ლექციების მერე მელაპარაკე, ახლა უკვე ზარი იყო.

ლექციების შემდეგ სოფიკოსთან აღარ მილაპარაკია, ან რა უნდა მეთქვა და მეც არ მინდოდა ამაზე მეფიქრა. საერთოდ, არ უნდა გამეგზავნა.

სალამოს ხელი ჩავიქნიე, ჩემს თავს გავუჭავრდი კიდევ. დიდი ამბავი, თუ გავგზავნე და, საერთოდ, რას ავიკვირე ამაზე ფიქრი.

ალბათ, მართლაც ყველაფერი დავიწყებას მივცემოდა, რომ შაბათს, ნაშუადღევს ლექციებიდან დაბრუნებისას. კარებში გაჩრდილი კონვერტი არ დამხვედროდა. გულში რაღაცამ ისე დარეკა. თვითონვე გაფოცდი. მოუთმენლად მინდოდა წამეკითხა, მაგრამ ვერაფრით გასაღები ვერ მოვარგე კარებს, მერე ის იყო გვადე, რომ დიასახლისი გამოძვრა სამზარეულოდან და ხომ არ გაათვალაპარაკია არც მახსოვს, რა მითხრა, რაღაცას შეკითხებოდა და ვერაფრით ვერ მივხვდი, რა უნდოდა.

— მერე, მერე, დეიდა მეთქი, — და კარები მივიხუტე.

წერილი ვასაგებები ხელით იყო ნაწერი. ეტყობოდა, ამის დაწვერი თავს ძალას არ ატანდა, ლამაზად ეწერა, წერდა ისე, როგორც გამოუდიოდა. არც შინა არსს ეტყობოდა ძალდატანება. ყველაფერს ისე იწერებოდა, როგორც ფიქრობდა. მან ისიც იცოდა, რომ ყველაზე დიდი, ღრმა აზრი სიმართლესა, ვერც ერთხელ ვერ დავიჭირე „მაღალფარდოვან“ სიტყვებში, რომლებსაც „მე ჰკუის ჰყუღტას ვეძახი“.

„ჯიბო — მწერდა ის ძველი ნაცნობივით, — მოხდა საოცრება, პირდაპირ საოცრება. შენი წერილი მივიღე მაშინ, როცა უკვე შინ არავინ იყო. კითხვითაც ველარ ვიკითხე, ყოველთვის როდის ხარ კითხვის ხასიათზე! გარეთ თუ შინაანი დღე არაა, შემოღვამის ნესტიან და უხალისო დღეებში, რა ბედნაა გავლა. წერილებსაც თითქმის აღარავინ მწერს, ამ ბოლო დროს ყველას დავავიწყდი და ის იყო ჩვენი ფოსტალიონი მოაღვაქიშვარს“.

— თეკლა, არ გეყურება თეკლა! — ფოსტალიონი საოცრად ელაშა, ასე გგონია, აღმოსავლეთ-დასავლეთს ერთმანად უცქერის. ზამთარ-ზაფხულს ლურჯი ცხვირი აქვს. გადაკვრა უყვარს. რა ჰქნას, ძალიან უყვარს გადაკვრა. ეს მეც ვიცი და ყოველთვის ვუშოვი დასალევს, მით უმეტეს, თუ სახლში არა ვინაა.

— რა იყო, ილო ზიძია, — გამოვკარდი აივანზე, — ჩემი წერილია?

— აბა, — თავს აქნევს იგი, — ვიცოდდი, რომ მოწყენილი იყავი, — იღებს თეთრ ბარათს, — მერე რა წერილია, შენ რომ იცოდლე!

— რავეა, წაიკითხე თუ?

— რად მინდა წაიკითხვა, სუნზე ვატყობ, ვიღაც კარგი ბიჭი გიგზავნის.

— მე ბიჭები რომ არ მიგზავნიან წერილებს?

— რატომ, მართლა არ გიგზავნიან თუ რაშია საქმე! — მართლა უყვირს, — იმე, ეს რავეა მოუვიდათ!

— რავე და არ მოეწონება არავის!

— ა, ახლა გამოგიგზავნეს, მარა მე ვერა ვარ ხასიათზე.

— არაფერია, — ვაწყვეტინებ მე, — შენს ხასიათს კი ემველება. მართლაც ორიოდე ჭიჭის შემდეგ მშვენიერ გუნებაზეა.

— არა, ჯიბო, არ იფიქრო არ მაინტერესებდეს ამ წერილის მოწერის მიზეზი, მაგრამ თუ ოდესმე კიდევ მომწერ, ამაზე ნურასოდეს ნუ იტყვი ნურაფერს. ამაზე მე ფიქრობ იმას, რაც ყველაზე უფრო მომწონს. მე შემძლია წარმოვიდგინო ის, რაც მინდა. შენ მართალი ხარ. სინამდვილე, როგორი ლამაზიც არ უნდა იყოს ის, ვერასოდეს ვერ ავა ოცნებამდე. ოცნება იმიტომაა კარგი, რომ ოცნებაა, თორემ მართლა ბროლის კოშკში რა აცხოვრებს აღამბანს. მე რომ კეთხო ბროლის კოშკს მიწური ფაცხა მირჩენია, შიგ შუა ცეცხლი გვინოს და ელოდე ვინმეს, რომელიც ვერ არ ვინახავს. ელოდე მოუთმენლად, გინდოდეს მისი მოსვლა და არ ჩანდეს.

„სხვას, ალბათ, სისულელედ მოეჩვენება

ნება ჩემი აზრები, მაგრამ ვიცი, შენ არ გაიკვირებ. შენც რომ არ მიხვდე ამას. მაშინ არ ვიცი, ამ ქვეყნად, ალბათ, ვერაინ გიგებს“. ქვევით ასევე უბრალოდ ეწერა: თეკლა.

გავიგებ თეკლა, კი გავიგებ, იცი, მართლა გავიგებ. აი, ახლა გამახსენდა და მივხვდი. პატარა ვიყავი, ასე, ათი-თორმეტი წლის, ოთხი წელი ველოდიოთ ვარიდან უფროსი ძმის დაბრუნებას, ველოდიოთ და როგორ! ომი დამთავრებული იყო, თვალი ყოველდღე ჭიჭიკისაგან გვეჭირა. არ ჩანდა და არა. არა და, წერილი მოვიდა, ყოველდღე მულოდეთო. აქეთ ტოლებში ყოჩივით დავდივარ, ყველა პატრეს მცემს, ძმა ჩამოუდისო, თამაშში ყველაზე მეტს მე მითმობენ. ჩხუბში ყველა ჩემს მხარეზეა ყველა მე შემომნატრის. მე კიდევ ცა ქუდად არ მიმაჩნია და დეღამიწა — ქალამნად. ყოველ საათში სახლში გავრბივარ და კეთხოლობ: — მოვიდა? არაა, პირდაპირ გულზე ვსკდები. ჩამოვიდეს, კაცო, რა იქნება, შევხედო ერთი და ერთდღეს ვხედავ: ვიღაც ფარჯიანი, ზურგში რუხ-ჩანთა-მოგდებული, წვერმომვეიული კაცი ჩამოვიდა ეზოში.

— შეილო! — იკვილა დედაჩემმა.

— ბაბა, მოდი, ჩემო ბაბაია? — აღრიილდა მამა.

აქეთ-იქიდან ორიოდე ბიძაშვილი გამოვარდა. მიიკითხ-მოიკითხეს. მე მხარზე დამკრა ხელი, რამხელა გაზარდილო. სალამომდე მთელი სოფლის ბიჭებმა გიგეს. მოვიდნენ სირბილით, ახედ-დახედეს და სადღაც ისე გაქერნენ, ვერც შევნიშნე.

ეს ყველაფერი თეკლას მივწერე, მივწერე ისიც, რომ მაშინ ამის ფიქრსაც ვერ ვებდავდი, მაგრამ შენ გამოვიტყულები და გეტყვი, სადღაც გულში მწყინდა, რომ ჩემი ძმა დაბრუნდა, მე მინდოდა დაბრუნებულიყო, მაგრამ მაინც და მაინც იმ დღეს არა, მერე, უფრო გვიან, მეტიკი.

წერილს გვიანამდე ვწერდი. ვწერდი ათას სხვა აბლაუბლას, რაზეც იმ წუთში ვფიქრობდი და მაგონლებოდა. ვწერდი

და სულ არ მახსოვდა, რომ წერილის წერა ჭირისდღესავით მძულდა. იმ საღამოსვე გაეგზავნე პასუხი და მთელი ღამე იმას ვითვლიდი, როდის, რა დღეს, რომელ საათზე მიიღებდა და პასუხს იმ დღესვე გამოგზავნიდა, თუ მეორე დღისთვის გადადებდა. ერთი ფიქრით, იმ აზრისა ვიყავი, რომ იმ დღეს მიღებას, წაქითხვას, პასუხის დაწერას და გამოგზავნას ვერ მოასწრებდა. ვერ მოასწრებდა და ერთი ღამით უფრო გვიან მივიღებდი პასუხს. მეორე ფიქრით კი, რა უნდოდა წერილის წაქითხვას, პასუხს კი დაჭირდებოდა ცოტა მეტი დრო, მაგრამ მაინც მთელი დღის მოუსწრებელი რა უნდა დაეწერა. ბეჯად ისიც მომაგონდა, რომ სტენდალმა ორმოცდათორმეტ დღეში დასწერა „პარმის სავანე“ და ერთი წერილი რა გაჭირდებოდა. ბოლოს საქმე ჩემდა სასარგებლოდ გადაეწყვიტე და დავიწყეთ თითებზე თვლა.

ხუთშაბათს საღამოს მივიღე პასუხი.

— პა, იმ დღესვე მოუსწრია, — ვთქვი ჩემთვის, — პირდაპირ გადასარევი გოგოა.

წერილი ისევ თეთრ კონვერტში იდო. უკვირდა, ეს რა მიწერ-მოწერობანა გაემართეთო. შენ საღ გექნება ამდენი დრო, სწავლობ ან მუშაობო. თავისთავზე ისევ არაფერს იწერებოდა.

ფოსტალიონზე წერდა „მეორე წერილი, რომ მომიტანა, პირდაპირ ტვინი წაიღო, ვინაა, ასე რომ გაგიხარდაო. ვუფიცე არც მე ვიცი, როგორ გითხრა მეტყი. გულში მოუვიდა, მე შენ არ მენდობიო, გაბრაზდა, არც დღლია, არც მადლობა მათქმევინა. დამემუქრა: მეორედ ნახე თუ მოგიტანო. მოტანით კი მომიტანს! არ გაგიკვირდეს ჯიბო, უცოლშვილოდ შეგბერებული კაციო, შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ უყვარს თავისი საქმე. თავს დიდ მესაიდუმლოდ და დიდი საქმის კაცად თვლის. ეტყობა, თავისი სიყვარული გაუმხელელი დარჩა და ამ ტყვიის სხვის სიყვარულში ჩა-

რევით თუ ხელისშეწყობით იღვას. ასეთია, ჯიბო ადამიანი, ვილაც რაღაცით ცხოვრობს, მარტო წერილებს ჩამოტარება და გადაკვრა არაა ცხოვრება და ილაც ცხოვრობს... ღმერთმა ხელი მოუმართოს...“

მეხუთე წერილზე ვივარძენი, რომ უშუალოდ თეკლზე ვლაპარაკობდი. ვწერდი, გინდა გითხრა, შენ როგორი გოგო ხარ-მეთქი? მე მოულოდნელად ქუჩაში რომ შემხვდე, თუნდაც იქ ათასი ქალი ირეოდეს, გიცნობ-მეთქი. თუნდაც არ დაილაპარაკო, არც ხმა ამოიღო. შენ ხარ... იცი როგორი ხარ?..

მე მართლა მყავდა წარმოდგენილი თეკლა და მჭეროდა, რომ ნამდვილად ვიცნობდი, მაგრამ რამდენჯერაც დავაპირე ამეწერა, როგორი იქნებოდა თეკლა, ვერაფრით ვერ მოვახერხე. ვიცოდი, რომ მაღალი არ იქნებოდა თეკლა (მე არ მიყვარს მაღალი ქალი!) მაგრამ მაღალს გარდა ხომ ბევრნაირია ადამიანი. რა თქმა უნდა, არც მსუქანი, ეგ ყოვლად შეუძლებელია. თვალები, ვიცოდი, საოცარი ჰქონდა, მაგრამ, რა ფერი, ვერაფრით ვერ წარმოვიდგინე. ცხადად ვხედავდი მის თვალებს, იმ წუთშიაც ცხადად ვხედავდი, მაგრამ თქმა არ შემეძლო. იმას, რაც წარმოდგენილი მქონდა, არავითარი ფერი არ უდგებოდა. მე არ ვფიქრობდი, რომ თეკლა გადასარევი სილამაზისა იყო. პირიქით. გამვლელი ვერც შეამჩნევდა მას, არც მახლობლები იქნებოდნენ დიდად მდელიერი მისი გარეგნობის, მაგრამ თეკლა იყო მაინც ყველაზე უკეთესი, ვინც მე დღემდე მინახავს.

ამის შესახებ, რა თქმა უნდა, მისთვის არ მიმიწერია, მაგრამ მთელი წერილი სულ იმის სინანული იყო, რომ მე არ ვიყავი მხატვარი, თორემ თეკლას ისე დავხატავდი, როგორც ნამდვილად იყო.

იგი სიცილით კვდებოდა ამ წერილის პასუხში. დასანანიო, მეხუთედ იმეორებდა, რომ შენ ფილოლოგიის ფა-

ელტეტის სტუდენტი ხარ და არა მხატ-
ვარიო. ბოლოს ამას მთხოვდა, ამაზე
ბევრს ნუ იფიქრებ, მე როგორიც ვარ,
ამას მნიშვნელობა არა აქვს, შენ როგო-
რიც გინდა, ისეთი წარმომიდგინე, ეს
ხომ ლამაზი ხუმრობაა და დაე, იყოს ის
ლამაზი და მშვენიერიო.

ამ წერილმა მართლა ჩამაფიქრა და
გამახსენა, რომ ეს გურამთან შემთხვე-
ვით გამოგონილი თამაში იყო, რომე-
ლიც შემდეგ არც კი გახსენებია გურამს.
მეც, რა თქმა უნდა, არაფერი მითქვამს.
არა, ეს ყველაფერი რომ იცოდეს, ერთი
თვე ეყოფა სალაზღანდაროდ მაგას და
მის ქარაფშუტა ლილის.

უცერად ვიგრძენი და გული მეტკინა,
რომ ეს თამაში იყო. ეს ისე კარგი, ეს
ყველაფერი ისე მშვენიერი იყო, რომ
დამთავრებულყო, ვერ წარმომედგინა,
რა უნდა მეკეთებია, რისთვის უნდა
მეცხოვრა.

ეს ასეც მიწერე თეკლას და ვთხოვე.
„ნუ მეტყვი, რომ ეს თამაშია, ეს ყველა-
ფერი ხომ ჩვენს ხელთაა, ჩვენ ხომ მარ-
თლა ბავშვები არა ვართ, გახსოვს, შენ
მწერდი ფოსტალიონზე, მარტო წერი-
ლების ტარება და გადაკვრა არაა ცხოვ-
რებაო. არც ლექციებზე სიარული და
წიგნების კითხვაა ცხოვრება, არც მარ-
ტო მუშაობა და ქამა-სმა. შენ ხომ ასე
ჰყვიანი გოგო ხარ, თეკლა, ჰოდა, მე მიკ-
ვირს, რატომ მწერ, რომ ეს თამაშია, ნუ
მომწერ, იყოს ის, რაც არის, მე არ ვი-
ცი, რაცაა, მოდი, სახელს ნუ დავარქ-
მევთ ამას.“

ზამთრის მიწურულს თეკლა უკვე
ჩემზე მზრუნველობდა. მთხოვდა, თა-
ვისთვის მომეგლო. ახლა გაზაფხული
დგება, უმშვენიერესი გაზაფხული, მაგ-
რამ მაიღურია, აღრეა პალტოს გახდა
და არაა სანდო კოსტუმის ამარა გაი-
აროს კაცმაო. დღისით კიდეც არა უშავს,
მაგრამ საღამოს, ვინ იცის, იქნებ სადმე
შეგავიანდეს, გაცივდები და გრიპს ვი-
თომ არაფრად ვაგდებო, მაგრამ მეც-
ნიერები ამტკიცებენ, თურმე გრიპია

ყველა ავადმყოფობის საფუძველიო.
ჰო, მართლა, ავანდებოდა. მას, მალე
მერცხლები მოფრინდებიან და შენ ვერ
წარმოიდგენ, როგორ მიყვარს მერცხ-
ლების მოფრენა. მე მგონია, ამაზე უკე-
თესი რამ არ ხდება ბუნებაში. ვინ იცის,
იქნებ იმიტომ მიყვარს ასე, რომ მერც-
ხალი ბელურა არაა. მას ყველა უყვარს,
ის ყველა ქვეყნის შვილია, მას არ ეშო-
ნია შორს გაფრენის. მე ჩვენში, არ მი-
ნახავს მკვდარი მერცხალი, მე მგონია,
არც შენ გეყოლება ნანახი. ვფიქრობ,
მერცხლები გადაფრენის დროს იღუპე-
ბიან, ჰაერში ფრთავაშლილი. არასოდეს
არ მიფიქრია სიკვდილზე, მაგრამ თუ
ოდესმე ვიფიქრებ, აი, ასეთი სიკვდილი
კიდეც ჰო. კიდეც ერთი რამ: ილო არ მო-
მეშვა და მეც ვუთხარი, რომ ჩვენ ასეთი
მიწერ-მოწერა გვაქვს მეთქი. ჯერ არ
მისმენდა, ეგონა, ნამდვილს ვუმალავდი,
მერე ისე დაინტერესდა — გაუკვირდა:
ეს რა უშმაკობა გამოგიგონიათო. მერე
შენზე მკითხა, ვინააო. არ ვიცი-მეთქი.
ერთხანს არ დაიჯერა, ბოლოს იფიქრა
და მითხრა: მართალი იქნებაო, რა საჭი-
როა ვინცააო, ისე ძალიან მოეწონა. ეე,
ეს კი კარგიაო. რაა კარგი-მეთქი, კარ-
გიაო, იძახა. რა მოწონდა, მაინც ვერ
მითხრა. მოეწონა კი, მაგრამ ვერ იქნა,
ვერ მოახერხა, ეთქვა, რა იყო კარგი.
ისე, რა კარგად მოვიფიქრიათო. მე ვი-
ცინოდი, ჯიბო, აბა რა მექნა.

ჯიბო ფეხსაცმელი თუ იყილო, ღია
-სანდლებს“ ნუ იყიდი. მართალია, ზაფ-
ხული მომაუალია, მაგრამ მაინც სიცხე-
სა და მარტო დარში თუ გამოგადგება.
ისეც დახურული, ჩვეულებრივი იყიდე.
სანამ ერთი ფეხსაცმელი ვაქვს, სჯობია
— ჩვეულებრივი. წინა წერილში გწერ-
დი: ამ გამოზამთრებულზე გადავწვი-
ტე პალტოს გადაბრუნება და იცი, რა
ვქენი? ერთ დღეს ავდექი, არ ვიცი, სა-
იდან, ჩემს დღეში არაფერი შემიკერია
და თვითონ დავარღვიე. დარღვევისას
კარგად დაუეკვირდი, მერე თვითონვე
შეგვიკრე. არა უშავს, შენ წარმოიდგინე,
უკვირთ კიდეც. კარგი გოგო ვარ ხო,
ჯიბო?

— გადასარევი! — ვიყვირე მე ჩემს პატარა ოთახში და იმ წუთში ისე მომინდა მისი შეხედვა, ისე მინდოდა მისი დანახვა, პირდაპირ ოთახში ვერ დავეცტიე. კი მიფიქრია, ბევრჯერ თეკლასთან შეხვედრაზე, მაგრამ ახლა, სად პალტოს ვადაბრუნება და სად ასეთი დიდი სურვილი მისი ნახვისა!

ავდექი და პირდაპირ ასე დავიწყე წერილის წერა.

„ჩემო თეკლა, მართლა და, ბოლოსდაბოლოს, ეს რომ ვინმემ გაიგოს მე არ ვიცი, როგორ ფანტაზიორებად მოგვენათლავს. მე თუ მკითხავ, ვერაფერს ვერ დავიჭერებს. თვითონ შენ გჯერა, მე, მაგალითად, არ მჯერა. მაღლობა ღმერთს მერცხლებივით თავისუფალნი ვართ, მატარებელი და მანქანა, ფეხითაც რომ იყოს სავალი, სად უნდა იყო, რომ შენსკენ მოვდიოდე და გზამ დამლალოს, თეკლა, ნუ, ჩემო თეკლა, უარს ნუ მომწერ, მე ავდგები და ჩამოვალ. შენ რა გინდა, თუ გინდა ნურც სადგურზე გამოხვალ. მე თვითონ მოვალ. გზაში შენს კიშკართან ჩავივლი. გესმის? შენ აივანზე გამოიდი, მე დაგინახავ შორიდან, დაეკრავ ფეხს და იმ წამსვე უკან გამოვბრუნდები. მართლა და, შე კაი ქალო, ისე ხომ არ უნდა მოვკვდე, რომ შორიდან მაინც არ მოგკრა თვალი. შენ არ მითხრა არაფერი, არ მითხრა, მე გიცნობ. გინდა, თუ სადგურზე გამოხვალ, განგებ ხალხში ჩადექი, ცალკე არ დადგე, მე იმ წამსვე გიცნობ, აი, ნახავ, თუ არ გიცნობ. მე ვიცი, რომ შენ ნამღვილად ის იქნები, არც მეტი არც ნაკლები, აი, ნახავ, მე არც ისეთი მეოცნებე ვარ, შენ რომ გგონია. წამოსვლის წინ კიდევ დეპეშით შეგატყობინებ. ბოლოს და ბოლოს, ზღაპარში ხომ არა ვართ. ვცხოვრობთ ჩვენს დროში, აი, დღევანდელ დროში, მაგრამ, როცა არ უნდა გვეცხოვრა... ზღაპარშიც რომ ვყოფილიყავით, ოდესმე ხომ მაინც უნდა გვენახა ერთმანეთი. შენ დარდი ნუ გაქვს, ლექციებიდან თავს გავითავისუფლებ... თუ თანხმობას მომწერ, დაველოდები შენს

პასუხს, მაგრამ მალე, მალე, თორემ მართო სიზმრები გადამრევს.“

გავგზავნე და ხომ გამიჩნდა უსაშველო. არ იქნა და არ დაადგა საშველი ჯერ დაღამებამ, მერე გათენებამ. წამედება თვალი, სადღაც მივფრინავ. ჯერ ცხენზე ვზივარ, მერე უცებ რაღაც ფრინველია ცხენისთავიანი, მერე თავი სულ არა აქვს, მართო ფაფარი მიჭირავს ხელში.

— სად მიდიხარ? — მეძახის ვილაც ვინაა. — დედაჩემია.

— ნუ მიდიხარ!

— თეკლასთან მივდივარ, თეკლასთან.

— ე, ბიჭო, რატომ შევები მავას?

— რა გინდა, დედაჩემო, თეკლა ხომ იცი!

— შენ იცი? — მეკითხება, მაგრამ დედაჩემი კი არა, ვილაც სხვა.

— ვინა ხარ შენ და ვინა გკითხავს!

— თეკლა ვარ მე, თეკლა და, სად მიდიხარ!

— თეკლასთან მივდივარ, თეკლასთან...

და სადღაც ვავდივარ გულაღმა გაშლართული, თავზე მადგია ათი, ასი თუ ათასი თეკლა.

— თეკლა! — ვყვირი მე.

— ჯიბო! — იძახის ასი თეკლა.

— თეკლა, ჩემი თეკლა მინდა, თეკლასთვის წამოვედი, თეკლას ვეძებ!

— თეკლა ვართ ჩვენ!

— მე ჩემი თეკლა მინდა!

— ჩვენა ვართ, ჩვენ.

— მომეშვით! — ვფართხალებ მე, — მომწყდით თავიდან, — თეკლა, უუ, თეკლა!

თვითონ ჩემი ყვირილი მალევიძებს. მთლად ოფლად ვარ გაწურული და ისევ ვიმეორებ:

— თეკლა, თეკლა, თეკლა...

როდის, როდის გათენდება, მარა — მთელი დღე არ გინდა გაძლება?

გავდივარ დილით სახლიდან, უამრავი ქალიშვილია გზაში, ტრამვაიში, ინსტიტუტში. ამის სიმაღლის იქნება თეკლა? არა, ასეთი თეკლა ვის გაუგონია, ასეთი გაყოფილი ნიკაპი იქნება თეკ-

ლას? არა, აჰ, სულ სხვაგვარი. ამ გოგოს არა აქვს ცუდი თვალები, არა, თეკლას მაინც სხვანაირი თვალები აქვს. მე არ ვამბობ, რომ უყეთესი. სხვა, სულ სხვა. ამ ფერის თმა...

ვითომ სოფიკოს სიმაღლისაა?

არა, არა...

ღარეჩანევით სწორი ცხვირი, პატარა ეურის ბიბილოები ექნება?

ღარეჩანი რა მოსატანი იყო ახლა!

აბა მზია...

არც მზია.

ხათუნა... ხათუნას ღრმა და სევდიანი თვალები...

აბა, პა, პა!

სიზმარი...

ცხადი...

სიზმარი...

ელირსა, მოვიდა წერილი.

„ჯიბო, ეს რა გიფიქრია, ჩემო ჯიბო, კი არ გიფიქრია, გადაგიწვევტია კიდეც ჯიბო, დამიჯერე, შენ ახლა არ იზამ ამას. ნურც მომწერ ამაზე. ნუ, ნუ მომწერ, თორემ მე ქალი ვარ. მეც აღამიანი ვარ, და ვინ იცის... ნუ, ჯერ არა, მერე, მერე მე თვითონ ჩამოვალ თბილისში, ხომ უნდა ჩავაბარო გამოცდები და ვიცი, რომ ჩავაბარებ. მერე, ან სხვა ღროს, ოღონდ ახლა არა. გაიხსენე შენი ძმის დაბრუნება ჯარიდან. გაიხსენე, ხომ გახსოვს... ჩვენ უნდა შევხედეთ, ისე როგორ იქნება, რომ არ შევხვდეთ, მაგრამ ახლა არა. დამერწმუნე, ჯიბო, როგორი სასიხარულოც არ უნდა იყოს ჩვენი შეხვედრა, იგი ამ მოლოდინს ვერ აჯობებს. შენ, ვიცი არ გაგიკვირდება, ვიცი მიხვდები. მე ვიცოდი, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ქამდე მივიდოდა, მაგრამ ჯერ არა. ხომ იცი, ყველა წიგნი მანამდეა საინტერესო, სანამ ყველაფერი დამთავრდებოდეს. თვით დიდებული შოთა მანამ წერდა „ვეფხისტყაოსანს“, სანამ ტარიელი იპოვიდა ნესტანს, მერე კი ყველაფერი უკებ დამთავრდა. და რომელი ამბავიც გინდა, გინდ დაწერილი, გინდ დაუწერილი. როგორც შენ გინდა, მაგრამ ახ-

ლა არა. იქნებ მე ამ დღეებში სახლშიც არ ვიქნე... თეკლა.“

— არა, მეტი აღარ შემიძლია... რილი გვერდზე გადავდე. — არ შემიძლია. ეს რა ხათაბალა ავიტეხე... სულერთია, მივდივარ... ხვალ დილით მივდივარ... არა, რატომ დილით, ამდამ მივდივარ... ფენსაცმელების ფული მაქვს, რას დავეძებ ფენსაცმელს, მივდივარ... როდის ვადის მატარებელი? სულერთია, სახლში გაჩერება მაინც არ შემიძლია, სადგურში დავიცდი. როცა იქნება, მაშინ წავალ. ასე შენს გემოზე ბილეთსაც იშოვი? იქ ჯობია დაცდა. მოვა მატარებელი და, ჰაიდა!

ჩემი ძმის ჩამოსვლა სხვა იყო. ის, ჯერ ერთი, ძმა იყო, მეორეც — მე ბავშვი ვიყავი. რას ამბობ, თეკლას შეხედვას რა ოცნება და ზღაპარი აჯობებს. მივდივარ... რა მიმაქვს? რა მაქვს წასაღები, პირველსავე მატარებელს გავუყვები. ახლავე, მალე. საბარგო მაინც არ იქნება? დაეჯდები და წავალ...

— ერთი, გენაცვალე, დეპეშა მიიღეთ! — მივერადი სადგურის საფოსტო განყოფილებაში.

— რა მიიღოს, შეავსეთ ჯერ, ახალგაზრდავ! — შემომწყრა კიდეც ჩემს წინ მდგომი.

— ჰო, მართლა, ახლავე!
„მოვდივარ ახლავე, მოვდივარ.“ — მივაწერე ცისფერ ბლანკს და გადავაწოდე.

— შევსებულია! — ხელი გაეძვრინე საკმელში.

— მოითმინეთ გენაცვალე, ხალხი დგას აქ.

— ჰო, ჰო, ხალხი დგას, ბოდიში, ჩემო ბატონო, დიდი ბოდიში.

დადექი ახლა და ელოდე!

— ერთი, ჩვენი ძმა, განრიგი სადაა აქ?

— სადა? დარბაზში.

— ჰო, ვიცი, ვიცი!

დარბაზში სალაროებთან ზოგან ხალხია. უმეტესობა მთლად გამოკეტლია.

— ასეა, იდგებიან და გამოკეტავენ

სალაროს, იქნებ ვინმეს ეჩქარება, იქნებ ვინმეს საქმე აქვს. სალაროები დაკეტილია, მატარებლები დგას და რაღაც სულელურ განრიგს უცდიან. წადი კაცო, გაუშვი, იაროს ხალხმა. შენ რა გინდა, ფულს იხდის, მუქთად ხომ არ მიდის. დადგეი ახლა საათნახევარს და ელოდე! საათნახევარს... საათნახევარი იცის მაგ განრიგის დამწერმა რამდენია? მას რა ენაღვლება, აილო და დაწერა საათნახევარის შემდეგო... რომ დაეწერა, საათნახევრით აღრეო, ახლა რა იქნებოდა. მაგრამ მაშინ იმ ხასიათზე იყო და ისე დაწერა. წადი ახლა და უჩიველე!

თუმცა არც ისეა საქმე, რაღაც წესი ხომ უნდა არსებობდეს.

კი, წესი და კანონი უნდა იყოს, მაგრამ საათნახევარი მაინც ბევრია.

— თეკლა, თეკლა, თეკლა, თეკლა!
— მთელი ღამე იმეორებდა მატარებლის თვლები.

— იმაზეთ რა, მაგას რა ჯობია!

ჩემს წინ მსხვილი კაცი იჯდა ფანჯრის მაგიდაზე დამხობილი და მთელი ღამე ხვრინავდა. ვაი, მაგის პატრონს! მაგან რომ იცოდეს, სად მიდის ეს მატარებელი!..

სადგურზე ჩოჩქოლია. ვილაც ვილაცს ეძახის. გამცილებლები მგზავრებს წინ აგზავნიან, ზოგსაც უკან, საითაც გაუხარდებათ.

... და მიდის..

— თეკლა, თეკლა, თეკლა!

მატარებელმა სვლას უკლო. ფანჯარაში დილის მზე იწყობება და თვალებს მჭრის.

ხალხი აიშალა.

— გამიშვი, მეგობარო!

— გაგიშვა რა, ჩვენც ჩავდივართ!

— ვიცი, ჩადიხართ, მაგრამ მე მეჩქარება!

— გეცია?..

— არა, გუშინ არ მეჩქარებოდა, აქამდე არ მეჩქარებოდა, ახლა მეჩქარება.

— ვამბობ უკვე გხადავა ჩემთვის, — გამატარე შენი კირიმე, გამატარე!

— მივიწვევ წინ.

— კარგები ხართ, ყველა კარგები ხართ, ოქრო ხართ, გამიშვი, წავიდე! მე ისე მეჩქარება..

კიბის უკანასკნელ საფეხურზე ვდგევარ. შორიდან გავყურებ სადგურის ბაქანზე გამოსულ ხალხს.

— თეკლა, მოვედი, თეკლა. აი, ახლავე დაგინახავ ახლავე და კიდევ გადმოვეშვები..

მატარებელი ბაქანზე შევიდა და ნელა, სულ ნელა მიიწვევს წინ.

ვილაც დამხედურმა ფანჯარაშივე იცნო ჩამოსული.

— ირაკლი, ბიჭო, ირაკლი!

— კატო, კატუშა, აქეთ, წინ წამოდი შევილო! — ხელს უქნევს ვილაც ვილაცს.

— კალისტო, სად იხედები, კალისტო!

— თეკლა? — ვკითხულობ მე, — თეკლა სადღაა?..

მატარებელი გაჩერდა.

კიბიდან ჩამოვხტი და ხალხში შევეჩვიე.

— თეკლა!

ბაქანზე ხალხი აირია, ვინ ვის ხელს ართმევს, ვინ ჩემოდნებს და ცარიელ პაწია კასრებს. ვინ ვის ეხვევა, ვინ იციანის, ვინ რას და ჯანდაბას, ყველა და ყველაფერი, თეკლა სადღაა?

ალბათ, სადმე გვერდზე დგას და ელოდება, როდის დავინახავ, მივირბენ და დაეუძახებ:

— თეკლა, აი მე მოვედი!

იგი თავს გაიქნევს.

— მე არა ვარ თეკლა!

— თეკლა ხარ, ვიცი, თეკლა ხარ, აბა ვინ? შენ გგონია, ვინმეში შემეშლები? შენ გგონია, სხვანაირი თეკლა კიდევ არსებობს? თეკლა ერთია, შენა ხარ ჩემი თეკლა.

მას გაელიმება.

— ხომ გითხარი, თეკლა ხარ-მეთქი. ღმერთო ჩემო, აბა ვინ უნდა ყოფილიყავ, რატომ მითხარი, რომ არა ვარო, როგორ შეიძლება თეკლა არ იყო!

ხალხი გასასვლელისაკენ მიდის.

მე პირიქით — აღმა მივყვები. გავდივარ სულ ვაგონების ბოლოში და იქედან ისევ სირბილით მოვყვები.

არაა თეკლა. არის უამრავი ხალხი, თეკლა კი არაა...

გავაღწიე გასასვლელში. მეტი ფეხზე დგომა აღარ შემეძლო. მისვლა-მოსვლაში დავიღალე, დავიქანცე და იქვე ვრძელ სკამზე დავეშვი.

თვალმოუცილებლად მივშტერებივარ გამვლელებს. ვიჩქეჩი ასე, არც ვფიქრობდი, არც არაფერს ვამბობდი.

ხალხი ნელ-ნელა გაიკრიფა. მალე თითქმის სულ მარტო დავრჩი. იქვე ჩემი სკამის თავში ორი, ლურჯ მაკინტოშიანი მამაკაცი და მათ მოშორებით გამზდარი ვოგონა დარჩა ჩემს ახლოს, კიდევ ვიღაც რკინიგზელები და, მგონი, კიდევ ვიღაცეები. მერე ის კაცებიც წავიდნენ. ჩემოდანი ავიწყდებოდათ, მაგრამ დროზე მოაგონდათ და წაიღეს.

მერე კი ის ფერმკრთალი ვოგონა მომიახლოვდა და მითხრა:

— თქვენ ჯიბო ხართ?

მე უცებ ავიღე თავი და ქალიშვილს ავხედე.

— ჰო, ჯიბო ვარ, — მერე უცებ გამახსენდა რომ მე აქ არავინ მიცნობდა და ფეხზე წამოვხტი. — ჰო, ჯიბო ვარ, შენ... შენ... — მაგრამ ეს თეკლა არ იყო — შენ თეკლამ გამოგზავნა? სადაა თეკლა? რატომ თვითონ არ მოვიდა?

— თეკლა...

— ჰო, თქვი რა ამბავია, რა მოუვიდა თეკლას! ავადაა? წავიდა სადმე? მითხარი ყველაფერი, მითხარი, შენ რა გქვია, მითხარი, მითხარი, რა მოუვიდა თეკლას?..

— ავადაა...

— რას ამბობ, მერე რატომ ხმას არ იღებ, წამოდი — მე ხელი ვსტაცე გოგონას, — ახლავე წამიყვანე, სახლშია? საავადმყოფოშია? სადაა?..

გოგონა გაჯიუტდა და ფეხი არ გადმოდგა.

— კი, მაგრამ, — დაუწყვირე მე, —

შენ იცი, ვინა ვარ მე? შენ არ იცი მე და თეკლა... უჰ, შენ რა გეტყვინებ!

— ვიცი მე! — თქვა მან ჯიუტად.

— იცი? ჰოდა, მით უკეთესი, თუ იცი. წამიყვანე, შენი ქირიმე, ან მითხარი, სად წავიდე?..

— აქ არ არის.

— არა? არა? სად წავიდა?

— არ ვიცი!

— როგორ თუ არ იცი, თეკლა ყველაფერს გეტყოდა, ან წერილს დაგიტოვებდა, მომეცი, გენაცვალე, ახლავე მომეცი!

— არაფერი არ დაუტოვებია...

— არც დაგაბარა?..

— არა...

— რას ამბობ? არა, მაინც რაღაცას ვეტყოდა, ჩემი დეპეშა მიიღო?

— დეპეშა?..

— ჰო, ჩემი დეპეშა, წუხელ გამოგზავნე, გამოსვლის წინ.

— არა, — თავი გაიქნია მან, — თუ ჩამოვიდეს, ძებნას ნუ დამიწყებსო, მან იცისო...

— ჰო, ვიცი, მაგრამ ახლა, როცა ჩამოვედი?!

— კი, მაგრამ იცნობთ თქვენ თეკლას?

— ვიცნობ. შენ წამიყვანე ოღონდ. როგორ არ ვიცნობ!

— გინახავთ?

— როგორ არა, რამდენჯერ! მითხარით სადაა, არ ვეტყვი, რომ თქვენ მითხარით, სიტყვას ვაძლევთ.

— მე თქვენ გითხარით, არ არის აქ...

— თქვენც ავად ხომ არა ხართ?

— ჰო, არა ვარ კარგად, ნახვამდის! — ხელი გამომიწოდა.

მე ორივე ხელში ჩავაფრინდი. მას ხელი უთრთოდა.

— მიდიხართ?

— აბა რა გავაკეთო!

— კი, მაგრამ...

— თეკლამ...

— ჰო, რაო?

— არაა საჭირო...

— აბა რა ვქნა ახლა მე?

— რა ვიცი, თვითონ რომ იყოს აქ...
მე მერხზე დავეშვი...

მატარებლის დაბრუნებამდე თავი არ ამიღია. რაღაცას ვფიქრობდი, რაღაცაზე ვიჭყლეტიდი ჭკუას, მაგრამ არ მესმოდა რაზე. მე მაშინ ვერაფრით მივხვდებოდი რა მოხდა, რა იყო. არ მჯეროდა, რომ დეგეშა არ მიიღო, მაგრამ ხომ შეიძლება, მართლაც წასულიყო სადმე და არ მიეღო. არ მჯეროდა, რომ ავად იყო, მაგრამ რაა აქედ დაუჯერებელი, შეიძლება გახდეს ავად, ან საერთოდ იყოს ავადმყოფი. ვინ იყო ის გოგონა და იყო თუ არა მართალი, რაც მან მითხრა. და თუ იცრუა, რატომ? თუ ჩემი ჩამოსვლა არ იცოდა თეკლამ, მაშინ ამ გოგონამ სიზმარი ნახა? იქნებ... მან ისიც თქვა, მე ყველაფერი ვიციო. ალბათ, კითხულობს ჩემს წერილებს. იქნებ, დაა თეკლასი ან ძალიან კარგი მეგობარი. ხომ შეიძლება, ისეთი მეგობარი, ვისაც არაფერს დაუმაღავ. შეიძლება, როგორ არ შეიძლება! სახელი მაინც მეკითხა!

ვერაფერი დასკვნა ვერ გამოვიტანე. ყველაფერში ეჭვი შეპარებოდა, ყველაფერზე ისევ თავიდან ვიწყებდი ფიქრს.

იმავე მატარებლით დავბრუნდი უკან. გვიან, შუალამისას დავბრუნდი ოთახში და წერილის წერა დავეიწყე, მაგრამ ვერ იქნა და თავი ვერ მოვაბი სათქმელს. მესაყვედურა? არა, იქნებ, პირობით, მე ვიყავი სასაყვედურო და დამნაშავე ვინ იცის. ნამდვილი ვინ იცოდა, არ მჯეროდა, რაც ვნახე, მე არც იმ გოგონასი მჯეროდა, კიდევ უარესი — არც ჩემი. ამის გარდა, როგორ შეიძლება თეკლას საყვედური! ეს ყველაფერი მართლა ასე რომ ყოფილიყო, ალბათ, ასეც იყო საჭირო, თუ თეკლას ასე უნდოდა, მაშინ მართალი იყო.

მაგრამ ვერც იმას მივწერდი, რომ ეს ყველაფერი კარგი იყო...

დიღხანს ვიმტკრიე თავი და ბოლოს ისევ უბრალოდ ვარჩიე მიწერა, რომ ვიყავი და თეკლა არ დამხვდა. მაცნო-

ბოს, როდის იქნება შინ, ან თუ კარგად იქნეს, სადგურამდე როგორმე ჩამოვიდეს. ეს გადაწყვეტილთაა, რომ ჩავალ, იმ დღესვე ჩავალ, როგორც კი სახლში იქნება. თუ არა, მაცნობოს სადაც იქნება. ეგ სულერთია, ჩავალ.

ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ იყო, როცა წერილის ჩასაგდებად გამოვედი.

დაბრუნებულს ისევ არ დამეძინა. ახლა ის აზრი ამეკვიცია, რომ ის გოგონა ჩემზე გამწყვარილი ჩანდა, თუ საერთოდ, რაღაცაზე გაბრაზებული. როცა მან თვალეში ჩამხედა და მკითხა, ვიცნობდი თუ არა თეკლას, მისი თვალეები მიწყრებოდნენ, რაღაცას მემდუროდნენ, მაგრამ იქვე თითქოს მამართლებდნენ და მე კი არა, სხვას ისევ უწყრებოდნენ. თვალეებს ქვევით, ცხვირის ორივე მხარეს ღია ფერის წვრილი ჭორფლი ჰქონდა გოგონას. მას ცხვირის თხელი ნესტოები ებერებოდა ოდნავ და თითქოს ქვედა ტუჩიც უთრთოდა. ეს მე მაშინ არც შემინიშნავს, მაგრამ ახლა საღაციდან ისევ მომაგონდა, თუ სხვაგან ვნახე და ის გამახსენდა.

გოგონა უთუოდ თეკლას და იყო. მაგრამ თეკლას არ უხსენებია, რომ და ჰყავდა.

ჰო, არ უხსენებია, მაგრამ თეკლას არც ძმები უხსენებია.

კი, და იყო. თეკლა ნამდვილად ავად იყო და და მიწყრებოდა, მიჯაჯრდებოდა, რომ მე ეს თამაში გამოვიგონე. მაგრამ იქვე მამართლებდა, რადგან თეკლას ავადმყოფობა ჩემი ბრალი არ იყო. სადაც თითქოს მაღლიერიც იყო მისი თვალეები, ალბათ, იმიტომ, რომ მე ასე სათუთად მიყვარდა მისი და, რომელიც ახლა ავად იყო, მაგრამ ისიც უმალ ახსენდებოდა, რომ ღვიძლი და ავად ჰყავდა, ჩემთვის, საერთოდ, არ ეცალა.

ავადმყოფი თეკლა არ მეჩვენა და საერთოდ, ბუნებრივია. არ უნდოდა ჩვენი პირველი შეხვედრა ავადმყოფს. ისიც სხვისი თანდასწრებით. თეკლა უთუოდ სუსტი და ავადმყოფი გოგონა და ავადმყოფებს არ უყვართ საერთოდ

არც ავადმყოფობაზე ლაპარაკი, არც ასე მწოლიარეს რომ დაადგებიან თავს.

იმ დღეს, როცა პასუხი უნდა მიმე-
დო, ლექციებიდან ორი საათით ადრე
წამოვედი, მაგრამ ისე დაღამდა, არაფე-
რი მიმიღია, არ მიმიღია არც მეორე,
არც მესამე დღეს.

თეკლა უსათუოდ მიმიმე ავადმყოფი
იყო, და ჭერჭერობით უკან არ ჩამო-
იყვანეს. ჩემი წერილი კი... ჩემი წერი-
ლისათვის ვის ეცალა. კარგი იყო, რომ
მისი დის სახელი გამეგო, მას მივწერდი
წერილს და ვკითხავდი, სადაა თეკლა
და სად მკურნალობს მეტიკი. მაშინ მარ-
თალია, არ მითხრა, მაგრამ ახლა კარგად
აუფხსნიდი, გვაგებინებდი, რომ ყური
არ უნდა ათხოვოს თეკლას სიჯიუტეს,
რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, ავად ვინ
არ ყოფილა და, საერთოდ, დღეს რო-
გორი ავადმყოფი არ უნდა იყო, ყვე-
ლაფერს ეშველება. თანაც უკვე შეჩვე-
ული იქნება ამ ამბავს და უსათუოდ
პომწერს.

კი მაგრამ, უცებ ერთი ახრი მომივი-
და: მოდი, ფოსტალიონს მივწერ წე-
რილს. მან ზომ მაინც ყველაფერი იცის
და ახლა მაინც რაღა დროს ბოღიშებია
და ან რა მაქვს ვინმესთან დასამალი.
მივწერ და ვთხოვ, თეკლას დას გადას-
ცეს წერილი.

ამაზე ბევრი აღარ მიფიქრია. დავწე-
ე ორივე წერილი და გავგზავნი.

თავის დროზე მივიღე პასუხი.

თეკლას დას მზია რქმევია. ვერაფ-
რით წარმოვიდგენდი, რომ იმ გოგოს
მზია ჰქვია, მაგრამ ახლა მის სახელს
რა თავში ვიხლიდი. მწერდა მოკლე
წერილს. „მართალია, მე თეკლას და ვარ,
ისივე მართალია, რომ თეკლა ავადაა.
ჭერჭერობით ვერაფერს გეტყვით მის
უკეთობაზე. როგორც თქვენ მწერდით,
მე ვიყავი მასთან და ყველაფერი ვუთ-
ხარი, მაგრამ ის სასტიკ უარზეა. თუ
თქვენ მართლა გიყვართ თეკლა და მე
ვიცი მართლა გიყვართ, ნუ გაჭიუტდებ-
ით და ნუ ჩამოხვალთ. თეკლას ასე
სურს. მწერთ, ხანდახან თუ მაინც დგე-

ბა, ფანჯრამდე თუ მიდის თავის ფეხი-
თო. ვერა, ვერ დგება და ისე დასუს-
ტებულია, რომ ვერ იცნობთ, ნურც
წერილს მისწერთ. ის დღეავე თქვენს
წერილზე. მე გაცნობებთ მისი ჯანმრ-
თელობის შესახებ. მზია“.

იმ წამსვე დაუფუჭეკი პასუხის წერას.
ვწერდი ათას რამეს. ვებეწებოდი,
თავს ვაცოდებდი მზიას, ვთხოვდი, ვე-
მუდარებოდი, რომ ზშირად მოეწერა
მე ყველაფერს ისე გავაკეთებდი, რო-
გორც თეკლას უნდოდა. ვწერდი: რომ
ვიცი, ის ჭავრობს, წუხს, არ უნდა ასე-
თი მეჩვენოს, ჩემთვის ის სულერთია.
მაგრამ რადგან მას ასე უნდა, კარგი,
ასე იყოს, ოღონდ მზიამ მომწეროს. არ
შეიძლება ახლა უკეთ არ იყოს თეკლა.
ექიმებს ნუ უყურებენ, ექიმებს ყვე-
ლაფერს ნუ დაუჭერებთ. ექიმებს რომ
უყუროთ, გადაგრევენ... ახლა შეიძლება
კარგადაცაა. კარგად იქნება და წერი-
ლით არა, დეპეშით მაცნობეთ, დეპეშა
მაღე მოვა, ორ საათში აქ იქნება...

მაგრამ არავითარი დეპეშა არ მიმი-
ღია.

თავის დროზე მივიღე ისევ მოკლე
წერილი.

„თეკლას მდგომარეობა გაუარესდა.
თქვენ კი არა, ჩვენაც არ გვანახებენ.
გაცნობებთ, შემდეგ რა იქნება“.

ჩემს ამბავს ნულარ მკითხავთ. არც
მე გეტყვით არაფერს, მე ჩემი თავისა
თვითონ არ ვიცი, რა საინტერესოა სხვა
დანარჩენი, ეს ვიცი მართო, რომ ვწერ-
დი წერილებს და ვუგზავნიდი მზიას.
ვწერდი ყოველდღე და, ერთსა და იმა-
ვეს ვემუდარებოდი, მოეწერა, მოეწერა
ზშირად; ყოველდღე, დღეში ორჯერ.
ნურაფერს ნუ დამიმალავდა, ყველ-
ფერი ისე მოეწერა, როგორც იყო.

მზიას არ ეცალა, თუ საერთოდ არ
ცხელოდა ჩემთვის, წერილებს მეოთხე-
მეხუთე დღეს გზავნიდა... მდგომარეო-
ბა არ შეცვლილა; ისევ ცუდადაა; წუ-
ხელ თუ გაათენებდა, არ გვეგონაო.

ამ წერილზე კინაღამ გვეგიედი და
ისევ ვრცელი წერილი მივწერე. აუცი-

ლებლად უნდა ჩამოვიდე მეტეი. ვუხსნიდი, რა უბედურებაც არ უნდა იყოს, როცა იქვე ხარ, მის გვერდით, როცა ყველაფერს შენი თვალთ ხედავ, სხვაა, ეჩვევი და მერე იმხელა უბედურება აღარაა, როგორც ის, შორიდან უეცრად რომ შეიტყობ მეტეი. შენ ისეთი გულის გოგო ხარ... შენც ხომ გიყვარს ვინმე, მზია? გეყვარება... მე მახსოვს შენი თვალები, შენი გარეგნობა და როგორ შეიძლება ასეთი გოგო ვინმეს არ უყვარდე. ჰოდა, ახლა შენ თვითონ წარმოიდგინე, მე არაფერს არ გეტყვი და შენ თვითონ მიხედი. უშენოდაც ჩამოვალ, მაგრამ არ მინდა, რომ თეკლას ეწყინოს. შენ უთხარი, შეაჩვიე, გინდ მე მოვწერ ისე წყნარ წერილს და როცა უკეთესად იქნება, წაუკითხე მეტეი.

მთელი ექვსი გვერდი დაეწერე და თითქმის სულ ერთსა და იმავეს ეწერდი.

პასუხი სასწრაფოდ მივიღე.

„არ ჩამოხვიდე, ოდნავ უკეთესადაა. ამ კვირაში ვფიქრობთ თბილისში წამოყვანას. თვითონ უნდა ძალიან გაცნობებთ ყველაფერს. არ ვიცი, მანქანით წამოვალთ თუ მატარებლით“.

— ვაშა! უკეთესადაა, ვაშა, თბილისში უნდა წამოსვლა. აბა როგორ, ამდენხანს როგორ გაჩერდა, მაგრამ ასეც არ ეგონა. ახლა რომ ყველაფერი მალე და კარგად დამთავრდეს, რა თქმა უნდა, მოდის, ამას გარდა, მეც ხომ აქა ვარ და დღე და ღამე მასთან ვიქნები. საავადმყოფოს კარებს არ მოვცილდები, ექიმებს გავიციან, დავეუქმებოკლები. წამალი? უჩინარს გვაჩვენ. გურამს ფულს ვთხოვ, კი მასესხებს, მერე ზოგს სახლიდან გამომიგზავნიან, ზოგს ზაფხულში ვიმუშავებ და კი გადავიხდი...

მეორე დღეს სადგურზე წავედი. ვინ იცის, ხომ შეიძლება მატარებლით წამოვიდნენ და, საერთოდ, მატარებლით ჯობს, მანქანაში მეტად შეწუხდებოდა. არა, მსუბუქი მანქანითაც რა უშავს, ახლა მართლა ისე კი აღარ იქნება. ალბათ, იმ ღამეს კრიზისი ჰქონდა, გადაიტანა

და ახლა ყველაფერი კარგადაა. კარგადაა, რა თქმა უნდა. უკეთესადაა, ესე იგი კარგადაა, რა თქმა უნდა, კარგადაა! მატარებელზე არც ერთი ავადმყოფი არ ჩამოსულა. ვარდა ორი ყავარჯიანი ინვალიდისა.

შეიძლება მანქანით წამოვიდნენ და, ვინ იცის, იქნებ ჩემთანაც გამოიარეს... არა, რატომ არ შეიძლება, თეკლა ეტყოდა, ერთი ამ მისამართზე შევანეროთ, ერთი ნაცნობი მყავსო...

ვინ ეტყოდა უარს.

სახლში გულამოვარდნილმა მივირბინე. დიასახლისის ეძინა.

— დეიდა პაშა! პაშა დეიდა!

— რაო, ჯიბო... ჰო, ჯიბო, რავე მუძინება... იმე, ბიჭო...

— პაშა დეიდა, აქ ხომ არავის ვუკითხვიარ?

— რაო, იკითხო... ვინ, ჯიბო, იყო ვინმე? თუ რაა...

— ჰო, თუ იყო ვინმე?

— გუშინ წინ, რომ...

— არა დეიდა, დღეს...

— დღეს... გუშინ...

— დღეს, დღეს, მე რომ წავედი, მე-რე, საღამოს.

— დღეს, საღამოს, ღმერთო ჩემო...

— იყო ხომ? მანქანა მსუბუქი!

— დღეს დარახველიძეები გადავიდნენ ახალ ბინაში, მანქანები...

— არა, ჩემთან თუ იყო პატარა, მსუბუქი მანქანა.

— არა, ბეჩა, სადაა, როდის იყო... ავდგები, აბა...

— არა, არა, იყავი, მეტი არაფერი...

მეორე დღეს ისევ სადგურზე, და მე-რე ისევ მთელი საათი დამჭირდა დიასახლისთან, რომ იგივე უარი მიმეღო.

გავიდა კიდევ ერთი გრძელი კვირა. არც წერილი, არც სხვა რაიმე ცნობა.

რა ვუყოთ მერე, იქნებ, არც დაჭირდა წამოსვლა. იქნებ, უკვე ისედაც კარგადაა და ამ დღეებში თვითონ მომწერს, ჩამოდიო.

როცა კიდევ გავიდა ხუთი დღე, ისევ მზიას მივწერე. ბოლოსდაბოლოს, თუ

კარგადაა, ის მაინც მომწერე მეტქი, და ისევ უპასუხოდ დამტოვა.

მერე კიდევ დეპეშა გავგზავნე და პასუხად იმ, ეს მივიღე:

„ექიმებისათვის რომ დაგვეჯერებინა, ვინ იცის, იქნებ ეს არ მომხდარიყო. მეორე დღესვე წამოვედი. თეკლა ჯერ გახარებული იყო გზაში, მერე უცებ დაკარგა გონი, რის ვაი-ვაგლაბით მოვამბრუნეთ ნემსებით. ფანჯარაში გამახედეთო, გვთხოვა. არ გვინდოდა განძრევა, მაგრამ არ დავიშალა. მზე ყოფილა გარეთო, გაუხარდა. იმ წამსვე დაწვა და უკვე ყველას გასაგონად თქვა: ჯიბო, ნეტავ მართლა ჩამოსულიყო, ალბათ, ვეღარ ვნახავო, ალბათ, კი არა ვეღარ ვნახავო. მართლაც მალე გარდაიცვალა. გვინდოდა შენთვის შეტყობინება, მაგრამ ჩვენებმა უარი თქვეს. კვირას დავსაფლავეთ. ვერ მოგწერე, ძნელი იყო ამის მოწერა. ახლა აგერ მეორე კვირაც გავიდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, შევეჩვიეთ. თქვენც უნდა შეეჩვიეთ. რა გაეწყობა. მშვიდობით“.

თუ გგონიათ, ვიტყვით ან ხმა ამოვიღე! არავითარი! წყნარად აედექი, წერილი ჯიბეში ჩავიდე და აუჩქარებლად გავსწიე სადგურისაკენ. სხვაზე არავითარზე არ ვფიქრობდი მაშინ. თეკლას ტირილს ყოველთვის მოვასწრებდი. არასოდეს არ იქნებოდა გვიან, თეკლასათვის სულერთი იყო. თეკლა მე სულ უნდა მეტირა და სადაც ორი კვირა დავიგვიანე, იქ ერთ დღეს კიდევ დავაგვიანებდი, მაგრამ საქმე ჯერ ცოცხალთან მქონდა, ცოცხალთან, იმ სამაგვლთან. ო, როგორ მეზიზღებოდა იგი ამ წუთში! „ის!“ მე არ მსურდა მისი სახელის ხსენებაც, არც ის, რომ იგი თეკლას რაიმე ახლობელი იყო. მე არ შემეძლო თეკლა დამედანაშაულებინა რამეში. ო, ის გველის წიწილი კი... ყველაფერში ის იყო დამნაშავე. იქნებ, ვინ იცის, და შურდა კიდევ დის. რატომ, მისგან ყველაფერი შეიძლებოდა. სულ არაა გასაკვირი, რომ თეკლა ისეთი ანგლო-

ზი იყო და ის კი... ხომ ამბობენ, ღმერთი და ეშმაკი ძმები იყვნენო.

მეორე დღით ისევ ვეზიზღებდი იყო. ო, როგორ არ მინდოდა მზის დანახვა, როცა ვაგონიდან გვედიოდი და ფანჯრებიდან შემოსული თვალეშში მცემდა, თვალეშს ვხუჭავდი. სხივები კი არ მათბობდა, მჩხვლუტდა, მბურღავდა.

ნელა ჩავედი საფეხურებზე და ბაქანზე გავედი. თავი არ ამიღია, ანდა რისთვის ამეღო, ვინ მელოდა, ვის გაახარებდა ჩემი ჩასვლა. ნელა გავყვიერ გასასვლელს, მაგრამ შევჩერდი, რალაცამ შემაჩერა. დასწყევლოს ღმერთმა, რა მომდის მეტქი, და წავედი. ორი ნაბიჯი ვერ გადავდგი, რომ შევჩერდი, რალაც ამბავია ჩემს თავს, ვილაც თუ რალაც მაკაეებს, თუ ვგრძნობ ვილაც მიყურებს.

— ვინ უნდა იყოს! — ვამბობ და მივდივარ. — არაფერი არაა გასაკვირი. აქ ხომ რამდენჯერ ყოფილა ღეკლა, რამდენჯერ ვინმეს დახვედრია ან გაუცილებია, ან თვითონ წასულა. ამ სადგურიდან, ამ მატარებლით, ამ მგზავრებთან. ყველაფერი ისეა როგორც იყო. ისევ ისე მიდის მატარებელი, ხალხით ისევ ისევ სავსე ვაგონები, მაგრამ თეკლა აღარაა...

მძიმედ წავედი გასასვლელისაკენ, მაგრამ ვგრძნობ, ისევ არ მიშვებს რალაც. კი, ნამდვილად, ნამდვილად ვგრძნობ. ვგრძნობ ისე, როგორც ხელის შეხებას, როგორც... როგორც ლურსმინის ჩასობას.

იმ ვრძელ მერხამდე ვერ მივალწიეთ, რომ მოტრიალდი და ვილაცას დაეუწყე ძებნა.

— მზია! — ვიღრიალე მე. მე არ ვიცი, როგორი სახე მქონდა. ან რა ცეცხლი მენთო თვალეშში, რომ ეს ჯიუტი გოგო შიშით დაპატარავდა. გამვლელები ერთი წუთით მე შემომჩერდნენ. მზია მოვიდა. ორი თითით ჩემი კოსტუმის ღილი დაიჭირა. მე ვერ გეტყვით, როგორი თვალეშები მქონდა მას.

— ჩემი ბრალი არაა, ჭიბო, მე არა ვარ დამნაშავე!

იმ წუთს, იმდენ ხალხში მეტი ვერაფერი მოვიფიქრე, დავავლე მკლავში ზელო! — წამოდი ჩემთან!

მინდოდა, იმ წუთს ამ ხალხს გავცლოდი, მინდოდა, იმ წუთს სადმე შორს ყოფილიყავ უცხო თვალისგან.

— წამოდი ჩემთან, — ეიმეორებოდა გზადაგზა, — წამოდი, წამოდი ჩემთან, წამოდი!

მე არ მესმოდა იმ წუთს რომ „ის“ რაც არ უნდა იყოს ქალიშვილი იყო, აქ მას იცნობდნენ და მართლა თეკლა და იყო მისი, მაგრამ ჩემთვის ეს სულერთი იყო. მისი ქალიშვილობა და ჩემი უცხოობა და, თუ გინდ, ისიც, რომ თეკლა და იყო მისი. სულ ტყუილია, თეკლა იყო ჩემი, იგი არც არავის და იყო, არც მიძინებელი, არც, თუ გინდათ, შვილი. თეკლა იყო ჩემი და მართო მე დაეკარგე ის. სხვამ არავინ, არავინ. ის ჩემი თეკლა იყო, მასში მე ვერაფერს შემომეზიარებოდა, თუ თეკლა დაიღუპა, მართო ჩემთვის დაიღუპა, და ჩემთან უნდა ავოს პასუხი მისმა დამ, მამამ, ვეჩემებმა, და ყველამ, თვით სიკვდილმაც. ყველას ჩემთან აქვთ საქმე.

ჩვენ მივდიოდით, მივდიოდით და მივდიოდით....

უკან მოვიტოვეთ მოსახლეები, გავედით სადღაც მინდორზე, მერე ტყისპირს ავყვეით, მერე აღმა აღუხვიეთ. ბოლოს იგი გაჩერდა.

მე მკლავში მოვწიე, მაგრამ იგი აღვილოდან ვერ დავძარი.

— წამიჭვანე! — კბილებში გავცერი მე.

— ვერა!

— წამიყვანე! — დავიღრინე ისევ.

— ვერა, ვერ წაგიყვანს! — იწივლა მან, ხელიდან გამისხლტა და გაიქცა.

— სად წამიხვალ!.. — გამოვედგენე და ათ ნაბიჯზე დავეწიე. — წამიყვანე, საფლავზე მაინც წამიყვანე!

— ვერა, ვერ წაგიყვანს!

— რას ამბობ! — არადადამიანურად ვიყვირე მე და იცით, რა დამემართა?

იგი ცეცხლმომთებულ თვალებში მომაჩერდა და უცებ ყველაფერი აირია: აირია, თვალები ამიჭრელდა, ტუჩები ამემღვრა, ყველაფერმა თავიდან გაიბინა ჩემს წინ. ჩვენმა პირველმა შეხვედრამ, წერილებმა, დეპეშებმა, ყველაფერმა ელვის სისწრაფით, ნათლად და ისევ გამეწმინდა თვალები, ტუჩები, ყნოსვა, ყველაფერი, ხუთივე გრძნობა. ჩემს წინ თეკლა იდგა.

იცით? ნამდვილი, ცოცხალი თეკლა. ხმა ვერ ამოვიღე, ისე ჩავაჩერდა თვალებში.

— მან ორივე ხელი აიფარა სახეზე.

— შენა, ხარ ჩემი თეკლა! — ამოვიღულულე მე.

მან ერთი წუთით ჩამოიღო ხელები და მერე ისევ აიფარა.

— შენა ხარ ჩემი თეკლა, შე უღმერთო!

— მე...

— შენ, შენ ხარ თეკლა, არავითარი მზია არაა ამქვეყნად, ეს ყველაფერი შენ გამოიგონე.

— არა, არა!

— გაჩუმდი, გაჩუმდი თეკლა! — მინდოდა მეყვირა, მაგრამ ხმა აღარ მქონდა, — მე უნდა მეცნე შენ და თუ მაშინ არა, ახლა მაინც გიცანი. შენ მართალი იყავი, მაგრამ ძვირად დამისვი, თუმცა სხვაგვარად ვერც მოიქცეოდი...

— ჭიბო!..



შოთა ააოზია

ენგურჰესის მშენებლებთან

1. მენაღმა

„ი, მთის გულში შეხმა გაჰყვითა,
მართლაც შეხია, აბა რა ჰქვია!,
მთების წარსული თითქოს აკვნესდა.
ოხვრად ლოდები ამოაფრქვია.“

ცას შეაბერტყა მიწა დაშლილი,
ჩელუხლებელი ძველი დროიდან;

წამით დაბნელდა, შემდეგ ტაშევით.
ქვების, კენჭების წვიმა მოვიდა.

გვირაბში ვიცედი სულგანაბული.
ექოს გუგუნის სანამ მიწყდება.
მენაღმე ხუმრობს: მთის გაზაფხული.
დახე, კენჭების წვიმით იწყება!

2. ლამე ტილოს კარავში

ტილოს კარავში ტყბილი ოცნება,
ტყბილი ღვიძილი ძილის ლოდინში.
ნისლი კნუტივით მოვიცოცდება,
მოიკალათებს შენთან ლოგინში.

ძილი თვალეზში მოგეფერება,
ძილიც მჩატება ტილოს კარავში;
ცხადი სიზმარში ოდნავ გერევა,
ღამეც გერევა „ჰო“ და „არაში“.

ნისლი ბალიშზეც ავა ჩუმჩუმად,
თითქოს კნუტია, ალერსს ჩვეული;
ყურთან გეხება ბეწვი ფუნჩულა,
სუნთქვად ქცეული... სიზმრად

ქცეული.

„გძინავთ? — მთიელი ხმადაბოხებით
კითხულობს, — დედას თუმც ვერ
ვუთხარა:

მე კოსმონავტად, ალბათ, მოვხვდები.
ვაგზავნილი მაქვს კრემლში უსტარს.

„იცით? სამჭიდში ვიყავ ვარსკვლავი.
ვევლა ორძელი იყო საჩემო;
ერთი გენახათ, ბზრიალასავით
მე რომ ვუვლიდი ღერძის გარშემო“

შემდეგ დუმილი... და ჰა, საცაა
დუმილის ენაც თითქმის ისწავლე:
გესმის, ბალახი როგორ დაცვარა.
როგორ აღიღდა გარეთ სიმწვანე.

დილით სხეული ისე მჩატება,
ღრუბლის კალთაზე გინდა თამაში;
თურმე ფილტვებში ქარის ჩატევაც
წუხელ ისწავლე, ტილოს კარავში.

პოლიპარკე პეპაპეპე ცხოვრების ჰარა*

კომედია ოთხ მოქმედებად
მოქმედება მისამ

შორს ჩანს ქარხნის საამქრო, წინ დეკორატიული მცენარეები. სიღრმეში ფოთლებიან ბუჩქებს შორის ჩანს ქანდაკების ნაწილი. სცენაზეა ქუჩუნა და ბახუტა.

ბახუტა — ოჯახი უძებს ციციუნოს და ნურაეის შეფუთვები, ჩვენ კი დაკითხვაზე მივდივართ.

ქუჩუნა — არა უშავს, პირველ ქვას მე შევეშვერ თავს.

ბახუტა — მერე, ქვასთან ბრძოლაში რომელ თავს მოუვია.

ქუჩუნა — არა, ჯერ ვერ წავალ. მინდა აქ თორნიკეს უკეთურებს როგორმე კბილება გავუსინჯო.

ბახუტა — ნუ გეშინია. მუშები იქაღიან, ლობიანეს არ მოეერიდებოთ.

ქუჩუნა — ლირექტორი ვის მხარეზეა?

ბახუტა — რა ვიციოთ, ისეთი ენის კლიტე გამოიგონა, ბეკრი ილაპარაკოს და არაფერი თქვას.

ქუჩუნა — ო, აგერ მოდის. მე ყოველთვის ღია გულით მესალმებოდა. მინდა გამოველაპარაკო.

(ბახუტა მიდის. შემოდის გერასიმე)

ქუჩუნა — პატივცემულო გერასიმე, ცოტა შესაყიხხავი შექონდა თქვენთან. იქამდე, აი, გუშინაც მიწოდდა თქვენი ნახე და ვერ მოგიღეძით, ვერც გაზედე.

გერასიმე — თუ ქარხნის საქმეზე ხართ, პატივცემულო ქუჩუნა, მე უკვე ლირექტორი არა ვარ.

ქუჩუნა — რაოგორ!

გერასიმე — გუშინ ერთი დიდი კაცი ჩამოვიდა დედაქალაქიდან და, ესეც არის, გამომიცხადა, რომ საქმეების გადაბარებას შევედგე.

ქუჩუნა — მერე, დანაგრულად ხომ არ გრძნობთ თავს?

გერასიმე — არა, ასეთივე ადგილზე გადაყავართ, სასიამოვნოცაა. კაცი ერთ ადგილას დიდხანს ყოფნით, თანდათან საქმის გარეშე საქმეებით იტვირთება და ეს მუშაობის აფერბებს.

(შემოდის მიკუპუნე)

მიკუპუნე — ო, აქ ქუჩუნა დაფრენილა ოფოფოვით, თორნიკეს ხომ არ გადმოაყურე?

ქუჩუნა — არა, მხოლოდ, აქ გავიგონე კომისია შემდგარა.

მიკუპუნე — ლობიანე დღეს გაფუტულია შვიდი კომისიისი და დანტრული გამოვიდა. — ო, სიცილი ვერ შევიკავეთ.

გერასიმე — მერე, შენ რად გინახია!

ქუჩუნა — არ მჭერა, სიცილის გუნებაზე იყო, თუ მას ფეხი დაუცდა.

მიკუპუნე — რატომ?

ქუჩუნა — სულ მისი არ იყავი?

მიკუპუნე — წაქცეულია შე ჩემი თავიც შეხარება.

ქუჩუნა — ეს რას ნიშნავს, წალმა არ მიდის მისი საქმე?

მიკუპუნე — ნუ მკითხავს...
(შემოდის ლობიანე)

ლობიანე — შენ გეძებ, მიკუპუნე, რა ცივი წყალი გადამასხა კომისიისზე.

მიკუპუნე — ისეთი რიხით მკითხება, თითქოს რაშენ იყდის.

ლობიანე — არა, მითხარი, რა მიყავი!

მიკუპუნე — მაშ, ყმაღი ნაყიდი ხომ არა ვარ.

*დასასრული. იხ. „მნათობი“ № 1. 1962 წ.



- ლოპიანე** — რომ მაქებდი, იმ ლექსების მიანიც არ გრცხვენია?
მიჭუჭუნე — შენ შეიძლება, სად მქონდა ნაბუსი, როცა ვწერდი.
გერასიმე — მაშ, ის ახლა ვადაგასული ხელწერილივითაა?
ლოპიანე — ო, ძველმა, შენ აქ გუშინ იყავი და დღესაც წრიალბ?
თაყნა — შე გგონია, არც მიწის ვამძიმებ და არც თქვენ ჩემი სიარულით.
ლოპიანე — აქ წერაღის რე უტრიალბ, სხვაგან ეძიე ბედი.
თაყნა — შე ბედით კმაყოფილი ვარ.
ლოპიანე — თუ სიყვით გინდა თორნიესთვის უთხარი: ხართან მოკიდდე მოზვერს რა არ შერჩება-თქო.
თაყნა — არც ხარს ეპატება ბზოებს რქებით დაერის.
ლოპიანე — წელან შენთან, გერასიმე, ჩემი ყოფილი ცოლი დაეინახე. რა უნდოდა, ალბთ, დროს ეძებს, წიხლი ჩამატყვას მიჭუჭუნესავით.
გერასიმე — არა, ჩემს მეუღლეს ესტუმრა.
თაყნა — ყოფილი ცოლი? აკი, არც ახსენებდით, სად მეშაობს?
გერასიმე — „განთიადის“ მეურნეობას დირექტორია.
თაყნა — ოჰ, ის არის? გამიგონია, კირგი ქალიაო.
ლოპიანე — მის უარესს ჯობია.
თაყნა — რა ნაყლი აქვს?
ლოპიანე — ისე მძიმე ანატანია, კამეჩზე რომ შესვა, წელში გატეხს.
თაყნა — რით არის მძიმე?
ლოპიანე — შექმნაზე მწყურალადაა და ორი შვილი ყავს აქიდებულა.
თაყნა — შენა არაა ის შვილები?
ლოპიანე — ჩემი რომაა, შით უფრო ჩამებლაუჭებთან.
თაყნა — რა გვლცივი ყოფილბარ, სიზმარში მიანიც არ გაწუხებენ ბავშვები?
ლოპიანე — სიზმარშიც მშენია დაეინახო. — ხინი ქაობში ჩამფლავენ, შე კი მალა ვისწრაფი, არწივით.
თაყნა — მალა სად?
ლოპიანე — ისე იქ, თუ გახსოვთ, ჩემი საბუღარის უფრო უშინოდით, ვიდრე ეფების ბუნავის.
მიჭუჭუნე — მაგ ფიქრები სულ ყვავილა-ბატონების გამოყოფილი გაქვს, ის მწყინს, რომ მეც ამყოფივ.
ლოპიანე — (მიჭუჭუნეს) ეჰ, ჩემს თაჭ რა ეუთხრა, რომ დროზე არ მივასაყრ.
მიჭუჭუნე — ბნელი კაცი ხარ.
ლოპიანე — მზეზე ბრწყინვალეა ლოპიანეო, ხომ ფიცადი!
მიჭუჭუნე — სიტყვით გათეთრებდი, მაგრამ სიტყვა რომ ნამტვილად დებადეს, საღებავების ქარხნები დაბჭურებოდა. — უვილაფერს სიტყვით შეღებავდნენ.
ლოპიანე — არა უშავს, მე ისევე ლოპიანე ვარ. კიდევ გაქმეე ჯაბუნას.
მიჭუჭუნე — რას მტრჩი, რაც მომთბოვე, დაეწირე, რედაქციამში გავაძვრინე და კედლებიც მოვასწარი გავკრა, ყველას ენა ჩიუვარდა და ძველებურად იმარჯებდნენ... მაგრამ, როდესაც კომისია გამოწნდა, პარტკომიც დამესხა, პროფკავშირიც და ათასი სხვა... რა შექნა, მეც დაგირთე თავის გადასარჩენად.
ლოპიანე — აჰ, შენ გგონია წაქცეული ვარ და გიხარია, არა?
მიჭუჭუნე — ის მაქვს სატირალი, როგორც ჩემი ქება ჰყავს ვადაგასულ ხელწერილს, ისე — შენი დაპირებაც და სად ეფიხო ლუქმა.
თაყნა — შრომით ყველგან იშოვი, მიჭუჭუნე.
მიჭუჭუნე — ამასთან მხოლოდ სხვისი ნაშრომის წართმევას შეეჩვევი.
ლოპიანე — ეჰ, სად უკაყუნებს, რა გზა გაუკვლიე ჩემს გამოგონებას და ენ მართმევს, ვინ?..
თაყნა — სად გაუკვლიე გზა?
ლოპიანე — სადაც საჭიროა, აღიარეს, ლოპიანე შემთხვევით არ ყოფილა დიდი ძეგელარი, გენიოსია და აეწიოთო. ეჰ, ის ჩემს ხელში მარგალიტია, თორნიეც კი ცერცვის ფასს ვერ აიღებს.
თაყნა — რა ვუყოთ, ზოგი მუშაკი ისე უანგაროა, როგორც ხე არ ვატრობს ბაზარში თავის ნაყოფით — არც ის.
ლოპიანე — დიხ, თორნიეც ხეა, შე კი მებადე ვარ და ჯილდო ლეჟალსათვის შე მერგება.

საქართველოს
საბჭოთაო
საზღვრო
და
საგარეო
მინისტროს
სამსახური

მიჭუჭუნე — გიციობ, რა მოღვაწე ხარ, ხალხს ჯოჯობნეთა რომ მოეწყო, სამოთხეს დაარქმევ-
თუქუნა — მე შენთან, კომისია იძიებს: ვინა ეს გამოგონება და რა ხარისხისაა, და არა, —
ვინ როგორ მოიხმარს.

ლოპიანე — თუ ზემად იცნეს, დიდი ღირებებისა, თუ თორნიცესად — არაფერს არაა
თუქუნა — რატომ?

ლოპიანე — დიდი კაცის გაცემებული საქმე დიდაა და, იგივე საქმე, პატარა კაცის გაცემუ-
ბული, პატარაა.

თუქუნა — ეს არ შენმისი
ლოპიანე — ავიხსნი. შენ დღეს მდარე ქალი ხარ. კარგი კმრის ხელში კი უთინათინესი იქ-
ნებოდი.

თუქუნა — გმადლობთ, მოხდენილი ახსნისათვის, ციციანოც დაგირწმუნებია, რომ შენს ხელში
ფარშევანგად იქცევა და ამით მოგვიბოლავს.

ლოპიანე — მომიხიბლავს?
თუქუნა — დიახ, ძალიან!

ლოპიანე — მართლა, ეს კი ვუთხარო: ფარშევანგად გაქცე-ოქო. ასე უცბად გავანდოთ?
თუქუნა — ჩვენ ხომ გულთ-გულთან ვართ და საიდუმლო არა გვაქვს.

ლოპიანე — მაშ, ცალკე მოგელამარკები უფრო დაწერილებით, — ახლა კომისიაში მენ-
ქარება.

მიჭუჭუნე — კიდევ ბედავ იქ მოსვლას, რაც მე და შენ დღე დაგვაყენეს?

ლოპიანე — უნდა მოვეყვე იმ დიდ კაცს, რა მანებლები დამეხეიენ, მაგრამ ვისაც ჩემიანად
დავაღვიე ხელი, ჭინწარივით მომსუსხა. შენც ხომ არ ორჭოფობ, გერასიმე?

გერასიმე — ერთი თავი შეგწირე და მეტი არ მახია.
ლოპიანე — ზემი ურგები თავი ტურამ შევქამოს.

გერასიმე — რასაკვირველია.
ლოპიანე — მაშ, ცოტა ხანს დამაცადე, თუქუნა.

(ლოპიანე მიდის)

მიჭუჭუნე — მე ცოტა ვთქვი იმ კომისიაზე, დამატებით მოვასწენებ რა ოქროს ძირიცა
გაქვს (მიდის).

თუქუნა — გუშინ შედიდურობდა ლოპიანე, დღეს კი აწრიალებულია.
გერასიმე — ამ ქარხნის იქით გზა არ აქვს და ხელს ვუწყობ. მაგრამ თავის ძველ ხერხს
მიმართა.

თუქუნა — რომელ ხერხს?
გერასიმე — წინათ თუ რამეს წაახდენდა, პასუხს სხვა ავებდა, სხვის კარგს კი ეს მოითვო-
ნებდა. ახლა ასეთებს მთავრობამ ბოლო მოუღო და მე რა ვქნა, სიმართლეს ვე-
რაღის დაუეკარგავ.

თუქუნა — თქვენ ცდილობდით მას ციციანო გააკოლოდა.
გერასიმე — დიახ, ახლაც არ ვაგდებ ფარ-ხმალს. და თუ ციციანოს შეგობარს ხართ, თქვენც
დამეხმარეთ ამ საქმეში.

თუქუნა — გიტყობათ, დიდ პატრეს არ სცემთ და რატომ ზრუნავთ მის ბედზე?
გერასიმე — ეჰ, ეს თქვენ კი არა, ცოლს ვერ აეუხსენი. ჩემ მტერს ჩაუვარდა ლაფში მღარ-
ველ-შეგობარი. ხელს ვაუწოდებ — გსერის, გაემცევი — მოლაღატის ლაჭა
გეცხება. ზემი შეუღლე იმ იმედით გამომყვი, ლოპიანე მიცავდა, ახლა კი მე-
ლიტინება, ვეღვან ხელი შეუშალე და მის ცოლს მიღვე შესატყველადო. ეს
საქმეა? ვინ იცის, ძველი მეგობრებიდან რას შეთხზავს, რა კაცს მოგვდებს, რომ
თავის ლაფში ჩაგითაროს.

თუქუნა — ასე შეატრია მისი პირველი ცოლი — ზომ ვაათაეებს?
გერასიმე — არა, ის ქალი უმწიკელია, მისთვის ვერ შეეგუა.

თუქუნა — მაშ, რად გგონიათ, რომ ციციანოს შეეწყობოდა?
გერასიმე — ზეფორე და ლოპიანე ერთად ქვა და კირია. — ოჯახს გაამაგრებენ. ციციანოც
ამარბამებს და მეც მომეშვებიან.

თუქუნა — თუ ეს საქმე ჩაშლილია?
გერასიმე — ო, მინდ თუ მოეწეა კლდი, ბრმახვითი ჩაგვიძიდებს ხელს, ჩემზე უარეს წყვიარაში
ზეფორეს ჩაიტანს და დედის წახდენა ხომ ციციანოსაც გაამწარებს, ამიტომ რო-
გორც მეგობარში, ურწინდო სიხარულით გაცეცხ.

ჟუჟუნა — ციციონზე იმედა დაიწერეთ. ის სხვისია, — თქვენ შეუძლებს კარგად ურჩევია, ცოლ-შვილთან შეირიგეთ.

ჯერასიმე — ესეც არ ბერსდება. (იხედება) აბა, ისევ მობრუნდა, აღბათ, გაღიზიანებულია და ცოტა ხანს გაეცეკვება. — თქვენ გთხოვთ, დაუცადოთ. მხოლოდ, ცხარეს ნუჭერს ფერს ეტყვიოთ.

(ჯერასიმე მიდის)

ჟუჟუნა — (მარტო) ჩანს, თორნიკეს საქმე წაღმა მობრუნდა. ო, რა სიამით ტოკავს გულა. — შე თუ დავიჩაგრე, მეგობრების ბედმა მაინც გამახაროს.

(შემოდის ლომიანე)

ლომიანე — ეჰ, ჟუჟუნა, რა ჰქვიანი ქალა ხარი შენ ჩემ დროს არ ყოფილხარ ჩემთან?

ჟუჟუნა — როგორ არა, მთელი კვირითობით ვყავი ატუბული თქვენს კარებთან ქმრის ბედის გასაგებად, მაგრამ ვერ შოვალწივ.

ლომიანე — ოო, კვირითობით იღვიე და მაინც ვერ მიაღწიე! ამაში იყო ჩემი ვაჟკაცობა. — რომ ვერ მიაღწიე...

ჟუჟუნა — ვერა.

ლომიანე — ესაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნახავს, სიბერეს ნუ ნახავსო. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ დღებერდი, არა, ისევ უნა დამაბრუნეს. შენც მიატოვე, ჟუჟუნა, იმ კარებზე აკუნია. ჩვენ ახლად ვიწყებთ ცხოვრებას და მე ზელს ვიწვევთ. — კომისიამ რა დასკენაც არ უნდა გამოიტანოს, თორნიკეს ვანიჭებ ნიჭიერ ოსტატის ხარისხს. სამაგიეროდ, შენც თანაგრძნობით მომეცეკვე.

ჟუჟუნა — რას მთხოვთ?

ლომიანე — დღეს ზეფორე ჩემი და ციციონს ქორწილს აწყობს... მე თანახმა ვარ, — ციციონოც. მაგრამ შენ მასზე ძალიან დიდი გავლენა გაქვს, ვატყობ, ყველა ზრახვის გიზიარებს და მტრულად ნუ მომეცეკვე.

ჟუჟუნა — აბა, თქვენ გინდათ ციციონს შეირთოთ და მთხოვთ ზელი არ შეგიშალოთ, არა?

ლომიანე — ამასთან, სიტყვას გაძღვე, თორნიკეს ყველაფერს ევაბატებ.

ჟუჟუნა — ეს საკითხი გადაწყდა.

ლომიანე — გადაწყდა?

ჟუჟუნა — დიახ, გუშინ.

ლომიანე — პო, გუშინ მომივა სიტყვა. მხოლოდ მე მიინდა დღეს დამთავრდეს. შენ კარგად იცნობ მის ზრახვებს.

ჟუჟუნა — დიახ.

ლომიანე — მაშ, აქ თუ ამოვიდეს, მაცნობე, ხომ არ შეუცვლია გუნება.

ჟუჟუნა — როგორ შეიცვლის!

ლომიანე — აბა, მე კომისიისათვის წარდგენილ მოსყენებას შევარბილებ.

ჟუჟუნა — ჩვენ სიმაართლეს გთხოვთ, მეტს არაფერს.

ლომიანე — სიმაართლის საქმე ასეა: მექოთნე ქოთანს ყურს საითაც უნდა, იქით გამოაბამს.

ჟუჟუნა — ქოთნის რა მოგახსენოთ, მაგრამ კაცს ისე უნდა ჰქონდეს ყური გამობმული, რომ სიტყვა სწორად ესმოდეს, — მგონია, ჩემი ვერ გაიგეთ.

ლომიანე — მესმის, საიდან რეკავ. გეფიცებ, შენ და თორნიკეს ერთი ორად გადაგიხდით.

ჟუჟუნა — ეს საქმე გათავებულია. (პირებს წასვლას. შეჩერდება) აწი ვერც დაგეხმარები და ვერც ზელს შეგიშლი. რადგან ციციონი უკვე...

ლომიანე — (გააწვევინებს სიტყვას) თუ ზელს არ შემიშლი, ჩემთვის ესეც საკმარისია. გმადლობთ.

ჟუჟუნა — (თავისთვის) ციციონსაგანაც უკულმა გავგია და ჩემგანაც ისე ესმის. პო, გერასიმემ მთხოვა, ნუ ვაუცხარებო, — რა ვუყო, როგორც უნდა ისე ვაუცხარებ.

(ჟუჟუნა მიდის. შემოდის ქისტოპტორე და ბეჟანა)

ქისტოპტორე — (ჩუმად ბეჟანს) აქ მარტო ლომიანეა.

ბეჟანა — ქირს წაუღია. მაგის გასაბერად ემზადება ზეფორე, მაგრამ სუფრაზე ნახავს, ვინ შეიშნობს უკეთესად. ჭერ არ უშლია გააწყოს ნიორ-ნიორება. შე კი ციციონს საძებრად გადმოგავდო.

ქისტოპტორე — ის ეუფუნას გაყვოლია.

ბეჟანა — მაშ, მე ქალიშვილს მოვძებნი, შენ კი მაგას მოეფლიდე, როგორც გჩვევია (პირებს წასვლას)



ლოპიანე — (გადედლობება) პატივცემული ბეჟანი

ბეჟანი — არ მცალია (ქისტოსტორზე) ეს მოკისალმება ჩემს მაგიერ.

ლოპიანე — მაღალ თანამდებობაზე ვიქცე, მაგრამ კაცის საღამო ასე აბუჩად არ აბიჯდება.

ბეჟანი — ის თანამდებობა აუგდით, სადაც შენ დაგსვენს.

ლოპიანე — (მუქარით) არა უშავს, კიდევ მომიბრუნდება ეამი.

ბეჟანი — რა ღროც არ უნდა დადგეს, შენს წარსულს ზურგს შეაქცევს.

ლოპიანე — (ცილოს იცვლის ცბიერად) გაკვირვებული ვარ, რა მოხდენილი ხუმრობა იცი. ბეჟანი, და რა ბრძენის სახე გაქვს.

ბეჟანი — ო, ეს სხეი ვალობაა. შენ სული გაქვს მუქი, მაგრამ თვალში სინათლე არ გაკლია.

ლოპიანე — თქვენს ღირსებას ბრძაყ დინახავს, პატივცემული ბეჟანი.

ბეჟანი — არ მცალია, თორემ მასეთ საკენჭით თავის შექცევა მსიამოვნებს.

(ბეჟანი მიდის)

ლოპიანე — ისეთი ძაღლია, რა ტუბილადაც არ უნდა დაუწრებუნო, მაინც ვიკებნს.

ქისტოსტორე — თანდათან აიწყვიტა, მაგრამ კიერი არ მოგვამოს, ის ბიჭები ხომ რიგინად მოთურგნე, აქ რომ თავი წამოყვეს?

ლოპიანე — ისინი... (თავს უხერხულად გრძნობს) კო, შენ ეს მითხარი, ზეფორე როგორ მყავს?

ქისტოსტორე — მოვეშზადით და იმ დიდ კაცს გულის ძგვრით ველით.

ლოპიანე — არა, იმ გვარებზე ნაწყენი ვარ.

ქისტოსტორე — მაშ, მარტო მობრძანდებით?

ლოპიანე — მარტო არა, მე ყველგან დიდი ძვალმეიჩი მახლავს.

ქისტოსტორე — ჩვენც იმ ძვალმეიჩად გთვლით. მიხარია, ციციოსთან რომ შეთანხმებულხარ და ზეფორე დღეს ვაბარებს ხელში.

ლოპიანე — გაგიცხადეს დედამ და შეილმა?

ქისტოსტორე — ზეფორემ სიხარულით გამინდო. — ციციოს ვეძებ მიულოცო.

ლოპიანე — ეს ასეა. შენ ახლა ბეჟანი შეიძციე, არ აყვფდეს.

ქისტოსტორე — კი, ბატონო, როცა ვაივებს, ტუნის ასაყრავს მოუნახავს.

ლოპიანე — მე გვარსიმეს შეეახებრებ.

(ლოპიანე მიდის. ქისტოსტორე აპირებს წასვლას. უცბად შეჩერ-

დება, უკან დახევს).

ქისტოსტორე — ო, ეს ხომ გვარამია! ა? ყუყუნას ქმარი... ყუყუნას ქმარი... უი, ფილიმონეა რა ქარმა ვადმოავლო ესენი. კარგი ტაბლაყვრები კა დახედებით, — ამითი ამბავი მთელ სოფელს ააშრობებს.

(შემოდიან გვარამი და ფილიმონე)

გვარამი — ჩვენს დანახვაზე ქისტოსტორე აწრიალდა.

ფილიმონე — რატომ, როგორ გგონია?

გვარამი — ილბათ, ცუდი ამბავი იცის და შეყრა ეძძიმება.

ფილიმონე — ქისტოსტორე-ბატონო!

ქისტოსტორე — რაცა მეცნობილებით და...

ფილიმონე — ვითომ, ვერ მიცანბი არ მჭერა, — კაცის ხორციელი სახე ისე არ იცვლება, როგორც გული.

ქისტოსტორე — უი, ფილიმონე ხარ, შენ დაღუბულო? მას აქეთ, შენ კი არა, სამი რქული დამაფიწყდა, ეს ნაღდად გვარამია.

ფილიმონე — დიახ, ჩვენა ვართ.

ქისტოსტორე — საიდან, თქვენ უბედურებო!

ფილიმონე — სოფლის პირად მგზობელი შემხვდა და გამიხილა, რომ ჩემი ქოხი იღებულა და ვაეები აქეთ არიან ქარხანაში... ამის გაგონებაზე გვარამსაც გული დუშინდა, ვერ ბედავს უცბად მიადგეს კიშკარს, არ იცის, რა დახვდება.

ქისტოსტორე — ეპ, რა გიხბრათ, შენ იქ ცოლი შეირთე, არა ფილიმონ?

ფილიმონე — რას ამბობ, ამდენი წელაწაღია აბედოვით ვიწვები ოქახის დარღით.

ქისტოსტორე — ვილაღამ მოიტანა ამბავი.

ფილიმონე — იმ სიშორიდან მუტი არაფერი არ ჰქონდა იმ მკვდარძაღლს წამოსაღები?

ქისტოსტორე — მაშ, ტყუილია?



- ფილიმონე** — ეჲ, ქორიეთ რომ სიძარტლე ვრცელდებოდეს, ქვეყანას რა უჭირს.
- ქისტოსტორე** — გვარაშუე, სულა ცოდვილა, ვერაფერი გავიგეთ.
- ფილიმონე** — ერთად ვიყავით.
- ქისტოსტორე** — ერთად?
- ფილიმონე** — ჰო, ბარემ გვითხარი, რად იცი, ნუ გეწევალებ.
- ქისტოსტორე** — შენი მეტლე მთელ წელიწადს იწევა საავადმყოფოში, ზოლოს ენახე გადადებული იყო... მხოლოდ სიყვდილი არ გამიგონია. თუმცა, რა ვიცი, შეიძლება გავიგონე და დამეფიწევა.
- ფილიმონე** — შეილება ცოცხალია?
- ქისტოსტორე** — კი, ამ ქარხანაში გამოგვზავნეთ. ის ქოჩი წაიქცა. ეზო კოლექტივს შევეუბრეთ. გადახნულია. მე ნურაფერს დამაბრალებ, თუ კაცი ხარ.
- ფილიმონე** — მაშ, ვინ დამაქცია?
- ქისტოსტორე** — მაგას ჩიტაც ვერ გეტყვის.
- ფილიმონე** — ეჲ, ვასაკითხი რა მაქვს, როცა აშკარად დამტევა ზეფორემ.
- ქისტოსტორე** — არა, ზეფორეს აუცი არ გამიგონო, თორემ ცეცხლი შემენთებდა. ის ჩვენი წმინდანია.
- ფილიმონე** — ნეტავ, შეილება მაინც ენახავდე, თუმცა რა პირით ა, აღბათ დაკაცდნენ?
- ქისტოსტორე** — რა ვიცი, უპატრონოს ისეთ კაცად რა გავრდის, რომ მაშას გუხზარდეს.
- გვარამი** — ეფუქნასუ ნურაფერს შეტყვი.
- ქისტოსტორე** — არცაა საკითხავი.
- გვარამი** — არაა ცოცხალი?
- ქისტოსტორე** — ცოცხალიცაა და აყვავებულიც, მაგრამ პატრონი ჰყავს.
- გვარამი** — ოთ!
- ქისტოსტორე** — რაზე გეცვალა ფერი?
- ფილიმონე** — რას იზამ, ჩემი ცოლი მთლად გადადებულიაო.
- ქისტოსტორე** — არა, შენ, ფილიმონე, გაიკითხე, ეგებ გადაარჩა. ეფუქნას დაკავშირება კი იმ ქაბუტან ნამდვილად ვიცი, მე და ზეფორეს ერთად გამოგვიტყდნენ და გონთოვეს ქარხანაში მოგვეყუო, რადგან უსაქმურ ბიჭთან დაქორწინება ერცხენებოდა, ჩვენც შევესრულეთ თხოვნა.
- გვარამი** — სიყვდილის პირიდან, შეიძლება აღდამიანოს მობრუნება, სამარცხენით საქმიდან — ვერა.
- ქისტოსტორე** — გეფიცებით, არ მიხარია, ასეთ ცუდ ამბავს რომ გახვედრებთ.
- ფილიმონე** — არ ვიხარია? შენი კილო წინანდელს არ ვაგს, ქისტოსტორე.
- ქისტოსტორე** — ეჲ, ის ენა, შენთან რომ ტბილად ვატრიალებდი, მომთხარეს და სხვა ამოვიფიდა.
- ფილიმონე** — მაშ, ეგება, შენი ხელიც ურგვია ჩემ კარ-მიდამოს გადახვანაში.
- ქისტოსტორე** — კი ურგვია, ესეც მართალია, მაგრამ კიდევ რომ ვიგნა სივლახე, მე არ დამაბარალო... სიყვით რომ გავიგეთო, მადლობას ნუ შეტყვი, — არც ეს იქნება ჩემგან.
- გვარამი** — მაშ, რა კაცი ხარ?
- ქისტოსტორე** — ჰმ, ისეთ სარკეს თუ მიშოვი, ჩემი ნამდვილი სახე დავინახო, საცხოვრებელს მოვდივარ.
- გვარამი** — მაგ პასუხით მარტო შენს თაეს კი არა, ყველაფერს დამსინი, არც ვეცაკობაა შენგან მოსალოდნელი.
- ქისტოსტორე** — უჲ, ვეცაკობა არ დამწამო, ისე მოვთვინიერდი, ბელურასაც ვერ გავუბედავ, უთხრა არწიგზე ნაკლები ხარ-მეთქი, თუმცა, ჩემ გულში, თითონ არწიგს ბუზად არ ევადებ.
- ფილიმონე** — რამ წავახდინა ასე?
- ქისტოსტორე** — მკითხე, რამ მოგიყვანა ქუეხუ-თქო, — ცხოვრება მინდა.
- გვარამი** — არა, ისე არ წახდარა ქვეყანა, მარტო შენისთანებს ეცხოვრებოდეს.
- ქისტოსტორე** — როგორ-თუ წახდარა, მაგ არ გამიგონოთ, ქვეყანა წინ მიდის, მხოლოდ თქვენი ცხოვრება მოიშალა და მე ტყუილად კალთაზე არ ჩამავლოთ ხელი, ვერ გიშველით.
- ფილიმონე** — არც ვიხივო, რომ მწყუროდეს, შენგან წყალს არ მივიღებ.

- ქისტოსტორე** — რატომ, — რომ დამავალონ, ჩემი ზელოთ ედემს მოგაწყობთ, მაგრამ...
ორმოს გათხრა თუ მიბრძანეს, რა თქმა უნდა, იმასაც ვაჯიყობებ...
- ფილიპონე** — კარგი მეზობლობა.
- გვარამი** — კი.
- ქისტოსტორე** — თუცა, ერთი იმედი: იმ ბიჭს, ვინცე ეუფუნამ გავცევა, გვარამ, აქ მუშაობა ჩაუფლავდა. კედლის გაზეთშია გაკომელი და ეგებ ახლა დამილოს მათი კავშირი. აქ წარმატებას მოელოდნენ და დღეს ამაზედღენ ზეიმით ქორწინებას. შე, რასაფრეველია, მირჩევნია შენ დაგიბრუნდეს ცოლი, კირში გამოვილი ხარ. ბევრი ვერის წიხლი მოგიმინია და უფრო გამოამადებები, ის ბიჭი კი თავზეხელაღებულია.
- გვარამი** — არა, უმალ ცოცხლად დაემარჩები.
- ქისტოსტორე** — შე, აბა, რა გიყავთ. ვაცნობეთ, რა კაცანათში ხართ და თავის გამოხსნა, თქვენი ჭკუის და უნარის საქმეა.
- (ქისტოსტორე ვადის)
- გვარამი** — დამშვიდდი, ფილიპონ, — შეილები მაინც დავგუდა.
- ფილიპონე** — შენ ჭკუა მოგივიდა, რომ ჭილდოთი ჩამოდი. უყვთეს ქალს იშვიო.
- გვარამი** — ქალა ხომ ნიეთი არაა, ქუჩა-ქუჩა თვალთ ეძიო?
- ფილიპონე** — აბა, სულმა და გელმა ხომ ზედაე, როგორ მოგატყუა, სული ცრუა, ხორცს კი თვალთ მაინც ზომავ.
- გვარამი** — ვალაც ქალებია.
- ფილიპონე** — ის არ იყოს?! მგონია, ასე თქვა, აქ იმდღერება იმ ბიჭთანო.
- გვარამი** — დაიცა... პო... თანდათან ვცნობილობ.
- ფილიპონე** — ის არის?
- გვარამი** — ისე დაქალებულა, გაბადრულა... რა ნამუსით აფრავებია სახე ამ უტიფარს.
- ფილიპონე** — რას იზამ, სული და ხორცი სხვადასხვა კერძით საზრდოობენ.
- ციციანოს ხმა** — რამდენად ჩემთვის თენდებ და ვიხარებ, ეუფუნა, იმდენად გული მწყუდება... რომ შენ ისეე მწუხრში ხარ.
- ეუფუნა ხმა** — როგორც ცისკარი სიბნელეს, ისე ამოებს ყოველ მწუხარებას სიყვარული.
- გვარამი** — სიტყვა-პასუხი პატიოსანი შეგარჩენია, მაგრამ ის მოკვდა და ეს სიტყვა მკვდრისაგან ნაქურდლად ჩანს შენს პირში.
- ციციანოს ხმა** — უი, ლობიანე და გვარამი შეგიმართებთან, გაეწიოთ.
- გვარამი** — გესმის, ელიცას გაეირდნენ და ჩვენც ავგმორდნენ.
- (გვარამი და ფილიპონე მიდიან, შემოდის ლობიანე და გვარამი)
- გვარამი** — ვაიგე, რა დასკენა გამოიტანა კომისიამ?
- ლობიანე** — კი.
- გვარამი** — გამოგონება თორნიკეს მიაყუთუნეს. ასეა... ნუ შეშვოთღებო, ლობიანე, თუ ვაჯიყი ხარ, იტანე.
- ლობიანე** — შენ, მათ სასარგებლოდ მივიცია ჩვენება.
- გვარამი** — გეფიცები, არაფერი არ შემეძლო. რა ვქნა, ახლა ისეთი დროა, სიმართლეს მკაცრად მოითხოვენ.
- ლობიანე** — წინათ შენ თვალში, არაფერს, ჩემს წინააღმდეგ მიმართულს სიმართლეს არ ვერქვა.
- გვარამი** — სწორია. შენ და სიმართლე ჩემთვის ერთი იყავით.
- ლობიანე** — ახლა რა პეპელა გაგიჩნდა თავში?
- გვარამი** — გეფიცები, ისეე მიყვარხარ.
- ლობიანე** — კარგი სიყვარულია, — როცა ვამიჭირდა, იმ წინააღმდეგთან დინახე სიმართლესთან მამოშვინებ, სხვა დროაო.
- გვარამი** — რა ვქნა, როცა ყოველ ამინდთან ახალი სიმართლე იბადება.
- ლობიანე** — მაშ, მთლად გაწირული ვარ?
- გვარამი** — არა, იმ დღემა კაცმა დამავალა გადმოგცე, რომ სხვაგან უფრო დაბალ თანამდებობაზე იქნები გამოყენებული.
- ლობიანე** — თუ ჩემს დარგს მატარებინებენ, სადმე პატარა ჭკუფის ცოდვა-მადლის გამოთხოვად მაინც დავენიშნე.
- გვარამი** — რას იზამ, ჩემო ლობიანე.

ლოპიანე — წინათ, თუ რამეს ამოფარქვევდი პირიდან, მეცნიერებს მივზავნიდნენ, — აბა ახსენით მისი სიბრძნე და ხალხს გაავებინეთო, ახლა კი იმ მეცნიერების სისულელეებს მე მაწერენ და კისერზე ძალდი დამაკლეს. კალდე კარგი სხვაგან გავიმარჯვე, თორემ სულ დავიღუპებოდი.

ვერასიძე — სად გიმარჯვე?
ლოპიანე — ზეფორეს ოჯახში. ციციონზე ვეორწინდები, დიდხანს ითმინა გოგომ და ერთბაშად შევეუყვარდი.

ვერასიძე — ო, ეს შენთვის ბედნიერებაა.

ლოპიანე — აბა, ერთ დროს ზეფორე ამკარა მხვეჭელობისათვის კინაღამ დაელუბე, მაგრამ ქალიშვილს ისე ოსტატურად მახარებდა, დავხოვე და ახლა გამომადგა.

ვერასიძე — ჭოგოხეთში ჩავგადღეს, მაგრამ სამოთხის ხერხელი გიპოვნია.

ლოპიანე — საეჭვოა. ერთ ქალიანი სამოთხე ჭოგოხეთად არ იქცეს, მაგრამ იმდენი მოხერხება მაქვს, საკენეს გვამ და მახვში თავს არ ვყოფ. ჭერ ზეფორეს საბუღარში მოვლონიერდები დაბტყენილ ფრთებს წამოვიზრდი, მერკე, თუ ბედმა გამიღიმა, ბუღეს მივანგრე და ზვეით გავფრინდები. აბა, მის კალთაში მოვათავებ ცხოვრებას?!
ვერასიძე — კი არ მოათავებ, მანდ იწყებ ახალს.

ლოპიანე — პო, დსაწყისისათვის ფუძედ ვარგა. ზოგიერთები ახლა მიბღვერენ, სამშობლოს პატრეს არ ცემილიო. იქ ხალხს მიუღერსებ, სუფრას სუფრაზე მოვიდგამ, პატრიოტულ სიტყვებს დავიფრქვევ, რა შენაღვლება, მეც შევიყვარებ სამშობლოს, თუ ჩემთვის ჭობს.

ვერასიძე — რატომ არა, კარგი მომთმენი ქვეყანაა.

ლოპიანე — გულმოწყალე სამშობლო გვაჭვს, თუ სიტყვით მოედერები, შენგან კი არ მოითხოვს მსხვერპლს საბუთად, თითონ შეგეწირება.

ვერასიძე — სულ სწორია.

ლოპიანე — მე კი, თუ პატარა კერბად მიინც არ დავექვტი, ვერ მოვისვენებ.

ვერასიძე — ნათქვამია, შეჩვეულს ნუ მოაკლუბო.

ლოპიანე — ასეა. თუ ჩემ სამშობლო წყალში კაცის ცხვირიდან ერთი წვეთი ძმარი არ ურევია, გული არ ღებულაშს. მე ადამიანი ვარ, ნადირი ზომ არ გავჩენილვარ, სუფთა წყალს დავეწაფო.

ვერასიძე — ჭერ გამოშუშდი, ლოპიანე, მე მისთვის გილოცავ ბედნიერებას, რომ შთაღმშრალზე იყავ დარჩენილი.

ლოპიანე — ახლა იმ მოყრიაღებულ დარბაზში საესე სუფრა იმლება, ფართო ლოგინი იგება. ყველაფერი ჩემია: ქურჭელიც, სახლაც და ქალიშვილიც. ჭერ-ჭერობით ეს ჩემთვის ნანატრია.

ვერასიძე — ახლავე მიადგეტი.

ლოპიანე — მაშ, დამამშვენე. ორიოდღე მლიქვნელიც წამოიყვანე, ბურის ჰემას გემო მისცენ. ცოტა შენც მომელაქუცე ხალხში, თბივეს ღირსების ასაწვეად.

ვერასიძე — მოეფრინავ, ლოპიანე.

ლოპიანე — მაშ, მანქანაში გელოდები.

(ლოპიანე მიდის)

ვერასიძე — (მარტო) მართალს ვეუბნება ცოლი, მონღუსული უჯახარო. ასეა, თორემ მის ბორთ ზრახვებს სხვა პასუხი ვკადრებოდა. ამ ქორწინში ვაუყუები, გადაულოცავ ზეფორეს და მორჩა, — სათოფეზე არ გავეყარები.

(ვერასიძე მიდის. შემოდინა: ეუფუნა, ბეჟანი და ქისტოსტორე)

ეუფუნა — რამ აგადლეუთ?

ქისტოსტორე — ციციონო არ წანს გუშინს აჭეთ.

ბეჟანი — შენთან გვეგონა.

ეუფუნა — დიას, ერთად ვიყავით.

ბეჟანი — მეტე, სად არის?

ეუფუნა — თავის გულის ვარდთან.

ბეჟანი — მე ციციონზე გვეთხები.

შუშუნა — ციციანო გუშინ ჭორწინებაზე შოაწერა ხელი თორნიკესთან. არ იციო?

ქისტოსტორე — თუ ქალი ზარ, ნუ გვეხუმრებო.

(შემოდინა თორნიკე, ციციანო და ბახუტა)

ბეჟანი — საიდან მოძვრებით ყველის ნაჭამ კატასავით.

ციციანო — (მორცხვად) ჩვენ, მამა, დაგქორწინდით.

ბეჟანი — ეჰ, მაგოდენა პიშიპილი ჭამე და პირს შაქრის ნაჭამივით იტლიკავ!

ქისტოსტორე — ვაი, შე საწყალო ზეფორე, ვის დაუბე საქორწინო ლოგინი და შიგ ვინ შეგორდა.

ბეჟანი — აი, ახლა კი აფფეთქლები. — ამის სიკვდილამდე ვერ გაბატოებო.

ციციანო — რატომ, მამა, პირველად შენ არ გვიჩივი!

ბეჟანი — მერე, რა მიპასუხებო, შეიძლება უფროსის ასე გაცურება, ისიც ბეჟანის?

ციციანო — არა, მხოლოდ შერე დაფეფქრდით შენს რჩევაზე და დაგიჯერეთ. (თორნიკეს ჩემად) დედას რა უყუოთ, თორემ ამის ადვილად დავემოწინებო.

ბეჟანი — მამ, ჩემი რჩევით გადაწყვიტეთ?

ციციანო — დიხ, მამა, ხომ გახსოვს, თქვენ თითონ რამდენი გვეხეწუეთ, როგორ გვთხოვეთ.

ჩვენც... აი... ხათრი ვერ ვაგვიტებო.

თორნიკე — დიხ, რასაკვირველია.

ბეჟანი — ჭორწილი რატომ გამოშაპარეთ?

ციციანო — უცბად მოხდა.

თორნიკე — ო, ეს უხეშად მოგვევიდა.

ბეჟანი — შენ ბოდინს იხდი?

ციციანო — დიხ, შენს წინაშე, მამა, ორივე ბოდინს ვიხდიო.

ბეჟანი — მთხოვო, გაბატოთ? ვოცი, ფეხებსაც დამიკოცნით.

ბახუტა — რომ აპატიოთ, გადაირგვიან სიხარულით.

ბეჟანი — კარგი, მეორედ მასვთ საქმეს ვერ გააკეთებთ და ამ ერთს გაბატოებო. იყავით ბედნიერი და არ დაგაფეფქრდით მამის სიუფარული და მისი მათრახის პატრონისკენა.

ციციანო — ახლა გხედავ, მამილო, გულით მლოცავ, მხოლოდ შენი მათრახი რომ არ მახსოვს!

ბეჟანი — ორივეს ერთად ვაგვიტებო.

ციციანო — ერთად სიცილით გადავიტანთ.

ბეჟანი — უყურე ამ ტურებს, ისე გაბარებელი არიან, შექარას ყურშიც არ უშვებენ.

ციციანო — მართლაც, რომ არ გვრცხვენოდეს, ტურებივით ვიკეულვდით სიხარულით.

ბეჟანი — მამ, გახსოვდეთ, მე ვადაგაფეფქრინეთ ეს საქმე, თორემ თქვენ ვერც მოიღებოდით. რად განუძღობო, ხომ მართალია.

ციციანო — მართალია, მამა. ასეთ საქმეს პატარა ჭკუა არ ყოფნის.

ქისტოსტორე — მე და ზეფორე რომ ვადაგაფეფქრეთ, შუშუნა არ გახსოვთ!

შუშუნა — ვაი, რომ ვერ დაგსაყე!

ქისტოსტორე — რატომ, რას მერჩი, შე უღმერთო! მედამ დასავით გიყურებდი, ბროლივით შეგინახინე კარ-მიდამო, სულ ვაჯაილებდი, ქმრის საბუღალსთევის არ გელაღატა, თუ ხანდახან ვაგეხუმრებოდი, ვანგებ წაფლიოდი, რომ გამოდხიზლებულიყავი და პატოსნება დაგეცე. შენ კი იმ ტუულით დღეს გამაწითლე.

შუშუნა — ეს ხერხი შე არ შემეფერებოდა, მაგრამ შენგან სული მოვითქვი და ციციანოც და თორნიკეც ვიხსენი ზეფორესავან.

ქისტოსტორე — ეჰ, მე გამომიყვანე მექორე იმ კაცთან, თორემ შენ ისეთი ბედნიერება მოგაღდა მიწაზე ფეხს არ დააკარებო.

ბეჟანი — რომელი ბედნიერება?

ქისტოსტორე — იციო, აქ ახლა რა სასწაულს წაგაწყედი, გვიარამი ენაბე.

თორნიკე — რაო?

შუშუნა — გვიარამი?

ქისტოსტორე — დიხ, შენი ქმარი.

შუშუნა — საკუთარი თვლით ნახე? ჩემი გადარევა ხომ არ გინდა.

ქისტოსტორე — მეთხა შენი ამბავი და მეც ისე მოვეუყუეო, როგორც შენგან ვიციოდი. საქმარო ყავს მეთქი.

შუშუნა — მერე სად არის, ხომ არ ვადამიკარგე ამ ქვეყნხდან!

ქისტოსტორე — არა, ეს-ესა თვალი მოგყარი... აი, — შენერდა, ეს გვიარამია.



თორნიკე — (იხედება) ესაი?

ჟუჟუნა — გვარამი!

ციციო — ნუ კანკალებ, ჟუჟუნა!

ჟუჟუნა — ის არის! გვარამი! ის არის! (აპირებს წასვლას, წაბარბაცდება, წაქცევა) მიშველეთ, ფეხები გამომაბით. (ერთად მიდიან მოგელი და ბახუტა, ეხმარებიან ჟუჟუნას)

ციციო — შეხვდნენ ერთმანეთს.

თორნიკე — ხალხის შერცხვით. ყველას გაერიდნენ.

ციციო — საღ მიიმაღნენ?

ქისტოსტორე — აი, ეგერე კუნჭულში.

თორნიკე — ასეა, ადამიანები მწუხარებას ყველას უზიარებენ, ბედნიერებას კი კუნჭულში განიცდიან.

(შემოდის მიჭუჭუნე)

მიჭუჭუნე — მომილოცავს თორნიკე. ყველა ბატონისა კაცს გაუხარდა ზიმართლის გატანა.

თორნიკე — (მიჭუჭუნეს) შენ კელის გაზეთში ისეთი ამბავი დაწერე, მთლად აგაფორიაქე და ახლა გვეფერები?

მიჭუჭუნე — შე იმ წერილებზე უარი ვთქვი.

ციციო — მერე, არ გეშინია პასუხი მოგახოვონ?

მიჭუჭუნე — არა, პასუხისგებაში ლაუზობისათვის აძლევენ ის კი მლიქვნელობად ჩამოთვალეს.

ბეჟანი — ყველა სოცლაზეცა სისჯვლა.

მიჭუჭუნე — მაგ შე მეთხებ, მლიქვნელობა, ზეპირიც და დაწერილიც ყველა საქონელზე მომგებიანია.

ბეჟანი — (ციციოს და თორნიკეს) ჩემი კალთის დაფარება მიინც გპირდებით. ზეფორე ისეთა ჯიუტია. ახლაც ცეცხლზე ტრიალებს ლობიანეს შესახვედრად. (შემოდინა ჟუჟუნა და გვარამი. ციციო და თორნიკე ეგებებიან)

ციციო — ჟუჟუნა, როგორ გეცვალა ფერი (ციცინს)

თორნიკე — ბედნიერება გეუცხოვა?

(ქისტოსტორე მათ დანახვაზე უჩერებულადაა. აპირებს წასვლას.)

ბეჟანი — საღ მიხვალ?

ქისტოსტორე — იმ დიდ კაცთან. — ჩემსა და ზეფორეს ბედს ვცილობავ.

მიჭუჭუნე — (ვადაელობება ქისტოსტორეს) აქ რაღაც სხვა სუნი მცემს.

ქისტოსტორე — თურმე თვალი ავციხივის. გუშინ თორნიკემ და ციციანამ ქორწინებაზე ზელა მოაწერეს. დღეს ეს გამოჩნდა. სულ ყველაფერი გადამბრუნდა.

მიჭუჭუნე — ექ?

ქისტოსტორე — ამ დროს ლობიანე ზის ზეფორესთან საქორწილო შეფედ.

მიჭუჭუნე — აუ!...

ციციო — გაძებთ, ჟუჟუნა, იქ ლაპარაკით?

ჟუჟუნა — იმდენი გვაქვს სათქმელი, ყელში გამეჩხინა. (ტრის)

გვარამი — სირცხვილია, ქალო, დამშვიდდი.

ბეჟანი — მაგათი წამალია, სადმე კუნჭულში ერთმანეთს აკოცონ.

ჟუჟუნა — რომ ვაკოცეთ, უფრო აეტირადით.

თორნიკე — მეც მასე მომივიდა გუშინ.

მოგელი — შე და ბახუტა სახლამდე მიგაცილებთ. ჟუჟუნა.

ციციო — ყველამ გაეაცილოთ და დაეულოცოთ სახლ-კარში გახარება.

გვარამი — შე სახლ-კარზე უფრო მახარებს, რომ ამდენი მეგობარი დამახვედრად ჟუჟუნამ.

მიჭუჭუნე — მეც იქეთ მოვალ, ზეფორეს ჩემი ზენაწერები უნდა გამოვართვა.

ციციო — შენც — მამა, ჟუჟუნა ხომ მეზობლად ცხოვრობს.

ბეჟანი — ეს რა ლაპარაკია. ჩემი ქალიშვილი დაქორწინდა და სხვის ზემოში მიდის?

მიჭუჭუნე — შენსას, ბეჟან, ლობიანეა.

ბეჟანი — ჯერ მივალწიო ჩემ კინკართან!

ჟუჟუნა — მამ, შინისაყენ, კეთილებო!...

(ყველანი აპირებენ წასვლას)

(გარდა)

მოქმედება მართლში



- იგივე სურათი, რაც პირველ მოქმედებაში. სცენაზე ზეფორე და გერასიმე
- ზეფორე** — რა თაიფული შეუტრავს ლობიანეს. შე არც ვიცი, თუ ასეთი ვარდ-ყვავილები იზოვებოდა ჩემს წაღვრებში.
- გერასიმე** — ციციოს ემზი, ლობიანეს ბაღში ყვავილებს კი არა, ზღვაში მარგალიტებს გამოა-
დებნიან. ისე ვახარებელია, თითქოს ქილს პირველად თხოვლობს.
- ზეფორე** — რა რიგ გამაზნვეთ თქვენი მოსვლით, თორემ ციციო რომ არ გამოჩნდა, დაე-
ვეპედი, ეგებ, საქმე ჩაიშალა თქვა.
- გერასიმე** — ეს საიდან იფიქრე?
- ზეფორე** — გუშინ, თქვენგან რომ გამოვედი, ციციოს გადავუყარი: რადგან ლობიანესთან
შეთანხმებულხარ, ბარემ, დიდი კაცების წვეულება ქორწილად ვაქციეთ-თქვა,
მას სახე წამოუწილდა და მიბასუხა დღესვე ვიქორწინებ, ზიცოცხლედაც რომ
დამიქდესო.
- გერასიმე** — მამ, გაყვითბულა საქმე!
- ზეფორე** — შინ რომ არ დამხვდა, ვიფიქრე, ლობიანეს გაყვა ხელმოსაწერად-თქვა და სამზა-
ლის შეედევმა... მაგრამ აქამდე არა სჩანს.
- გერასიმე** — ალბათ, შეგობრებს იპატიებს.
- ზეფორე** — ახლა მგზობლებში ვაღმომპაზა, ეუფუნას ქმარი ჩამოუვიდა და იქ ტრიალებსო.
მეწყინა, რომ ასეთ დროს სხვებისათვის იცლის.
- გერასიმე** — შენი ზეფორაბაც ამაშია, გასაჭირში არ დაიბნევი.
- ზეფორე** — დასაბნევი რა მაქვს. ცოტა გულს შაკლია, ის დიდი კაცი რომ ვერ მასტურმრეთ.
მაგრამ, რაკი ციციო და ლობიანე შესმატკბილდნენ, აწი ქვითორივით ვაგზავრ-
დები შეგნადან.
- (მოისმის მხიარული ხმები)
- ალბათ, ეუფუნას მოყვრებია? ამ კონკრეტთან ჩამოვილიან.
- გერასიმე** — ო, ეხედავ!
- ზეფორე** — შემობრძანდით სახლში. თუ მათთანაა ციციო, ეახარებ რომ აქა ხართ. (გერასიმე
მიდის, შემოდინ: გვარამი, ეუფუნა, ქისტოსტორე, ბეჟანი, ციციო, თორნიკე,
მოგელი, ბახუტა)
- ციციო** — უი, დედოცო კონკრეტთანაა!
(თორნიკე და ციციო ცდილობენ ვინმეს ამოეფარონ).
- ბეჟანი** — ნუ გეშინიათ, შე მიყურეთ.
- ზეფორე** — სად ხარ, ციციო, წუხელის აქეთ გეჭებ. იცი, ვინ გეწვივა? ლობიანე!
- ციციო** — ის შენი სტუმარია.
- ზეფორე** — ზეინივით თაიფულით გიცდის...
- ციციო** — თითონ უსუნოს.
- ზეფორე** — რაო? ვის ეფარები... ეს თორნიკე არაა? სად მიდისარო? ო, ეუფუნა, გენაცვალე-
მომილოცავს, რომ ეს ქმარი მეორედ შეიძინე.
- ეუფუნა** — გმადლობ, ჩემო ზეფორე, ქმარი კი ერთხელ შევიძინე. დამლოცე, მეორედ არ
მომიანატრონ.
- ხმები** — ეუფუნა! ეუფუნა!
- ეუფუნა** — ჩვენები გეძახიან. დავწინაურდეთ და გამოგვეყვებიან.
- (ეუფუნა გვარამი, მოგელი და ბახუტა მიდის)
- აბა, ჩემო ზეფორე, რაღა დავიმალო, აქ ნანატრი საქმე გავეთდა, ძვირფასი სა-
მხარობლო მოამზადე.
- ზეფორე** — ვერ მითხარი.
- ქისტოსტორე** — თორნიკეზე არ, ასეთ შესანიშნავ ეაჯზე, გათხოვდა შენი ქალიშვილი.
- ზეფორე** — ა... (ყველას გადახედავს) გაჩუმდი!
- ქისტოსტორე** — მე თუ გინდა, ენას მოვიკვეთ, მაგრამ ხელი მოაწერეს ქორწინებაზე.
- ზეფორე** — როდის, ჩანაირად!
- ქისტოსტორე** — გუშინ.
- ზეფორე** — ა... ნამდვილად? მითხარი და მიშეეცე, თუ შეგიძლიათ.
- ქისტოსტორე** — რა გომეცლოთ, რამდენს იყვირებ უფრო შორს გადააფრენ.



- ზეფორე** — მგონია, მართალია, ამოიღე ხმა ვოკო.
- ციციო** — მართალია, დედოქო, მხოლოდ ეს მშამლაეს, შენ რომ შფოთავ.
- ზეფორე** — უი, ჩემს ვაჩენას, ამისთვის ვაფეხბირდი ამისთვის გველუბოდი თავს, შე კაპუტო.
- ბეჯანი** — ბედია და დაჭერდი.
- ზეფორე** — უი, რას მოვესწარი, გამაქავეთ, ყველამ შემბოქვეთ, თორემ ჩემ თავს რაღაცას ვეზამ!
- ბეჯანი** — ქოთანს ტირილით ვერ გაიმთვლებ.
- ზეფორე** — ვთქვით, ჩემი შეილი სულელია. შენ რა კუთით გაბედე მაგის შერთვა?
- თორნიკე** — შეც მაგისთანა სულელი ვარ.
- ზეფორე** — არა, ქონების სიხარბით შეუჩონდი, მაგრამ არ გაღირსებ.
- თორნიკე** — არც მინდა, პატივცემულა, ღმერთმა დამისხნას სხვისი ქონებისაგან.
- ზეფორე** — უი, როგორ მისხობს ყველაფერს. არა, ციციო, აღიარე, რომ ძალად მოგაწერი-
ნა ხელი.
- ციციო** — როგორ ვთქვა, როცა მე თვითონ დავაძლე.
- ზეფორე** — რა კუთით, დედა არ გყოლია მასეთი ხალოსი, არც შამა და მამინაცვალს გა-
მოემსგავსებ!
- ბეჯანი** — კი, მე მგაფს, სიტყვ ძნელი მომიყვანა, ჩემ ჰირს არ დაგდებს.
- ზეფორე** — დიდებში გამორჩეული, ჩვენი დამსახლებული, წარსულში ვეფხვი და მომავალში
მეცნიერი კაცი სახლში მოვიტყუე და ვინ აირჩიე? რა გავრთებს ამ ბიჭთან.
- ციციო** — სიყვარული.
- ზეფორე** — უი, სიყვარულით...
- ქისტოსტორე** — პო, ეს ისეთი სენია, ლოგინი თუ არ დაუბე ცულის ტარზე დაწვებიან.
- ზეფორე** — ქისტოსტორე, შენც უბას მიტყუე, ასე გამწირე?
(შემოდის ლოპიანე)
- ლოპიანე** — ციციო, შენი ტუბილი ხმა ოთახში მომესმა და არ შემოდიხარ. პირისანახეს
ხომ არ უცდი ჩემგან.
- ზეფორე** — უი, გამიშავედეს პირი
(შემოდან ძუძუნა და გვარამი)
- ძუძუნა** — გელოდებით, ციციო, თორნიკე!
- გვარამი** — მიგვაცილეთ სახლამდე, ნათელივით.
- ძუძუნა** — აბა, თორნიკე! (ჩააკიდებს ხელს)
- თორნიკე** — პო, წაიდეტ, როგორმე.
- ლოპიანე** — მოითმინე, ციციო!
- ციციო** — რა გნებაეთ?
- ლოპიანე** — ვის ეტმასნები, მაგ ქვეშ-ქვეშამ მადლობის მაგიერ ქარხნიდან ფეხი ამილაგა.
- ზეფორე** — რაო? ვინ ავილაგა ფეხი?
- ქისტოსტორე** — თორნიკემ გაიმარჯვა.
- ბეჯანი** — ჭიღლოზე წარადგინეს, როგორც კი დაელოცე.
- ქისტოსტორე** — კი.
- ზეფორე** — უი, რას არ გაიგებ ადამიანი!
- ციციო** — გუშინ თორნიკე წასაქცევად იყო და ბიჭვად ამოუვდექი, დღეს კი ფრთაზე შე-
მისვა.
- თორნიკე** — პო, ადრე გამართლდა იმედები.
- ლოპიანე** — იმედები, თორემ ძვალქიჩის ადგილზე არ დაჯდე.
- თორნიკე** — ჩვენ სჯამა კი არა, შესაფერს საქმეს ვეძებთ.
- ციციო** — ჩვენითვის შესაფერს, ხოლო ქვეყნისათვის სახარებლოს. ხომ სწორედ ვთქვი,
თორნიკე!
- თორნიკე** — ოქროა.
- ლოპიანე** — ეს რა გამართლებაა, ციციო; ერთ დღეში გამოიცილება?
- ციციო** — არ ვიცი; ნუთუ მეტყობა რამე. (სხვებს) მეტყობა რამე ერთ დღეში?
- ქისტოსტორე** — არაფერი, ბობია, რაც თვითონ იცი, თორემ ჩვენ ვერაფერს ვერ ვხედავთ.
- ლოპიანე** — მართლებს უსომ ზალამოს და დამწეარს არ შეკარებენ?
- ციციო** — რამ დაგწეათ, რამ დაგზარათ?
- ძუძუნა** — ლოპიანე, დამაგრული არა-და დამზავრელია კი მასსოცს.
- ლოპიანე** — ეჰ, ნეტავ, იმ ლოპიანეს ნახევარი ვიყო.



გვარამი — ღმერთმა დაგვიფაროს.

ბეჟანი — გვარამი უჩინელი იყავი.

ქისტობროვ — კი.

ლოპიანე — მლიქვნელები მქმნიდნენ უჩინულად.

გვარამი — ამ ბუნდოვან დღესაც მიმწარებს შენი უკანონობის გახსენება, კარგად ვიცნობ ძველქვეყნის.

ლოპიანე — ბუნდოვანი, თორემ ხელში შოლტს არ ატრიალებდე.

გვარამი — ისეთ შოლტის აღმართვამდე ხელი გამიხმვს.

ლოპიანე — შე კაცო, ახლა კი არავეს ვაფეთებ, ხილსაც თავის სიმკვებისა და დატყობის დრო აქვს. დღეს მარტო ამით ვნეტარობ, რომ ზეფორეს ოქანში შემოვდი და ციციანო გულის ვარდად დაშეკონება.

ზეფორე — ეჰ, ისე დაბრმავებულხარ, კიდევ ვერაფერს ამჩნევ.

(შემოდის შოგელი და ბახუტა)

შოგელი — თორნიკე გაეგვიბინეთ ზოგიერთებს შენი ამბავი.

ბახუტა — მოვეუყვებით, ლოპიანე რას გეპირებდა.

ლოპიანე — ლოპიანეს ძეალი დავესოთ გულზე.

ბახუტა — შენ არ შეგვეპატიოე ჩვენს ნაშრომზე?

ლოპიანე — კუთა რომ გქონოდათ, თითონ შემომამაჩვენებდით. შე დემად გადაუქცევი და თქვენც მოვითლოდით.

თორნიკე — ეიცო, რასაც მოგვაშავებდი.

ბახუტა — სხვის ზურგზე ვჩვევია გასუქება.

შოგელი — დღეს კარგი მუშები აყვარებენ სამშობლოს და არა შენისთანები.

ზეფორე — უი, რა ყოფილხარ, ლოპიანე!

ლოპიანე — შენც გამწირე, ზეფორე!

ზეფორე — აბა, წკვარამში ჩაგყვები?!

(შემოდან გერასიმე და მიქუტუნე სხვადასხვა მხრიდან)

ლოპიანე — რა ბრუალა ქამე, ზეფორე. არა, ციციანოს ნაზი გული აქვს, შენსათვის ვაუტანელი არ იქნება.

ბეჟანი — თორნიკეს უხაროდეს.

ლოპიანე — თორნიკესთან რა საქმე აქვს?

ბეჟანი — მიწი ქმარია. კიდევ ვერ გაიგე?

ლოპიანე — თორნიკე? ა. რაო...

ზეფორე — დიახ, წაიყვანა, — შეერთო ცოლად.

ლოპიანე — (თორნიკეს) ეს ქალიც შენი გამოგონება ხომ არ არის?

ბეჟანი — სიყვარული შენ მუცლის მოთხოვით გამოიგონე. ამით კი გულში ქვინდათ.

გერასიმე — ესენი, თურმე, გუშინ დაქორწილდნენ, ახლა გაიყვე. სად მომიმატირე?

ზეფორე — მე ვისთვისაც ვზრდიდი ქალიშვილს, კიდევ ჩავაბარე.

ლოპიანე — ქო, ასეა საქმე?

ეფუფუნა — დიახ.

ლოპიანე — მომკიდე ხელი; გერასიმე, აქედან შენი ნიგვზის ძირში მიმიყვანე, იქ საჩემო *ნიაგია სულ მომამბრუნებინე.

გერასიმე — იმ ნიგვზის ძირში შენი ყოფილი ცოლი ზის სტუმრად.

ლოპიანე — აი... აბა არ ყოფილა ჩემი სამშველი!

გერასიმე — არც ისეთი უსამშველო გვიხარ.

ლოპიანე — რა არ მჭირს, მთავრობამ გადმომაგდო, ცოლმა გამაგდო, თანამშრომლებს ევალებო, ხალხი წინაშე მიგებს... ძველი საყვარლები თუ შემდეგებენ, ტუნზე ფურთხს იყენებენ.

მიქუტუნე — შე ხომ გაფრთხილებდი: დრო დადგება, როგორც სისტემის ლოგინებს არ ახსოვთ, ზედ ვინ იწვა, ისე არ ემისოფრები საყვარლებს-თქვა...

ლოპიანე — იფ, რა მალამო წამისვი გულზე?... აქ ერთი სკყერი მაქვს, მანად დადგა ჩემი ქონება, წამოვიღებ, მანქანამდე მიმიაცილებ.

მიქუტუნე — მე მისთვის ამოვედი, იმ სკყერში ჩემი ხელნაწერებია.

ბეჟანი — სკყერში? ო, ის სულ მესობოდა თვალში; — საამოუნებით ჩავაბარებთ.

გერასიმე — აქ ეკლებზე ვარ, ზეფორეს დავემშვიდობებ და დამწიფ.

ზეფორე — სასწრაფოდ ჩააბარე სკიერი, ბეჟან, ძალან ეჩქარებათ, რა. ვქნა, გულით დაე-
პატოე, მაგრამ დრო არა აქვს.

ბეჟანი — მე ეს ადრე ვითხარო.

(ბეჟანი, ლოპიანე და მიჭუჭუნე სახლში შედიან, თორნივე და ციცილო
თავისთვის ელაპარაკებიან ერთმანეთს. გერასიმე და ქისტოსტორე
ზეფორეს უახლოვდებიან)

გერასიმე — პატოეცემული ზეფორე, ვიცი, დიდი სამზადისი გაიღე ჩვენთვის, მაგრამ ახლა
გამახსენდა, რომ გადაუღებელი საქმე მაქვს იმ დიდ კაცთან.

ზეფორე — იმ კაცთან? დიცი, ქისტოსტორე, რა დიდი კაცი ნახე?

ქისტოსტორე — ვნახე... მომხსნეს, მაგრამ პასუხისგებაში არ მიძღვევ.

ზეფორე — ჩემზე რა ვითხრა?

ქისტოსტორე — აღმოუხვრილა ხარ ყველა თანამდებობიდან.

ზეფორე — უი, როგორმე ახლავე უნდა ენახო.

ქისტოსტორე — უარი თქვა შენს მიღებაზე.

გერასიმე — დიხ, დილას მეც მითხრა, არ დამენახოსო. აქამდე ვიპალავდი.

ზეფორე — რისთვის, რას მერჩის, მე უბედურს?..

ქისტოსტორე — ვხვეჭელიაო. მუშა-ქალის სახე დაკარგა, გადაგვარდაო.

გერასიმე — სწორია, მეც ასე მითხრა.

ზეფორე — უი, ჩემს დღეს, მოსაბოძლი ვუოფილვარ.

(შემოდის ბეჟანი)

ბეჟანი — (აიენიდან) სკიერი გადავეცი, მაგრამ შოგ რაღაც ისეთი-ცოფდა აქვთ, ვერ ვაიფვეს
და შენ ვიხმეს, გერასიმე.

(გერასიმე და ბეჟანი მიდიან)

ზეფორე — საით გაიბრუნეთ პირი, ძუტუნა, გვარამ; ერთად-ერთი ქალიშვილის გაბედნიერე-
ბას მოეუწყარი და მის მაგიერ რომ დაამშვენოთ, უიშვარიან მტაცებთ?

მოგელი — ჩვენ მეშეშა ძუტუნა და გვარამი გამოვაცილეთ.

ბახუტა — დიხ, სტუმრობა არავისთან არ გვიფიჭრია.

ზეფორე — ო, რას ბრძანებთ, საყვარელო მეშეშო, მე როგორც კი ვაიფვე, რომ თქვენი ამზა-
ნავი ჩემს ციციონზე დაქორწინდა, როგორც წესია, სამზადისი გეგაძლე და ახ-
ლა სულით და გულით გთხოვთ, ქორწილში გეუწვიოთ, ძუტუნა ეს ლხინი ცი-
ცინოს და თორნივეს ქორწილიც თქნება და თქვენი წალმა მობრუნების დალოც-
ვაც (ყველა ერთმანეთს გადასვდა)

გვარამი — წესიერად ბრძანებთ, ზეფორე... მხოლოდ რაღაცის თქმა უნდათ და გვირდებიან...
ნება მოგვეცით, აგერ მოფარებულში მოვილაპარაკოთ.

ზეფორე — ეი ბატონო. კარვის მეტი არ გექნებთ სათქმელი.

(ყველანი მიდიან ქისტოსტორეს და ზეფორეს გარდა)

ქისტოსტორე — თასი თქვან, — აქ გვეწვივან.

ზეფორე — მაშ, შენ შემოტეხი; მე სამზადისს გადავხედავ. (სახლის კარი იღება) აი, ისინიც
გამოდან წასამაყებლად.

(გამოდან ლოპიანე სკიერით, მიჭუჭუნე, გერასიმე და ბეჟანი,

ზეფორე სახლის უკან მიდის. ქისტოსტორე მიწვეულ სტუმრებისაყენ მიდის)

მიჭუჭუნე — გახსენი სკიერი, ლოპიანე, ჩემ ნაოფლართან რა ხელი გაქვს. დამეხმარეთ, კაცე-
ბი არა ხართ!

ბეჟანი — წაიღოს, რა შევ ჰირად გამოგადგება.

მიჭუჭუნე — დამიბრუნე, — ჩემი პოეტური ქმნილებაანი.

ლოპიანე — მე რომ მაქმბდი, იმიტომ გვირდებოდენ, თორემ, შენი პოეტობა ვის გუგვია, ბი-
ჭოს ისეთი მლიქნელური ლექსება დაბეჭდოლი წიგნებიდან ამოავდეს, დაუ-
ბეჭდავში ვინ რას მოგცემს.

მიჭუჭუნე — ტუფილად მაეოფილე, წამახინე კაცი და ქებაც დაგიტოვო?

ლოპიანე — შენ არ მაქმბებდი სიამეზე? ცოლ-შვილი რომ ჭუნაში გადავადე, პოეზით შე-
მაქმე. უღანაშულოთა დინაგერა ვმირობად ჩამითივლე. სამშობლოს უპატიეცემ-
ლობა — ეპოპრიობის სიყვარულად, რა ენა იტყვის, როგორ გამათახსრიე.

მიჭუჭუნე — ჩემი ენის კლიტე შენს ხელში იყო, როგორც ვინდობდა ისე ატრიალებდი.

ლოპიანე — არა, ყველაფერი დაინახა პარტიამ და, ბოლოს შენისთანებს პიროვნებათა გაბერ-

ვა აუტრიალა. მაგრამ მლიქვნელები მოუშორებელი ხარ. დაწესებულებასაც ბილწავთ და ოქაბურ სუფრებსაც. ეს მინდა იმას საბუთად, თუ რა მიცდურები შემომინდით.

მიუტუნი — შენს წინაშე შეშით ყველა გამოგონილ სახეს იღებდა, გამოგონილ კანაზე ლაპარაკობდა და მეც ისე ვარაყიანად ვწერდი.

ლოიანე — აი, ვაგხსნი და წაიკითხეთ; სხვის დაძალებით ენის ისე მოლექნილობა შეიძლება? (ლოიანე სკივრს ხსნის)

გერასიმე — შე ორივეს გამართლებთ.

ლოიანე — ეს რა გამოდის! ესე იგი, ორივე მართალი ვართ; როცა ვლანძღავთ ერთმანეთს?

გერასიმე — ერთი სიტყვით — მორიდდით.

ლოიანე — აი, შე ორჯოფო, აქ შენი კაიკაცობაცა მაქვს.

გერასიმე — ჩემი? მომეცი ზელში, თუ კაცი ხარ.

ლოიანე — (ფურცლავს) ბეგანის, ზეფორეს... და...

ბეგანი — ეს ოქროს ვარაყიანი წიგნი საიდანაა?

ლოიანე — ეს კონდრატე სუქინელის რომანია, ჩემდამი მოძღვნილი. ყველამდე ვაეამდიდრე და ახლა ზედმეც არ მიყურებს.

ზეფორე — (აღებს სახლის კარებს. ეგებება ქიშკარში) აბა, ია და ვარდა გვენიათ. (სტუმრები არ იძვრიან) რა გაფერხებთ?

თორნიკე — პატივცემული ზეფორე, შენს ეზოში ჩამოსასვლელად არ გეცალია.

ზეფორე — რა პასუხია, არ გეცალიათ.

თორნიკე — სიმაართლე ვითხრათ, გულიც გეიშლის.

ზეფორე — ეს კარ-მიდამო მარტო ჩემი არაა, — შენც, ციციონო მისპინძლები ხართ.

თორნიკე — ჩვენ ამ პირობით შევერთდით, — ჩვენზე ზრუნვით არ შეგაწუხოთ.

ზეფორე — უი, ჩემ დღეს!

თორნიკე — ეიცხვრებთ, როგორც მოგახერხებთ.

ზეფორე — მაშ, შეილი წამართვი და წიხლსაც მთავაზობ?

თორნიკე — არა, გუნებით არა ვართ უმადურანი.

ზეფორე — აბუჩად იგდებ. მთელ ჩემ ნაღაწის რისთვის? რა დაგაშავე!

თორნიკე — ჩვენთვის არაფერია... მაგრამ ასე ვთვლით წესიერად.

ზეფორე — სიტყვას ნუ ტეხავ, პირდაპირ თქვი.

თორნიკე — მაშ, გატყუო: ყველაფერი ისე გაქვს მოხვეჭილი, კანონს რომ დაეცემალით, ხალხს კაცხვას ვერ გაუძევევით.

ზეფორე — უი, რა მიწას მაყრის ცოცხალ გულზე! ვის კადრებს... ეინ მიზნდავს ასე აგდებას! ლოიანე! სადა ხარ, ჩემო დიდგინა ლოიანე!

(ლოიანე გასწევს ჩამოფარებულებს)

(ლოიანეს ვერ ხედავს) სადა ხარ, ჩემო ლოიანე, მიშველე!

ლოიანე — პო, აქა ვარ, რა მოგივიდა?!..

ზეფორე — არა, შენ დიკარგე, მე იმ ლოიანეს ვეძახი, არწივივით რომ ფრამ-ფრამობდა.

ლოიანე — ეპ, იმ ლოიანემ მხოლოდ ეს სკივრი დამიტოვა თქვენი ნაბედრაკალით.

ზეფორე — (მრავლით) საცხოვრებელს ვთავაზობ და მინც იღრინება.

ბეგანი — სწეს, დედაკაცო!..

ზეფორე — რა გამაჩუშებს, — ქალი შეშველ თეძოებს ვეალოთი ვიფარავდი, ასეთმა ხაწყალ-მა შევიძინე, რისაც ხედავთ. ტყუილად კი არ მოუტოვით. — ცხრა თანამდებობა ერთად მქონია და ცხრა კაცის შვიტერ მიღეწინია.

ბაბუტა — უკაცრავად სიტყვისათვის და — ლოიანე უფრო დიდი მოღვაწე იყო, მაგრამ ანგარიში რომ გაუსწორეს, იქით დაედო ქვეყნის ელა.

ზეფორე — ლოიანეს მადარებთ, — ღმერთო მომკალი!

ლოიანე — ეს რა გადმოიშვირა.

ბეგანი — მეტიც გვეუთენის.

გერასიმე — მართალია.

მიუტუნი — შავ სკივრით ისე გვიკარჯ ტუნის, ხმა ვერ ამოგვიღია.

გერასიმე — ჩემი სული შეგებყრია როგორც ეშმაკს და ლანდივით დაედვიარ.

- ლოპიანე** — მაშ, ყველა მე მომდევნო, არა თორნიყე, ერთად მოდიო, ამითი ცოდვები სტე-
რა გატენილი მაქვს და ცოფი ერევათ; მეც არ მაღირს თრეველ და დავებრტენებ
მიგრაჲ მინდა მოწყმედ დაგვესწროთ.
- (ყველა თვალს დააცეცებს)
- ხმები** — ენაბოთ რა უბედურებაა! ო. ენაბოთი დაფარული ემშაყისაა
- ლოპიანე** — აი, შენი მომართვა, გერასიმე. შენი ხელით მწერ, რომ კაცი კი არა კაცის ჳირი
ხარ. მემუდარები, რომ ხანდახან წიხლი მოგარტყა, რათა ცოდვებისაგან განიწ-
მინდო — ამას ვარდა, ფიცავ, (გადსაცემს წერილს თორნიყეს) ბოლომდე წუ-
კითხე ყველას. (ყველა უახლოვდება თორნიყეს)
- თორნიყე** — (კითხულობს თავისთვის) არა, ამას ახალგაზრდებს ვერ წავეუკითხავ, კმარა, რაც
გაიგონეს. (გადსაცემს წერილს გერასიმეს)
- ბეჲანი** — ოო, სულ ამას ენატრობდი, რომ თქვენ ერთმანეთის სიგლაზე გამოგეტანათ სო-
ნათლებე.
- ლოპიანე** — მაშ, შენს აღსარებასაც გაავალანებ, წმინდანო ბეჲან. (შლის წერილს) შენ
მწერ, ზარმაცადა ხარ ვინეილი და საკუთარი სტომაქვის მეტი არაფერი გწამს. მე
კი მწეს მაღარებ, რომელიც ქვეყანას აციცხლებს და იყავებს.
- ბეჲანი** — ისე ღმერთი ვმწერ.
- ლოპიანე** — (წერილს შლის) აი, შენი დაწერილია.
- ბეჲანი** — მაშინ შიშით სული არ შედგა და მკედარს რომ კალამი ჩაუდო ხელში და დააწერა-
ნო, მის აღსარებად ჩაითვლება?
- გერასიმე** — კარვად ვითხრა. ასეა, შენი შიშით ვცოდავდიო. ეს ჳემშარიტებაა.
- ლოპიანე** — მეც შიშით ვასრულებდი დეკაჲიანის უკანონო დავალებას. მაშ, როგორ გვო-
ნიათ, თქვენ თუ ტყავს უფრთხილდებით, მე ძაღლის ხორცი მჭონდა? თქვენ მარ-
ტო მლიქვნელობით რჩებოდით, მე კი დეკაჲიანი საქმესაც მთხოვდა და, ბოლოს
ჩემისთანებს, სუყველას ცხვირპირჩამტყარულს გზავნიდა საიქოს.
- ბეჲანი** — განცხრომაში ხომ იყავი!
- ლოპიანე** — შიში და ნეტარება ერთად არ თავსდება.
- ზეფორე** — უი,ახლა არ მიკვირს, თორნიყე, რომ ეზოში ვერ ჩამოდიხარ. — კარით მოეწევა
ამათ ნაცვალეცს.
- ლოპიანე** — ხომ ასე, ზეფორე! შენი ბარათი სციერს ვერ ენდებ და უბეში მაქვს. (იღებს წე-
რილს უბიდან) აი, წერალობით მიცხადებ, რომ აჭაურო სკოლისა და კლუბის
თანხიდან აიშენე ეს კარ-მიღამო. მთხოვთ, გაპატრო და პირაბას დებ, რომ შენს
ქალაშვილს შემართავ და, აწხითებ, თუ ვიკადრებ. წაუკითხე ხალხს, თორნიყე!
- თორნიყე** — (დახედავს წერილს ლოპიანეს ხელში. ციციროც თვალს მოკრავს და უკან დი-
ხევს) არა, ამას ვერ გამოგარტმევ, ვერც გადაეცემ... ეს სხეაგან არის მისატანი.
- ლოპიანე** — იქ შიტანა არც მე გამომაღგება, ჩიიბარე, ზეფორე.
- ზეფორე** — (ჩუმაღ ზეეს წერილს და ნამკეცებს ფარულად სპოხს) ეს რა გამოიგონა. ვესმის,
ციცირო, რა ცილს გეწამებს?
- ციცირო** — იმდენად შორს ვარ მეგ საქმიდან, ენას დაძვრაც სიბილწედ მიმაჩნია.
- აუფუნა** — სწორია.
- ლოპიანე** — მიჰუტუნეზე ლაპარაკიც არ ღირს. თითონ იციტხოს და ისამოვნოს თავის კალმის
ნარწყევი. (აძლევს ხელნაწერებს დიდ დასტას)
- მიჰუტუნე** — (გამართმევს) ამას გემოზე დავწეაგ!...
- ზეფორე** — ეს რა ითავხვდა ლოპიანე! თქვენ თვალწინ ქალაღი ვადმომცა და ურცხვად,
დაატანა, წერილიაო. დახებდე: სუფთა ქალაღია.
- ლოპიანე** — სუფთა ქალაღი იყო?
- ზეფორე** — (ამოიღებს სუფთა ქალაღს) აგერ არაა?
- ლოპიანე** — თორნიყემ ნახა, რაც არის.
- ზეფორე** — ჩანს შენი ნაჩმახი მოაჩვენე. უპ, რა მოვიტქეი სული!...
- გერასიმე** — (დახია ქალაღი) როგორც იქნა, ჩადგა გული საგულეში. აწი ლოპიანე, სადაც
შემბედე, გზა დამოცალე.
- ლოპიანე** — უუუერე, როგორ დავეკაცადა ეს გლახა ჩემს სციერში იყო შენი ხელი?!..
- მიჰუტუნე** — ჩემ გზას მე მაინც მოვინახავ.
- ბეჲანი** — მე ვგავარ ეღინთა სიზარმაყის ღმერთს მომოსს, რომელიც თვითონ არაფერს ქმნი-

და, მხოლოდ ქმნილებაში ნაკლებ პოულობდა... ჩემს ხანში ცხოვრების გამოცხ-
ლა გვიანდა, მაგრამ პატივისცემა მომოსსაც ვერგება, რაც უნდა იყოს, ციერია/
ლოპიანე — მე ცარიელი სიყვარით მივადგები კარზე ჩემს ყოფილ ცოლ-შვილს, რე ვაქედეს,
— ეს იქნება სამოთხის კარი.

(ლოპიანე, გერასიმე და მიჭუჭუნე გამოდიან ეზოდან. აბრებენ
წისვლას. ზეფორე ანიშნებს ქისტოსტორეს და ის სახლის უკან მიდის)

ლოპიანე — ჩვენ შორის ხიდი ჩატყდა.

ზეფორე — თ, ჩატყდა? რას იხამ, თქვენ ვალმა გაგიმარჯოთ და ჩვენ გამოვბა.

ბეჯანი — შეაში უფსკრულია.

(შემოდის ქისტოსტორე)

ქისტოსტორე — გაწუხობლია ყველაფერი. კარებში საინიც დავევით ვასატეხად.

ზეფორე — შემობრძანდით, საყვარელო სტუმრებო, აბა, წინ სიძე-დედოფალი.

(სტუმრები ყოყმანობენ, უუტრებენ თორნიკეს)

ზეფორე — ...სიძე დედოფალი.

(თორნიკე და ციციო არ მიდიან)...
ახლა მაინც რა გაბრკოლებთ?

თორნიკე — მე, არ შემძლია სამართლის წინაშე შიშს ვგრძნობდე, ჩემს გულში მუდამ მარ-
თალი უნდა ვიყო.

ზეფორე — ეეთილი, ბატონო, შემობრძანდი მასმინდადაც და მოსამართლედაც, რააც
მეტყვი, კანონად მივიღებ, მტერი რა ექნა.

თორნიკე — გულწრფელად ამბობ?

ზეფორე — გამომცადე.

თორნიკე — ჩემს სამართალს არ გახევევ, დამიყვრებ თუ არა შენი ნებაა.

ზეფორე — ბრძანეთ.

თორნიკე — სანამ დრო გაქვს, ათ ოთახს გადასცემ სკოლას.

ზეფორე — კარგი, მე, თუ ვინდათ, გაეჩუქება, მაგრამ თქვენ სად მიდიხართ? ბევრი ცხოვ-
რობს მშობლების ხელწყობით. თქვენი ნაშრომით შეძლებთ ოდესმე ასეთი ქე-
რის შექმნას?

თორნიკე — ჩვენ პარაზიტების ფუფუნება გვაშფოთებს. ჩვენ გვიყვარს დედა-საქართველო
და ვიცით მსხვერპლს ითხოვს. უმსხვერპლოდ: სიყვარული მლოქვენლობაა და
პატიოსნება — მხოლოდ მანკეა.

გერასიმე — აუ, რა მწარე ენა აქვს!

მიჭუჭუნე — არ დამაყრეოლა...

ლოპიანე — ჩემი ცოლიც ასე მელაპარაკებოდა, როცა წავეჩხლებოდი.

ზეფორე — ციციო, შენ გესმის ამის პასუხი?

ბეჯანი — ეჰ, ახლა მართლა დაეფიქრდი. — თუ ყველაფერი დაემახეთ, ჩემი სტუმრები ცის
ქვეშ ყელის გაუსველებლად ხომ ვერ მადღებრძელებენ მე და სამშობლოს?

ციციო — ჩვენ საკუთარ ცხოვრებას ვიწყებთ და ეამბობთ: ჟერ საქართველო და მერე ყვე-
ლაფერი. ხომ ასეა, თორნიკე?

თორნიკე — სამშობლო საქმეს ითხოვს და არა ლოთების ბოღვას.

ზეფორე — კარგი, რადგან ასე დატრიალდა ჩემი ცხოვრების ჯარა, ყველაფრიდან მოშხსნეს
და თქვენც გამწირეთ, რევიზიამ ცილისწამება რომ არ წამოიწყოს, ვით უპატ-
რონოდ დეიარდნილზე, ათ ოთახიან შენობას დღესვე ვაჩუქებ გადასატანად
კლუბს და სკოლას. მე კი სამზად ოთახში მოვეწყობი და ისე დავიწყებ მუშეო-
ბას, როგორც ქალიშვილობაში.

ლოპიანე — მეც ცრუ დიდებას ვგმობ და შრომას ვიწყებ, სადაც იქნება.

მიჭუჭუნე — ახლა გმობ, როცა კული ამოგისკენს?

ლოპიანე — მაშ, საკუთარი სიბრძნით ვინ დავიკვებნის. ადამიანებს ატრიალებს ცხოვრების
ჯარა.

(ფარდა)



ალიზბარ ზაზინიძე

გაგაფხუდი ღიწყო არე...*

V

იდგა მისი, გაზაფხულის ბოლო თვე, ბუნების სრული გაფურჩქნის ხანა. ამ დროს განსაკუთრებულ ზრუნვაში არიან ბავშვები, გამოცდები ეწყებათ და ემზადებიან. ისიც ირკვევა, თუ როგორ სწავლობდნენ მთელი წლის განმავლობაში.

გოგი უკვე მეოთხე წელში გვდავიდა. მისი ერთადერთი საზრუნავი ის იყო, დედის გამგონე ყოფილიყო, დედა კი არიგებდა ისე მოქცეულიყო, რომ არავინ შეეწუხებინა. ასეც იქცეოდა. გოგი ბუნებით ცელქი არ იყო, მაგრამ როდესაც მისი ტოლები და მასზე უფროსებიც თამაშის დროს ხმაურობდნენ, მისი ხმაც ისმოდა იმ ხმაურში.

ამ დილას გოგიმ ისაუბრა, აივანზე გადადგა და ეზოში გადაიხედა. ბავშვმა გულისტკივილით შენიშნა, რომ ეზო ცარიელი გამოიყურებოდა. ბავშვების ქაჯანება არ იყო. ნაწყენი შებრუნდა ოთახში.

თინა სავარძელში იჯდა და სარკეში იცქირებოდა. ის ათვალეირებდა იმ კორფლის ტალს, რომელიც ცხვირზე და აქა-იქ ლოყებზე დასჩნეოდა, თინა სწუხდა, ეშინოდა კიდევ სახეზე არ დარჩენოდა ეს ლაქები. გულნაკლულად გრძნობდა თავს, უმძიმდა მუშაობა. თავესებურად ცქრიალით სიარულს ვეღარ ახერხებდა. დადიოდა მძიმედ, წყნარად. ადვილად იღლებოდა და ხშირხშირად ჯდებოდა, რომ სული ამოეთქვა. ახლა, როდესაც თინა სარკეში თავის ტალმოღებულ სახეს შესცქეროდა, ამჩნევ

და, რომ აღარ გავდა თავის თავს. გულში შეეკუმშა, იგრძნო რაღაც აუხსნელი ნაღველი, რომელიც, თვითონაც არ იცოდა, საიდან მოდიოდა.

ამ დროს გოგი დედასთან მივიდა. მკერდზე მიეკრო და ჰკითხა:

— დედიკო, ავადა ხარ?..

— არა, გენაცვალე, მე ძალიან კარგად ვარ! — ბავშვის შეკითხვამ გამოარკვეია იგი, ნაღველიანი ფიქრები შემოეფანტა.

— მაშ რატომ არ მელაპარაკები?..

— როგორ არ გელაპარაკები, იცოდე. დედიკო ჩემდაც რომ არის, მაინც შენ გელაპარაკება! სულ შენზე ფიქრობს. ფიქრი გამოოუთქმელი ლაპარაკია!..

გოგი ვერ მიხვდა ამ აზრის მნიშვნელობას. თინა კი ამას უფრო თავისთვის ამბობდა, ამით თავისთავს ელაპარაკებოდა.

— ეზოში წავიდე?.. — ჰკითხა გოგიმ. მაგრამ ეს შეკითხვა კი არ იყო, თხოვნა იყო, ეზოში გამიშვიო.

— წადი, გენაცვალე, ოღონდ არ იცეღქო. როცა დაგიძახებ, მამინევე გამოიქეცი, კარგი?..

თინა მთლად მარტო დარჩა. საქმის გაკეთება უჭირდა, თორემ მუშაობაში გულს გადააყოლებდა. მხოლოდ მოგონებები და ფიქრები... ტკბილიც და მწარეც... არ ეშვებოდა!

„ვარ თუ არა ლევანთან ბედნიერი?“ — გაუღეგებდა ხოლმე თითო წამით. „მაგრამ... რად მებადებდა ასეთი კითხვა?.. არაფერიც არ შეეძებდა!.. ცხადია, ბედნიერი ვარ!.. ეეჰ, რა საჭი

* დასასრული იხ. „მნათობი“ № 1.

როს ამაზე ფიქრი... სჯობს, სხვა რამეზე ვიფიქრო... ნეტავი როგორ არის ჩემი ძმა?... ვინ იცის, როგორ უმძიმს ცხოვრება? უფრო ბედნიერი ვიქნები ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც ლევანს დაებადება მანური გრძნობა, ნამღვლილი მამური გრძნობა!... საწყალი სოსო, სუმგაიტ-შია, წაყიდა უცხო მხარეში და მუშაობს ცეცხლის მხურვალე ღუმელებთან. დედაც მასთან არის, მე კი სანახავადაც ვერ მივდივარ დედასთან. მას ხომ სიარული უმძიმს. ფეხები დაეხუთა. ამბობს, დარდითო. მაგრამ რა დარდით?... როგორ თუ რა დარდით? ოჯახი დაენგრა. მამა მიწას მივაბარეთ... იქურდუო... შენ თვითონ იქურდე. დაე შეგერგოს, თუ შეგერგება! შორს არის დედა, შორს არის სოსოც. დედას თვეში ერთხელაც ვერ ვნახულობ. აი, მოვრჩები და უსათუოდ წავალ დედასთან... უსათუოდ. ხშირად წავალ ხოლმე, ხშირად ვინახულებ. გაეხარებ კიდევ... მაგრამ, ვინ იცის, გაეხარდება? „ნეტარება იმასო, ვისაც პირველი სიყვარული ბოლომდე გაჰყვებაო!“ — ასე ამბობდა დედა.. მერე? გამყვა? მაშ რატომღა გაუხარდება?!“ — ფიქრობდა და ჩურჩულებდა თინა... ფიქრობდა და თვალწინ ეხატებოდა დედაც, მამაც, ძმაც...

თინამ ორივე ხელი თავზე შემოიკიდო და შუბლი დაადო სარკეს. დიდხანს გატრუნული იჯდა. აღარც ფიქრობდა, აღარც ჩურჩულებდა. ცივმა მინამ შუბლი გაუგრია და გამოერკვა. წამოდგა. აათს დახედა. დილის ათის საათი იყო. ადრეა. ყველაფერს მოასწრებს. სარკე საწოლზე დადო და ოთახის დაღაგებებს შეუდგა... სადილიც უნდა დამზადოს. რა ესმით მამაკაცებს, რამდენს შრომობენ ქალები ოჯახში. ფეხზე ტრიალისაგან მუხლები ჩამოწყვეტილი აქვთ. წელი სტკივათ. ისინი კი, მამაკაცები, მზამხარეულზე შემოქსნდებიან სუფრას და შენიშვნებსაც იძლევიან. თუ არ გავუღიმეთ, ეწყინებათ... მიავდებენ ამ შენს დამზადებულ კერძს, სულაც არ მიეკარებიან და უფრო დაგწყვეტენ

გულს. ამაოდ ჩაგივლის მთელი დღის შრომა... რას იზამ, სიყვარულისთვის უნდა ავტანოთ, უნდა მრავთმინოთ. ვიტანოთ კიდევ!

ახლა თინას გულისყური ეზოსაკენ ჰქონდა. ცალი თვალი იქით ეკირა, ეზოსაკენ. გოგი იქ არის. ხშირ-ხშირად იხედება აივნიდან და, როდესაც ბავშვს თვალს მოჰკრავს, დამშვიდებული ბრუნდება ოთახში.

VI

თინა იწვა ღონემიხილი, გაფთხრებული. ღია წაბლისფერი თმა ბამბასავით თეთრ ბალიშზე გადაშლოდა.

თინა ამ დილით გამოიყვანეს სამშობიაროდან და ჭერაც ვერ მოეცილებინა ის მძიმე ბურუსი, მთელი ერთი კვირა თავს რომ უმძიმებდა.

გოგი საწოლთან იყო მიმდგარი და ჭგუფად დაყრილ შოკოლადის კამფეტებს, რომელიც ბრჭყვიალა ქალადებში იყო ვახვეული, ხსნიდა და ტიტიკებდა:

— ეს მე მომიტანა რეზომ?..

— შენ მოგიტანა, გენაცვალე.

— კარგი ბიჭია რეზო?..

— კი, გენაცვალე, ძალიან კარგი ბიჭია..

— მაშ რატომ ტირის?..

— აი, ახლავე გაჩუმდება, ახლავე! — უთხრა თინამ, ცალ მკლავზე წამოიწია, და თოთო ბავშვის პაწაწა ტუჩებს მკერდი მიუშვია.

— აი, ხედავ, უკვე გაჩუმდა...

— ხოო, მე ვიცი, რეზო კარგი ბიჭია..

— საიდან იცი?..

— შენ არ მითხარი?!

თინას გაეღიმა და გოგის თავზე ხელი გადაუსვა.

ასეთ მძიმე დღეებში დასახმარებლად სუმგაიტიდან თამარი ჩამოვიდა. ის თავს დასტრიალებდა თინას. მართალია, მუხლები სტკიოდა, სიარული უმძიმდა, მაგრამ არ იმჩნევდა.

ხშირ-ხშირად ირეკებოდა ზარი, მოდიოდნენ თინას მნახველები.

სუფრა დილიდანვე გაშლილი იყო. მაგიდაზე ეწყო ღვინო, კონიაკი, ვარდის ტკბილი სასმელი.

— შეილი დამილოცეთ! — თხოვდა ლევანი სტუმარს, — რომლით ისურვებთ, ღვინით თუ კონიაკით? — და ლევანი ჭიქებს აფერადებდა ხან ღვინით, ხან კონიაკით, ხანაც ვარდის სასმელით.

ემაყებოდა ლევანს. მამა გახდა. ოცდათხუთმეტ წელს გადააბიჯა და კარგა ხანს უღებლოდ მოსიარულე კაცი შეიღს ეღირსა, ისიც ვაჟს, ლევანი არ უცდიდა სიდერს, ხანში შესული ქალის ნელი მოძრაობის გამო ნერვიულობდა. თვითონვე იღებდა სერვანტიდან ჭიქებს და თეფშებს, რაც კი დასჭირდებოდა. პირველს თვითონ გადაჰკრავდა ხოლმე, მაგალითს აძლევდა სტუმრებს, რომ სმის ეშხზე მოეყვანა ისინი.

აგერ კიდევ დაირეკა ზარი. კარი გააღეს. ხელგაშლილი და სახეგახსნილი შემოვიდა გაიოზი. უღვაწეებში ეღიმებოდა, თვალები უციხნოდა. მისი მაღალი გაშლილი შუბლი გულწრფელ სიხარულს გაენათებინა.

— აქ მომგვარე ეგ ყურები, რომ მაღლა აგვიწიო! — მიმართა მან ლევანს, მერე საწოლში მწოლიარე თინას გადაჰხედა და გაიხუმრა, — ძალიან კარგად მოიქცეთ, რომ ბიჭი გააჩინეთ და არა გოგო!

თინას გაეღიმა...

გაიოზი ვაჟს უპირატესობას აძლევდა. გვარს აგრძელებსო, შთამომავლობას ამრავლებსო, ამიტომ დააყოლა:

— რაღა გიჭირთ შარაშიძეებს, მთელ საქართველოს მოედეთ. დაე, აგრე იყოს, იმრავლეთ, იმრავლეთ!

ლევანი მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა. ჭერ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, მერე ერთმანეთს გადაეხვივნენ და გადაკოცნეს. გაიოზმა ახლა თინასაკენ გაიწია, დაიხარა და ხელზე აკოცა.

გაიოზმა სიამტკბილობით გადახედა გაშლილ სუფრას. უყვარდა სუფრა და „სმა-ჰამა დიდად შესარგი“... ხშირად იმოწმებდა ხოლმე შოთას, ეს რომ ცუ-

დი ყოფილიყო, ჩვენი დიდი მგოსანი ასე არ იტყოდაო. გაიოზმა ახლა უბნში ჩაიყო ხელი და სიფრიფანა ქალაქში გახვეული საჩუქარი ამოიღო.

— აი, ესეც პირის სანახავი. ახლა კი ნება მომეცით დახედო ბავშვს, — მან ნელინელ შემოაყალა სიფრიფანა ქალაქი და ოქროს ფილა გამოაჩინა.

თინამ ბავშვს თეთრი აბრეშუმის პირბადე გადაუწია და გაიოზს ახლადდაბადებული დაანახა:

— აი, ჩემი პაწაწინა! — დააყოლა აღერსით.

— ამ ფილით უნდა დავლოცო ეს მოქალაქე. რაღას უყურებ, რას ვაჩერებულხარ, დამისხი ღვინო!... — შესძახა გაიოზმა ლევანს.

ლევანმა სახსე ბოთლს ხელი წაატანა და მალა აიტაცა. ოქროსფერ ფილაში გამდნარი გიშერი რაკრაკით იღვრებოდა.

— რა ღვინოა, ბიჭო? — ხმადაბლა ჰკითხა გაიოზმა და ბოთლს დახედა, — შენ მე აქ ხუთი ნომერი არ შემომამართ!

— არა, შენ რომ ვიყვარს, სწორედ ის არის!..

— ყოველი წელიწადის დღევანდელ დღეს, ვიდრე თორმეტს არ შევასრულებ, თითო ასეთ ფილას საჩუქრად მოვართმევ აი იმ ამხანაგს, იქ რომ გასუსულა და არხეინად მიერთმევს ძუძუს. მრავალკამიერი იყოს მისი სიცოცხლე!.. — თქვა და შესვა.

ფილა ხელიდან ხელში გადავიდა. ლოცავდნენ, სცლიდნენ და აწვდიდნენ ერთი მეორეს.

გოგის თავისი ტკბილეული გადაავიწყდა. ის შესცქეროდა უფროსებს, რომელთაც მხიარული ქრიაბული გაჰქონდათ.

ლევანი ხშირხშირად მიდიოდა თინას საწოლთან, დახედავდა ხოლმე ბავშვს და ისევე სუფრას მიაშურებდა.

გოგი ჩუმად შესცქეროდა სტუმრებს, რომელნიც ასე გახარებულნი იყვნენ. ბავშვი ხან ერთს ამოუდგებოდა გვერდში, ხან მეორეს. არავის ახსოვდა იგი.

ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გადადიოდა.

კიდევ დაირეკა ზარი. ლევანი წამოხტა და კარისაკენ გასწია. ამ დროს მის წინ გოგიმ გაიარა.

— გაიწი, ბიჭო, ფეხებში ნუ მებლანდები! — მიძახა ლევანმა ბავშვს და გვერდი აუარა, კარისაკენ გაეშურა.

თინამ ყური მოჰკრა ამ სიტყვებს და ბავშვისაკენ გაიხედა. გოგიმ საწყალობლად შეხედა დედას.

გულში სიმწვავემ გაჰკრა თინას.

„გაიწი, ბიჭო, ფეხებში ნუ მებლანდები!“ — გაიმეორეს მისმა ტუჩებმა.

ლევანი შემობრუნდა. ხელში დეპეშა ეჭირა. დეპეშა სუმგაიტიდან იყო. დას და სიძეს შვილის შექმნას ულოცავდა სოსო.

თინა სახეში მიაჩერდა ლევანს. ისე დაეინებით და ისე ჩაშტერებით უცქეროდა, რომ შეშფოთდა. ლევანი დეპეშის წაკითხვას აპირებდა, მაგრამ გაჩუმდა.

— ლევან, ეგ ბავშვი ჩემთან მოიყვანე, თორემ ხომ ხედავ, ფეხებში გებლანდება!

— ხოო, მეშინია ფეხი არ დაეადგა — თქვა და ორივე ხელით აიყვანა და საწოლისაკენ გადასვა.

— ჩემთან იყავი, გენაცვალე, ნუ მომშორდები!..

— შენთანაც და რეზოსთანაც, კარგი?

— ხოო, გენაცვალე!..

ლევანის მტეხი ვერავენ მიხვდა, ასე უცებ ჭატომ ჩამოვარდა ასეთი გულჩათხრობილი სიწყნარე.

ლევანი გამშრალი იჯდა, ხმას ვერ იღებდა. საცოდავი ღიმილით აეგრინხა სახე. თინა სტუმრებისაკენ არ იხედებოდა, პაწიას საფენებს უსწორებდა, მომიზეზებით და განგებ, ვითომ ბავშვს ვუვლიო, ხელებს აფათურებდა.

გაიოზი განცივებული შესცქეროდა ხან ლევანს, ხან თინას.

— თუ თქვენ არ გინდათ ღვინო და გვალეენით, ბარემ თქვით და ჩვენც წავალთ!.. — წამოიწყა გაიოზმა. — აბა,

აილე ჰქეა, — ბრძანების კილოთი უთხრა მან ლევანს. — ყველამ, ყველამ იღეთ და საკუთარი ხელით აივსეთ, მე უნდა ვადღეგრძელო თინა, — გადახედა ხალხს, ცოტა დააყოვნა და განაგრძო: — ვისურვებდი თინა ისეთი დედა ყოფილიყოს, რომ ეს პატარები არავის დააჩაგვრინოს. ისე აღეზარდოს, დაეაყვებულეები მუდამ მხარში ედგნენ აღმზრდელ დედას. დედა იგივე სამშობლოა. თუ დედას იცავ, მამასადამე, სამშობლოს იცავ!.. ასე არ არის, ლევან?.. ასე არ არის, მეგობრებო?.. — მიმართა ჯერ ლევანს და მერე ყველა იქ მყოფს.

— ასეა!

— რასაკვირველია, ასეა!.. — გამოეხმაურნენ.

— მაშ თუ ასეა, დავლიოთ ეს სანუკვარი სადღეგრძელო!..

თინა გულისყურით, ოდონდ საშინლად გულდაწყვეტილი უსმენდა.

ლევანმა ხმაამოუღებლად დალია. ვერაფრით ვერ გახსნა ბაგე. ის თავის გულში იხედებოდა, უნდოდა გაერკვია, ხომ არაფერი ხდებოდა შიგ?!

ცოტა ხნის შემდეგ ლევანმა სტუმრები გააცილა. როდესაც შემობრუნდა, თინა ბალიშში სახეჩარგული დახვდა. გაჩუმდა და ყური მიუვლო.

ქეითინი მოესმა...

VII

— რაღა ვქნა, რა დიდი სიცხე აქვს! — წამოიძახა შეწუხებულმა თინამ, როდესაც თერმომეტრს დახედა.

გულში წვიმა მოდიოდა. ბავშვი ეზოში თამაშობდა, თურმე შიშველი ფეხებით ჩადიოდა წყლის გუბებში. თინამ დროზე ვერ ამოიყვანა და, აი ახლა, ბავშვი სიცხით იწვის. მაჯა გაუსინჯა და მოეჩვენა, რომ ძალზე სწრაფად უცემდა.

გოგის ბალიშზე თავი უმწეოდ ჰქონდა მიგდებული. სიცხისაგან აღეწილა სახე თეთრ სასთუმალზე მთლად აღისფრად მოუჩანდა. თინა ტუჩებით დაეკონა შუბლზე.

„იწვის, ნამდვილად იწვის!“ — გაიფიქრა და ტელეფონს მივარდა. ლევანს დაურეკა ჰიდროელსადგურის მშენებლობაზე. ქვაბულში არისო ჩასული, წყალს აშრობენო.

— მოძებნეთ, თქვენ გენაცვალეთ. სთხოვეთ/დიახ, მეუღლე ვარ! — ნერვიულად ელაპარაკებოდა თინა მორიგე ინჟინერს. თინა მღელვარედ ელოდა ლევანს. ცალი თვალი საწოლისაკენ ეჭირა, შორიდან შესცქეროდა გოგის.

— ლევან, შენა ხარ?.. ხოო, თინა ვარ. გოგი ავად მყავს. დიდი სიცხე აქვს, იწვის ბავშვი!

— მერე აგრე რამ შეგაშინა? დაწყნარდი, ნუ ღელავ, მორჩება, — მოესმა პასუხი ტელეფონის სასმენში.

— კარგი, მესმის, მესმის, შენ როდის მოხვალ? იცი, მარტო რომ ვარ, ათას რამეს ვფიქრობ, სწორედ ცუდს, მაშ, მაშ, ცუდს!..

— ნუ გეშინია. მე ცოტა დამავიანდებდა. რატომ? მძიმე მდგომარეობაა, საბირკელის ჩასაყრელად ქვაბულს ვამზადებთ!

— კარგი, ეცადე მალე მოხვიდე. — თითქოს დამშვიდდაო და გულნატკენმა ტელეფონის სასმენი ჩამოჰკიდა.

ეს სიმშვიდე ორიოდ წუთს გავრძელდა. ვიდრე ლევანის ხმა ესმოდა, მხნედ გრძნობდა თავს, მაგრამ საწოლთან მივიდა თუ არა, შეხედა ბავშვის უაზრო თვალებს და ისევ შეშფოთდა.

— რა ვუშველო? დღე მინც იყოს! ამ შუალამისას სხვას ვის მიემართო?!.. ათიოდე წუთს გასუსული უსმენდა ბავშვის მძიმე სუნთქვას.

„ვაიმე, რამე რომ დაემართოს, მერე რაღა ექნა?!“

„რა უნდა დაემართოს, ხომ არ გაგივდი?“

„ჩემი გოგი იცოცხლებს, იცოცხლებს! აბა, რას ვამბობ? იცოცხლებს. მაშ რა იქნება?!.. მაგრამ რომ არ ვიცი რით არი ავად?“ — ფიქრი ფიქრს ენაცვლებოდა, ერთმანეთზე მწველი და ერთმანეთზე საშინელი.

მარტოობა იგრძნო.

„ლევანი მინც მოვიდოდეს... იმე-
ლია, ნუგეში!“ — ინატრა.

— დედა! — გაისმა მერე საწოლიდან რეზოს ხმა. ბავშვს გაღვიძებოდა და გვერდში დედა რომ ვერ იგულა, ტორილით მოიკითხა. ის ჯერ ორი წლისაც არ იყო.

თინას რეზოს ხმა მისუსტებულად ეჩვენა.

„იმას რაღა დაემართა. ისიც ხომ ავად არ არის?..“

ახლა რეზოსთან მივიდა. მშფოთვარედ დააქცერდა. ბავშვი გაცრეცილი ეჩვენა.

„ვაიმე, ესეც ავად არის, რა მეშველება?“

შუბლზე ხელი დაადო. შუბლი გრილი ჰქონდა. დაწყნარდა.

— დაიძინე, გენაცვალე!

— წყალი!..

იქვე მდგარ გრაფინიდან წყალი დაუსხა და დააღვეინა. რეზო შებრუნდა და მაშინვე მიეძინა.

თინა ისევ გოგისთან მივიდა.

გოგი პირს აცმაცუნებდა. ტუჩებზე ნერწყვი შეხმობოდა, იშვუშნებოდა, თვალს ვერ ახელდა.

„ოკ, ლევანი მინც აქ იყოს! რა იქნება, რომ ცოტა ადრე მიატოვოს სამუშაო?.. განა უიმისოდ მუშაობა შეჩერდება?“ — ლაპარაკობდა თავისთვის. მერე ჩაფიქრდა და თავისი თავი გაჰკიცხა... ბავშვს ცუდად უვლიდა, უყურადღებოდ ჰყავდა. გაუშვებდა ეზოში და აღარ კითხულობდა, სად იყო, რას აკეთებდა. ხანდახან აივნიდან გადახედავდა, თუ დაინახავდა, არც გამოელაპარაკებოდა, მხოლოდ დანახვას სჯერდებოდა.

„ცუდი დედა ვარ, ცუდი, ცუდი!“ — ჰკიცხავდა თავის თავს.

ისევ შეწუხდა, უფრო მოუსვენრად იგრძნო თავი. კიდევ დარეკა ტელეფონი. კვლავ მშვიდი და ალერსიანი ხმა მოესმა.

— ნუ ღელავ, თინა, ნუ ღელავ, ხვალ

ექიმს გამოუძახებთ. მოვარჩენთ, ნუ გეშინია!

— ლევან, იცი რა?..

— რა? —

— ავად რეზოა... გოგი კი არა არის ავად, რეზოა ავად, რეზო!..

— რეზო?..

— ხო!

— რა დაემართა?..

— ხომ ვითხარი, დიდი სიცხე აქვს მეთქი. ზღალმდე როგორ მოვიცადო?..

თინას პასუხი აღარ გაუგონია. სასმენში მძიმე ამოსუნთქვა გაისმა, ოხერის მსგავსი. ლევანმა სასმენი დადო.

შეწუხდა თინა. ქმარს თავი მოაბეზრა შეილების ავადმყოფობით. მოსვენებას არ აძლევს, კაცი სამუშაოზეა. პასუხისმგებელია. ეს კი, ბავშვი ავად არისო, რას მივაცივდი, დედა ვარ და უნდა მოვუარო!

ათი წუთიც არ იყო გასული, რომ ზარის წკრიალი გაისმა.

— როგორ არის? — დერეფანშივე გაისმა მშფოთვარე შეკითხვა...

თინამ არაფერი უპასუხა. ლევანის ასე სწრაფად მოსვლა ეუცნაურა.

ლევანი საწოლ ოთახში შევიდა.

თინას სახეზე აღმურმა გადააქრა, ყურებამდე გაწითლდა. მოატყუა...

— ბოლოს და ბოლოს გამაგებინე, რომელია ავად? — იკითხა ლევანმა მწყრალად.

— გოგია ავად, — უპასუხა თინამ ნაღვლიანად.

ლევანი ხმაამოუღებლად მიუახლოვდა გოგის საწოლს... დახედა ბავშვს და კისერში ხელი ჩაუყვო.

— მართლა სიცხე აქვს! — თქვა და ახლა ის გაწითლდა. ისიც ყურებამდე... თავს მალა ვერ სწევდა. თინასათვის თვალებში ველარ შეეხედა. დანაშაული იგრძნო. დანაშაულის დაფარვა უნდოდა, მაგრამ არ იცოდა რით და როგორ.

— წავალ, ექიმს მოვიყვან... — წაიღულღულა.

— შეგაწუხებო?... — ეს სიტყვა ისე უთ-

ხრა, როგორც უცხოს. სამღურავეი გარსმა ხმაში.

ლევანს პასუხი არ გაუცხვია. უფროდ გარეთ გასულიყო, რომ თინას თვალებში არ დაენახა. ეს ძვირფასი და საყვარელი თვალები, რომელიც საყვედურით სავსე იყო.

კარისკენ გაემართა.

— ექიმს მოვიყვან! — ყრუდ გაისმა სიტყვები მეორე ოთახიდან.

„ექიმს შეილს წამა არ ჰყოლია! გაიფიქრა მწარედ, — მე კი მარწმუნებდა, ნამდვილ მამობას გაუწყვეო.“

ნახევარი საათის შემდეგ ექიმი თავს აღვა გოგის.

— ფილტვების ანთებაა!.. — თქვა ექიმმა.

ლევანმა იმავე დამეს მოიტანა წამლები. ძალიან ცოტა ეძინა მას. თინასთან ერთად გაათია ღამე. ლევანი მეტადრე მაშინ ფიზიოლოგია, როდესაც თინას სთვლემდა. მაგრამ თინას თვალში ამას ფასი აღარ ჰქონდა. ლევანს გულში ღრმად ჩამალულა გრძნობა გამოამჟღავნა.

გათენებისას ბავშვმა გაიოხებდა. თინას გულზე მოეშვა. რეზო საწოლში წამოჯდა და გაფაციცებოთ ეძებდა დედას. დაინახა და მიიბრუნა ფეხშიშველმა, დედას კალთაში ჩაუჯდა. თინამ ბავშვი მკერდთან მიიკრა და დაღონებულმა, როგორც მოზრდილ ადამიანს ეტყვიან, უთხრა:

— გოგი ავად არის!..

რეზოს ენა ახლად ადგმული ჰქონდა. რასაც ყურს მოჰკრავდა, იმავე წუთს იმეორებდა, ახლაც გაიმეორა, — გოგი ავად არისო.

გულში ბზარს ვრძნობდა თინა. ამ ბზარიდან წვეთავდა სინანულის ცრემლები. არ უნდოდა ბავშვებრისათვის ცრემლი დაენახებინა. სახელოში მალავდა სახეს.

— რათა ტირი? — მაინც შენიშნა რეზომ.

პატარა ხელებით ცდილობდა დედის სახისათვის ხელები მოეცილებინა და

პაწაწინა თითებით მოეწმინდა მისი ცრემლები...

თინა წამოღდა და რეზო საწოლში ჩასვა.

თინა დამწვიდდა ასე იცის ცრემლმა, გულს მოუფონავს, სიმშვიდე დილაშუალოდ შემოიტანა. დილაშუალოდ ასე იცის, მზე რომ შემოანათებს, ყველაფერი რომ გაბრწყინდება, ახარებს გულს, დაკვირვებულს...

ლევანი მშენებლობაზე წავიდა.

აფთიაქში ერთგვარადიანი დოზით პრეპარატი არ აღმოჩნდა და ორგანოების მისცეს: თინას შუაზე უნდა გაეყო და ისე დაეღვეინებინა. ეს თინას გადაავიწყდა და ორმაგ დოზას ასმევდა. ბავშვი შეწუხდა.

— დაიძინე, გენაცვალე! — ეხვეწებოდა თინა, მაგრამ გოგი ვერ იძინებდა, შფოთავდა.

გული ერეოდა და თავს იკავებდა, დედა არ შევაწუხო. მერე ცოტახანს წასთვლიდა.

დღის ოთხ საათზე წამალი კიდევ დააღვეინა. ახლა კი ბავშვს პირისღებინება ატყდა.

— რა მეშველება, მინინგიტი არ ჰქონდეს!.. მაშ რად აღებინებს?.. სიცხეც მალალი აქვს! — გაუელვა მწვავე ფიქრმა.

ერთი საათის შემდეგ გოგის კიდევ აღებინა.

გოგი ბურუსგადაკრული თვალებით გამოიყურებოდა. დროდადრო ტიროდა კიდევ.

თავხარი დაეცა თინას. „ვამი, ხელში არ გამოთავდეს!.. მამამისს მაინც შევატყობინო, მოვიდეს, ნახოს... იქნებ ბავშვსაც გაუხარდეს და გამოკეთდეს!“

მაგრამ სახლში როგორ შემოეღებოდა ის არაშეაღწეოდა. თუმცა შეემაკრიმა წაიღოს მისი თავი. მოვიდეს, შემოეთრის, ოღონდ გოგი კარგად გამიხდეს და რას დავეძებ! — ფიქრობდა გამწარებული.

— გოგი, მამიკო გივი არ გინდა ნახო? — შეეკითხა.

— სად არის? — ბავშვს ნახვის სურვილი დაეტყო სახეზე.

— დაუძახებ და მოვ?

— მოვიდეს.

სავონებელში ჩავარდა თინა. როგორ მოძებნოს. თითქმის სამი წელიწადია არ უნახავს. იმ დღიდან, რაც მათ სახლში მთავარი მოვიდა და ჩხუბი ატეხა. განქორწინებაც ისე მოხდა, რომ სასამართლოს არც ერთხელ არ დასწრებია. თინასაც ეს უნდოდა. არ დაწახა. არ გაეგო მისი ხმა. პირველ წელიწადს სხვადასხვა ხმები მოსდიოდა: ზოგი ამბობდა ცოლი შეირთო; ზოგი, ყამირზე წავიდეთ. იმასაც ამბობდნენ, ციხეში ზისო. სულ არ ენადლეებოდა მას და ყურადღებას არ აქცევდა ამ ამბებს. ახლა კი, როდესაც მისი ნახვა დასჭირდა, შეწუხდა. იქნებ მართლა ციხეში ზისო, ან და ყამირზე იმყოფებოდა. რაღას მოვა, როგორღა ანახვებს შეწუხებულ ბავშვს?!

ტელეფონთან მივიდა. გაუბედავად აიღო მილი და აკრიფა ნომრები, რომლებიც ჯერ კიდევ არ ამოშლილიყვნენ მისი მეხსიერებიდან.

გამოეპასუხენ. გივის დედა იყო. თინას წამით ენა დაება. როგორ მიმართოს. ერთ დროს ხომ დედას უძახდა. მაგრამ რა დედობა გაუწია, რომ ახლაც დედა უწოდოს?..

— მე თქვენი ყოფილი რძლის თინას მეზობელი ვარ. — მოისაზრა თინამ უცნებელი ტყუილი. — გადაეცით თქვენს ვაჟს, გოგი ძალიან ავად არის. მოვიდეს, ნახოს, რაც შეიძლება მალე არ დააციონოს!

შეეშინდა თინას, ხმაზე არ მაცნოს, არაფერი გამოემკითხოსო და მაშინვე ჩამოკიდა მილი.

არც მარო უყვარდა თინას. კარგად ახსოვს, სასამართლოში გივის მაგივრად ის მოდიოდა და აცხადებდა, ბავშვს ჩვენ ავიყვანთ, მამამისი არა მუშაობს და საზრდოს ვერ გადაუხდისო.

— როგორ თუ თქვენ აიყვანთ, ვინა ბავშვს დედა არა ჰყავს, რომ თქვენ აიყვანოთ?! თავცობალი როგორ დაგანებებთ შვილს, ვიდრე სული მიდგას!

არ მინდა თქვენი საზრდო. მე შევძლებ გავზრდას! — ასე უპასუხა მაშინ ცეცხლმოკიდებულმა თინამ, — შეილი ვერ გავზარდეთ ხეირიანად და შეილიშვილს გავზრდით? — გაჯავრებულმა ესეც კი უთხრა.

ისე შემოთოდა თინა, რომ ისიც კი დააფიქვდა ეეთხნა, შინ იყო თუ არა, ან და საერთოდ თბილისში იყო?

ახლა საგონებელში ჩაეარდა — მოვიდოდა თუ არა?!

თინამ ეს ლევანს არ აცნობა. ან რატომ უნდა ეთქვა?.. გაახსენდა მისი წუხანდელი საქციელი და გული ემდულრებოდა.

თინა იჯდა საწოლთან, ხელებში თავჩაქინდრული, მტანჯველ ფიქრებში წასული და ლოცვასავით იმეორებდნენ მისი მკრთალი ბაგეები:

„ნეტავი შინ იყოს!.. ნეტავი შინ იყოს!..“

მერე გოგის დააცქერდა... რალაც ეუცნაურა.

— რა გემართება, შეილო?!

გოგიმ უღონოდ მისდო ბალიშზე თავი, თვალები უმწეოდ მილულა და გაიხსნა.

აღმოდებული სახე ისე მოღლილმოქანცული მოუჩანდა, როგორც ეს ჰირვარამგადავლილ ადამიანს ემართება ხოლმე.

სულგანაბული დასცქეროდა თინა. ხმას არ იღებდა, ეგებ ჩაეძინოსო. დასცქეროდა პატარა, საყვარელ არსებას, ყური კი კარისაკენ ჰქონდა მიპყრობილი.

„ნეტავი შინ იყოს!.. ნეტავი შინ იყოს!..“ — კვლავ ჩურჩულებდა გულში.

გივი მართლაც ყამირზე იყო წასული, წელიწადზე მეტ ხანს იმყოფებოდა იქ, მაგრამ ამ ერთი თვის წინათ ჩამოვიდა. შეცვლილიყო მისი ცხოვრება. ეტყობოდა, თვითონაც შეცვლილიყო, რომ საღამო ხანს შინ იჯდა.

გაისმა ზარის ძლიერი წყრიალი.

თინამ კარი გააღო. მართლაც გივი შემოვიდა.

ისე შემოაბიჯა ოთახში, გამარჯობაც არ უთქვამს. მაშინვე იბრუნა ნაცნობი საწოლი. ის ბევრჯერ მჯდარა ამ საწოლზე, ბევრჯერ მიაღერებია თავის პირმშოს, გასთამაშებია და სიცილ-ხიზბით-ში ჩაუძინებია ბავშვი.

— რა მოგივიდა, ავად გაგხადეს, ცუდად გივლიდნენ? განა არ ვიცი! — პირველსავე წუთებში მწარედ უჩხვლიტავივით თინას.

— არა, მამიკო, მე თვითონ გაგხდი ავად! — უპასუხა გოგიმ და შესცინა. ხელები გაუწოდა.

გივიმ აკოცა გოგის. ბავშვმა წამოიწია, ცალი ხელი კისერზე გადახვია. კარგა ხნის უნახველ, მონატრებულ, მულამ შორს მყოფ, თითქმის გადაჩვეულ, მაგრამ მისთვის, რატომღაც მაინც ასე საყვარელ ადამიანს.

გოგის რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ისევე აერია გული. თინამ მოიბრინა და ხელით შუბლი დაუჭირა. გივიმაც შეაშველა ხელი და მათი ხელები ერთმანეთს მოხვდნენ. მივიწყებულმა, მაგრამ ნაცნობმა სიტბომ ორივეს სხეულში დაუარა, ოღონდ არც ერთმა არ შეიმჩნია.

ამ დროს ლევანმა დარეკა ზარი. თინამ კარი გაუღო. მან შემოაბიჯა ჩვეულებრივი სიღინჯით. გივი დანახა და სახე აელეწა, ეწყინა... მისი დანახვა არ ესია-მოვნა, მაგრამ „გამარჯობა“ მაინც წაიბურტყუნა.

— გოგი ძალიან ცუდად მყავს. მამამისს შეგატყობინე. იქნებ კარგად იმოქმედოს და მალე მორჩეს! — დამნაშავესავით წარმოთქვა თინამ, ისე, თითქოს პატივბასაც სთხოვდა უმისოდ გადაღმული ნაბიჯის გამო.

— პროფესორი მოვიწვიე. ის ახლაც მოვა! — მიუგო ლევანმა მშრალად.

გივიმ უხერხულობა იგრძნო, თითქოს ხელები შეუტყრესო. ის საწოლის ფეხთით იდგა, თინა კი თავით მოექცა. ორივენი სასოებით დასცქეროდნენ ბავშვს. მეტადრე, თინა. მათი დარდი საერთო იყო... ეს საწუხარი მხოლოდ მათ ეკუთვნოდა, მხოლოდ ისინი განიცდიდ-

ნენ შიშიმე ხვედრს, როგორც მშობ-
ლები...

„ხომ მორჩება ჩვენი საუნჯე?“ —
უსიტყვოდ, თვალებით ეკითხებოდა
თინა.

„არ ვიცი!“ — ჯიუტად უპასუხებდა
გივის კოპებშვილის სახე.

თინა თავზარდაცემული იყო და გოგ-
ნებული შესტკეროდა გივის. ყურთან,
ლოყაზე თინას ერთი კულული ჩამოე-
ვარდა. თინამ ხელი გაპკრა ამ კულულს,
უკან თმაზე გადაიგდო, მაგრამ კულუ-
ლი ისევ გადმოვარდა.

გივი დააცქერდა თინას. ვახსენდა
შორეული, განვლილი წლები, შორი
დღეები, გაიხსენა ის საღამო, სუფრაზე
რომ შეხვდა ლილის დღეობაში. იქაც
კულული გადმოუვარდა, მაშინაც ასე
შვეწოდა... რამდენი წელი გავიდა მას
შემდეგ, რამდენი ვარამი გადაიტანა თი-
ნამ, მაგრამ მაინც ისეთივე მშვეწიერია.
აი, მისი ნათელი თვალები, ახლა მოწყე-
ნილი, მაგრამ მაინც ლამაზი, მოწმენ-
დილ ცასავით საამური შუბლი, პატა-
რა ბაგეები, ისევე ბავშვურად გაბუტუ-
ლი ტუჩები... შესტკეროდა გივი და ეს
ფიჭირი უნებლიედ გულს უკაწრავდა. —
„რა ვქენი?! რა ვქენი?! როგორ დავკარ-
გე, როგორ?... როგორ?!“ — ნანობდა.

თინამ დაიჭირა გივის ეს მზერა, მის
სახეზე თითქოს განაფიჭირც ამოიკით-
ხათ. ძლიერ ნაცნობმა, ოდესღაც ძლიერ
ახლობელი ადამიანის თვალებმა კვლავ
ჩახებდა მის სულში და ეს ჩახედვა
იგრძნო თინამ... შეკრთა. შეშფოთდა...
დაიბნა კიდევ, სახეც აელეწა თავი დაბ-
ლა დახარა და მძლავრად აღარ აუხედავს.

„არა, არა, უკან ვერ გავიხედავ... რაც
იყო იყო, ის აღარ დაბრუნდება!“ გაუ-
ელვა გონებაში და ისეთი მკაცრი გამო-
მეტყველება მიიღო, რომელსაც მიიღებ-
და ძუ ლომი, თუ კი მის ლეკვს ვინმე
მიეკარებოდა.

ლევანი კარებთან გაუნძრევლად იდ-
გა. მიხვდა თუ გულმა უგრძნო, რომ ეს
ორი ადამიანი წარსულის მოგონებამ
შეიბურა. წარსულის ნაყოფიც რომ იქ-
ვე ეწვიათ?

ლევანი ნელი, მოწყვეტილი ნაბიჯით
გავიდა მეორე ოთახში. ის ნაწყენა იყო.
გარკვევით არ იცოდა, რა სწყინდა,
ოღონდ ძალიან გულნაკლულად გრძნობ-
და თავს.

ამ დროს პროფესორი მოვიდა. ლევა-
ნი ნაძალადევი ღიმილით შეეგება მას.
ჩამოართვეს პალტო, შლიაპა, ჯოხი. იგი
ყველას დარბაისლურად მიესალმა.

ბავშვის საწოლთან სკამი დაუდგეს.
ის ჩამოჯდა და მუხლებზე ხელები დაიწ-
ყო.

— აბა, მომიყევით, რა მოხდა, რამ
შეგამფოთათ?...

უცხო კაცის დანახვაზე გოგამ ბაჭი-
სავით დააქყიდა თვალები. მოეწონა კი-
დეც მისი შევერცხლილი მოხდენილად,
გადავარცხნილი თმა, მოკლე, ჯერ კიდევ
შავი უღლეაშები და ოდნავ შეთეთრებუ-
ლი, კონტად შეკრებილი წვერები.

პატარა რეზოც მოცუნკულდა და
ბავშვური ცნობისმოყვარეობით შესტ-
კეროდა მას.

— წამოჭექი! — ბრძანების კილოთი
მიმართა პროფესორმა გოგის.

გოგი ციყვივით წამოხტა და დაჯდა.
— ყოჩაღ! — შეაქო. — ისუნთქე! —
კვლავ უბრძანა, როდესაც ლითონის
მილი მკერდზე დაადო.

გოგამ ამოისუნთქა.
— კიდევ!..
გოგამ კიდევ ამოისუნთქა.

— ბატონო პროფესორო, მთელი დღე
გული ერეოდა. მეშინია, ვაითუ?! —
სიტყვა ჩაურთო თინამ.

თინა ისე შეშინებული და ამავე დროს
ისეთი ნდობით შესტკეროდა პროფე-
სორს, როგორც დმერთს, რომელიც
უსათუოდ განკურნავდა მის შვილს.

— ვნახოთ, ვნახოთ! — თქვა პროფე-
სორმა და ისევ ბავშვს მიმართა. —
ისუნთქე. აგრე, აგრე!.. ყელი ზომ არ
გტყვია, არა?.. აბა, ვნახოთ... ყელში ჩა-
ხედა მერე თითების კაკუნით ზურგიც
მოუსინჯა, მერე თვალებში ჩახედა, სი-
ნათლისაკენ გაახედა. მუხლების კვი-
რისთავებზე გაშლილი ხელის ირიბუ-
ლად დარტყმით ფეხები გაუსინჯა და

განცვიფრებულმა შეხედა თინას, რად-
გან ის იყო ღედა, მაშასადამე, მომვლე-
ლიც.

— რაშია საქმე, გული რატომ ერე-
ოდა? — იკითხა პროფესორმა ფიჭრია-
ნად. მერე მაგიდიდან რეცეპტები აი-
ღო და გასინჯა... პროფესორმა გაიღი-
მა და თავი გააქნია...

პროფესორის მკაცრსა და მოღუშულ
სახეზე თინამ ღიმილი რომ შენიშნა,
გულზე მოეშვა.

— გულის რევას ეს წამალი იწვევდა.
აღარ დააღვივინოთ, აღარ სჭირდება!..
სულ მალე ფეხზე წამოხტება ჩვენი ბი-
ჭუნა, ოღონდ აღარ გაგიცივდეთ!

პროფესორმა ახალი წამლები გამო-
სწერა და წავიდა. გულთბილად დაემ-
შვიდობნენ, მაღლობა გადაუხადეს, პალ-
ტო ჩააცვეს, შლიაბა და ჯოხი მიაწოდეს
და კარებამდე მიაცილეს...

გივიმ ირგვლივ მიმოიხედა, ვეღარა-
ვინ დაინახა. ლევანი აივანზე გასული-
ყო, თინა — სამზარეულოში.

გივი გოგისთან მივიდა და შუბლზე
აკოცა.

— მშვიდობით, ჩემო ბიჭუნო. მალე
მორჩი. ყოჩაღად იყავი!..

— მამიკო ჩქარ-ჩქარა მოდი ხოლმე.

— არა, მე აღარ მოვალ. შენ რომ კა-
რგად გახდები, დედაშენს ხელი მოჰკი-
დე და ორივენი მოდით ჩემთან!..

— მამიკო ლევანი?..

— შენ იმას მამას ნუ უძახი, შენი
მამა მე ვარ! — გაუწყრა გივი.

— დედამ მითხრა, შენი ამზრდელი
მამა არისო!..

— დედაშენს არ დაუჭერო!..

ბავშვი ჩაფიქრა.

მამასა და შვილს წინათაც ჰქონიათ
მსგავსი ლაპარაკი. ერთხელ გივი ბაღში
შეხვდა გოგის.

— მამიკო, რატომ არ მოდიხარ ჩემთან?

— ჰკითხა ბავშვმა.

გივიმ ცივად უპასუხა:

— დედაშენს ჰკითხე.

მერე თვითონ შეეკითხა:

— შენ ლევანს რას უძახი?..

— ლევან-მამას. — მიუგო ბავშვმა.

— შენ იმას მამას ნუ უძახი, გენმის!
— დაუტია გივიმ, — შენი მამა მე ვარ.
ის კი არ არის!..

— თუ ჩემი მამა ხარ, რატომ არა ხარ
ჩემთან?! — გულუბრყვილოდ, მაგრამ
გულმართლად უპასუხა ბავშვმა.

ისევ ის პასუხი მიიღო გოგამ — დე-
დაშენს ჰკითხეო.

გოგის დედისთვისაც უკითხავს ეს.
მაგრამ გასაგები პასუხი ვერც მისგან
მიუღია. ან რას გაიგებდა ამის მიზეზს,
რომ აეხსნათ კიდევ.

გივიმ შენიშნა, რომ განზრახ არაფერ
გამოდითოდა და დაუმშვიდობებლად წა-
ვიდა.

როდესაც თინა სამზარეულოდან გა-
მოვიდა, გოგის თვალებზე ცრემლები
შენიშნა.

— რა გატირებს?..

— მამა წავიდა! — სლუკუნით თქვა.

„ნეტავ შენ არ ყოფილიყოს!..“ — წა-
იჩურჩულა თავისთვის.

თინა იმ ღამეს გათანებამდე ტანთ გა-
უხდელი იჯდა საჯარძელში. შიგადაშიგ
სთვლემდა, მაგრამ გოგი შეინძრეოდა
თუ არა, მაშინვე თვალს ახელდა და
ალერსით ეუბნებოდა:

— დაიძინე, გენაცვალე. დაიძინე!..

ბავშვს მშვიდად და კარგად ეძინა.
გათენებისას თინასაც მაგრად ჩაეძინა.
ლევანი ისე წავიდა მშენებლობაზე, რომ
თინამ ვერც კი გაიგო.

გოგი მთელი დღე მზიარულად იყო
საწოლთან მომდგარ რეზოს ეთამაშე-
ბოდა. რეზოც დაუღალავად ტიტინებდა
ხან ეჭიმს აჯავრებდა, ხან გოგის.

თუმცა თინა ღიმილით შესცქეროდა
ორივეს, გოგის გამოკეთებულთაც გახი-
რებული იყო, მაგრამ ის მაინც რაღაც
ჭრილობას გრძნობდა გულში.

თინა დარწმუნდა, რომ გოგი არ უყ-
ვარდა ლევანს. მან უნებლოდ გამოამე-
ღა თავისი თავი. გოგის ავადმყოფო-
ბის გაგებაზე მშვიდად და არხეინად
უპასუხებდა, არაფერი, მორჩებო, მა-
გრამ როდესაც რეზოს შესახებ იგივე
გაიგო, მაშინვე თავგუდმოგლეჯილი

ლობაში სიყვარულს უზიარებდი, მერე როგორ სიყვარულს?... პირველ სიყვარულს!..

— მერე, განა შენ არ მეფიცებოდი, წარსულს არ გავიხსენებო?! — ქალურმა სისუსტემ დასძლია თინას და უკვე ტირილით უპასუხა.

— არ გავიხსენებდი, მაგრამ ყოველ წუთს თვალწინ რომ მიდგას, მაინც მაგონებს შენს წარსულს და გულს მიღრღნის, გულს მისერავს!..

— მაგისთვის მე უნდა გძულდე და არა ბავშვი. ან მე რად უნდა გძულდე? როდესაც პირველად გავთხოვედი, შენს წინაშე ხომ არაფრით ვალდებული არა ვყოფილვარ?! მიპასუხე, რა დაგიშავა ბავშვმა, რომელიც აქ არაფერ შუაშია?! —

შენი წარსულის სახსოვარი ეს არის. მე არ მინდა ეს სახსოვარი გამუდმებით თვალწინ მედგას... და მე არ შემძლია, სიმართლე არა ვთქვა! აი, მე შენ გთხოვ, ჩემთან არ მოეფერო მაგას, არ აკოცო. როდესაც ეგ ხელებს შემოგხვევს ხოლმე, ასე მგონია მისი ხელები გეხვევა-მეთქი!

— რად გინდა ისეთი სიმართლის თქმა, რომელიც სინდისს დაგაჯარგვინებს?!. მაშ შენ ისიც გავგებარდებოდა რამე დამართოდა ბავშვს და ხელიდან გამომკლოდა?..

— მე მისთვის სიცოცხლე არა მშურს, იცოცხლოს და გაიზარდოს, ოღონდ გაუგზავნე მამამისს, მის მშობლებს. განა ისინი ვერ მოუვლიან?... არ მიიღებენ?!

— არა, მე მაგას გულიდან ვერ მოვიგლეჯ; ეგ მე გულში მყავს შეზრდილი, მაგას ნუ ელოდები. ეგ არა, ოდეს აუ მოხდება. იცოდე, მე იმასთან ვერ ვიკბოვრებ, ვინც გოგის დაჩაჯვრას მოინდომებს!

— დედაა... გაისმა ამ დროს გოგის ხმა.

თინა მაშინვე წამოდგა და საწოლ ოთახში გავიდა. გოგის თმები გადაუწია, თვალელებში სიყვარულით ჩახედა და აღერსით ჰკითხა

— რა გინდა, ჩემო სიცოცხლე? რითვის დამიძახე?..

— რეზოს ერთი მამა მყავს, მე კი ორი, ეს როგორ არის? — მოულოდნელი იყო თინასათვის ეს შეკითხვა და სახტად დარჩა. ვერაფერი უპასუხა. ბავშვს თვალელები დაუკოცა, გულში ჩაეხუტა, ცდილობდა აღერსით გაეჭარწყლებინა ბავშვის გონებაში წამოჭრილი უცნაური საკითხი... გულში კი ფიქრობდა: „ორი კი არა, შენ ერთიც არა გყავს, ერთიც!..“

IX

სალამოს ექვსი საათი სრულდებოდა. ლევანი უნდა მოსულიყო მშენებლობიდან. სწორედ იმ წუთებში თინამ მეზობლის გოგონას მახლობელ ბაღში გოგი გააყოლა. სთხოვა გაასეირნეო, ბავშვებში ითამაშოსო.

გოგის ძალიან გაუხარდა. კარგა ხანია გარეთ არ უშვებდნენ, ახლა კი ბაღში წასვლის ნება მისცეს.

— მე, დედიკო, ბევრს არ ვიბტუნებ, რომ ოფლი არ მომივიდეს და არ გავცივდე. ლალის ყველაფერს დაუჯერებ! — აღუთქვა გოგამ. მერე მოძებნა თავისი ქუდი, სავაზაფხულო პალტო, ყელსახვევი და საჩქაროდ გამოეწყო. ეშინოდა დედას მისი გაშვება არ გადაეფიქრებინა.

— დედიკო მე? — იკითხა რეზომ.

— შენ ჩემთან იყავი, დედა ხომ მართო არ დარჩება?..

რეზომ მაშინვე დაუჯერა.

თინა სუფრის გაშლას შეუდგა.

რეზო სულ კუდში დასდევდა. საითაც თინა მიდიოდა, კაბის კალთაში ხელჩაკიდებული რეზოც იქით მიჰყვებოდა.

ნახევარ საათში ლევანი მოვიდა. მღუმარედ მონახა ბიჭამო და გადაიცვა. მერე ხელი დაიბანა და სუფრას მიუჯდა.

ორივენი ხმამაღულდებლად შეეცეოდნენ. მხოლოდ რეზო ტიტინებდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ მის

ლაპარაკს. არც რეზო მოითხოვდა პასუხს.

— დღეს გემრიელი სადილი დაგიმზადებია! — თქვა ჩამქრალი ხმით ლევანმა.

— მხოლოდ დღეს?... — იკითხა თინამ, — შენ არასოდეს არ გითქვამს სადილი უგემურიაო.

— მართალია...

ორივენი გულჩათხრობილად გრძობდნენ თავს.

ასე უცბათ და ასე ადვილად არ მორჩებოდა სიტყვით დაპირილი გული... ამისათვის დრო იყო საჭირო, დრო კი ნელა მიდიოდა.

ლევანი ჩუმად წამოდგა სუფრიდან. ხმაამოუღებლად გავიდა საწოლ ოთახში, აივანზე, ეზოშიც გადაიხედა. ვერსად ვერ ნახა გოგი, მაგრამ ვერ გაბედა კითხვა, სად არისო. ჩუმად მივიდა ოტამანკასთან, რომელიღაც ქურნალი, სწორედ დღეს რომ მოეტანათ, აიღო და წამოწვა. მხოლოდ ფურცლავდა, არ კითხულობდა. სათაურებს გადაავლო თვალი. ორმოცდაათი გვერდი რომ ჩაათვა თავიდან დაიწყო ფურცვლა.

რომელიღაც ლექსის ორიოდე სტროფი წაიკითხა. ვერაფერი გაიგო. ხელმეორედ წაიკითხა, კიდევ ვერ გაიგო... მესამედ კი ყურადღება დაქიმა და მიუხედავად ავტორს. გაუკვირდა, გაეცინა თავის თავზე. რა იყო აქ გაუგებარი? მარტივად თქმული სტრიქონი იყო, ის კი ელოდა მაღალ მხატვრულ ფორმაში გამოთქმულ დიდ სიბრძნეს... „და ამას სწერს პოეტი?“ — ჩაილაპარაკა. გაჯავრებული წამოდგა და ქურნალი მიავლო. მერე კარებს მიუახლოვდა. მიაყურადა. რაღაც ხმაური მოესმა. კარი გამოაღო. გაიფიქრა, იქნებ გოგი მოიყვანესო. არაფერ იყო. აივანზე გავიდა, ეზოში გადაიხედა. ბავშვები თამაშობდნენ... ელიზა, ნონა, მიხა, ციკო, მაგრამ მათ შორის გოგი არ იყო.. რა მოხდა?.. სად არის?!

ოთახში შევიდა და თინას მიაცქერდა. მაინც ვერ ჰკითხა, სად არისო.

— ბორჯომის წყალი მინდოდა დამე-

ლია, ვერავის გაგზავნი მოსატანად? მიმართა ფრთხილად.

— მე წყალ ბორჯომის მოსატანად

— არა, რატომ შენ, მე თვითონ წავალ!..

— როგორც გსურდეს!..

ლაპარაკობდნენ, ოღონდ ერთმანეთს არ უცქეროდნენ.

ლევანმა ტანსაცმელი გამოიცვალა და წავიდა. ჰაერზე რომ გავიდა, გულზე მოეშვა. შინ ძალიან დაძაბულად გრძობდა თავს.

თინა რეზოს მიუჯდა და სურათებიან წიგნს უკითხავდა. რეზო ზეპირად იხსომებდა დედის წაკითხულს.

ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც ლალიმ გოგი მოიყვანა. სუფთა ჰაერზე კარგა ხანს თამაშისაგან გოგი მთვრალივით იყო. დედას მოუჯდა და სთხოვა:

— ხვალაც გამიშვი, დედიკო, ბაღში?..

— გაგიშვებ, შეილო.

გოგის გაუხარდა და ზღაზღვნიტ წავიდა საწოლისაკენ. ჩაიც კი არ დაუღუვია. ტანთ გახადეს, მიწვა და მაშინვე მიეძინა.

ლევანი გვიან მოვიდა. იქიდანვე მშენებლობაზე წასულიყო. ორთაქალის პიდროსადგურის კაშხალს აგებდნენ და დილიდან შუალამემდე თავს ადგნენ ინჟინრები, სამუშაოთა მწარმოებლები, მეტადრე, მშენებლობის უფროსი და თვითონ მთავარი ინჟინერი.

დილით ისე წავიდა, რომ ბავშვებს ეძინათ. არც ერთთან არ მივიდა. გოგისთან მისვლას ვერ ბედავდა, ამიტომ აღარც რეზოსთან მივიდა. არ იფიქროს რომ მხოლოდ თავის შვილს ეალერსებაო. აქამდე, სამუშაოზე წასვლამდე, ბავშვებს ყოველთვის გაეთამაშებოდა ხოლმე.

საღამოს ექვს საათზე თინამ ისევ სასეირნოდ გაისტუმრა გოგი. ბავშვი კვლავ ხალისიანად გაეშურა ბაღისაკენ. ლევანი სამუშაოდან დაბრუნდა. ისევ შინ არ დაუხედა ბავშვი. განცვიფრებული შესცქეროდა ცოლს, უსიტყვოდ, ხმისამოუღებლად.

ასე გაგრძელდა ერთ კვირას.

ერთ საღამოს გოგამ გასეირნებაზე უარი უთხრა დედას, არ მინდაო თინამ მკაცრად მოსთხოვა, უნდა ვასეირნრო. გოგი ეხვეწებოდა, შენთან ყოფნა მირჩევნიაო, მაგრამ არ შეიწყენარა მისი თხოვნა, ძალით გაგზავნა სასეირნოდ.

ასე ყოველ საღამოს ასეირნებდნენ გოგის, ისე რომ ლევანს იგი თვალთ არ დაენახა. ბავშვს კი უკვე სასჯელად ვადაეცქა ეს სეირნობა.

ერთ საღამოს თინამ გადაკერით ჰკითხა ლევანს:

— ახლა ხომ მოსვენებული ხარ?!

— რატომ? — იკითხა ლევანმა. უცებ ვერ მიხვდა შეკითხვის აზრს.

— თვალში აღარ გითამაშებს საძულველი არსება!..

— საძულველი!..

თვალწინ წარმოუდგა ლევანს ხუთი წლის ბიჭუნა. უმწიკვლო, ციმციმა თვალეზიანი, შუბლზე გადმოვარდნილი ხუტუტა თმებით და მოუხვეწარი, დაუღალავი ბაწაწა ხელებით, რომლებიც ხან რას აკეთებდნენ საეშმაკოს და ხან რას.

— ხომ აღარ გაწუბვებს?.. — გაუმეორა კითხვა თინამ.

— დიახ, აღარ!.. — ჭიუტად უპასუხა ლევანმა — ჩანდა, გრძნობა, რომელიც ერთხელ აღეძრა გულში, ისევ ცოცხლობდა...

ასეთია ყოველი მამაკაცი... მისი გულის რომელიღაც კუნჭულში, საღდაც ღრმად ყუჩობს მიძინებული გრძნობა სინანულისა თუ იქვისა, ღვარძლისა თუ ბრაზისა, რომელიც შემდეგში უსათუოდ იღვიძებს და აშფოთებს მას... ვეღარაფერი ვერ ამთელებს იჭვმოკიდებულ გულს...

„საძულველი შენა ხარ!“ — გაუელვა თინას და ზიზი იგრძნო ლევანისადმი. მასში დაინახა მთლად უცხო, სულ სხვა ადამიანი და გაუკვირა კიდევ: თუ როგორ ცხოვრობს მასთან.

მაგრამ იყო ხოლმე ისეთი წუთები, როდესაც ლევანი გულში ნანობდა, რატომ გამოვთქვიო გულის ნადები, რად ვავამხილეო ჩემი მტანჯველი გრძნობა.

გული გაუტყდა თინას. გულწრფელი სიყვარულით ასე ამაღლებული, ასე განდიდებული ადამიანი მის თვალში უცებ დაბატარავდა, დაკნინდა, დაეცა. აღარაფრად თვლიდა მის ბრგე ტანადობას, მის აღაეღებულ სახეს, ძალღონით საესე ნამდვილ მამაკაცურ მკლავებს. პატარა ადამიანისთვის ჩვეულმა სულმოკლეობამ. რაც ლევანმა გამოიჩინა, დაკნინა მისი მხარბევიც, მისი მშვენიერი აღნავობაც. მისი გულის ხმაიც, რადგან თინას თვალში და თინას გულში სული გამოეცალა ამ კარგად წარმოქმნილ სხეულს...

„ჩემს შვილს არავის დავაჩავგორინებ!.. არავის! — ფიქრობდა თინა, — მამ რაღა დედა ვარ, თუ კი ვინმე შვილს დამიჩავგრავს?.. ცხოვრების გზა დამებნა... სიყვარული ჩამეფერფლა... შვილებილა მყავს საამაყოდ და დედაც აღარ ვიყო?!. აღარავინ მინდა... აღარავინ. შვილების გარდა!.. ჩემი იმედი, ჩემი სიყვარული და ჩემი სიცოცხლე ესენი არიან, ესენი!..“

X

როდესაც თინა სახლიდან გამოდიოდა, სარკეშიც ჩაიხედა, თმაც შეისწორა, წარბებზეც გადაისვა ხელი. ტუჩებზე არ ისვამდა, ისედაც წითელი ჰქონდა. მწიფე ალუბლისფერი. მას ეგონა, ჩვეულებრივად გამოიყურებოდა. ოვითონაც ვერ ამჩნევდა, რომ შფოთავდა... ჩქარი ნაბიჯით ჩაითვალა კიბეები... ეჩქარებოდა კიდევ... დედასთან მიდიოდა. თუმცა არც კი იცოდა, რასთვის მიდიოდა დედასთან, მაინც არაფერს ეტყოდა მას, გულის ფიქრს არ გაუზიარებდა, არც შესწიფებდა, არც გაუმხელდა, რომ ბოღმა ჰკლავდა. ის მაინც მიდიოდა დედასთან, რადგან მის სიახლოვეს, მის გვერდში იგრძნობდა იმედს. რაღაც ძალას. მის ხმას ხომ ვაიგებდა?.. მის ნათელ სახეს ხომ დაინახავდა? იმ კალთის სითბოს იგრძნობდა, რომელიც აიზარდა.

გაოგნებული მიდიოდა დიდი ბოლ-

მით გულში. ვაფაციცებთ იყურებოდა ირგვლივ; თქოს ვინმეს ეძებდაო, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. ზოგი ესალმებოდა კიდევ, მაგრამ მისალმებას ისე გვიან ამჩნევდა, რომ საბასუხოლ სალმის მიცემას ვერ ასწრებდა.

— აი, პირისპირ შეეფეთა თამარ მასწავლებელს. შეეფეთა და შეჩერდა კიდევ სხვანაირად არ შეიძლებოდა.

— არ უნდა მომესალმო?.. — სამღერავეთ მიმართა დარბაისელმა ქალმა.

იგი ექვსი წელიწადი ასწავლიდა თინას. მეხუთე კლასიდან. მის ხელში გაიზარდა. ახლა კი სალამსაც არ აძლევს!..

— არა გრცხვენია?.. — გაიმეორა მოხუცმა ქალმა. — ასე უნდა დაგვივიწყო?!

თინას სახეზე ღიმილი ვამოგებატა, მაგრამ ისეთი უცნაური, ისეთი მწარე. თითქოს მისი ტუჩები ნაღველით ყოფილიყოს შელესილი.

მასწავლებელი დააცქერდა და ვანცვიფრდა.

— რა დაგემართა?.. რა როზა?.. შენ მე ყოველთვის მზიარული მამსოვლი. ცელქი... ცელქი კი არა, გიჟი კი. ასე რამ დაგაღონა?..

— არა, მასწავლებლო, მე არა ვარ დაღონებული!.. განა მე არ ვიღიმიები?..

თინამ გაღიმიება სცადა, რომ სიხარული გამოეხატა.

— არა, არა!.. — განაგრძობდა მასწავლებელი, — შენ არ იღიმიები.. შენ ტირი, ნამდვილად ტირი!..

მაჯამო ხელი ჩასჭიდა და გვერდზე გაიყვანა: შესახვევში აატარა. იქ პატარა ბალი იყო, სულ პატარა. თვითონ ნაძვი, რამდენიმე ცაცხვი და ერთი ქაღარი ამშვენებდა იქაურობას. ქაღარის ქვეშ გრძელი სკამი იდგა. ბალისაკენ მიდიოდა თამარ მასწავლებელი. თინა გვერდით მიჰყვებოდა. უფრო მსუბუქად გრძნობდა თავს -- მასწავლებელი თვალბეჭდში არ უტყვეროდა, რაც ხელიდან მძიმე და აუტანელი იქნებოდა თინასათვის.

— ცუდი რამ შეგეპოზება? მითხარი, არ დამიშალო... მე ამას შენს სახეზე

ვკითხულობ. არ დამიშალო, ყველაფერი მითხარი!..

მეტივენი

თინა დედასაც არ ვაღმბგვლდა მისი გულისნადებს. ჭიუტი იყო, ზედმეტად თავმოყვარე, გულჩავეული... მას რცხვენოდა თავის ღარდისა...

— სულერთია, არ მოგეშვები, უნდა მითხრა... უნდა მითხრა!..

— იცით რა, მასწავლებლო?.. ჰო, არ ვიცი, რა ვთქვა?!

— თქვი, სათქმელს გულში ნუ ჩაიკლავ.

— იცით, რა.. თქვენ მე ოთხებსა და ხუთებს მიწერდით, კარგად ვსწავლობდი, მაგრამ თქვენ მე ცხოვრება არ მასწავლეთ, როგორ უნდა მეცხოვრა, როგორ უნდა შემეცნო აღამიანები, თქვენ მე ეს არ მასწავლეთ... თქვენ დიდ შეცდომას უშვებთ. ძალიან დიდ შეცდომას. ასწავლით საგანს ცხოვრებისაგან მოწყვეტილად. მართო საგანს... მართო... მართო... დაგვამთავრებინებთ სკოლას და ვაკვირვებთ, წადით და იცხოვრეთო. ჩვენ კი უსუსურები ვართ!.. სამღერავეს გიბედავთ, მასწავლებლო, სამღერავეს!.. თქვენ არასოდეს არ ვიამბინათ ჩვენთვის თვითონ თქვენ როგორ ცხოვრობდით... როგორ მიაღწიეთ იმ აღამიანურ სიმალეს, რომელსაც თქვენს შესახებ ყველა აღნიშნავს?! რა იქნებოდა ერთხელ მაინც გვამბნათ ჩვენთვის, როგორ ვიყვარდათ, როგორ უყვარდით. როგორ შეინარჩუნეთ ბოლომდე ეს სიყვარული? რა ძალით, რა ნებისყოფით, რა გაცდებით?! როგორ აზარდეთ საკუთარი შვილები, ასე საამაყოდ რომ მოჩანან ჩვენს საზოგადოებაში.. მადლობელი ვარ იმ ნიშნებისათვის, რომლებსაც მიწერდით, მაგრამ რომლებიც არაფერში არ გამომადგა... მე ფრიადიც მიმიღია, თურმე უცოდინარი კი ვყოფილვარ, რადგან ის ფრიალები ცხოვრებაში ცუდ ნიშნებად გადამეცა!

სახტად დარჩა თამარ მასწავლებელი. ის ამას არ მოელოდა. ზმას ვერ იღებდა. ახლა თვითონ არიდებდა თვალბეჭდს. ჩა-

ფიქრდა... ენიშნა... მართალია, გადაწყვიტა გულში...

ნიშნებს უწერდა გაზეპირებულ ლექსებში, მოთხრობების შინაარსის მოყოლაში, ნაწარმოების გმირების შეფასებში. მსჯავრს დებდა მათ გრძობებს, განცდებს, მათ მისწრაფებებს. აქებდნენ ან აძაგებდნენ მათ. აბა შენ თვითონ როგორი იქნებოდი, როგორ მოიქცეოდი?.. განა სათავილო იქნებოდა საუბარი სიყვარულზე, თუ გინდა შენს პირად სიყვარულზე?..

ყმწვილები ხომ თვალხილულნი არ არიან?... გინდ ვაჟი, გინდ ქალი, სულერთია.. ოხინი ხომ გულით ხედავენ. ამ დროს მათი თვალიც და გონებაც გულშია. გვიან ეხილებათ გონების თვალი, მათი გონება გვიან თავისუფლდება გულის ტყვეობისაგან და ვისაც უკვე ახელილი აქვს გონების თვალი, ვისაც გულის ტყვეობიდან გონება დაუხსნია, მან უნდა შთაგონოს ახალგაზრდობას, რომ მხოლოდ გულით ცქერა, გულით ხედვა არ შეიძლება!..

თამარ მასწავლებელი უკვე ჰადრის ქვეშ გრძელ სკამზე იჯდა. აკანკალებულმა მუხლებმა ველარ გაუძღეს და, რომ არ ჩაჩოქილიყო, ჩამოვდა.

„საყვედურს გეუბნებით, ჩემო საყვარელო მასწავლებელო, და მპატიეთ!“ ზარივით წკრიალებდა ეს სიტყვები თამარ მასწავლებლის ყურებში.

თინას ტირილი არ შეეძლო. ჭიუტობდა და ამიტომ არა ტიროდა, კარგი იქნებოდა ამ დროს ტირილი, რამდენიმე ცრემლი მაინც, გულს მოეშვებოდა, მისი მწარე ზოდმა და ნალველი ცრემლებად დადნებოდა.

თამარ მასწავლებელმა ძლივს მოითქვა სული. ისედაც დაღარული სახე უფრო დაეღარა, დაუნაოქდა. მან, როგორც დიდმა დედამ, დიდმა აღმზრდელმა, რომელმაც თავის სიცოცხლეში ასოებით ქალ-ვაჟი აღზარდა, პირველად მიიღო საყვედური და ღრმად განიცადა. საყვედური და ისიც მოხუცებულობის დროს, მაშინ, როდესაც უკვე ამთავრებდა თავის მოღვაწეობას.

თინამ მასწავლებლის სახეზე წუხილი შენიშნა და თვითონაც შეწუხდა. მიხვდა, უზომო ტკივილი მიაყენა მას. გვერდზე მიუჯდა... მოეფერა... მისტა... ლერსა.

— თუმცა, თქვენ რა ბრალი მიგიძლივით, დამნაშავე მე ვარ, მხოლოდ მე!... მასწავლებელმა თინას ხელი გადახვია და შეეკითხა:

— მაინც რა დაგეძარათ, რა მოხდა შენს თავს?!

თინამ უამბო, რაც თავს გადახდა. უამბო როგორც აღმზრდელ მშობელს და ბოლოს მწარედ ჩაილაპარაკა, თითქოს თავისთვის წარმოთქვა:

— მირჩიეთ, თამარ მასწავლებელო, როგორ მოვიქცე?!

— საღ იყო ამ დროს დედაშენი, ან მამაშენი რას აკეთებდა?

— მამა აღარ მყავს... დედა?.. ეჰ, დედაჩემს ხელმეორედ ველარ მოეუკლავ გულს!..

— ამხანაგები მაინც არ გყვანან?..

თინა გაჩუმდა და გონების თვალთ წარმოიდგინა ყველა, ვაჟიც და ქალიც, ვისაც კი ბავშვობიდან იცნობდა. ისინიც კი გაიხსენა, ვისთანაც ბურთი უთამაშნია. კლასობანაში უხტუნავია. მაგრამ, საღ არიან ახლა ისინი? აღარაღის ახსოვდა თინა. მოსწყდა მათ, მთლად ჩამოსცილდა. ყველა თავთავისი გზით წაიდა. თინა კი მარტო დარჩა... მთლად მარტო... ვერაღის ხედავს თავის გარშემო, რომ მხარში ამოუდგნენ, ან უგვეშონ, რამე ურჩიონ!..

— ამხანაგები?.. — იკითხა თინამ. — ამხანაგები? — გაიმეორა, თითქოს უნდოდა ტყუილად მაინც დაესახელებინა ვინმე, მაგრამ ვერაღინ გაიხსენა. — მასწავლებელო, ჩვენი ცხოვრების გზები გაიყო და ჩამოვეცილდით ერთმანეთს. მე მათთვის არა მცალოდა, იმათ-ჩემთვის!..

თანაგრძობით და სიბრაღელოთ უცქეროდა თამარი თინას. „საბრალოა უამხანაგო აღამიანი!“.. — ფიქრობდა გულში თამარი...

- კომკავშირელი არა ხარ?..
- არა!
- ხომ იყავი?
- ვიყავი და გამოვედი.
- რატომ გამოდი?..
- იძულებული ვავხდი...
— ჩემო თინიკო, კარგად ვერ მოქ-

ცეულებარ. მარტო ვერ ვასცურავ ცხოვრების ვეებერთელა ზღვას. ვერ ვასცურავ და რა ვქნა? ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირამდე მარტო ვერასჯიხით ვერ მიხვალ... კომკავშირიდან არ უნდა გამოსულიყავი. კომკავშირი ხომ არ მიგატოვებდა, მოგივლიდა... გზის დასაწყისში არ დაგტოვებდა...
თამარი წამოდგა და წელში გაიმართა: სახე გაუბრწყინდა. თვალეები აუღვარდა...

— გვიან არ არის, ჩემო შვილო, ნუ შეშინდები. შენი ტოლები მაინც შენი ამხანაგები არიან. კომკავშირი მაინც გაგიწევს მეგობრობას! ჩვენს ქვეყანაში მარტო არაფერ არ დაჩივება! ჩვენი საზოგადოება ყოველ ადამიანზე ზრუნავს, ყოველ ადამიანზე. მარტოდ არავის არ მიატოვებს!..

თინაც უნებლიედ წამოდგა და შეაკერდა თამარს, უტკეროდა იმედითა და რწმენით, როგორც მხსნელს...

— კომკავშირში მიდი, შენს თანატოლებს მიმართე, ისინი ხელს გამოგიწვდიან. უსათუოდ.. უსათუოდ მიდი!..

თინა ახლა უკვე დარცხვენილი იდგა თამარის წინ, მტკიცე გადაწყვეტილებით გულში.

XI

სხვას რომ დარდი გაუზიარა, რომელიც გულში მიიმედ უტრიალებდა, თინამ შეგება იგრძნო, თანამგრძნობი ჰყავდა, მერე როგორი თანამგრძნობი, აე-კარგის გამგები და სიმაართლის მოყვარული. თინა დედასთან აღარ წავიდა, ბავშვებთან დაბრუნდა შინ...

გოგის და რეზოს ვახეზრდათ დედის დაბრუნება, კალთაზე შემოეხვივნენ, ეტიტინებოდნენ.

— დედიკო, აღარსად აღარ წახვიდე. დედიკო, თუ წახვალ, ჩვენც წავვყავანე...
— არსად არ წავალ, გენაცვალეთ, სულ თქვენთან ვიქნები, სულ თქვენთან! — ეუბნებოდა და ხან ერთს ჰკოცნიდა, ხან მეორეს.

ბავშვები აღრე დააძინა. თვითონაც აღრე დაწვა. ლევანის მოსვლას არ დაუცადა. გული გაუცივდა. საჭიროდ აღარ ჩათვალა მეგობრული ყურადღების გამოჩენა.

ჩაწვა ლოგინში და ფიქრებს მიეცა...
„როგორი სიცოცხლით აღსავსე, წმინდა სიყვარულით გამთბარი გულით შევიდა ცხოვრებაში?.. მას ეგონა რომ ყოველი ადამიანი მასავით გულწრფელი; მასავით ალალი გულისა იყო. გულუბრყვილოდ ენდობოდა ყველას, ყოველი ვაგონილი სიტყვა მართალი ეგონა... მან ყველას გადაუშალა თავისი წმინდა გული... მაგრამ ვერ გაიგეს იგი... არაფრად ჩათვალეს მისი სისპეტაკე... ვერ გაიგო გვიმ... ვერ გაიგო ლევანმა... ადამიანის სისპეტაკის დაფასებისათვის სვინდისია საჭირო, სვინდისი კი ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ნიჭია, არც ეს ნიჭი შეიძლება ყველას დაჰყვეს, ისე, როგორც ყველას არ შეიძლება დაჰყვეს შემოქმედების ნიჭი.

ჭკვიანად რომ მოქცეულიყო? ჭკვიანად კი არა, ცივად, უგულოდ, თავნებად, შეიძლება სულ სხვანაირად წასულიყო მისი ცხოვრება... თინა ესწრაფვოდა ლამაზ ცხოვრებას, აზრიანსა და მშვენიერ ცხოვრებას, მაგრამ სულ სხვანაირად დაეწყო მისი სიცოცხლე...
კარგად ახსოვს თინას ერთი საღამო მამის ოჯახში. სტუმრები ჰყავდათ. მათ შორის ერთი მწერალი იყო. ვერ ახლავაზრდა, მაგრამ ტკბილად მოსაუბრეს სიყვარულით შესცქეროდა თინას, უღიმოდა მთელი გულით, შესცივოდა, შეხზაროდა, ამბობდა, რა მშვენიერი ქართველი ქალიშვილი იზრდებაო! მან თინას სადღეგრძელო რაღაც განსაკუთრებული ყურადღებით შესვა. თქვა:

„იცოცხლე, იდღეგრძელე, ოღონდ ისე სუფთად, ისე წმინდად, რომ არასოდეს მცირეოდენი ბოროტება არ ჩაგედინოს, მთელი შენი ცხოვრების გზაზე გველოს პატიოსნად, სინდისიერად, ადამიანური სინათლით... როდესაც დაბერდები და უკან მოიხედავ, როდესაც თვალს გადაავლებ ცხოვრების გავლილ გზას, არც ერთი ლაქა არ დაგენახოს, არც ერთი შავი წერტილი, არაფერი ცუდი და უსიამოვნო არ გაგხსენებოდეს, რაც შენს გულს ეკლად მოხვდება. გაგხედოს განვლილ გზისაკენ და გეთქვას: რა ბედნიერი ვარ, რა ლამაზად მიცხოვრია, რა წმინდად გამიტარებია მთელი ჩემი სიცოცხლეო!“

გაახსენდა ეს სიტყვები და ახლა, როდესაც ის მარტოა, მართლაც ვონების თვლით გაიხედა თავისი ცხოვრების განვლილ გზისაკენ და შეშფოთდა... „ვერ გავაპართლე. რამდენი უსიამოვნო ლაქაა, რამდენი!... ცხოვრება ჯერ კიდევ წინ მაქვს. ჯერ ოცდასუთი წლისაც არა ვარ!.. ოჰ, რა ცუდად დავიწყე!“

ჩაეძინა.

შუალამისას ძილის ბურანში ესმოდა ლევანის ფეხის ხმა, მაგრამ მისკენ არ გაუხედავს. ერთხელ თუ ორჯერ შემოესმა კიდევ : — თინა!.. — მაგრამ ხმა არ გაუცია.

დილას ადრე გაეღვიძა თინას. ბავშვებს საკმელი დაუშხადა. ლამაქებზე რძის ფაფა დაუსხა, შუაში თითო კოვზი კარაქი ჩაუღვლო.

ლევანი რამდენჯერმე მიუახლოვდა თინას, რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ თინა ზედაც არ უტყვეროდა.

— სუფთა ცხვირსახოცი მომეცი, — სთხოვა ლევანმა.

— არა მცალია. — მიუგო მშრალად. ცოტახნის შემდეგ ლევანი კიდევ მიუბრუნდა თინას და უთხრა:

— მე მივდივარ!

— ვინ გაკავებს?

— რამე მაქამე.

— პირი გაქვს და ხელები, გამოიღე და ჭამე...

„შენისთანა ცოლი!“ — ჩაილაპარაკა

ლევანმა და ტანთ ჩაიცვა, ქუდი დაიხტრა. მეტი აღარაფერი უთქვამს, წავიდა... კარი მაგრად გაიჯახუნა.

ყური მოჰკრა თინამ, კარებშიც გაიმეორა — შენისთანა ცოლიო.

„დიახ, ცუდი ცოლი ვარ, ცუდი მეგობარი!.. თუ უნდა წავიდეს, მომწყდეს თავიდან, ოთხივე მხრივ გზა უფენია!“

თინამ ბავშვებს სუფთად ჩააცვა, ორივეს აკოცა და აივანზე სათამაშოდ გაუშვა. თვითონ მშვიდად, აუჩქარებლად ტანთ ჩაიცვა. „სარკის წინ კარგა ხანს კოპწიაობდა, მოსწონდა კიდევ თავისი თავი... მეზობელთან გავიდა, ლალი შემოიყვანა და სთხოვა ბავშვებთან დარჩენილიყო.“

— მე მალე მოვალ. ჰკვიანად იყავით! — დაუბარა და წავიდა.

ისე ჩქარა მიდიოდა, თითქოს საღმე უგვიანდებოდა, რალაცას ესწრაფვოდა და ეს სწრაფვა თითქმის მიაქროლებდა მას. პლუხანოვის პროსპექტზე გავიდა. კომკავშირის რაიკომის შენობაში კიბეები აირბინა სწრაფად, ცოცხლად, ხალისიანად, როგორც აურბენია წინათ, ხუთი-ექვსი წლის წინათ, ქალიშვილობის დროს, როდესაც სკოლის ორგანიზაცია რაიმე დავალებზე გზავნიდა.

რაიკომის მდივნის კაბინეტში მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ვაჟი იყო. ის ფეხზე დგომით ელაპარაკებოდა მდივანს, ეტყობოდა უკვე წასვლას აპირებდა.

თინამ ოთახის კარი შეაღო, თავი შეჰყო და დაიძახა:

— შეიძლება?!

— მობრძანდით! — მოესმა სასიამოვნო და ამავე დროს ნაცნობი ხმა.

თინა შევიდა.

— ჩვენ დავამთავრეთ, არა?.. — მიმართა რაიკომის მდივანმა კაბინეტში მყოფ ვაჟს და ფეხზე წამოდგა.

— დიახ! — თქვა ვაჟმა, თავი დაუქნია და კარისაკენ გაემართა.

როდესაც რაიკომის მდივანი თინასკენ შეტრიალდა, მას სახე გაუბრწყინდა, გაეხარდა, დიდხნის უნახველი მეგობარი დაინახა.

— თინა, ეს შენა ხარ?.. გამარჯობა, თინა! რომელმა ქარმა ვადმოგადლო ჩვენსკენი..

— ეუუუნა! — ალტაცებით წარმოთქვა თინამ.

ესაა თბილისის პოეტური ისტორია დაბრუნებულ და დღემდე ქრისთლოგიური თანმიმდევრობით მოთხრობილი პოეტის მიერ. ეს პოეტურად მოთხრობილი ისტორიაა თბილისის დაარსების, დღემდეაქამდე გამოცხადებისა და შემდეგ მტერთან შეუპოვარი ბრძოლის ისტორია, ქართველი ხალხის სისხლით და ცრემლით იცავდა თავის დედაქალაქს, ქართველთა ცრემლი ერთოდა მტკვარს, თბილისისათვის ღერიღნეშ ცრემლს შეაბედითა საუკუნეები:

რა არ ნახა ქართლის ვულში,
რა წამება, განსადღლო,
თავს აწვიმდა სისხლის წვიმა,
ეცვა ციხის ტანსაცმელი.
გარს სიკვდილი ვლავრება
საწინელი ამარბენი,
მტრეან ყრუ და ბუღა თურქი,
ხაზაი და ზვარახმელი,
მაგრამ გლოვის შავი ღამე
ისევ თერთად თენდებათა
და რაღაცა მანქანებით
გული ისევ შთელდებათა

უდრე თბილისი ფეხზე იდგა, საქართველო ერთიანი, ურჯუი და მტკიცე იყო. ამიტომ ქართველი ხალხის მტერი, პირველ ყოვლისა, მიხანა თბილისს ამოიღებდა ხოლმე, მას უმიზნებდა, მის განადგურებას ცდილობდა. მტერმა იცოდა, რომ თბილისის დაცემა—სა-

ქართველოს დაცემას უდრიადა. ეს ჯემშიაიტება კარგად ჰქონდა შეგნებული, ქართველ ხალხს და ამიტომ განსაკუთრებული სიყვარულით ელოიაგებოდა თბილისს და იცავდა მას. როდესაც დავით აღმაშენებელი საქართველოს შემომტკიცებდა და გაერთიანებდა სათავეში ჩაუდგა, თბილისი მტრის ზღმნიყო. საქართველოს გაერთიანების საწინდარდ მან უპირველესად მტერთაგან თბილისის დახსნა მიიხნა. თბილისი და ერთობა საქართველო განუყოფელი ცნებები არიან. ქართველმა მწერლობამ საქართველოს დედაქალაქი თბილისი ერთგული შეგნების მედრომედ და სიმბოლოდ გამოაცხადა.

ირ. აბაშიძემ პირველი ლექსი თბილისზე 1934 წელს დაწერა. ეს ერთი საუკეთესო ლექსთაგანია იმ მრავალრიცხოვან ლექსთა, შორის რომლებიც თბილისზე დაწერილა. თბილისის სიყვარული პოეტს განსაკუთრებული პოეტური ინტონაციებით აქვს გაკაცლებული. პოეტი თითქოს მტკვარს ეცობრება ამ სიყვარულში:

შენ ჩემს მაგერ მტკვარს მოახსენე,
შორით რომ შენსკენ მოგზარება,
რომ შენი შიწა და სასახლენი
მას ჩემზე მეტად ვერ ეყვარება.

ყოველ ქალაქს აქვს განსაკუთრებული ადგილი, რომელიც მას დამახასიათებელ კოლორტს უქმნის. შემდეგ იგი იქცევა სიმბოლური მნიშვნელობის ადგილად. ასეთია თბილისში მოაწმინდა, რომელიც ყოველი ქართველი ეაცს, ყოველი თბილისელი მოქალაქის სათაყვანებელი ადგილია. იგი ყოველი უცხოელის აღტაცების ადგილიცაა. ამ ქალაქის სილამაზეცა და ლაზთიც, სიმშვენიერეცა და ღირსებაც აქედან დაუნახავს უცხოელის თვალს. ქართველმა მწერლობამ განსაკუთრებით შეამკურეს ადგილი; ქართული პოეზიის უბრწყინველესი მარგალიტები ამ წმინდა ადგილითა შთაგონებული. საზოგადოდ, ძნელია მოინახოს საქართველოში ისეთი პოეტი, რომელსაც მოაწმინდისათვის არ მიეძღვნას თავისი საუკეთესო ლექსი. ნიკოლოზ ბარათაშვილის „შემოდამება მოაწმინდაზე“, აკაკის „განთიადი“, ვალაკტონ ტაბიძის „მოაწმინდის მთეაკე“,—ეს სამი უბრწყინველესი პოეტური ქმნილება,—მოაწმინდის სამი უბრწყინველესი ძეგლია.

თბილისის მეორე მშვენიება იყო და არის მტკვარი, ეს უცნაური სარტყელი ქალაქისა, ეს უბუფი მოაწმე საქართველოს დედაქალაქის ტრავაყული და გვირუკი ისტორიისა. არა ერთხელ შეღებულა საქართველოს ეს დედამდინარე თბილისის დაცვისათვის უთანასწო-

რო ბრძოლაში დაცემულ ქართველ გმირთა სისხლით. შემდეგ იგი გამხდარა მოწვე იმისა, თუ რა ეპიკურად აღუდგენია და განუახლებია ქართველ ხალხს თავისი დედაქალაქი. მტკვარი პოეტთა შეგონარია და ფიქრთა მოზიარე, თბილისის სიღამაზე და ეშში, არა ერთგზის გაუცოცხლებია ქართულ პოეზიას, — ასევე აქვს იგი წარმოდგენილი ირ. აბაშიძეს. და შაინც სულ სხვაა ახალი თბილისი თავისი განიერი პროსპექტებით, ახალი შენობებითა და ხელოვნების ძეგლებით. სულ სხვაა დღეს ალტაეების საგანი:

ვერ შევამარგებ მე თავს და შორჩა...
როს აყვადება ბაღში შვინდები,
ჩამოვფხმატავ ცხვირპირზე ქოჩორს,
შუა ქალაქში ავყოინდები.

ჩვენი თბილისი, მისი ვაზივით დაგრეხილი ქუჩები და აღმართები, თავისი ისანიით, კრწანისით, ყაბახით, ორთაველითა და შერაცხებით, —სიძველითა და რომანტიკით, — ერთი მხრით, ზოლო ახალი თბილისი, თავისი ფართო პროსპექტებით, უნივერსიტეტით, ინსტიტუტებით, ფაბრიკა-ქარხნებით, სკვერებითა და ბაღებით, მოაწმინდალა და მტკვარით მუდამ იქნება ქართული პოეზიის დაუცხრომელი მუხა, მეორე მხრით.



ირ. აბაშიძის პოეტური აღქმა ქვეყნისა რეალისტურია. რეალისტურია ცხოვრების აღქმის ფილოსოფიაც და წერის მანერაც და მიიხსი ირ. აბაშიძის რეალიზმი თავისებურია, თავისუფალია ბანალობისა და ტრაფარეტისაგან. პოეტის გულისთქმა, საგნებისა და მოვლენების ათვისება. დამოკიდებულია რეალიზმის პრინციპს, უაღრესად რომანტიკული და ლირიკულია. გადარანქული მანერულობისაგან თავისუფალი. სადა და უბრალო, სიმართლითა და ღრმა ვანკლით გვიხატავს პოეტი ლირიკული გმირის ვრწნობებსა და ვნებებს.

ირ. აბაშიძის პოეზიაში, საზოგადოდ, განსაკუთრებით კი ბოლო წლებში, ჩვენ გვაქვს მეტად საგულსმისო ათვისება სამყაროსი. როგორც ზემოთ დაერწმუნდით, ეს თვისებანი ნათლად გამოჩნდა არა მარტო იმ ლექსებში, რომელთა თემა თავისი კონკრეტული შინაარსით თანამედროვე ცხოვრებაა, არამედ იმ თემებსა და განწყობილებებშიაც, რომლებსაც პოეტებმა მანამდე არა ერთხელ შეუხებია. ესაა სიცოცხლის, სიყვარულის, პატრიოტიზმის მარადიული თემები. საზოგადოდ, როგორც ცნობილია, ეს თემები არ არსებობენ დროისა და სივრცის თაგმე. და აი, ირ. აბაშიძემ უკვემა-

რიტად ჩაბერა ამ მოტივებს ჩვენი დროის. ჩვენი ეპოქის სუნთქვა; შეიტანა, შეიტანა მადროვე ადამიანის დამოკიდებულებები ამით უაღრესად დაგვაახლოვა ამ თემებთან. ირ. აბაშიძემ მოახერხა, საბჭოთა ადამიანის დამოკიდებულება ყოველ თემისა და განწყობილებაში წარმოვიდგინოს ორიგინალურად და რომანტიკული მანერით.

ირ. აბაშიძის პოეტური მეტყველების სტილი უაღრესად თავისებურია, ამავე დროს რეალისტურია მისი ლექსის კომპოზიცია და კონცეფცია, საღებავებიცა და ფერებიც:

ღვას ბუნქები ვერის ბაღში შევკრათალები
ზედ თოვლია თუ ფრიალი ფაფანაყო?
ანდა იქნებ ავკალიდან თუთარ კარვებით
აღვა ჭარი და თბილისში დაბანაკდა!

ან კიდევ:

შოვდა წვიმა, საღამოს გრძელი
ესროლეს ბაღე წვეთებმა წერილმა
და ხეზე, როგორც ქალწულის ცრემლი
ვეიდა ფოთლებს აპრილის წვიმა.

აქ შედარებები უაღრესად რეალისტურია, სადა, ამავე დროს რომანტიკული.

ირ. აბაშიძეს აქ მონახული აქვს პოეტური მეტყველების ისეთი ფორმა, რომელიც ერთბაშად აერთებს პოეტის ინტიმურ განცდებს მკითხველს გულთან. ეს გადამღები ემოციური მომზიბლობა და უშუალობა ახლო ურთიერთობას ამყარებს მკითხველთან და ყველაფერი ეს იმის წყალობით, რომ პოეტური ინტონაცია რეალისტურია, მოვლენის, სამყაროს პოეტური აღქმა უაღრესად ნათელია, რომანტიკული.

პოეტკაში არც იმდენად გავრცელებული უხეში დაყოფის პრინციპით რომ მიუღვეთ საკითხს, ირ. აბაშიძე თავისი მხატვრული მრწამსითა და პოზიციით საზოგადოებრივი ლირიკის, სამოქალაქო მოტივების პოეტია უფრო, ვიდრე ინტაშური ლირიკისა. მაგრამ ირ. აბაშიძეს დიდი საზოგადოებრივი პრობლემები ისე აქვს გადასახელი და გადატანილი ლირიკის ენაზე, რომ აქ ძნელია სადემარკაციო ხაზის გაღლება. ირ. აბაშიძის სრულიად არ ახსიათებს დამარისპირება სამოქალაქო და პირადი ინტიმისა. იგი თავისი პოეტური ბუნებით უფრო მოფერების, ალერსის პოეტია, ვიდრე მრისხანე შეტევის და ამბოხებისა. მას, როგორც ლირიკოსს, ახსიათებს პირიქნულისა და საზოგადოებრივის ერთ ფოკუსში თავმოყრა, ერთ ლირიკულ ხმაზე აწყობა. სწორედ ამ ბრითაა იგი უაღრესად ლირიკოსი პოეტი. მან, როგორც საბჭოთა ქვეყნის მხატვარმა, ირწმუნა ლირიკის და

ლა და დიდი მსმტბები ადამიანის სულის გამოსახატავად. სწორედ ამის გამო წერდა იგი: „პოეტია მე შემის ჩოგორც ღრიკა. ღრმად შეშისა მე ძალა ღრიკისა, მე არ მეშეშება, რომ მას შეუძლია ვაღმოსცეს თანამედროვე ადამიანის მდიდარი შინაგანი სამყარო და ჩვენი ღრთის ურთულესა პროცესები“. აქ საჯანგებო ხაზგასმას იმსახურებს პოეტის სიტყვები: „ადამიანის მდიდარი შინაგანი სამყარო“ და „ჩვენი ღრთის ურთულესი პროცესები“. დიას, შწერლობის მთავარი ამოცანაა გამოხატოს ადამიანის სული მისი დიდი ვნებებით. ვინც ირ. აბაშიძის პოეზიას დააკვირდება, საზოგადოდ, და უკანასკნელი პერიოდის მის შემოქმედებას, კერძოდ, დავეთთანხმება, რომ პოეტ-შეგნებულად მისდევს ამ მართებულ და ერთადერთ შემართვას გზას შწერლობაში—ეს გზა გულისხმობს პირიქედ და საზოგადოებრივი გრძნობების ღრიკულ ერთიანობას. ირ. აბაშიძის პოეტური აზროვნება, მისი მსოფლმხედველობა არსად ემოქნება ჩვენს პარტიულ პრინციპს. იგი ყოველთვის იყო და რჩება ჩვენი მღვდლვარე თანამედროვეობის პოეტად. მისი პოეტური მინერალის იმთავითვე იყო დამახასიათებელი,—ხოლო ამ ბოლო წლებში საერთო თვისებად იქცა—ურთულესი პროცესების დიდი შინაგანი ინტიმით ვაღმოცემა და გაყოცლება. ირ. აბაშიძის პოეზიაში პოლიტიკური პათოსი ორგანულად შერწყმულია ღრიკულ რომანტიკულ ინტონაციებთან და ეს აძლევს თავისებურ, ინდივიდუალურ ელფერს მთელ მის შემოქმედებას. პოეტი შინაგანად ანათებდა მოვლენებსა და ფაქტებს მამინაც კა, როდესაც ჩვენი პოეზიაში შემოქრული იყო ოქმისებური, პუბლიცისტური ნატურალიზმი. ირ. აბაშიძე ყოველთვის თავს აღწევდა ამგვარ ცდუნებას. საყვარისთა აქ მოვიგონოთ მისი ადრინდელი ლექსი „შექმენ ვიირი“. ეს უაღრესად პოლიტიკური, პუბლიცისტური ლექსია:

შენ ვმირად სჭირდები ეპოქას,
ტემპით და იერიშით დანთებულს:
ეპოქა გეძახის, როგორც კაცს
და როგორც ბრძოლაში ვაღლებულს.
იგი არც იოლად ვაღიღებს
ზევით, დაფნით და პარადით,
არც საღმე ბინაზე დაგეძებს
თხოვნით და მოსაწვევ ბარათით.
ეპოქა ვიბრძანებს: ვამიძებს,
წამოღუქს საბრძოლოდ დაიძარ,
კაცი ხარ, ღონე გაქვს, გონებაც,
გადაკარ, გასწი და გაუსწარი!

აქ ხომ უაღრესად მახვილ, პოლიტიკური ყოველდღიურობის თემასთან გვაქვს საქმე.

მაგრამ დეაკვირდეთ, რა უაღრესად ადამიანური ინტიმური სულით არის განათებული ჩვენი მოწინავე ადამიანის ბრძოლბსა მღვდლურ უცუეთის ცხოვრებათათვის. ლექსის მსოფლოცებითა პათოსო, პოლიტიკური ინტონაცია და მორჩილებულია ადამიანის ბუნებრივ ინტიმურ სამყაროს, და მისი მომხიბველობა და უშუალობაც ამ გარემოებამ ვეანაპირობა. ეს ლექსი ირ. აბაშიძის ერთი ყველაზე ადრინდელი ნაწარმოებია. ჩვენ შეგვეძლოს ამ პერიოდის სხვა დამახასიათებელი სტრიქონებიც მოგვეტანა. ყოველივე ეს ამტკიცებს იმ გარემოებას, რომ ირ. აბაშიძემ იმთავითვე მიავსო ინდივიდუალური პოეტური ხმას, მოძებნა პოეტის ბუნებასთან ზიარებული ეს ინდივიდუალური ინტონაცია (რასაკვირველია, ადრინდელი ლექსების მიანიც ამ პერიოდის დიდი ღრმად აქვს დასმული). შემდეგ ირ. აბაშიძე დახმას სინჯავდა, გონების თვალთ ამოწმებდა მის მიერ მიგნებულ ინტონაციებს, სიმუნწეს იხედა, ცოტას წერდა, დიდხანს ფიქრობდა და ყოველთვის ჩვენი ცხოვრებას მნიშვნელოვანსა და საზოგადოებრივ მოვლენას ეხმურებოდა. ამის საოლუსტრაციოდ ჩვენ ზემოთ შეგებეთ 30-იანი წლების ირ. აბაშიძის პოეზიაში დამკვირვებულ რუსთაველის თემას. დაუბრუნდეთ პოეტის ამ პირველ ლექსს რუსთაველის შესახებ:

ეს იყო შოთა...
უცებ ღელავ და ქრუნტელი
უცებ თვალბში ბედნიერი აღმსის წვეთი,
კავშირთა სახლში შემოვიდა დიდი ქართველი
და ტრიბუნასთან დააკავა დარბაზის სვეტ...
როგორც ოდესღაც თავის მამულს უცხო
ყარბო.

ესლა 'რუსეთის კარს მოაღვა მისი სახება,
და კვლავ ის წიგნი მოიტანა, ვით მღვდლარება,
რვაას წლის შემდეგ ზელახალი გამოძახება.
ფუნჯით და კალმით მოხატული და
ფირცვილილი
ძველ პერგამენტზე შენახული წვით და
წიალებით,
მოართვა წიგნი, შემოვიდა შოთა რუსთაველი
ქართულ თავაზით, თავმდაბლობით და
მოყრძალებით.

აქ დიდი პოეტური ძალით არის შერწყმული საზოგადოებრივი მოტრევიბი და გრძნობები უაღრეს ღრიკულ, პირად ინტიმთან. ეს გვახსლოვებს ლექსის ჩანაფიქრთან და ამავე ღრთს, გვხიბლავს და გვაჯაღოებს ამ ჩანაფიქრის პოეტური გაფორმებით.

ირ. აბაშიძის წერის მანერა, მისი ორიგინალური პოეტური ინტონაცია უველაზე დამთავრებული სახით გამოვლინდა 1959 წელს

გამოცემულ ახალი ლექსების კრებულში „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ გამოიღრდა და გამრავალდებოდა ი. აბაშიძის პოეტური პალატრა, თუ როგორ უფრო სრულყოფილი და მრავალფეროვანი გახდა მისი პოეტური საშუალებები. ეს წიგნი არის განმტკიცება და ამოღება საბჭოთა ლიტერატურის, მოწინავე პოეზიისა. ერთხელ კიდევ ნათელი ხდება, თუ რა უსაფუძვლო ლიტერატურული და სამოქალაქო პოეზიის მოტივების ერთმანეთთან დაპირისპირება. ამავე დროს, ამ წიგნში ნათლად გამოვლინდა ის გარემოება, რომ ი. აბაშიძემ დასძლია ზოგიერთი სტესტო მხარე ადრინდელი ლექსებისა. პოეტმა აქ სათქმელს, ტკივილებს, საზოგადოებრივ კითხვებს ორიგინალური პოეტური ფორმა მოუძებნა. ამ ლექსებში არის ადამიანური სიხარული, სინანულიც, ეპიკოს... მაგრამ ყველაფერი ეს უაღრესად განზოგადებულია და დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობამდე აყვანილი. აი, პოეტი 50 წელს მიუახლოვდა და ის თითქმის სადღაც დაიშვდა, ვაი თუ წლებმა თავისი ქნას და ლექსს დააკლდეს ფერი და ძალა!

მაგრამ ვიი თუ სტრუქტურის აწინდელს დააკლდეს ელერა და ხმოვანება, ლექსი კვლავ ვეღარ გამოიყმწეილდეს, ბეგრას არ ჰქონდეს წებოვანება.

ასეთი დაეჭვება საეხებით ბუნებრივია და შინც ასეთი ეჭვი მხოლოდ ქემშარიტ შემოქმედ კაცს დაებადება. ი. აბაშიძის ღირსება ისაა, რომ პოეტს თავის ცხოვრებას თუ საზოგადოებრივ მოვლენებს ვიწრო სატკმლიდან როდი უყურებს, ერთი ფერით როდი ხატავს მღელვარე ცხოვრების დღეებს. ეპიკოსა და სევედაც, სახარულიცა და აღტაცებაც, წარმატებაცა და წარუმატებლობაც ადამიანს ერთგვარად ეწვევა, ხოლო პოეტის დამოკიდებულება და ვადამწევეტა ამაყიერი კითხვებისა მინც, როგორც ზემოთ ვთქვით, რეალისტურ დამოკიდებულებასა და ფილოსოფიას ეფუძნება საბჭოთა პოეტს სწამს, რომ ეს საოცრება აღარ მოხდება და ლექსს ოპტიმისტური ამღერებთ ამთავრებს:

მინც ათასი ზემთაგონება
მაქვს შენახული, ვით ფსაეული.

ჩვენ შიერ მოყვანილი მავალთები იმაზე მოუთხოვდა, რომ ი. აბაშიძემ ქემშარიტი პოეტის ძალით ვანახორციელა საზოგადოებრივისა და პირტვნელს განუყოფელი ერთიანო-

ნის პრინციპი, რომლის მიხედვით ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან ინტაქტური პოეტისა და საზოგადოებრივ-სამოქალაქო ლიტერატურის ტრადიციები. ამ პრინციპის პოეტური საფუძვლები ი. აბაშიძემ თავის ადრინდელ ლექსებშივე გამოიჩინა, ხოლო განაფითარა „კაპიტანი ბუხაიდის“ და „ჰყევის ვურიაში“. ამ ინტონაციის პოეტმა კიდევ უფრო მაღალი პოეტური ელერადობა მისცა ლექსების კრებულში: „რუსთაველის ნაკვალევზე“.

ი. აბაშიძის წერის მანერა, მისი რომანტიკული ბუნება მთელი ძალით არს გამყლავებული ადრინდელ ლექსში: „პირველი თოვლის სიმღერა“:

წუხელ თოვდა-
ნეტავ ჩემთან რად არ გაჩნდი,
გუნახე და ძილში თხილად დაგებურე,
მე ადამი პირველ თოვლზე ვანთადში
და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებს!
დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე
თოვლი, თეთრად დასახული.
ისე თეთრად, გულტრყვილოდ ჰყევის ასე
იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული.

ი. აბაშიძის დამახასიათებელი პოეტური საღებავები, სახეები და ფერები, შედარებება „პოეტური ლერისის“ მანერა ამ ლექსში უკვე გამჟღავნებულია. ეს პოეტური მანერა მას ყველგან აქვს მომარჯვებული, ავტომატული პოეტური პალატრის თვისებებზე ვარგად არის გამოვლინებული ნიკო აღნაზაშვილისადმი მიძღვნილ საინტერესო ლექსში:

მიბმული ვიყავ მეგობრის სულთან,
ყველა ვაყაყი მეგობრად მსურდა,
სამ აღზე მქონდა ვაშლილი მკლავი,
მე ვიყავ მშობის გული და თვალი.
ხან წინაველი, ხან ბალი დიდშის...
ვერ შეველოე ტოლებთან ღიღინს.

ი. აბაშიძისათვის დამახასიათებელია აშვარა მოაღერების, მოფერების ინტონაციები და ფერები. პოეტის მეტყველება ყოველთვის ლაინიერია და სურათოვანი.

ი. აბაშიძის ლექსების კთხევა დიდ ესოტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს. ისინი ყოველთვის ადილად ასათვისებელია, ჩვენს გულთან ასლოს მღვამი პოეტური ქნისებები. სწორედ ეს სისადაევა ნამდვილი და ქემშარიტი პოეტის წინამდებლოე თვისება. ყოველივე ამის წყალობით ვახდა ი. აბაშიძე ერთი ერთი გამორჩენილი ოსტატი და ფუძემდებელი უახლესი ქართული ლექსისა.

შოთა რევიზილი

პეტერ ღემციის ესთეტიკური რევიზიონიზმი

მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად, დიდი ხანია, მომარცხებულა ფორმალური აღიარების გზით ამ მოძღვრების გადასინჯვის — ე. წ. ტექტური უარყოფის — მეთოდი. მარქსიზმის გამარცხებამ აძულა მისი მტრები მარქსიზმის იდეოლოგიურ ტანისამოსში გამოწყობილიყვნენ და ამგვარად შენიღბულებს ეცადათ ამ მოძღვრების აფეთქება შეიგნინებინათ; გაეუხამებინათ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის პრინციპებს; უარყოფათ კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარიატის დიქტატურის მარქსისტული თეორია. ფილოსოფიის სფეროში რევინიონისტები ცდილობდნენ მარქსიზმის მოძღვრება შეეყვანათ რეაქციული დოქტრინის რომელიმე სახესხვაობით, რომელმაც იდეალისტური მიმართულებები.

რევინიონისტული სულისკვეთება იპოვივნდა გასული საუკუნის დასასრულს. ამავე სულისკვეთებამ განმეორებით იჩინა თავი ახალ ისტორიულ სიტუაციაში, უკანასკნელი წლებში მანჩილზე. თანამედროვე ბურჟუაზიული სიანამდილის წინააღმდეგობათა პროგრესულმა ზრდამ, რაც ქვეყნებში კაპიტალისტური ურთიერთობის დამსობამ და დემოკრატიული წყობის შექმნამ, სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყნებში შედეგად გამოიღო ის, რომ მარქსიზმის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა კიდევ უფრო შეუძლებელი გახდა. როგორც ძველი, ასევე თანამედროვე რევინიონიზმიც მიზნად ისახავს შეგინდნენ გაბრუნეს რევოლუციური პარტიები, შეარყაოს მათი ერთიანობა, შეიტანოს მათში ტექტიკური განხეთქილება და იდეური ბუნდოვანება. თანამედროვე პირობებში მარქსიზმისათვის საშიშროებად რჩება დოგმატიზმი და სექტანტობა, მაგრამ მთავარ საფრთხეს კომუნისტურ მოძრაობაში მინც წარმოადგენს რევინიონიზმი, შემარცხენე თორტუნიზმი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში მართებულადაა აღნიშნული: რევინიონისტები „ცდილობენ გამოაცალონ მარქსიზმ-ლენინიზმს მისი რევოლუციური სუ-

ლი, შეარყიონ მუშათა კლასის, შრომელი ხალხის რწმენა სოციალიზმის საქმისადმი, მოაწყონ მუშების, შრომელების განიარაღება და დემობილიზება მათს ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ“¹.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის „მოძველებული“ დებულებების გადასინჯვის ცდას ბუნებრივად მოჰყვა მარქსისტული ესთეტიკისა და მეცნიერული ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებს რევინიონის მოთხოვნა. თანამედროვე ესთეტიკური რევინიონისტები — გეორგ ლუკაჩი, ანრი ლეფვერი და სხვები აშკარად როდი ემიჯნებიან მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკას. ისინი ქარგმულად და გულშემატკივრად ლაბარაკობენ ამ მოძღვრების ვითომც ამოქველებულ“ ხასიათზე, იმაზე, თითქოს მან დაქარგა თეორიულ-პრაქტიკული მნიშვნელობა თუ მთლიანად არა, მის უმთავრეს პუნქტებში მინც ამიტომაც ეს „თეორეტიკოსები“ საჭიროდ მიიჩნევენ — მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა შეავსონ რეაქციული ესთეტიკური დოქტრინების არსენალიდან მოტანილი „თეორიული“ დებულებებით.

უკანასკნელ ხანებში მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის რევინიონის ცდის თელსაჩინო მავალითს წარმოადგენს ახლადმოცლენილი „თეორეტიკოსის“ პეტერ ღემციის ნაშრომი. დასავლეთ გერმანიაში და, საერთოდ, კაპიტალის ქვეყნებში უდიდეს მოვლენადაა აღიარებულ 1959 წლის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოცემული მისი წიგნი: „მარქსი, ენგელსი და მწერლები“².

ჩეხოსლოვაკელი გერმანელი პეტერ ღემციე აღრე პრადის უნივერსიტეტში გერმანისტის სფეროში „მოთლაწეობდა“. მაგრამ რაეი მას 1948 წლის ჩეხოსლოვაკიის მოვლენების შემ-

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961 წ. გვ. 58.

² Peter Demetz, Marx, Engels und die Dichter, Stuttgart, 1959. ციტატები ყველგან ამ წიგნიდანაა მოტანილი.

დღე პოლიტიკური ატმოსფერო აღარ აქაი-
ფილდება, დემეცმა მიატოვა ეს მხარე და სა-
კლთარი იდეოლოგიური პოზიციების გამაგრება
დასავლეთის კაპიტალისტურ სამყაროში სცადა.

„მარქსიზმის ძირითადი საფუძვლები კვლე-
ვისათვის“ — ასეთი ჰქვიათ ერთი აქვს დე-
მეცის წიგნი და, მართლაც, დემეცის წიგნი
მიმოხილულია ლიტერატურისა და ხელოვნების
პრობლემებისადმი, აგრეთვე, ცალკეული მათი
თანამედროვე მწერლებისადმი კლასიკოსების
დამოკიდებულება; მათი მოსაზრებანი შექსპი-
რის, ბალზაცისა და გოეთეს, აგრეთვე სხვა
ცალკეულ მწერალთა თუ ნაწარმოებთა შესა-
ხებზე. ყოველივე ამასთან ერთად ავტორი ლაპა-
რაკობს კლასიკოსთა ესთეტიკური შეხედულე-
ბების შემდგომ განვითარებაზე და ამ აღა-
მინებზე, რომელთაც, დემეცის აზრით, მოქმე-
დით რაიმე დამახარება ამ განვითარებასა და
ვალრმაყვებაში. ამგვარად, დემეცის წიგნის მი-
ზანი ბევრად ფართოა, ვიდრე ეს სათაურიდან
მოჩანს. მაგრამ როგორია მარქსიზმის ამ ახალ-
ბედა კრიტიკოსის ფილოსოფიური საფუძვე-
ლი? როგორია პოზიციები, საიდანაც ცდილობს
იგი „მარქსისტის“ ავტორისა ლიტერატურულ-
ესთეტიკურ შეხედულებების ერთს ჰეზე დე-
ყენებას მათი საბოლოო გაბათილების მიზნით?

სინამდვილისადმი ხელოვნების მიმართების
დემეცისეული გაგება არ შეიცავს რაიმე ორი-
ვიალურს. იგი მთლიანად ეყრდნობა ბურჟუა-
ზიულ თეორეტიკოსთა შორის საკმაოდ ვაერ-
ცელაბელსა და ვაკეათი წარმოდგენას. ხე-
ლოვნება დემეცისათვის წმინდა ესთეტიკური
ფენომენია, მანერტური მოვლენა და ხელოვნე-
ბის ცალკეული ქმნილება; ყველაფრისაგან
დამოუკიდებელი, თავისთავადია. დემეცისათ-
ვის უცხო როდია ხელოვნებისა და სინამდვი-
ლის სამყაროს ურთიერთისაგან მოწყვეტისა და
ერთმანეთთან დაპირისპირების კანტ-შილერი-
სებური ცდა. დემეცი, ერთის მხრივ, აღიარებს
რეალურ საგანთა სამყაროს, „Welt der
Statistik“, (ა. 148), რომელშიც მთავარი
ყოფილა პოლიტიკური აქციები და საზოგადო-
ებობები ანალიზი (იქვე). ყოველდღიურ პრო-
ზულ საგანთა და მოვლენათა ამ სფეროს არა-
ფერი აქვს საერთო მშვენიერ მოჩვენებათა,
ესთეტიკურ ზილათა სამყაროსთან, რომ-
მელსაც პირადად დემეცი უწოდებს „Welt-
des schönen scheins (იქვე). ამ სამყაროში
ბინადობენ „ეპიკურ მოზხბანთა ფიქ-
ტური გმირები“, (იქვე), რომლებიც საზო-
ვადობრივ სინამდვილესთან შედარებით
სრულქმნილი და დახვეწილი ქმნილებანი არიან,
და რომლებიც ამავე სინამდვილიდან ჩამოცა-
ლებულ არსებობენ. (იქვე).

მოსხენებულ ორ სამყაროს შორის არის
ონტოლოგიური განსხვავება და ამიტომაც ხე-
ლოვნების ნაწარმოებსა და ისტორიას შორის,

ესთეტიკასა და პოლიტიკას შორის არ-
სებობს საფუძვლიანი შტრობა; ხელფუნქციის
ნაწარმოებები მთლიანად განწყობენებენ მშვე-
ნიერ მოჩვენებათა სამყაროს და ამდენად მისი
კრიტიკა საზოგადოებრივ მოვლენათა საფუძე-
ლებიდან უაზრობაა. ხელოვნების სამყარო არ
უნდა იყოს სინამდვილის რეალისტური სურა-
თი, ობიექტური სამყაროს მხატვრული უქუფე-
ნა. დემეცი ცდილობს აღმოაჩინოს დიდი განსხ-
ვავება რეალურად არსებულ მოვლენებსა
და ხელოვნებაში ასახულ მოვლენებს შორის;
აღმოაჩინოს თვით ანტიგონიზმი ხელოვნების
ნაწარმოებსა და ისტორიას, ესთეტიკასა და პო-
ლიტიკას შორის. ხელოვნებისა და სინამდვი-
ლის ურთიერთობის ეს კანტ-შილერისებური
კონცეფცია ის საფუძველია, საიდანაც იწყებს
დემეცი „ჯვაროსნულ ლაშქრობას“ მარქსიზმის
ძირითადი დებულებების გასაბათილებლად.

მარქსის ერთი შეცდომითაგან, დემეცის
რწმენით, ისაა, რომ მას ვერ შეუძნენვია ეს-
თეტიკურ ზილათა და რეალურ მოვლენათა
სამყაროს შორის არსებული განსხვავება და
მშვენიერ მოჩვენებათა ამდლებულ სამყაროში
შეგრილა რეალურ მოვლენათა, სტატისტიკის
სამყაროსათვის გამოსადეგი პრაქტიკული-
მშვენიერ მოჩვენებათა სამყაროში მარქსი არ
იფიქვებს ეკონომიურ კატეგორიებს და ლაპა-
რაკობს ესთეტიკის შესახებ ისევე, თითქმის
მსჯელობდეს მატერიალური სამყაროს ყოველ-
დღიურ მოვლენებზე. დემეცის უმართებულო
ძიანია მარქსისტული ესთეტიკის მოზხოვნა,
რომ ხელოვნებაში იყოს რეალისტური ანსახი
იმ სურათისა, რასაც ადგილი აქვს ყოველ-
დღიურ მოვლენათა სფეროში.

უდავოდ მცდარია ხელოვნებისა და სინამდ-
ვილის ურთიერთდაპირისპირების დემეცისეუ-
ლი შეთქმა, მაგრამ მთელი უხედურება ისაა,
რომ იგი ცდილობს შექმნას დაპირისპირებათა
და წინააღმდეგობათა მთელი სისტემა, რათა
ასეთი გზით სახელი გაუტეხოს მარქსიზმს. დე-
მეცი ცდილობს აღმოაჩინოს წინააღმდეგობა
მარქსისა და ენგელსის ასაღაზრდობისაღოინ-
დელ ნაზრტესა და მოკვიანო პერიოდის დებუ-
ლებათა შორის.

რაკი თერმე ენგელსს, დემეცის აზრით, არ
მიუღია სისტემატური უმაღლესი განათლება,
ამიტომ, იგი, დაჩანა „მოფილსოფოსო თვით-
ნაწაელ“ აღამიანად, და თერმე მარქსისტული
ესთეტიკის უხედრობის ერთი მიზეზთაგანი
მოცემულია სწორედ ამ ფაქტში. სწავლადათმ-
თავრებულ ენგელსს არ შეეძლო ჰქონოდა ორი-
გინალურა, შემოქმედებითი აზროვნების უნარი,
რის გამოც ადრინდელ ნაწერებში წარუშა-
ტებლად ბაყდაო ხან ჰაინესა და გუცოვს,
და ზოგჯერ ბოერნეს. მისი სტატიები აღბე-
ძლია უმაღლესი უზომიანით, ვიდრე განსწავ-
ლულობათა და იდეურობით. ბოერნეს ცუდი

ზეგაუენის შედეგად, ფიქრობს დემეცი, ენგელსმა პოლიტიკა დააყენა ხელოვნებაზე მადლა და მისი მთავარი მიზანი დაინახა სწორედ პოლიტიკურ იდეაში. ენგელსმა ბევრი რამ ისწავლა მემარცხენე ჰეგელიანელთა ზერცლე პოლიტიკური შეხედულებებიდან, და არც ინგლისში ყოფნის უთანამშაო თურმე რაიმე როლი მის იდეურ განვითარებაში. ამ ქვეყანაშიც იგი დარჩა მხოლოდ მგზნებარე რეპორტიორად, რომლის მხედველობის სფერო მთლიანად პოლიტიკურა მოვლენებით იყო შეზღუდული. დემეცისათვის არაფერს მტყუვლებს ინგლისში დაჩინება კვარტლების ენგელსისებრი შესწავლა, მისი თანამედროვე ლიტერატურული მდგომარეობის საფუძვლიანი დასაბათება და მისი გულბრწყვილი ლაპარაკობს ძველი შეგობრებისაღმი ენგელსის „ელატზე“ და არ სურს დაინახოს გუცოვისა და ბოერნესაგან, მემარცხენე ჰეგელიანელთაგან ენგელსის ჩამოცილების ნამდვილი მიზეზი, — მისი იდეური დაეცაეცება.

ენგელსისაგან განსხვავებით, მარქსს, დემეცის აზრით, ჰქონდა კარგი ესთეტიკური გემოვნება და ლიტერატურული განათლება. გინახაში კლასიკური კაზმულიტყუაობის წარმატებით დაუფლებასთან ერთად, ვესტფალენების ოჯახში იგი სარგებლობდა შობლანდიად ჩამოტანილი მატარა ბაბლიოთეკით, და ამის ნიადაგზე შემზადდა საფუძველი მარქსისტული ესთეტიკის შესაქმნელად. ყველაფერი მიმდინარეობდა კარგად 1837 წელს მარქსის მიერ „სიტხინი ავადმყოფობის“ გადატანამდე. მის შემდეგ, სამწუხაროდ, მარქსმა თავისი ყურადღება ესთეტიკურ სფეროდან გადაიტანა ბანალური საგნების საწყაროზე: პოლიტიკასა და ეკონომიკაზე, აგრეთვე ფილოსოფიაზე. ჰეგელით გატაცებულმა მარქსმა წამოიწყო ლიალიტრები და ისტორიული მატერიალიზმის საფუძვლების შემუშავება და აღარ დარჩა დრო ესთეტიკის საწყაროში დაბრუნებისა და აქ საუფარი ცოდნის გაღრმავებისათვის. ჰეგელის ფილოსოფიის საფუძვლიანი გაცნობის შემდეგ, მარქსი აღარასოდეს მიპზრუნებია ესთეტიკის სისტემატრე შესწავლას, მაგრამ თუ

მოვლენათა ზემოქმედების შედეგად, აღსწავლილბული ხდებოდა შეხებოდა რამელსამე კონკრეტულ ესთეტიკურ პრაქტიკულს, რამე მას აკეთებდა ძალდატანებით დასრულ კვლევას რო სამწუხაროა, — აკეთებდა წარუმატებლად. (გვ. 86-87) მარქსი გაიტყუა სამეურნეო ბაზისის ელემენტების კვლივამ (გვ. 192) რის გამოც ესთეტიკის საწყაროში დაჩინა მხოლოდ ლიტერატურის შემოვლილად. (გვ. 228) „ლიტერატურული გემოვნების საკითხებში მარქსი, — გვარწმუნებს რევიზიონისტი, — არავითარ შემთხვევაში არაა მარქსისტი“ (გვ. 169). ასეთი ცდებით დემეცს სურს ურთიერთს დააცილოს მარქსი — ეკონომისტი და მარქსი — ხელოვნებათმცოდნე, რათა შემდეგ თავს დაესხოს მის ესთეტიკურ შეხედულებებს, გამოაყბავოს ისინი გულბრწყვილი შეხედულებებად.

დემეცი დაყინებით ლაპარაკობს მარქსისა და ენგელსის ლიტერატურული გემოვნების განსხვავებულ ხასიათზე და ცდილობს გაეკამათოს ყველამ, ვინც არ იზიარებს მის მსჯელობას. მარქსისზემ კლასიკოსები არა ყოფილან ანალოგიური აზრისანი არც საზოგადოებრივ თეორიებში და არც ლიტერატურულ მსჯელობებში. ისინი, საერთოდ, არ ყოფილან იდენტურა ტყულები; და რაც უფრო დედაი მათი მსოფლმხედველობაივ სხვადასხვაობამ, მით უფრო საგანძობია მათივე ლიტერატურულ გემოვნებათა და ესთეტიკურ შეხედულებათა განსხვავება (გვ. გვ. 154, 155, 156). მარქსს ჰქონდა სიყვარული უფრო კლასიკური ლიტერატურისაღმი; ენგელსს — თანამედროვე კაზმულიტყუაობისა, გერმანული ზემარსიტყუაობისა და ევროპის სხვა ქვეყნების ხალხური პოეზიისაღმი. კლასიკური წარსლის მოტრფილუ მარქსს ნაკლებად აინტერესებდა გერმანული ნაშეო, ლიბერალური ბურჟუაზიის ორი წარმომადგენლის — შიენესა და ბოერნეს ბრატოლში მარქსი აღმოჩნდა პირველს მხარზე, ხოლო ენგელსმა იყისრა მეორის ინტერესების დეცა (გვ. 106).

კლასიკოსთა ლიტერატურული გემოვნების სხვადასხვაობამ თავი იჩინა ანტიკური ხელოვნებისაღმი დამოკლებულების საკითხშიც. განსხვავებით მარქსისაგან, ენგელსი თითქმის ვერ ატრეხებდა „ღრმად ჩასწავლური და სათანადოდ გაკრეულიყო ანტიკური ფილოსოფიისა და ხელოვნების საკითხებში. ასე ფიქრობს დემეცი და ამით იფიქრებს იმ გარემოებას, რომ „ოჯახში“ და სხვა შრომებში, ანტიკური სანამდვილადან ავტორი იღებს ცალკეულ ფაქტებს საკუთარი თეორიული დებულების საფუძვლიად და არა თავისთავად ამ ფაქტების გასაანალიზებლად. გარდა ამისა, — და ეს მთავარია, — ეს ფაქტები ანალიზის გარეშე არაა დატრეხებული და ამდენად დემეცს არა აქვს საფუძველი ილაპარაკოს საკვლევი სა-

1. ლაპარაკით ენგელსის განუსწავლბობაზე დემეცი ორიგინალრობას ვერ დაიხუმებს. იგი უბრალოდ იმეორებს ბურჟუაზიული მველევარების მიერ მრავალჯონ გამოთქმულ აზრებს, კერძოდ, — მიერის მსჯელობის ენგელსის დილტანტიზმზე. ანსტრავტული აზროვნების უფრატობაზე. (იხ. Gustav Majer, Friedrich Engels, Bd I, 1920, Berlin, S. 187-188).

კითხვისადმი ვითომდა ენგელსის ზერელე დამოკიდებულებაზე.

მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მეორე მეთოდად დემეცმა აირჩია ყოველივე იმის გამოთვლა, რაც მარქსმა და ენგელსმა გააკეთეს თავიანთი მსოფლმხედველობრივი და იდეური წინამორბედებისაგან განსხვავებით; უგულვებელყოფა თვისობრივად ყოველივე იმ ახალსა, რაც კლასიკურმა შეიტანეს მეცნიერების სფეროში; მეცნიერული სოციალიზმის თეორიის შეზღავანის მიზნად დემეცი ცდილობს გამოიხატოს ისეთი შემთხვევება, როცა კლასიკოსების დებულებათა ანალოგიური შეზღუდულობანი, თუნდაც შორეული გამოძახილი, ფრაგმენტოვანი დამსხვევა, აღმოჩნდებოდა სხვა წინამორბედ ავტორებს. ასეთი ოპერაციის შედეგად თვისობრივი სხვაობა იშლება ჰეგელის დოქტრინისა და მარქსის მოძღვრებას შორის. „კაბიტაღის“ ავტორი გამოიყურება ჰეგელის ორთოდოქსულ მიმდევარად. მარქსის ლაშქრობა ჰეგელის წინააღმდეგ ახალგაზრდობის წლებში ბასრი ებიგრაჰიების მომარტვებით გამოწვეული იყო დიდი გერმანული ფილოსოფიის დოქტრინის გაუგებრობით. ხოლო შემდეგ, როცა შემარქსუნე ჰეგელიანელთა დახმარებით რამდენადმე საფუძვლიანად შეისწავლა ჰეგელის ფილოსოფია, მარქსი ვახდა მართლმორწმუნე ჰეგელიანელი და ამიერიდან საკითხების მართებულად გადწყვეტას იგი ახერხებდა ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის საფუძვლიანი ცოდნით. როცა თურმე 1857 წელს საკუთრი ვახდა ახალიყო ბერძნული მითოლოგიისადმი ბერძნულზე ხელოვნების დამოკიდებულება, მარქსმა ეს მოახერხა ჰეგელის ფილოსოფიურ ნიადაგზე დგომით და ბერძნული ხელოვნების ბერძნულზე მითოსის ნაყოფად გამოცხადების გზით (გვ. 97). დემეცი არ იცნობს იმ ფაქტს, რომ ჰეგელის ფილოსოფიას მარქსი დემეციადობა უკვე 1844-ის წლებში და რომ არც მანამდე ყოფილა იგი ორთოდოქსული ჰეგელიანელი.

დემეცი ცდილობს გამოაიკვლოს უკუ დასაშარებელი აზრი კლასიკოსების ესთეტიკური უმოქმედობის შესახებ, უარყოს ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიის საკითხებით მათი დაინტერესების ფაქტი, ან დაამციროს კლასიკოსების როლი კაზმულიტყუარობისა და ესთეტიკის ეპიკურული საკითხების გადწყვეტაში, ცალკეული მოვლენებისა და მწერლების შეფასებაში. ყოველივე ამის გამო ნამდვილად არსებული ლიტერატურული ფაქტები მას დამყაფს კლასიკოსებისა და, მეორეს მხრივ, მწერართა შორის უბრალო მოქალაქეობრივ ურთიერთობამდე.

დემეციის რწმუნებით, ენგელსი არის თომას კარლაილის მხოლოდ მთარგმნელი და მისი სიდადევი თურმე იმაში გამოიხატება, რომ 40-

იანი წლების გერმანულ სინამდვილეს მებრდა სწორედ ამ ინგლისელი რომანტიკოსის თეორიით (გვ. 60). და თუ ოდენსმე სცადა დაკლებმა, ან დაპირისპირება „კარლაილის“ დებულებებთან, ენგელსის ლაშქრობა ყოველთვის მთავრდებოდა მარცხით. სხვანაირად ვერც მოხდებოდა, რაც, დემეციის რწმუნით, ყოველივე ამას ენგელსი აკეთებდა ფიციგრების ანთროპოლოგიური ფილოსოფიის საფუძვლზე დგომით. ენგელსის დიდი შევადობა თურმე იმაშია, რომ მან კარლაილი მოსწყვიტა საკუთარ ინგლისურ ნიადაგს, ინგლისურ ტრადიციებს, და მოსწყვიტა იმისათვის, რათა ექცია იგი გერმანული ლაბერალიზმის პეროლად (გვ. 61). ხოლო თვით ენგლისელი მთარგმნელი თავის სოციალურ კრიტიკაში არ ყოფილა ორიგინალური მოვლენა. კარლაილადე კაბიტაღის კრიტიკას ახერხებდნენ ბენჯამინი და ჯონ დრაიდენი, პოპი და ინგლისელი რომანტიკოსები. ახალგაზრდა ენგელსი ადვილად შეეძლო გაყოლოდა ამ კრიტიკის ტრადიციებს (გვ.64).

დემეციის აზრით ორიგინალობას ენგელსი თურმე ვერც ვოეთეს მსოფლმხედველობის შეფასებაში დაიჩვენებს. გარეშისინამდვილისადმი ვოეთეს ორბრთვი დამოკიდებულების ფაქტზე თურმე ენგელსზე აღრე, ლიედლოფ ვინბარგი და კიდევ უფრო აღრე ჰაინე მიუთითებდა. ენგელსის მიერ დახატული ვოეთეს პორტრეტი ყოფილა „ავტორის“ ავტორზე ვინბარგის მიერ გამოთქმული აზრების მხოლოდ მოდოფეკაცია. მეტიც, ვოეთეზე ვინბარგისეულ მოსაზრებას, ენგელსთან ერთად, უკვლედა იმეორებს მთელი მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეობა. დემეცი იფიქრებს იმ გარემოებას, რომ „მანიფესტის“ ავტორებს აზსაოდეს ჰქონიათ პრეტენზია ყველაფერში ყოფილიყვნენ პირველები და ორიგინალური. ისინი არ მალავდნენ, რომ სხვათა აზრებს ხშირად იყენებდნენ კრიტიკულად; შემდგომ აღრეავედნენ და შემოქმედებითად ამშვიებდნენ წინამორბედთა თაობების პროგრესულ შეხედულებებს. ენგელსს, რა თქმა უნდა, შეეძლო ვოეთეზე ვინბარგის მოსაზრებებიდან აეღო ყოველივე რაციონალური, რაც ნამდვილად გააჩნდა ვინბარგს. თუ ენგელსსა და ვინბარგს ძირითად მონახაზებში ჰქონდათ ანალოგიური შეხედულებანი „ფაუსტის“ ავტორზე, ეს გარემოება კიდევ ერთხელ აშალებს ვინბარგს და კიდევ უფრო გასაგებას ხდის იმ მაღალ აზრებს და სიმპათიებს, რომლებიც ჰქონდა უბრე ენგელსს ახალგაზრდა გერმანულებისადმი საერთოდ და ვინბარგისადმი — კერძოდ. ენგელსის შეხედულება ვოეთეზე ნამდვილად დიდი აღმოჩენა იყო, რადგანაც იგი დაუპირისპირდა იმეამად ვოეთესთან დაკავშირებით გამოთქმულ ორ კონცეფციას:

მეცეც-ზოგინებს კონცეფციას, რომელიც გოეთეში მხოლოდ რეპროდუცირებად მიაზრებენს ხედვად, და გრიდინს კონცეფციას, რომლის თანახმადაც გოეთე იყო სუსტი მზარებებისაგან დაზღვეული ოლიგოპოლი დემკრტი. დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ენგელსის კონცეფციასში მისი არაა მოცემული გოეთეს შემოქმედების ყოველმხრივი მარქსისტული დახასიათება, როგორც ეს დემკრტი ატყინა. ენგელსის სული მსჯელობა იყო მხოლოდ კარგი მასალა და სანდო ამისათვის წერტილი გოეთეს შემოქმედების ნაშედეგად მარქსისტული სურათის დახატვისათვის. ასეთი სურათის წარმოსადგენად საჭიროა დიდ გერმანულ განმანათლებელზე ენგელსისა და მარქსის ევლია გამონათქვამის თავმოყრა და გაანალიზება.

დემკრტის აზრით მარქსი და ენგელსი პირველი და ორგანიზატორი არც ბალზაკისა და შექსპირის შემოქმედების შეფასებაში ყოფილან. ინგლისელი ჰემანისტი მარქსისტული შეფასების წყაროები მოცემული ყოფილა წინა საუკუნეების დერამის დიდ მთარაგნეთა შრომებში. ჩეროვან სილარმეს ყოფილა მოკლებული ბალზაკის მსოფლმხედველობისა და შემოქმედებითი მეთოდის ენგელსისეული დახასიათებაც. მარქსისტული ლიტერატურათმცოდნეობა შეზღუდული ყოფილა როგორც საერთოდ ძირითადი ესთეტიკური კატეგორიების დამუშავებაში, ასევე ცალკეული მწერლების შემოქმედების შესწავლისა და დამუშავებაში, მსოფლიო კამერალისტიკაობის ცალკეული წარმომადგენლების შემეკვიდრებობის მეცნიერულ დამუშავებაში.

მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მეთოდურ დემკრტმა აზრითა სხვადასხვა პერიოდში კლასიკოსების მიერ დაწერილ შრომებში აზრობრივ-პრინციპული წინააღმდეგობების გამონახვის გზა. დემკრტს სურს აღმოაჩინოს წინააღმდეგობანი მარქსის სხვადასხვა შრომებში და ასევე ენგელსის ნაწერებში. მავალითად „გერმანული იდეოლოგიის“ ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ ცნობიერების ყოველგვარ ფორმას განსაზღვრავს ადამიანთა ეკონომიური ყოფა, მატერიალური ბაზისი, დემკრტი ედილობს დაუბრისპირებს მარქსიზმის სხვა ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ ხელოვნება ხშირად არ ემორჩილება ამ ზოგადად აღიარებულ კანონს (გვ. 96). დემკრტი ანვარითა არ უწყებს იმ ვარაუდებს, რომ „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ დაწერილ შესავალში 1857 წელს მარქსმა გააღწია 1845 წელს ენგელსთან ერთად „გერმანული იდეოლოგიაში“ წამოყენებული დებულებანი. დემკრტისათვის საერთოდ ვარაუდები აღმოჩნდა დისპროპორციის კანონის მიმართება განვითარების ზოგად კანონზომიერებასთან. ბერძ-

ნული ხელოვნების წყაროდ ბერძნული მეთოდოლოგიის მარქსისტულ აღიარებაში იგი ხედავს მარქსის მიერ მატერიალური ბაზისის მნიშვნელობის უნებლიე უმნიშვნელოებას და დაბრუნებას ისევ პეველის იდეათა სამყაროში. დემკრტი ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაშიც, „ლიტერატურის მეგობარ მარქსს“... „საჭიროა აღმხედრდა“ „მარქსისტული თეორიტიკისი“ (გვ. 99). დემკრტი ირწმუნება: პეველის იდეურ პოზიციებზე მდგარი მარქსი აქ საბოლოოდ სცილდება „გერმანულ იდეოლოგიაში“ გამოთქმულ მოსაზრებებს და იმეორებს იდეალისტის დებულებას იმის შესახებ, რომ ხალხის ცოცხალი მითოლოგია უნდა იყოს მისივე ხელოვნების საფუძველი და შინაარსი, რომ ხელოვნების მიხანი არის არა სინამდვილის ასახვა, არამედ მშვენიერება თავისით და თავისთავად. სინამდვილე თავის მხრივ თვითონ არის იდეის მიზანვა და რომ მიზანვის მოთხოვნის ძალაში დატოვება ნიშნავს ხელოვნების გამოცხადებას მიზანვის მიზანვად.

მარქს და დემკრტი როდი იფარგლება ცდილ გამონახვს ესთეტიკის საციობებზე ვითომც არსებითი დაცილებანი მარქსის სხვადასხვა პერიოდის შრომებში. მან იმისა მტკიცებაც კი განიზრახა, თითქოს 90-იანი წლების ენგელსი არა მხოლოდ სცილდება, საერთოდ, მარქსისტულ თეორიას, არამედ იწყებს კიდევაც მის რვეიზიას. შრომში მან ცალკე მეთოდიკი გამოყოფა — „ენგელსი როგორც რევიზიონისტი“ და სცადა განეითარებინა დებულება იმის შესახებ, თითქოს მოგვიანო ხანის ენგელსი სულ უფრო მეტად სცილდება ეკონომიური ლეტერმინიზმის მტკიცე პრინციპებს (გვ. 187). ეს კი გამოიხატა იმით, რომ ბლოხისადმი ბარათში მან წამოაყენა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ დაწერილ შესავალში და თვით „იდეოლოგიაში“ გამოთქმული აზრების საწინააღმდეგო დებულებები. ამჭერად ენგელსმა თურმე ახლებურად სცადა გაეაზრებინა ეკონომიურ საფუძვლებსა და ინტელექტუალურ ზედნაშენებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება. და მამის, როცა მარქსი იძულებული გახდა პეველის კვლადევილიარებანი ბაზისისადმი ხელოვნების იდეალისტური დამოუკიდებლობა, მოგვიანო ხანის ენგელსი იხედვითვე ლაპარაკობს ზედნაშენის სულიერი სფეროების მიმართ სამეცნიერო ძალების უშუალო შემოქმედებაზე (გვ. 193). მარქსისტული თეორიის რვეიზიას ენგელსი კიდევ უფრო თვალსაჩინოდ აწიარებებს თურმე უკანასკნელი ხანის ბარათებში, სადაც თითქოს გატარებული ყოფილა სრულად ახალი და მარქსის საწინააღმდეგო დებულება. მოგვიანო ხანის ენგელსი არა მხოლოდ ემოყნება მარქსთან ერთად აღრე გამოთქმულ დებულებებს,

არამედ ვადადის ტენისა და პერდერის ესთე-
ტიკურ პოზიციებზე და უკანასკნელთა დარად,
ლიტერატურისა და ხელოვნების ნაირობისათ-
ვის განმსაზღვრელ მომენტად მიიჩნევს არა
უკანაოდ ეკონომიურ ბაზისს, არამედ სამ მო-
პენტს — გეოგრაფიულ გარემოს, გარემომც-
ველ სიტუაციას და რასის ნაირობას. ღმეცი
ვერ ხედავს იმ გარემოებას, რომ ამჟერად ენ-
გელსმა კი არ უკუაგლო ეკონომიური ღმეცი-
მინაზის თეორია, არამედ დიახესტა წარ-
მოღვენება თვით ზედნაშენზე: მიუთითა ბაზი-
სისა და ზედნაშენის ურთიერთდამოკიდებუ-
ლების განმსაზღვრელ შუალედ ფაქტორებზე.

მარქსისტული ესთეტიკის წინააღმდეგ პრმო-
ლის მეოთხე მეთოდად ღმეცი იყენებს კლასი-
ციკოსთა ცალკეული ღმეცულებების გაყალბებისა
და ლიტერატურის პრობლემებისადმი მათი
დამოკიდებულების სუბათის დამახინჯების
გზას. იგი საქმაოდ ბევრსა სცოდავს, მაგალი-
თად, რეალიზმის მარქსისტული მოძღვრების
ინტერპრეტაციაში. ჟერ ერთი, ღმეცი აზ-
როთ, რეალიზმის პრობლემებსა და ხელოვნე-
ბის ტენდენციების შემახებ მსჯელობა კლასი-
ციკოსებთან ატარებს შემთხვევით ხასიათს. ბა-
რთებე პარკუნისა და კუეციასთან თერზე
დაიწერა მხოლოდ „ზრდილობისა“ და არა
„პრინციპულ-თეორიული ინტერესის“ (გვ. 172)
კარნახით. ამიტომაც შეუძლებელია კლასი-
ციკოსების შრომებში მოიძებნოს რეალიზმის
პრობლემის სისტემატური და ყოველმხრივი
დამუშავება. რეალიზმის მოძღვრების სუერო-
შიც, როგორც საერთოდ ესთეტიკის სამყარო-
ში, კლასიციკოსები უფრო გამოსეკამდნენ ცლ-
კეულ შენიშვნებს, ვიდრე იძლეოდნენ პრინცი-
პული საკითხების მეცნიერულ ვადუწვევტას.
მეორეც: ღმეცი ცდილობს დაასაბუთოს, რომ
სოციალისტური რეალიზმის თეორია შეიქმნა
არა 30-იანი წლების სამკოსთა კავშირში, არა-
მედ ჩამოყალიბდა თვით კლასიციკოსების ხანაში,
რომ კლასიციკოსები არიან „სოციალისტური რე-
ალიზმის თეორიის მამები“ (გვ. 171). ამით იგი
ინებს უუნარობას დაინახოს სოციალისტურსა
და კრიტიკულ რეალიზმს შორის არსებული
თესიარაკი სხვაობა. მარქსს, ღმეცის აზრით,
დასაჩუკრის რეალიზმის თეორიაზე სიტყვა
„სოციალისტურს“ მოემარჯველად და თვისს,
რომ რეალიზმზე კლასიციკოსების მსჯელობაში
ჩამოყალიბებულა საერთოდ სოციალისტური
რეალიზმის თეორიული საფუძვლები.

ღმეცი როდი ემაყოფილება რეალიზმის
ორი სახეობას — კრიტიკულსა და სოციალი-
სტურის გაივიებით. იგი ცდილობს რეალიზ-
მის მარქსისტულ-ლენინური თეორია დაიყვა-
ნოს ტიპურ ხასიათებზე ენგელსის მოძღვრე-
ბამდე. ამის შემდეგ მას სურს თავისთავად ენ-
გელსის მოძღვრების წყაროები აღმოაჩინოს

აღრიწდელი ხანების ესთეტიკურ სისტემებში,
ან შემოქმედებით პრაქტიკაში. ენგელსი თერ-
მე ვერ ვასცილებია ხასიათების წინაინიშნა-
შეკველებურ განსაზღვრას. მიუხედავად ამისა ენ-
გელსის მიერ ჰეგელის ავტორიტეტის დამოწ-
მებაზე და იმ მსჯელობაზე, რომ მინა კუეციის
ერთი რომანის „თვითთული პარი ტის წარ-
მოადგენს, მაგრამ ამასთან გარკვეულ ინდივი-
დუალურ აღმანიშნა“¹, ღმეცი შენიშნავს, რომ
ეს მსჯელობა და იქვე ჰეგელის მოხსენება კი-
დეე ერთხელ ღალადებს იმაზე, რომ ენგელსი
იმყოფება იდეალისტ-დიალექტიკოსის ესთეტი-
კის ტყუობაში. ხასიათის საყოველთაო-კონკ-
რეტულობას აღიარებით ენგელსი იმეორებს
ჰეგელის ფორმულას (konkreten-allgemeinen
გახიარებულს იძოლტურ ტენის მიერ ჟერ კი-
დეე 1865 წელს. ხოლო იმის მოთხოვნაში,
რომ რეალურთან ერთად ხასიათმა უნდა ატა-
რის შესაძლებელი აწმყოსათვის ნიშნდობ-
ლე თვისებებთან ერთად — მუობადისათ-
ვის ნიშნდობლივი თვისებები, ღმეცი ცლ-
ლობს აღმოაჩინოს ტიპურ ხასიათზე ჭველთა
ჭველი მოთხოვნა — წარყენებული და მო-
მარჯვებული თეოლოგი ხელოვნებისა, აგრეთ-
ვე, ბუნებისმეტყველების მკალეგარების მიერ,
ტიპის ამგვარ გაგებას დიდი ტრადიცია ჰქონია
თეოლოგიის სამყაროში. უსასრულო ღმეცებ-
რევი სამყაროს მოვლენებს საეკლესიო მხატვ-
რები ვადმოსემდნენ ცალკეულ სახეებში და
თანაც ცდილობდნენ არასრულყოფილი აწმყო
სინამდვილე ვეციით წრდელყოფილ მუობადე:
საგნები და მოვლენები ენეენებით მათთვის
სასურველ ვარიანტებში. ღმეცი ფიქრობს
ტიპობრზე ამ ორმაგი მოძღვრებიდან, —
თეოლოგიურსა და საბუნებისმეტყველო გაგე-
ბიდან, ვამომდინარეობს რეალიზმის ორმაგი
კონცეციცია: სინამდვილის ვადმოცემა ივე,
როგორც არის (ბუნებისმეტყველურა) და ისე,
როგორც უნდა იყოს (თეოლოგიური) (გვ.
182-183). რეალური და იდეალური სინამდვი-
ლის ერთდროულად ხატვის მოთხოვნით, ღმე-
ცის აზრით, ენგელსმა ვამეორა ის, რასაც
ბეკრად ადრე იხოყოდა და აკეთებდა ასახვის
თეოლოგიური და საბუნებისმეტყველო მეთო-
დი. ენგელსი უკან უბრუნდება „უჭველეს
ტრადიციებს და თავისებურად აახლებს ტიპი-
ურობის თეოლოგიურ გაგებას“ (გვ. 185), ხა-
სიათების იმგვარ გაგებას, რომელსაც აეთო-
რებდა ენგელსი, ნერგავდა ვერობის საერო
ლიტერატურაში შექმნილი ტრადიცია და ამ
ლიტერატურის დიდი წარმომადგენლები, მაგა-
ლითად, დიდროსა და ლუსინგის სახით. დბო-
ლოს, ხასიათებზე ენგელსის მსჯელობას წინ

1 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწე-
რები გვ. 434. 1949.

უსწრებდა გოეთეს გამოყვლევები ბუნების-მეტყველების სფეროში, შილერის მსჯელობა ბოტანიკურ სფეროში და ჰემპოლტისა—გეოგრაფიულ სფეროში არსებულ ტიპურ მოვლენებთან დაკავშირებით: წინ უსწრებდა ბალზანის, ლივენიასა და სხვათა მოძღვრება ტიპურ ხასიათებზე. ყოველივე ამის შედეგად გეოგრაფიკურებს ღმრთეობა, ენგელსს აღარ უნდა ვასპირებოდა უბრალოდ ჩამოყალიბებინა სხვათა მიერ შრავალზის გამოთქმული და პრაქტიკული საქმიანობით დადასტურებული მოვლენა, რევიზიონისტის აზრით ორიგინალობისა და სიახლეს არის მოკლებული ენგელსის მოძღვრება ტიპურ ხასიათებზე. იგი არის პრაქტიკულ შემოქმედებით საქმიანობაში შრავალზის მომარჩეველები და თეორიული აზროვნების სფეროში არაერთხელ გამოთქმული მოსაზრებების თიქონს თავისებური განმეორება. ენგელსი ვითომცდა უნა უბრუნდება ძველ ტრადიციას და მხოლოდ ახლებურად აყენებს ხასიათების ტიპობრიობის თეოლოგიურ გაგებას. მაგრამ ღმრთეობა ანგარიშს არ უწყებს იმ ფაქტს, რომ ენგელსი შილერისაში აყენებს ტიპური ხასიათების, ტიპური ვითარებებისა და დეტალების ბიძარღვით გაღმორცემის აუცილებლობას; ხასიათებსა და ვითარებებს არა სწყევტს ურთიერთისაგან, როგორც ამას ავითებდნენ დიდრო და ლესინგი.

ღმრთეობა არც სლავური ლიტერატურისადმი ელსიკისათა დამოკიდებულების სურათი რჩება დაუმახინჯებელი. იგი მართებულად ვერ აშუქებს რუსული ლიტერატურის მიმართ მარქსისა და ენგელსის აზრებს. ეს ადამიანები, სთვლის ღმრთეობა, აყენენ ჰეგელიანურები და თანთანის მისწავლებლს შეხედულებათა ტყვეობიდან ვერ განთავისუფლდნენ თითო სლავების შეფასებაშიცა. ღმრთეობა ცდილობს ჩამოაყალიბოს მსგავსება სლავებზე ჰეგელის უარყოფით მოსაზრებებსა და ენგელსის შეხედულებებს შორის. ამასთან, ვანგებ იეიწყებს იმ გარემოებას, რომ უარყოფითი შეფასებელ დროს ჰეგელს მხედველობაში ჰყავდა საერთოდ სლავები, რომელთაც, მისი აზრით, არ შეუქმნიათ რაიმე ისტორიულად და კულტურულად ფასეული, რაკი მხოლოდ ისტორიის არსებზე გამოვიდნენ მეტად გვიან, ხოლო კლასიკოსებს — მხედველობაში ჰქონდათ კერძოდ მეფის რუსეთი, მისი რეაქციული საზნაო და საგარეო პოლიტიკა, ეკონომიური ჩამორჩენილობა და სოციალური ჩაგვრა. ღმრთეობა თავს იყრუებს იმ ფაქტის მიმართ, რომ მარქსი და ენგელსი დიდად აფასებდნენ რუსი ხალხის ზოქოლას განთავისუფლებისათვის, მის მცენიერებასა და ხელაოვნებას.

ღმრთეობა საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს რევოლუციურ-დემოკრატიული პოეტებისადმი

კლასიკოსების დამოკიდებულებას, და ფაქტობრივად როლს იგი არც აშკარად დალატობს. ცდილობს დავაარწმუნოს, თიქონს მარქსისა და ენგელსის უშუალო, თუ წერიალობით კავშირებს არა ჰქონია რაიმე მნიშვნელობა ჰერვეგის, ჰაინესა და ფრაილიგარათისათვის; და რომ ეს ურთიერთობა მეტყველებს მხოლოდ მარქსის ესთეტიკურა იდეალების აზრობაზე; რომ თანამედროვე ცალკეული პოეტებისადმი მარქსისა და ენგელსის დამოკიდებულების ჩაირობას განაზღვრავდა მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრების ვიწრო ინტერესები და უმნიშვნელო მოვლენები. ავიღოთ, მაგალითად, ჰერვეგისა და მარქსის ურთიერთობა. ეს უკანასკნელი ადასტურებს იმ სავეალაო სურათს, რომ მარქსს არა ჰქონია ოდესმე რაიმე მებრძოლი და მოწინავე ლიტერატურული ინტერესები (გვ. 114). ჰერ კიდევ ჰირადი ურთიერთობის დასაწყისიდანვე მარქსს სდომებია ჰერვეგის აღმოჩენა ენერგიული პოლიტიკური და კლასობრივი აზნაფი (გვ. 114-115), რაკი ვინაჟედობდა, რომ საყოფარეო პოლიტიკური მისწავლისათვის, ხოლო შემდეგ — კომუნისტთა კავშირის საქმიანობისათვის დიდად გამოადგებოდა ჰერვეგის პოპულარიზების გამოყენება. მაგრამ, როგორც ეი დარწმუნდა ჰერვეგის გამოუსადეგრობაში, მარქსმა, თორმე, უმაღ შეაქცია მას ზურგი. ჰემარტიკებას სცილდება ღმრთეობა ფიქრობს, თიქონს ჰერვეგის მთლიანად ჩამოყალიბდა მუშათა მოძრაობას, ცალკეული ტაქტიკური შეცდომებისა და დიდი იდეური ხარვეზების მიუხედავად, ჰერვეგი მთლიანად არასოდეს არ ჩამოსცილებია მუშათა მოძრაობას; ამაზე საუკეთესოდ მეტყველებს მისი შემოქმედების უკანასკნელი პერიოდი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ კლასიკოსებიდან ერთგვარმა დაცილებამ გარკვევით დაანია დადი მისი პოეტის იდეურ მხარეს. ღმრთეობა ვერ ხედავს რაიმე განსხვავებას მარქსის რევოლუციის გვარადალს მარქსის ჟანსად პოლიტიკურ მოღვაწეობასა და ჰერვეგის პოლიტიკურ ანტიტიკურას შორის. მართალია, ამ რევოლუციოში კლასიკოსების იდეალები ვერ იქნენ საბოლოოდ განხორციელებული, მაგრამ ამ უნებლიე წარმტებლობას არაფერი აქვს საერთო იმ სავეალაო მარცხთან, რომელიც ვანიაცადა მოხალინეთა ლეგიონების შექმნისა და საფრანგეთიდან გერმანიაში რევოლუციის შეტანის ჰერვეგისურში იდეამ. ღმრთეობა არაფერს ჰგონიკობს. გერმანიის მეფესთან პოეტის აუღიენიობა დანაშაულებრივ ხასიათზე და იმ უარყოფით როლზე, რომელიც ითამაშა ანარქისტმა ბაკუნინმა მის ცხოვრებაში. ვერ ხედავს რას ხეობას ჰერვეგის პოლიტიკურ ანტიტიკურასა და კომუნისტთა კავშირის პოლიტიკურ საქმიანობას შორის, ღმრთეობა ცდილობს ვაჟაღ-

ბის პერვეცისათვის კლასიკოსების იდეური ზემოქმედების დიდი მნიშვნელობა.

ჯანსაღ ხასიათის მოკლებული ყოფილა აგრეთვე ფრაილგრაათთან კლასიკოსების ურთიერთობაც. მარქსი და ენგელსი მდუმარებით ეგებებოდნენ პოეტის წარმატებებს, ხოლო ენგელსი ზოგჯერ აბიპრეტებდა მის ქმნილებებს, რომლებშიც ვლანდებოდა გერმანელი პროლეტარატის კლასობრივი თვითშეგნება, მაინც კი, როდესაც მარქსი მკაცრად აღიქვამდა დემოკრატიული ეგებებოდა ფრაილგრაათის იდეურად გამართულ და მხატვრულად სრულყოფილ ლექსებს, ენგელსი თავს არ იკავებდა იმავე ნაწარმოებთა მიმართ დაიციუნება და ნაღველს ვადმოწონა ხევისაგან (გვ. 127). დემეცი ცილილის ვაიუფასეროს „ახალი რაინის ვაზეთში“ თანამშრომლობის პერიოდში პოეტის მიერ შექმნილი ლექსების იდეურ-მხატვრული ღირსება და მარქსთან მისი დამოკიდებულების ისტორიაც გაანალიზოს მხოლოდ იმტომ, რომ დასვენის მგოსანზე პარტიის დამღებელი ზემოქმედების იდეა მითითის პარტიული ზმძალედან პოეზიისა და, საერთოდ, ხელოვნების დამოუკიდებლობის აუცილებლობაზე. ფრაილგრაათში დემეცი ხედავს პირველ პოეტს, რომელმაც შესწლო გენთაისუფლებინა თავი პარტიის თითქმის დამღებელი ზეგავლენისაგან. მარქსთან ურთიერთობამ და კომუნისტთა კავშირში თანამშრომლობამ, ფიქრობს დემეცი, შედეგად ის გამოიღო, რომ ფრაილგრაათი საბოლოოდ დაწმენდა ზემოქმედზე პარტიის უარყოფით ზემოქმედებაში. დემეცი ამ შემთხვევაშიაც სტილიდება სინამდვილეს. ფრაილგრაათი როდი ყოფილა იმთავითვე ღრმად იდეურური და მართებულ პოლიტიკურ ნივთზე მდგომი მწერალი. იდეურ ზრდასთან ერთად, იგი სულ უფრო მეტად იმსახურებდა კლასიკოსთა სიმბოთებისა და ნდობის, რაც, ბოლოს, დავიკრეინდა „ახალი რაინის ვაზეთში“ სარედაქციო შტაბში მისი მიწვევით. ეს თანამდებობა არა მარტო სპარტო, მეტად სპასუნისმგებლოც იყო, და მარქსი მას არ მიანდობდა ისეთ შემთხვევით პიროვნებას, რომლისადაც — დემეციის მოსაზრების საწინააღმდეგოდ — მარქსს არ ექნებოდა რწმენა და პარტიისკენა, რომლის პოზიციაც იგი არ დააფასებდა წერაობანად. დემეცი ვანზისზე ურთიერთში სხვადასხვა ფაქტებს, როდესაც გვარწმენებს, თითქმის ენგელსის „დაიუნა“ (გვ. 127) მიმართული იყო ფრაილგრაათის ლექსისადაც: „ველიან ზეით“. აქ იგი ვერ ანსხვავებს მოსახრებულ ლექსს მეორე ლექსისაგან „როგორ ხდებია“. თუ ამთვან პირველში ჩაქსოვილა იგი პოლიტიკურად შეგნებული და მემამობერად განწყობილი პროლეტარის სულისკვეთება, სამაგიეროდ მეორეში ჩადებული იყო წერილობერეუხიული იდეოლოგიის ყოვე-

ლად მანვე, ყოვლად გულბრევილი ცრურწმენები, და ენგელსმაც სწორედ ამის გამო აქცენა იგი მწარე დაიციუნისა და მარქსე ურთიერის საგნად.

ნიკოლოსი

დემეცი მდუმარებით უვლის გვერდს „ახალი რაინის ვაზეთში“ ფრაილგრაათის მიერ დასტამბული ლექსების, ღირსებას, და ვე გასავერტი აინს. მას საერთოდ სურს მიწმალის მგოსანზე კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელების კეთილსმყოფელი ზეგავლენის ფაქტ.

დემეცი იძულებულია ილაპარაკოს ლონდონის ემიგრაციის წლებში ფრაილგრაათისადაც მარქსის ჯერ კარგ და შემდეგ უკვლამოკიდებულებაზე. მერამ დადებობა ურთიერთობის მიზეზებს იგი ხედავს არა თვით პოეტის იდეურ სიჯანსაღეში, არამედ იმ უზადლებულ ვერსიაში, თითქმის მარქსი პოეტებს მიიჩნედა ისეთ აბიპრეტულ აღაშინებელ, რომელთაც ყოველთვის ესაუბრობათ საქმიანი და გულმგებლობითი ზემოქმედების ნაცვლად პირფერობა და ყალბი შეინანერგება.

დემეცი აყალბებს, ეგრეთვე, ჰაინეს იდეური განვითარების სურათს ისევე, როგორც უმართებულოდ წარმოადგენს კლასიკოსებისადაც ამ პოეტის დამოკიდებულების ნაბრძანს. ჰაინეს აწკარად რთულ და წინააღმდეგობრივი ხასიათის ზემოქმედებიდან დემეცი როდი ედილობს წინ წამოსწიოს დიდი პოეტისათვის ნიშანდობლივი, მთავარი და წამყვანი მომენტები. დაწვრილებით მსჯელობს ჰაინეს მსოფლმხედველობის ზრდილოვან მხარეებზე, მის სიძულელიზე აბსოლუტური თანსწრობის იდეისადაც, მის მიწვევებზე ევალტარული კომუნისტის წინაშე. იგი მთლიანად დევნის „ვერსინისა“ და „სილუვიელ ფეიქრებში“ ჩაქსოვილი მოწინავე იდეების, საერთოდ, ჰაინეს ზემოქმედებას, ჯანსაღი მხარეების ანალიზს. ჰაინეს, დემეციის აზრით, იყო კომუნისტის მოძულე და მოწინააღმდეგე და არა მით დიდად იდეების მქადაგებელი. მეცნიერულ სოციალიზმის ფუძემდებლებმა, თანამედროვე კომუნისტური მოძრაობის თავაკცებმა ამაოდ სცადეს გადაეზიარებინათ ჰაინეს თავის მხარეზე და საკუთარი პარტიის ინტერესებრათვის გამოეყენებინათ მისი პოეტური და მქალაქობრივი ავტორიტეტი. მერამ რაცი ამის ვერ მიადრევი, ზურგი შეაქციეს „ლეიბის საფლავში“ ჩაგარდნილ სწველ პოეტს და იწყეს მისი კლუა და ცილისწამება. ჰაინეს კი დარჩა საკუთარი იდეების ერთვული. როგორც მარქსი რევილუციამდე, ასევე მის შემდგომ, ჰაინეს მიწითა და ძრწოლურით ლაპარაკობდა მუშათა მომადეად გამარჯვებასა და კომუნისტის იდეის გარდევალ ზეიმზე. ჰაინეს იდეოდან გამწყვებთა კავშირი კომუნისტური მოძრაობისათვის, მის ბელადთან, თავის „რადიკალურ მეგობრებთან“ (გვ. 113). დემეციისათვის ვაუტეგარის დარჩა კომუნისტის

იღვისადმი პოეტის დამოკიდებულების რეალური სურათი, სწორედ ისევე, როგორც ვერ გავიგო ჰაინეს მიერ ჰეგელის ფილოსოფიის მარქველურიანიერებელი მხარის აღმოჩენის უბაღლო მნიშვნელობა.

დემეცი თავისებურად წარმოადგენს პოეტისა და მეორეს მხრივ, კლასიკოსთა დამოკიდებულების რეალურ სურათს; ჰაინესადმი მათი დამოკიდებულების გაშუქებით სურს ამ რევიზიონისტს ზურგი გაუმავროს საკუთარ დებულებას მარქსსა და ენგელს შორის ეთიომდა დიდი წინააღმდეგობის შესახებ. მარქსსა და ჰაინეს აღმოაჩინდა ზოგი რამ საერთო, მაგრამ, — ფიქრობს იგი, — ყოველივე ეს იყო პირადლამოქალაქებობრივი ცხოვრების და არა იდეათა სამყაროში. მარქსი მთლიანად უძერდა მხარს ჰაინეს მამინ, როცა ენგელსი ორიენტაციას იღებდა ბოერნეზე. ეს უარყოფითი დამოკიდებულება ჰაინესადმი და გატაცება ბოერნეს იდეებით, დემეცის აზრით, ენგელს ახსიათებდა ყოველთვის, ამიტომაც მან ჰაინესადმი ახათის თავი ვერ დააღწია თვით ღრმად მოხუცობის ეპოსად. (გვ. 107). რევიზიონისტი დემეცი თავის მეთიხველებს ზალისით აუწყებს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც პირად ბარათებში ენგელსი კიცხავდა ჰაინეს და ადარებდა მის მლიქვნელ პორაქსს. ზედმეტად უსჯამს რა ხაზს ენგელსის თავდაპირველ ანთოპიათის ჰაინესადმი, დემეცი შემდეგ აღირაფერს ამბობს იმასთან დაკავშირებით, თუ მომდევნო პერიოდში როგორ დააზუსტა ენგელსში სკუთარი წარმოდგენები პოეტის განშემო და როგორ შესცვალა დამოკიდებულება მისთან. დემეცი განზრახ უყლის გვერდს ენგელსის ცნობას იმის შესახებ, რომ 1844 წელს მუშათა სოციალურ მოძრაობის უკვე შეუერთდა ჰაინე. — გერმანიის უდიდესი პოეტი, რომლის საუკეთესო ლექსებში გატარებულია ძველი სინამდვილის რეალურიყოფი ნგრევის იდეები და აღიარებულია სოციალიზმი. დემეცი არაფერს ამბობს ჰაინეს ფილოსოფიური შეხედულებების ენგელსისეულ მაღალ შეფასებაზე. ჰაინეს ხასიათსა და შემოქმედებასთან დაკავშირებით „მანფესტის“ ავტორებს 1844 წელს უკვე ჰქონდათ შემეშვიებული საერთო და მართებული აზრი, რას შედეგადაც მათ აღიარა ჰქონდათ „მეტად სხვადასხვანაირი“ (გვ. 106) შეხედულებები. ესაა მხოლოდ „აღმოჩენა“ და საკუთრად რევიზიონისტისა, რომელიც ვულდავულ ცდილობს დააბათოთს თითქოს მარქსსა და ენგელსს არ უთამამოთათ რაიმე დადებითი როლი ჰაინეს იდეურ აღზრდაში, და არც მათთან ტერიტორიულ დამორებას დაუჩენია უარყოფითი კვალი პოეტის იდეათა სამყაროსათვის.

დემეცი საერთოდ არ იბუნებს გეორგ

ვერთს — გერმანელ პრიოდტარიატს ამ პირველსა და ყველაზე მნიშვნელოვან პოეტს. თავისი იდეური თანამოაზრეების მსჯელობა რევიზიონისტულიად მდებარებით უყლის გვერდს ენგელსის შემოქმედებას და „მანფესტის“ ავტორებთან მისი დამოკიდებულების ყურადსაღებ ფაქტს.

დემეციასთვის მარქსიზმის წინააღმდეგ რევიზიონისტული ბრძოლის კიდევ ერთი მეოთხედი არის კლასიკოსთა ესთეტიკური შეხედულებების მოწყვეტა მათივე ფილოსოფიურ-პოლიტიკური შეხედულებებიდან და იმ სოციალ-პოლიტიკური სიტუაციიდან, რომელთა წიაღშიაც ეს იდეები წარმოიშვეს. დემეცი ნაკლებად ინტერესდება მარქსსა და ენგელსის პოლიტიკური შეხედულებებით, რის გამოც ლიტერატურის მოხელეებს არ უყავიერებს სოციალ-დემოკრატიულ მერებს, ხოლო ამ უყანასწელოთ არ განიხილავს ისტორიული მოვლენების შექმნა. დემეცი ყოველნაირად ცდილობს აღმოაჩინოს ეთიომდა ანტაგონიზმი მარქსსა და ენგელსის მოძღვრებაში. ამასთან, ახაფერს ლაპარაკობს იმ „თეორიის“ წინააღმდეგობარეგ ხასიათზე, რომელიც თავისი მხრივ შეაქვს მარქსიზმში იდეურ საგანძურში. საინტერესო და საშიხილებელი კი სწორედ ის არის, თუ როგორი წინააღმდეგობაა მარქსიზმის ფუძემდებელთა მეცნიერულ თეორიებმა და მარქსიზმის საფუძვლების „შეღვევასი“ — რევიზიონისტ პეტარ დემეციას შეხედულებების შორის. დემეციას წიგნის დუნდომელი კრიტიკა და მისი დებულებების მხილება აქტიულოვარ ამოცანად ითვლება კიდევ უფრო იმიტომ, რომ იგი აღიარებულა ბერეუაზიული ლიტერატურათმცოდნეობის უყანასწეულ სიტყვად, ყოველივე იმისა შეაქმნა და განზოგადოებად, რასაც ორიგინალური „ნაზარეებს“ სახით ქმნის კავიტალისტური სამყაროს ბერეუაზიული მეცნიერება. ავტორი ამყარად აცხადებს, რომ მისი შრომა ვერდნობა დასავლეთის ახალ „გამოცვლევებს“ მარქსისტული ესთეტიკის სფეროში. სინამდვილეში კი დემეცის წიგნი არის ახალი, მორიგი გამოხდომი მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და ესთეტიკის წინააღმდეგ არის ბერეუაზიულ მეცნიერებაში შრავალგზის გამოთქმული ყალბი და არამეცნიერული მოსაზრებებით ახლებურად გადმოცემის ცდა. რევიზიონისტ დემეციას წიგნში არაა მოცემული ლიტერატურის ისტორიისა და ბულონების თეორიის რომელიმე საყანამო საკითხის თუნდაც რამდენადმე მართებული გადაწყვეტა. დემეცის რევიზიონისტული იდეების კრიტიკა გადაღებული ამოცანაა, რაკი ეს იდეები მიზნად ისახვენ მარქსიზმის შებღალასა და გაბიაბრეებას.

გიორგი ნაკაშიძე

ვეფხისტყაოსნის ტექსტის გეგმურული გამოცემისათვის

1962 წელს სრულდება ორას ორმოცდაათი წელი მას შემდეგ, რაც პირველად დაიბეჭდა შოთა რუსთველის უკვედავი ნაწარმოები¹. დღეისათვის ამ ძეგლის ორმოცზე მეტი გამოცემა არსებობს. ზოგიერთმა ამ გამოცემამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლის საქმეში. საკმარისია აღინიშნოს, რომ მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ლიტერატურა², რომელიც ვეფხისტყაოსნის გარშემო შეიქმნა, უმთავრესად ამ გამოცემებზეა დამყარებული.

ამჟამად ეს გამოცემები ვეღარ აკმაყოფილებენ გაზრდილ მოთხოვნილებებს, და ჩვენი მეცნიერების წინაშე დგას ამოცანა პოემის ტექსტის ახალი გამოცემისა, როგორც ამას ფილოლოგიური მეცნიერების თანამედროვე დონე მოითხოვს.

ასეთი გამოცემის განხორციელებისათვის ახლა მკვლევართა განკარგულებაში საკმარისი მასალა მოიპოვება. ცნობილია ვეფხისტყაოსნის დაახლოებით 150 ხელნაწერი. ამ ხელნაწერების ორი მესამედი, როგორც ეს გარკვეულია სპეციალური

კვლევა-ძიების შედეგად ვახტანგისეული გამოცემიდან მომდინარეობს³. ტექსტის დადგენისათვის მნიშვნელოვანია დანარჩენი, დაახლოებით ორმოცდაათამდე ხელნაწერი, რომელთა ნაწილი საკმაოდ ძველ ტრადიციას ამჟღავნებს. ეს ხელნაწერები სშირად განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც სტროფული შედგენილობით, აგრეთვე, წაკითხვის თვალსაზრისით.

ამ ხელნაწერთა დეტალური ანალიზი და მათი შედარებითი შესწავლა, ცხადია, აუცილებელი პირობაა ტექსტის დადგენისათვის. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია არსებულ გამოცემათა გათვალისწინება, რადგან წინამდებარე ავტორებს შეიძლება ზოგჯერ უკეთესი წაკითხვა ან კონიექტურა ჰქონდეთ წარმოდგენილი. განსხვავებათა ჩვენებისას, რა თქმა უნდა, საჭიროა ზომიერება. შეუძლებელია და არც აუცილებელი, რომ ყველა განსხვავებული წაკითხვა და უმნიშვნელო ორთოგრაფიული თავისებურებები იქნეს ნაჩვენები. ხელნაწერები ხომ დიდი მანძილით არიან დაშორებული პოემის დაწერის დროს და ორთოგრაფიის მხრივ ბევრ შემთხვევაში იმ ეპოქის სურათს ასახავენ, რომელსაც ისინი ეკუთვნიან და არა რუსთველის ხანისათვის დამახასიათებელ ვითარებას.

მგვრამ ტექსტის გაგებისათვის საჭირო წინასწარი სამუშაოები მარტო ამით არ ამოიწურება. სშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარალელებს სხვა ძეგლებიდან. პარალელურ გამოთქმათა ჩვენება, ანალოგიები რუსთველის ეპოქის, აგრეთვე, უფრო ადრინდელი და გვიანდელი ძეგლები

იხ. სოლ. ყუბანეიშვილი. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა. თბილისი, 1959, გვ. 3 შმდ.

¹ ვეფხისტყაოსანი: აწ ახალი დაბეჭდული ჩართულს ენასა ზედა ტჳმსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა უფლისა ვახტანგისისა: . შრომიითა და წარსაგებელითა მის მპყრობელისათა: . ვაიმართა ტელითა ტელ-მწიფის კარის ღვკანობის შეილის მიქელისათა: ქალაქსა ტფილისისასა ქრისტეს აწით ათას შეიდას და თორმეტსა დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შეიდიათას ორას ოცსა: . : იხ. აგრეთვე ვეფხისტყაოსანი. ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ. ტფილისი 1937.

² ვრცელი ბიბლიოგრაფია ანოტაციებით მოცემულია გაიოზ იმედაშვილის მეტად მნიშვნელოვან შრომაში: რუსთველოლოგიური ლიტერატურა. 1712-1956 წლები. თბილისი, 1957.

ბიდან ზოგჯერ ძირითადი დასაყრდენია ტექსტის დადგენისათვის. ამავე დროს ეს უფრო თვალსაჩინოს გახდის თუ რა კავშირი აქვს ვეფხისტყაოსანს ძველ ტრადიციასთან ან რა გავლენა მოუხდენია მას ქართული ლიტერატურის მერმინდელი განვითარებაზე. ასევე მნიშვნელოვანია პარალელების ჩვენება სხვა ხალხთა ენებიდან და ლიტერატურული (ბერძნული, არაბული, სპარსული, სომხური) ძეგლებიდან.

ველა ამ მონაცემის გათვალისწინება საგრძნობლად შეუწყობს ხელს არა მარტო ტექსტის დადგენის საქმეს, არამედ რუსთველოლოგიური მეცნიერების ძირითადი და უმთავრესი მიზნის განხორციელებას: განსაზღვროს რუსთველის ადგილი ქართული და მსოფლიო კულტურის ისტორიის განვითარებაში.

თუ ვეფხისტყაოსნის ტექსტის ახალი გამოცემა ამგვარად იქნება განხორციელებული, რა თქმა უნდა, მთელი ეს მასალა (*variae lectiones, apparatus criticus* — პარალელები და ანალოგიები სხვა ძეგლებიდან, წყაროებისა და სპეციალური ლიტერატურის ჩვენებით) თან უნდა ახლდეს ტექსტს, რათა მომავალ მკვლევარს არ დასჭირდეს მთელი იმ სამუშაოს ხელახლა შესრულება, რაც გამოცემის ავტორებს უკვე ჩაუტარებიათ. მით უმეტეს, რომ ეს მასალა ბევრისათვის მისაწვდომი არ არის.

მკითხველისათვის გაუგებარი იქნება, თუ რატომ მიეცა ამა თუ იმ ვარიანტს უპირატესობა, თუ მას არ ახლავს დასაბუთება, ზოგჯერ (სადაც ეს საჭიროა), კვალიფიკაცია უარყოფილი ფორმებისა და ვარიანტებისა¹. შესაძლებელია ის, რაც დღეს უარყოფილია და ვარიანტებშია გადატანილი, მომავალი კვლევა-ძიების შედეგად უფრო მისაღები აღმოჩნდეს.

ამგვარად დადგენილ ტექსტსა და მის ვარიანტებს თან უნდა ახლდეს ენობრივი და ფილოლოგიური ხასიათის კომენტარები, საიდანაც გამოჩნდება, თუ როგორ ესმით გამოცემის ავტორებს ტექსტი.

ამგვარად გამოცემული ტექსტი გასაგებრი გახდება ფართო მკითხველისათვის, და ამავე დროს იგი საფუძვლად დაედება მოვლ შემდგომ მეცნიერულ კვლევა-ძიებას ვეფხისტყაოსნის გარშემო.

ტექსტის ყოველგვარი კრიტიკული გამოცემა გულისხმობს, რომ მას უნდა ახლდეს ლექსიკონი, შეძლებისდაგვარად სრული. ამ ლექსიკონს ექნება არა მარტო პრაქტიკული დანიშნულება, რომ ხელი შეუწყოს ტექსტის გაგებას. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ენის მომავალი კრიტიკული ისტორიული ლექსიკონისათვის.

როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფთან, ცხადია, რომ საერთო ქართულის გვერდით მასში მოიპოება ისეთი ლექსიკური მასალაც, რომელიც ტიპურია სათანადო ავტორისათვის. ამიტომ იგი მთლიანად შევა მომავალ ისტორიულ ლექსიკონში, როგორც გარკვეული ეპოქისა და ენის დამახასიათებელი მასალა. აქედან გასაგებია, რომ ტექსტის მეცნიერულ გამოცემას თან უნდა ახლდეს არა მარტო ზოგიერთი „გაუგებარი“ სიტყვის გლოსარი, არამედ სრული ლექსიკონი, როგორც ძირითადი ტექსტისა, აგრეთვე, ვარიანტებისა, სათანადო ფორმებისა და მნიშვნელობების ჩვენებით. სიტყვათა განმარტებისას სასარგებლო იქნება პარალელების ჩვენება სხვა ძეგლებიდან, თუნდაც სიტყვის მნიშვნელობა კონტექსტიდანაც ამკარა იყოს.

მეცნიერული ლექსიკონისათვის აუცილებელია, აგრეთვე, სიტყვათა წარმოშობის ჩვენება, არა მარტო იმიტომ, რომ ეს ხელს შეუწყობს სიტყვის მნიშვნელობის გარკვევას, არამედ, უმთავრესად იმიტომ, რომ ეს ნათელს მოაქვს მთელ რიგ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა საკითხებს.

ასეთი სპეციალური ლექსიკონების გარეშე ძნელად საფიქრებელია, რომ მოხერხდეს ქართული ენის მომავალი კრიტიკულ-ისტორიული ლექსიკონის შედგენა სათანადო მეცნიერულ დონეზე.

ზემოთ წარმოდგენილი გეგმის განხორციელებისათვის ტექნიკური მხრით სხვადასხვა საშუალება არსებობს. შეიძლება, მაგალითად, კრიტიკული აპარატი უფრო

¹ ეს ეხება როგორც ძირითად ტექსტს, ისე ჩანართ სტროფებს. ტექსტის ამგვარი შესწავლა მნიშვნელოვანი იქნება თვით ამ ჩანართი სტროფების გამოსაყვანილად და დასადგენად.

ფართოდ ან უფრო შეკუმშულად იქნეს წარმოდგენილი, ან, მაგალითად, კომენტარიები განაწილდეს ვარიანტებსა, შენიშვნებსა და ლექსიკონს შორის და სხვ. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ყოველგვარი ტექსტის (იქნება ეს პოეტური ნაწარმოები თუ ცალკეული დოკუმენტი) მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა პრინციპში უნდა ითვალისწინებდეს ზემოთ აღნიშნულ სამუშაოებს. მართო ტექსტის გამოქვეყნება (თუნდაც ეს ტექსტი კარგად იყოს აღდგენილი და დადგენილი), ნებისმიერად შერჩეული სიტყვების პატარა გლოსარით¹, შეიძლება თავისთავად ძალი-

ან სასარგებლო საქმე იყოს, მაგრამ მეცნიერულ გამოცემად ვერ ჩაითვლება. კვებით ჩვენ ვიძლევიტ ერთი სტროფის გამოქვეყნების ცდას აღნიშნული პრინციპების საფუძველზე. ეს სტროფი არ არის საგანგებოდ შერჩეული, არამედ აღებულია სრულიად შემთხვევით, ის, რაც ხელთ მოგვხვდა წიგნის უბრალო გადაშლის დროს, ტექსტის იმ ნაწილიდან, რომელიც დადგენილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვეფხისტყაოსნის ტექსტის შემსწავლელი კომისიის მიერ¹.

ხელნაწარები² და გამოცემანი

A—H 757. გადაწერილია 1671 წ. აღმურანთ ზაღდასარას შვილის გასპარას მიერ. გამოცემულია ზოლ. ყუბანეიშვილის მიერ 1956 წ. („ვეფხისტყაოსანი ჩანართი და დანართი ტექსტებით“).

B — H54. დამზადებულია 1680 წ. მეფე გიორგი XI-ის დავევით ბეჟამბევის მიერ. გადაწერილია პეტაბურგ ავთანდილის ძე მარტარიანიშვილი იყო შანაგავს მეფის კარის მდივანშეიფინობარ.

C — H 2074. გადაწერილია მე-17 საუკუნის კარგი კალიგრაფული ხელით. ფურცლების კიდებში შევსულია სხვადასხვა სახის მდიდრული მობატულობა. ხელნაწერში ჩართულია ილუსტრაციები.

D — Q 1082. გადაწერილია მე-17 საუკუნის ხაშივიან წლებში ცნობილი პოეტის და კალიგრაფის იოსებ თბილელის (გარდ. 1688 წ.) მიერ. ხელნაწერის პირველი მუხატარხე იყო სარდალი და საპროფუტურები ზაზა ციციშვილი, რომლის შევევითაც დამზადდა აღნიშნული ხელნაწერი. ზაზას სიკვდილის შემდეგ მას ჯერ ფლოზდა ლევან ვახტანგის ძე ბატონიშვილი, შემდეგ — მისი შვილი ვახტანგ VI.

E — H 599. გადაწერილია 1646 წ. სამეგრელოში იმერეთის მეფის მდივნის მამუკა თაქალაშვილის მიერ, რომელიც იმ დროს ტყვედ იმყოფებოდა ლევან II-ის დადიანის კარზე ვეფხისტყაოს-

ნის გადაწერა მამუკასათვის დაუვალება ლევან შანუარის ძე დადიანს (გარდ. 1657). გადაწერა დაწყდა 13 ივნისს და დაუმთავრებია 18 ავგოსტოს, ხელნაწერში ჩართულია პოემის ილუსტრაციები, რუსთაველისა და ვილაყ მდივანშეიფინობის სურათები. ეს ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის პირველი თარიღიანი ნუსხაა.

F — S 2829. გადაწერილია ერკულე პირველის სახლობევის პაპუნა ბენურიშვილისათვის 1688 წელს.

Q — S 4988. მუხეფში შემოსულია ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკიდან, 1909 წლის შემდეგ.

H — H 2610. გადაწერილია მე-18 საუკუნის დასაწყისში იმ პირის მიერ, რომელსაც გადაუწერია S 4988 ხელნაწერი.

I — Q 261. გადაწერილია მე-18 საუკუნის დასაწყისს.

J — H 461. მუხეფში შემოსწორა ბიძინა გრიგოლის ძე შავაშვილმა 1911 წლის პირველ ნახევარში.

K — S 4499. გადაწერილია მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში.

L — A 963. გადაწერილია მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში.

1 ზოგჯერ ასეთს. გლოსარში შეაქვთ ზოლ-მე ისეთი სიტყვები, რომლებიც ადვილი განსამარტავია. ზოლო იმ სიტყვებს, რომლებიც ვაუცებარია და რომლების განმარტება ადვილად არ ხერხდება, ხშირად დემილით გვერს უკლიან.

2 ხელნაწერთა აღწერა მოცემულია ს. ყუბანეიშვილის ზემოთდასახელებული შრომის მიხედვით, გვ. 301—321.

1 კომისიის წევრებია არიან ა. შანიძე (თავმჯდომარე), ალ. ბარამიძე (თავმჯდომარის მოადგილე), კ. კვალიძე, ილია აბულაძე, ივ. გიგინეიშვილი, მ. გბრალიძე, გ. წერეთელი. წინამდებარე წერილში გამოყენებულია ის მასალა, რომელიც კომისიის წევრებმა (ა. შანიძემ, ალ. ბარამიძემ, ილ. აბულაძემ, ივ. გიგინეიშვილმა) წარმოადგინეს ტექსტის განხილვის დროს.

M — Q 779. გადაწერილია 1761 წლამდე ვ. ბაღდასარაშვილის მიერ, რომელსაც გადაწერია 757 ნუსხა.

N — S 3077. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით გადაწერილია მე-17 საუკუნის ბოლოს.

O — K 205. დანაკლისი ადგილები შეესებულება მე-18 საუკუნის ხელით.

P — S 1418. გადაწერილია მე-17 საუკუნის გასულს.

Q — K 215. გადაწერილია მე-17 საუკუნის ხელით. ქუთაისის მუზეუმისათვის შეუწირავს კირილე ლორთქიფანიძეს (გარდ. 1919 წ.).

R — Q 930. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ხელნაწერი გადაწერილია მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში. ტექსტს ახასიათებს ანეგტობა. აღმოჩენილია სომხეთში, კერძოდ ოჯახში.

S — H 3249. გადაწერილია მე-17 საუკუნის ხელით.

T — W 17. ერთ დროს იმერეთის მეფის დავითის ასული შიშხათუნის (გარდ. 1830წ.) კუთვნილება ყოფილა. დაცულია ოქსფორდში, ზოდლის ბიბლიოთეკის უორდროპსიულ კოლექციაში. მიკროფილში მოპოვება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

U — S 5006. გადაწერილია მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში. ტექსტის ნაწილი გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან. ეს ხელნაწერი იმერეთის მეფის სილომონ დიდის კუთვნილება ყოფილა. „მისი გარდაცვალების შემდეგ ხელნაწერს დაპატრონებია მეფის ასული დარეჯან პატონიშვილი, დედა ივანე აბაშიძისა. უკანასკნელი იყო რუსეთის ცარზიმის წინააღმდეგ აჯანყების (1819 წ.) მეთაური იმერეთში. აჯანყების დამარცხების შემდეგ დარეჯან პატონიშვილი რუსეთში გადაასახლეს, ივანე აბაშიძემ კი ქაიხოსრო გურიელს შეაფარა თავი. გურამი მან თან წაიღო პოემის ხელნაწერი და იგი ინახებოდა სოფ. შემოქმედში, ქაიხოსრო გურიელის ოჯახში. შემდეგ ეს ხელნაწერი ქაიხოსრო გურიელმა მზითავად გადატანა თავის ქალ ბელოვას, რომელიც გაიხოვდა სამხრეთში ნესტორ წერეთელზე. 1880 წ. ხელნაწერი პატრონმა დროებით სარგებლობისათვის დ. ი. ყიფიანის ხელით გადასცა თბილისში პოემის ტექსტის დამდგენ კომისიის. კომისიამ მუშაობის დამთავრების შემდეგ ხელნაწერი კუთვნილებისამებრ დაუბრუნა წერეთელს. ბოლო დროს ხელნაწერის პატრონი გამხდარა გიგო წერეთელი.¹²

V — H 3061. შექმნილია თბილისში ბგვთაბგვ

ბგვთაბგვთის (შვილიშვილი 54 ხელნაწერის გადაწერისა) მიერ 1795 წლის მახლობლად.

X — P 10. გადაწერილია შემახანში უახანო ბეზოსის ქალის მიერ. გადაწერა დაუმთავრებია 1702 წლის 15 იანვარს. ხელნაწერი ინახება პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა განყოფილებაში. მიკროფილში დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

Y — H 740. გადაწერილია მე-18 საუკ. ხელით.

Z — W 27. ინახება ოქსფორდში, ზოდლის ბიბლიოთეკის უორდროპსიულ კოლექციაში. მიკროფილში დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. დავით შარშალ ლანგის ცნობით, ეს ხელნაწერი უკიდია (ოქსფორდში) სერ ბერნარდ ვესტმინის ანდერძის აღმარულუბელთაგანს 1949 წელს. ფასის ნახევარი გადახდილი ყოფილა შარჯორი უორდროპის სახელობის ფონდიდან („ცისკარი“, 1957 წ., № 4, გვ. 151; ს. ყუბანეიშვილი, გვ. 315).

A' — K 383 XVIII საუკ. ხელნაწერი. დანაკლისი ფურცლები შეესებულება XIX საუკ. ხელით 1712 წლის გამოცემის მიხედვით.

B' — H 964/ა. XVIII საუკ. ხელნაწერი.

C' — S 1675/ა. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით გადაწერილია მე-17 საუკუნის გასულს.

D' — H 1839. გადაწერილია მე-19 საუკუნის ხელით გლახუა გიორგის ძე ქუთათელაძის მიერ.

E' — Q 483. გადაწერა დამთავრებულია 1856 წ.

F' — S 4527. გადაწერილია ესოფ ბგვთაბგვთის მიერ (შვილიშვილი ბგვთაბგვ მარტარიანიშვილისა, რომელსაც გადაწერია ვფხვისტყაოსნის II 54 ნუსხა. ესოფის მამა ყოფილა ხელხანი, რომელიც გარდაცვლილია 1788 წელს).

G' — Q 796. XIX საუკუნის ხელნაწერი.

H' — S 1727. გადაწერილია ვახტანგისეული გამოცემიდან ავთანდილ ამილახვარის მეფელის ანას მიერ თავისი ძის ალექსანდრე ამილახვარისათვის. გადაწერა დამთავრებულია 1825 წ. 25 ოქტომბერს.

I — H 412. XIX საუკუნის ხელნაწერი.

J — H 783. გადაწერილია ვახტანგისეულ გამოცემიდან დუშეთელ ივანე დავითის ძე სიმხვიის

¹² ს. ყუბანეიშვილი, გვ. 307.

მიერ. გადაწერა დამთავრებია 1857 წლის 27 მარტს.

R' — S 2315. გადაწერილია მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში ვახტანგისეული გამოცემიდან. მუზეუმს შეუბრუნა რადიელ ერისთავმა.

L — B (1860.) გადაწერილია ნერსისის ხეშინა-რისის მოწადის კარაპეტ ასლანოვის მიერ. გადაწერა დამთავრებულია 1860 წელს ნოემბრის 4-ს.

M' — A 1123. გადაწერილია ნინო ამილახვრის გამოცემიდან. გადაწერა დამთავრებულია 1833 წ. ივლისის 21-ს.

N' — H 66. გადაწერილია ნინო ამილახვრის მიერ. გადაწერა დამთავრებულია 1832 წ. 1 მაისს.

O' — Q 799. გადაწერილია მე-18 საუკუნის ხელით.

P' — S 2525. გადაწერილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

Q' — C 10768/191. გადაწერილია მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში.

R' — D 12904/190. გადაწერილია ბირთველ გიორგის ძე თუმანიშვილის მიერ. გადაწერა დამთავრებია 1802 წ. 10 ნოემბერს. მუზეუმმა შეიძინა მის. თუმანიშვილისაგან 1937 წლის პირველ ნახევარში.

S' — M 48. გადაწერა დამთავრებულია 1823 წ. 23 თებერვალს პეტერბურგში ასლან საფიროვის მიერ, იმერეთის დედოფლის ანას. დაკვეთით.

T' — H 248. გადაწერილია მე-19 საუკუნის ხელით.

U' — A 654. გადაწერილია ორბელიანის მოუ-რავის დავით ივანეს ძე ამირიძის მიერ. გადაწერა დამთავრებია 1867 წ. 21 თებერვალს.

Gr — E. ხელნაწერი გადაწერილია 1840 წელს, შე-ქმნილია ი. გრინშაშვილის მიერ და დაცულია მის მიხროთეკაში.

X' — S 5207. გადაწერილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

Y — ვახტანგის გამოცემა 1712 წლისა.

წერ. — ვეფხისტყაოსნის ტექსტი, მოშადაძეული 9. „მნათობი“ № 2.

გამოსაქმედ მა. წერეთლის მიერ. ხელნაწერი თნ-ხემა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შირთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

ბრ. — შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. Барцо-на кожа, შ. ბროსებ, ზ. ფლადანდიშვილისა და დ. მუხინოვის გამოც., ს. — პეტერბურგი, 1841 წ., XIV — 257 გვ.

რუბ¹. — დ. მუხინოვი, ქართული ქრესტომა-ტია, — ვეფხისტყაოსანი, ს. — პეტ., 1846 წ., გვ. 1 — 223.

რუბ². — რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, დ. მუ-ხინოვის გამოც., წიგნში „ქართული ქრესტომატია“, ტ. II, ს. — პეტ., 1860 წ., გვ. 1 — 207.

ქარ. — ვეფხისტყაოსანი, გამოცემული დ. გ. ქართველიშვილის მიერ, თბ., 1869 წ., 39 გვ.

კარ¹. — ვეფხისტყაოსანი 4 პორტრეტით და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის (მეცხრამეტე) გამო-ცემა, თბ., 1903 წ., XX X — 361 გვ.

კარ². — „ვეფხისტყაოსანი“ დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით, თბ., 1920 წ.

კაკ¹. — შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ნამ-დვილი და ჩანართი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, თბილისი, 1913 წ., 251 გვ.

კაკ². — ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედ., თბ. 1927 წ., I XI VI — 216 გვ.

აბ¹. — შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ი. აბუ-ლიძის რედ. 22-ე გამოცემა, თბ., 1914 წ. I XIII. 226 გვ.

აბ². — ვეფხისტყაოსანი, მე-26-ე გამოც. ი. აბუ-ლიძის რედაქტ., თბ., 1926 წ., XIX—354 გვ.

ტიტ. — ვეფხისტყაოსანი, კ. ტიჭინაძის რედ., თბ., 1934 წ.,

ინტ. — შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პ. ინ-გოროვას რედაქციით, თბ., 1953 წ., 518 გვ.

სბ. — „ვეფხისტყაოსანი“, 1937 წ. საიუბილეო გამოცემა.

h. l. — hapax legomenon (სიტყვა, რომელიც მხოლოდ ერთხელ ვხვდებით ვეფხისტყაოსანის ტექსტში).

ვახტ. — ვახტანგისეული გამოცემა (ლექსიკონში). თეოშ. — თეიმურაზ ბაგრატიონი. განმარტება პო-ემა ვეფხისტყაოსნისა გათვთ იმედაშვილის რედაქ-ციით, გამოველვეთა და საბიბლიოთ.

თბილისი, 1960.

ა. შან. — ლექს. — ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი (ერთგის 1957 წლის გამოცემას).

TR — Тексты и разъяснения по армяно-грузинской филологии. — დანარჩენი შემოყლებანი გასაგებია თავისთავად.



აწმე — აწმეო.
 ვად. — ვადატანიო.
 ვარ. — ვარანტი.
 ვულზ. — ვულგალური.
 ზმნსრ. — ზმნისართო.
 თურმ. — თურმეობითო.
 კავ. — კავშირი.
 კავშ. — კავშირებითო.

მრ. — მრავლობითი.
 მწიგ. — მწიგნობრული.
 მხ. — მხოლოდობითი.
 ნ. — ნამყო.
 პ. — პირი.
 რ. — რაცხეი.
 უწმგ. — უწმგბდელი.
 წავ. — წავაბდელი.

ბმძსბი¹

(232-163)

უმაზნ უთხრა: ამომისმინე, მართლად გითხრობ, არა ჭრეულად: რი მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა განსჭრეულად. მარგალიტი არვის მიჰხედეს უსასუიდლოდ, უვაჭრეულად. და კაცი ცრუ და მოღალატე ხაშს ღახვრითა დასაჭრეულად¹.

პარიანტოვი და ზენიზენი¹

ა. 1. უმაზნ] R უმაზი; I არკ. ურმაზან;
 2, მომისმინე] FGHJKORTUVYB'FG' I'L'Q'T'Y' ბრ., ჩუბ., კაკ¹, აბ¹, ვულგ. მამისმინე; Z დამიჯრე; 3. მართლად] T' მართლათ; GJTUVZF'I'L'Q' მართლა;
 4. გითხრობ] EFGHIKOUVZF'G'I'L' O'Q'R' კაკ¹ გეტყვი; ორივე ფორმა შესაძლებელია, მაგრამ უპირატესობა ეძლევა პირველს, რადგან მოცემულია ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში; 5. არა] E არ თუ; X არ.

ბ. 1. ველთა] GHJKORUVF'G'I L'O'Q'R' აბ¹, ველად. ორივე ვარიანტი შესაძლებელია (ტექსტი ორივე თანაბრად გვხვდება, შდრ. 1101,4; 1180,4; 10,2; 162,2; 585,3; 777,4). ამ შემთხვევაში მრავლობითი რიცხვის ფორმა ხელნაწერთა უმრავლესობაში, რის გამო მას მიეცა უპირატესობა.

გ. 1. მარგალიტი] O'R'T' მწიგნ. ფორმა მარგალიტი; 2. არვის] რადგან წაკითხვა აღარ (ABCEKMOXD' კაკ¹) გაუმართლებელია შინაარსობლივად; 3. მიჰხედეს] EFGHIJRUUVYZB'FT'L'O'Q'T'Y', კარ¹, კაკ¹, აბ¹, ჰიკ¹, წერ. მიხედეს; ABMD' კაკ¹, მომხედეს; CKO მახედეს; X მომსახედეს; G' მომხეთეს; R' მიხედა: 4. უსასუიდლოდ] CGMJTUZB'T'O'Q'R'

T'Y' ბრ., ჩუბ., კართ., უსასუიდლო; XL' უსასუიდლოთ. დასაბუთება იხ. კომენტარიებში.

დ. 1. ხაშს] T' ხამ; ბრ., ჩუბ., კართ., კარ., წერ. ჰხამს; 2. ღახვრითა] CEIRVZL' ღახვართა; ABMD' ღახვრისა; UX ღახვარსა, I' ღახვართ. მიღებულია მხ. რიცხვის ფორმა როგორც უფრო ნათელი, თანაც იგი წარმოღვენილია ხელნაწერთა დიდ ნაწილში.

კომენტარიები

ა) მართლად გითხრობ, არა ჭრეულად—მართლად გეუბნები, არა ტყუილად. კონტრასტული პარალელიზმი, სადაც ერთი და იგივე აზრი გამოთქმულია ორგვარად: დადებითი (მართლად) და უარყოფითი (არა ჭრეულად) ფორმებით (შდრ. ვ. ნოზაძე, ფერთა-მეტყველება, 45).

შდრ. შამ-ნამე: „არას გარგებს, რას ირჯები, შენი ჭრეულად საუბარი“ (4908, ბ, ვარ., რომელიც უკეთეს წაკითხვას იძლევა, ვიდრე ძირითად ტექსტში).

აგრეთვე ვისრამიანი: „არ ცოტა ვმა ვარ, რომელ ჭრელითა რაითმე მოვლორდე“ (=პატარა ბავშვი არა ვარ, რომ რაიმე ტყუილით მოვლორდე); ამის შესატყვისად სპარსულ დედანშია: من طفلكه بفری برنگ (მე ბავშვი არა ვარ,

¹ ტექსტში და ვარიანტებში ტექნიკური მიზეზების გამო აღნიშნული არაა ჭ და შ (უ ბრჯგუ).

რომ მოეტყუებოდა ცბიერებით, ეშმაკობით*.

იხ. აგრეთვე ლექსიკონი ს. ვ.

ბ) ასახუბია შერმადინის წინადადებაზე „სჯობს ორნივე გავიპარნეთ, წამოგყვები, წამიტანეო“. ავთანდილი მიუგებს: როდესაც მიჯნური ველად არის გაქრილი, მარტო უნდა რბოდესო (შდრ. ნ. მარის თარგმანი, ტ. XII, გვ. 38), მაგრამ ტაბუში სიტყვები ისეა განლაგებული, რომ პირუკუ გამოდის: როდესაც მიჯნური ველად რბის, მარტო უნდა იყოს გაქრილიო. ამასთან ყურადღებას იქცევს უჩვეულო კონსტრუქცია უნდა ზმნის ხმარებისა მყოფადის მიმდევრის ვითარებით ბრუნვისთან, ნაცვლად მოსალოდნელი მასდარის სახელობითის ან ვითარებითის ბრუნვისა.

ბ) მარგალიტი არავის შეხვდება, მარგალიტს ვერაფერს შეიძენს უსასყიდლოდ, უფასოდ, მუქთად; იმისათვის, რომ იგი შეიძინოს კაცმა, საჭიროა გაისარჯოს (ივაქროს) და საფასური, სასყიდელი გაილოს (შდრ. ვახტანგის გამ. ტომ. სტრ. რა; ვ. ნოზაძე, ფერთა-მეტყველება, გვ. 124). ივაქრობა აღმოსავლეთში მეტად მძიმე და რთულ საქმედ ითვლებოდა. ასე, მაგ. XII სუქ. ავტორის ალ. ლაზალის (გარდ. 505/1111 წელს) მიხედვით ივაქრობისათვის სავაჭრო ადგილი, ბაზარი არის „ადგილი ჯიჰადისა“, საღვთო ომისა, სადაც ის აღამიანებთან ურთიერთობაში აწარმოებს ომს თავისი საქუთარი მე-ს წინა აღმდეგ (ივაქრობის შესახებ მუსლიმანურ აღმოსავლეთში იხ. Heffening-ის სტატია Tidjara, EI, IV, გვ. 808 შმდ., იქვეა ლიტერატურა ნაჩვენები).

იგი გიგინეიშვილის აზრით ტექსტი წაკითხული უნდა იქნეს ამგვარად: მარგალიტი არავის მიჰხვდეს უსასყიდლო უვაჭრელად, რაც ნიშნავს: უსასყიდლო მარგალიტი არავის შეხვდეს უვაჭრელად. უსასყიდლო, როგორც იგი.

გიგინეიშვილი მიუთითებს, ცალიან ვაჭრელებულია ძველ ქართულში და ძირითად მნიშვნელობასთან ერთად აღნიშნავს ძვირფასს, ფასი რომ არ დაეღება ისეთს (იხ. ლექსიკონი). მაგრამ ტექსტში რომ უსასყიდლო მარგალიტზე იყოს ლაპარაკი, მაშინ თანმიმდევრობა სხვა იქნებოდა: მარგალიტი უსასყიდლო არვის მიჰხვდეს უვაჭრელად, რაც არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება. ამიტომ კომისიამ უპირატესობა მისცა სიტყვის დაწერილობას ვითარებით ბრუნვაში, რომელსაც საუკეთესო ხელნაწერთა უმრავლესობა იძლევა.

ილ. აბულაძის აზრით „უვაჭრელად“ უნდა ნიშნავდეს „თავგანწირვის გარეშე“, ვინაიდან შესატყვისი სომხური სიტყვის (*ქანასი*) ერთერთი მნიშვნელობა არის „თავგანწირვა“.

„განწირვის“ სინონიმად ჩანს „განვაჭრა“ ანუ ტფილელის მარტვილობის ტექსტში: „შვილო, ნუ განსწირავ თავსა შენსა, ნუცა სიჭაბუკესა შენსა განვაჭრი ქრისტეანელ“ (ქ. კაკელიძე, აღრინდელი ფეოდალ. ქართ. ლიტ., 1935, გვ. 70).

კომისია არ იზიარებს ამ მოსაზრებას, ვინაიდან „ვაჭრობა“ რამდენჯერმე გვხვდება ვეფხისტყაოსნის ტექსტში, მაგრამ არცერთხელ არაა ნახიარი „თავგანწირვის“ მნიშვნელობით. თანაც მარგალიტის შეძენისათვის აუცილებელი არაა თავგანწირვა.

შდრ. შ. ნუცუბიძის რუს. თარგმანი: „Обрести возможно жемчуг лишь за плату и за торг“, აგრეთვე მ. უორდროპის ინგლისური თარგმანი: „a pearl falls to the lot of none without buying and bargaining (ინგლისური ტექსტის 161 სტრ.).

დ) ლახვრით უნდა დაიჭრას, ლახვრით უნდა დაიჩეხოს (შდრ. 960: „მოდო, მარბიხო, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა“).

ლექსიკონი¹

გასაპრემლი: გასაპრემლად ზმნსრ. გაპრემისათვის, გაპრემის მიზნით, გავარდნისათვის, გასვლისათვის.

რა მიჯნური ველად რბოფეს. მარტო უნდა გასაპრემლად (162,2) (იხ. კომენტარები, შდრ. გ ა კ რ ა).

ლახვარი: (ლახვრისა) წვეტიანი საომარი იარაღი, ოთხთავის (იოანე, 19, 34) მიხედვით (შდრ.: „ერთმან ერისაგანმან ლახურითა უგუმირა გუერდსა მისსა=ბერძნ. ἀλλ' εἰσ τῶν στρατιωτῶν λήγῃ ἀπὸ τῆς κληραίας ზუსტენ=სომხ. Այլ ძի იմն 'ի գինու-որացն თიყაւ խոցեսց գկոյս նորա=И один из воинов копьем пронзил ему ребра) შეესატყვისება ბერძნ. λήγῃ სომხ. ազգ, რუს. копье-ს².

ბრძალ-გამოწვედილი მიფუბ, მივეც ლახვართა სობასა (910,3);

კაცი ცრუ და მოლაღტე ხამს ლახვრითა დასაპრემლად (124,4);

დღეს საწუთრომან ლახვარსა მიმცა, დანასა მახია (715,2);

მოდი, მარბო, უწყალოდ დამგერ ლახვრითა შენითა (960,1);

განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მხანი (1039,2) (=თუ განგებისაგან განსაზღვრულია, არ გადავრჩები, ლახვარები ი ჩემთვის მომზადებული);

გადატ.

აღმასისა ხაშს ლახვარი ლახვრად გულისა სალისა! (342,4);

ქალსა შეტხედენ, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა (344,2).

¹ ლექსიკონში შეტანილია მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც გვხვდება 162 სტროფში, მაგრამ განმარტებისას გათვალისწინებულია ყველა მნიშვნელობა, რომელიც ამ სიტყვებს მთელი ტექსტის მანძილზე აქვთ. თავისთავად ცხადია, რომ ამ ნიმუშში არ შესულა ის სიტყვები, რომლებზედაც მითითებებია მოცემული.

² მ. უორდროპი (გვ. 27, 161) თარგმნის lance, მაგრამ ინგლისურად უფრო შესაფერისი იქნებოდა spear.

შდრ. საბა, გვ. 184; თეიმ., გვ. 4, 122.

მარგალიტი: მავარი ელვადრე ნივთიერება მარცვლის ფორმისა უმთავრესად თეთრი (ზოგჯერ ყვითელი, ვარდისფერი, უფრო იშვიათად შავი) ფერისა¹, ვითარდება ზოგჯერ თი მოლუსკის ნივარაში და შედგება იმავე მასალისაგან (ძირითადად ნახშირორენანგის კალციუმისაგან), როგორც თეთრი ნივარა. იყენებდნენ როგორც ძვირფას თვალს. მარგალიტი არის ძალიან ძველი ნასესხები სიტყვა ბერძნულიდან

μαργαριτης (შდრ.: „ბოვის რაჲ ერთი მარგალიტი შრავალ-სასყიდლისაჲ“, მ. 13,46). ძვირფას ქვათა შორის ვეფხისტყაოსნის ტექსტში ბროლის შემდეგ მარგალიტი ყველაზე ხშირად იხსენიება.

ხშირად ესა მარგალიტი ლაგამ-აზჯარუნაგისა (84,3);

მარგალიტი არვის მიხვდეს უსასყიდლოდ, უგაპრემლად (162,3);

უხვად გასცეს საბოძარი, მარგალიტი, ვითა დრამა (686,4);

უსენ ტაბაკსა დააწყო მარგალიტი და ლალები (1164,1).

კადატ.

მე მარგალიტსა მოვიმიკი, თქვენ ქვრემი დავითესია (1219,3).

სამიათასსა აპიდეს მარგალიტი და თვალეზი (1426,2).

განსაკუთრებით ძვირფასად ითვლებოდა (და ეხლაც ითვლება) დიდი, მსხვილი მარგალიტი.

მარგალიტსა დიდროანსა, უსაზოხა ჰპოვენ ლალსა? (1167,3),

იგი ტაბაკი საცხა მარგალიტითა სხვილითა (1467,1).

ველა მარგალიტი ათასი, მართ ვითა კვერცი ტრედისა² (1558,3);

¹ ვეფხისტყაოსნის ტექსტში გვხვდება აგრეთვე ლალის-ფერი მარგალიტი (იხ. ქვემოთ).

² მტრედის კვერცხის ოდენა მარგალიტი სულ რამდენიმეა მსოფლიოში ცნობილი (იხ. ნ. ქობიაე, ვნიშკის მოამბე, ტ. III, გვ. 79), ისე, რომ გამოთქაჲ მიკერბოლურად არის ნახშიარი.

ებრა მარგალიტი, სიდიდით მართ ვითა
კვერცხი ბატისა (1465,
ნინდის მარგალიტი ოფენი-ხუროთისა საბურთა-
ლისა (1366,3).

მარგალიტი ოზოლი იშვიათი, ძვირ-
ფასი მარგალიტი, რომელსაც არ მოე-
ძებნება წყვილი, ტოლი (შდრ. მარგა-
ლიტი ტყუბი, ქვევით), უნიკალური
მარგალიტი.

ვით მარგალიტი ოზოლი, ხელის-ხელ საგოგ-
მანები (9,2).

შდრ. 1634 წლის შხითვის წიგნი:
„იაგუნდითა—უნდითა, ორის- დიდრო-
ნისა ოზოლის მარგალიტითა და ბადაბ-
შანის ლალით“; აგრეთვე „ერთი პა-
ტიოსანი თავსაკრავი ას და ოთხის
ოზოლის მარგალიტითა“ (საის-
ტორიო მოაშბე, II, 1925, გვ. 136),
აგრეთვე კალმასობა, სადაც ნათქვამია,
რომ ხახულის ხატი შემკული იყო სამი
ძვირფასი ქვით, რომლებსაც ერქვა
„ქედელა, ოზოლა და შედემა“ (ს. კა-
კაბაძე, საისტორიო კრებული, IV,
1929, გვ. 62).

შდრ. არაბ.-სპარს. **پایه دره**, არაბ.
درة پائسه „ოზოლი მარგალიტი“ Pail-
less pearl (Hava, გვ. 901), sans pa-
reil (Bellot, გვ. 478) ან პირდაპირ
پایه دره „ოზოლი“ (იგულისხმება
მარგალიტი; „იეთიმი; ეს სიტყვა
გვხვდება ქართულში საკუთარ სახელში:
იეთიმ გურჯი ოზოლი ქართველი),
აგრეთვე არაბ. **دره پائسه**, სპარს. **درة پائسه** ან
პირდაპირ **پایه دره**, „იაქე, ერთი (მარგა-
ლიტი), უნიკუმი, რომელსაც არა
ჰყავს წყვილი, ტოლი“.

შდრ. ა. სემიონოვი (Из области
воззрений мусульман Средней и Юж-
ной Азии на качества и значение не-

которых благородных камней и ми-
нералов. Мир Ислама, I, 1912, გვ. 305);
„Жемчуг расценивается по ве-
су, причем лучшие по качеству жем-
чужины, не имеющие пары (они так
и называются „сиротами“), весом в
мискаль или больше, ценятся весьма
высоко“.

„В некоторых исторических хро-
никах упоминается о такой жемчу-
жине-сироте, бывшей в сокровищнице
дербасидов: она весила три мискаля и
была добыта в Персидском заливе
близ острова Харек“.

**მარგალიტი... ხელის-ხელ საგოგმა-
ნები** (9,2) უმაღლესი ხარისხის დიდი
მარგალიტი, მრგვალი ფორმისა, რომე-
ლიც ადივლად გორავს ხელის გულზე.
შეესატყვისება სპარს. **علائق**-ს.

შდრ. აჰმედ ხან ქეზანბი (ارانشهر,
1925, გვ. 762): „მარგალიტის ხარის-
ხები: თითოეულ ხარისხს აქვს განსა-
კუთრებული სახელწოდება: პირველი
ხარისხი — **جيون** ჯივენ, რომელიც
უკეთესია და უფრო გამჭვირვალე, ვიდ-
რე სხვა ხარისხები, განსაკუთრებით
თუ ის არის **علائق** დალტან, ე. ი.
როდესაც აიღებთ ხელის გულზე. აგორ-
დება (იგოგმანებს **علائق**). მომ-
დევნო ხარისხი ცნობილია **ك** „იაქეს“
(უნიკალურის) სახელწოდებით“.

შდრ. აგრეთვე ა. სემიონოვი (ხს. ნაშრ-
გვ. 305): „მარგალიტის საუკეთესო
ფორმა არის მრგვალი“ (არაბ. **مدحرج**
„მრგვალი“, სპარს. **علائق** ისეთი, რო-
მელიც გორავს, საგოგმანები, რუს.
перекатывающийся). (იხ. საგოგმანები).

იხ. ი. ნ. მარი, К толкованию одно-
го места в „Витязе в Барсовой
шкурѣ“, Статьи и Сообщения, II,
მოსკოვი, 1939, გვ. 137—143; აგრ.
ნ. მარი, ТР, XII, გვ. 19 შენიშვნ. ე;
ი. მეგრელიძე, ცისკარი, 11, 1959, № 3,
გვ. 13..

* მიმერბოლურად არის ნათქვამი, სი-
ნამდვილეში ყველაზე მსხვილი მარგალიტი
სიდიდით მტრედის კვერცხს არ აღემატება
(შდრ. ნ. კოიავე, გვ. 79. БСЭ. ტ. 16, გვ. 56)

მარგალიტი ღარიბი უცხო, საუცხოო მარგალიტი (იხ. ღარიბი).

რა მარგალიტი ღარიბი, რა უკეთესი ცხენია (1654,3);

ოქროც რამე წაიტანეს, მარგალიტი ღარიბები (1372,1).

მარგალიტი წყობილი ასხმული, აცმული აკინძული მარგალიტი.

(შდრ. ვახტ. ზ. გვ. 377).

გადატ. ვა. წარხდა ვარდი პოხილი, ვა, მარგალიტი წყობილი (919,4);

გადატ.: აქამდის ამხად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი (7,4).

მარგალიტთან შედარებულია ცრემლი:

თვალათ ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოყარა (160,2);

თვალათ ვითა მარგალიტი ცხელი ცრემლი გარდმოთოვა (630,4);

თვალათ ვითა მარგალიტი გარდმოყარა ცრემლი ზშირი (1176,1);

ცრემლსა ვითა მარგალიტსა ჰყრის ვარდისა დასანაზოდ (141,2);

აგრეთვე კბილები:

კბილი—ვითა მარგალიტში, ბაგე—ვარდი ნაპობარი (901,3);

კბილ-მარგალიტი, ტან-აღვა, ლაწებ-დაბშ, ყორან-თშიანი (1583,4).

ხშირად იხმარება უბრალოდ კბილების ეპითეტად:

ვით მარგალიტსა ვარემე მოსცავს ძოწისა ბაგითა (961,2);

ვარდი ერთგან შეწევა, მარგალიტსა არ აჩნდა (1158,2)

(= ბაგეებზე შეწეებული იყო და კბილებს არ აჩენდნენ). შდრ. რუსულდანიანი

(ი. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 304, აგრეთვე XVII): „ამთვეანს ძოწის კარი

დაეკლიტა და მარგალიტს ფარავდა.“

ვარდი ერთგან შეწევა, მარგალიტსა არ აღებდა (1182,3);

მათ მარგალიტი უჩვენის ძოწისა კარმან ლამან (1324,4) (= მათ კბილები გა-

მოუჩინეს გაღებულმა ძოწისფერმა ბაგეებმა);

ენახე, ძოწისა მარგალიტი ვარე ტუჩოვად მოემახრა (1336,3)

(= ენახე, რომ ძოწის ფერით ბაგეებმა გარედან ლამაზად შემოვლებოდა კბილებს).

შდრ. აბულ., გვ. 262; ა. შან., ლექს., გვ. 367).

მარგალიტი ლალისფერი ნახშირი უნდა იყოს თითქოს ღრძილების ან ბაგეების ეპითეტად (ა. ბარამიძე, კ. ქეკელიძე, ა. შანიძე, ლიტერატურა და ხელოვნება, 8, II, 1952; ლიტერატურული ძიებანი, VIII, 1953, 352; კ. ჭიჭინაძე, ლიტერატურა და ხელოვნება, 6, I, 1952; 15, II; რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1960, გვ. 165, 174; ვ. ნოზაძე, ფერთამეტყველება, გვ. 127).

ბროლ-სადამნი მარგალიტსა ლალისფერსა სცვენ და ჰბურუნ (856,1)

(= ბროლ-სადამნივით თეთრი კბილები სცვენ და ევლებიან ლალისფერ ღრძილებს [ბაგეებს?]).

მარგალიტი ტყუბი ორი ერთნაირი მარგალიტი (შდრ. ობოლი მარგალიტი) გადატ. კბილების წყვილი რიგები.

შუა ძოწისა და აყვისა სჭირს მარგალიტი ტყუბები (1146,4);

ჰგავს, თე ტყუპი მარგალიტი ზის ბროლისა ხარბაჩოსა (1589,4);

(იხ. თვალ-მარგალიტი, ძოწ-მარგალიტი).

ლიტ.: დ. ჩუბინაშვილი, ლექსიკონი; ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1958, 239—240; ნ. ქოთიავა, ენიმქის მოამბე, III, 1938, გვ. 64, 70.

მიხვდომა¹ (0—2; აწმყ. მხ. 1. კ. მივხვდები, 2. კ. მივხვდები; 3. კ. მივხვდების; მრ. 3. კ. მივხვდებიან; წყვ. მხ. 1. კ. მივხვდელი; 3. კ. მივხვდა; მრ. 1. კ. მივხვდელით; 3. კ. მივხვდეს; კავშ. II მხ. 1. კ. მივხვდელე, 2. კ. მივხვდე, 3. კ. მივხვდეს; მრ. 2. კ. მივხვდელით; 3. კ. მივხვდენ; თურმ. მხ. 3. კ. მივხვდარა და მივხვდომია) მისვლა, მიღწევა;

მიწვდომი; შეხედომა, რგება, წილად რგება; შემთხვევა.

მიხვდა (= მივიდა) რასმე ქვეყანასა უგმურსა, მეუად მქისსა (183,1);

მიხვდეს (= მიადწიეს) არაბთა სახლგართა რა ვლეს მრავალი ხანები (1503,1);

ლრუბელიცა ვურ მიხვდების (= ვერ მისწვდება) მე მისრულგარ სადა, მი, სადა! (250,3).

მგრამ იგი მის ამბისა მსმენელსაცა ვერ მიმხვდარა (= ვერ შეხვედრია) (182,3);

მარგალიტი არვის მიხვდეს (= შეხედება, ერგება) უსასყიდლოდ, უგაჭრელად (162,2).

მიჩხვდა-თქო (= შეემთხვა-თქო) საქმე' რომელი ყოვლთათვის გარდჟვლია (158,3);

ვითა მე მივჩხვდი წადილსა (= როგორც მე მივადწიე წადილს), ჩემის გულისა ნებასა (213,1);

აეთანდრის მიჩხვდა სიამე, ვსება სჭირს მას აქ აღისა.

თქვა: ზედა-ზედა მომიხვდების ნაზეა მის ბროლა-ფიქალისა (42,2-3);

თვით ბიძისა ჩემსა მიხვდა (= ერგო), ვისთა შეილთა აწ დამკოდეს (60,2).

იხ. ი. აბულ², გვ. 265; ა. შან. ლექს., გვ. 370.

მიჯნური (არაბ. *مجنون* მეჯნუნ)

1. „ჯინის“ (დემონის, ეშმაკის, ჰინკას) მიერ შეპყრობილი¹, „ხელი, გახელებული, გივი“. სიტყვის მნიშვნელობა

¹ არაბ. ჯინი-ი — ძაბროვანი ან ცეცხლისებრი გონიერი არაება, რომლის დაჭერა არ შეიძლება და რომელსაც აქვს უნარი ცვალებადი სახით მოველინოს ადამიანს. მუჰამადური წარმოდგენით ჯინები არიან შექმნილი უკვამლო ცეცხლის ალისგან, განსხვავებით ადამიანებისა და ანგელოსებისაგან, რომლებიც გონიერ არსებათა სხვა კლასს შეადგენენ და შექმნილი არიან თიხისა და სინათლისაგან. ჯინები შეიძლება იყვნენ როგორც კეთილნი, ისე ბოროტნი. განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობენ ისინი ფოლკლორში (ათას ერთ ლამეში და სხვ). იხ. *حيوان، سيرى، سحر*, სიტყვები;

عفريت، غول، Lane, Modern Egyptians, ინდექსი, s. v.; D. B. Macdonald. *El*, I, გვ. 109, შმდ., იქვე ლიტერატურა.

შესტად არის განმარტებული თვითვეფხის-ტყაოსნის ტექსტში:

მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულთა ენითა.

მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა (22,1-2).

შმაგი პირდაპირი შესატყვისია არაბული მეჯნუნისა. მისი ძირითადი მნიშვნელობა არის აგრეთვე „ეშმაკი“¹, შემდეგ „ხელი, გახელებული“.

არაბ. მეჯნუნი — ეპითეტი სიყვარულსაგან გაგიტებული კაცისა, შემდეგ გამოყენებული იქნა იმ მოთბრობის გმირის სახელად, რომელიც საფუძვლად დაედო მთელს აღმოსავლეთში გავრცელებულს რომანტიკულ პოემას ლეილასა და მიჯნურის (ლეილ-მეჯნუნიანი) შესახებ.

იხ. Moh. ben Cheneb, *El*, ტ. III, გვ. 102-103; Browne, *Literary History of Persia*, II, 406 შმდ.: III, 533 შმდ.: IV, 229; Gibb, *History of Ottoman Poetry* ინდექსი; Крачковский, *Истор. соч.* II, გვ. 588; კ. ქვეკელიძე. ქართ. ლიტერ. ისტ., ტ. II, 1958, გვ. 384 შმდ.

2. შეყვარებული; საყვარელი, სატრფო.

ნუთუ კელა მიხვდნენ მიჯნური ერთმანერთისა ხლებასა (1266,4);

მგრამ, ჩევი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაკორად (130,3);

ან ვისიმე მიჯნურია, საყვარელი ეგონების (11,383);

გამიყვრდა, მიჯნურისა თაყვანება გქმნა ვისმცა? (372,3).

(იხ. გამიჯნურება, მიჯნურობა, სამიჯნურო).

შდრ. ვახტ. კო, გვ. 378; თეიმ. 2,3; 9,2; 29,1; 867,1; 905; 1; აბულ². გვ. 309-310; ა. შან., ლექს., გვ. 370.

მოღალატი: ლალატის ჩამდენი, გამცემი, მუხანათი.

კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლაბერთა დასაჭრელად (162,4);

¹ ეტიმოლოგიურადაც „შმაგი“ იგივე სიტყვაა, რაც ეშმაკი. მ. ანდრონიკაშვილი. *ენ. ისტ.* შრომები, II, 193.

ორგული და მოლაღატე ნამსახურსა დაეამგვანე (468,3)

(=ორგული და მოლაღატე სამსახურებრივი მოვალეობის კარგად შემსრულებელს, დამსახურებულს დაეამგვანე; ა. შან., ლექს.);

ყოველი ცრუ და მოლაღატე ღმერთსა ჰგნობს და აგრე ცრუობს (776,2).

(იხ. ლალატი).

უშაპრილი: უვაჭრელად ზმნს. ვაჭრობის გარეშე, ისე რომ არ ივაჭროს.

მარგალიტი არვის მიჰხვედეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად (162,3).

(იხ. ვაჭრობა). შდრ. კომენტარიები.

უსასყიდლო: უსახყიდლოდ ხ. 1.; ზმნს. სასყიდლის გარეშე, უფასოდ, მუქთად.

მარგალიტი არვის მიჰხვედეს უსასყიდლოდ უვაჭრელად (162,2).

თუმცა ეს სიტყვა ვეფხისტყაოსანში ერთხელ არის ნახმარი, ქართულში იგი საერთოდ ძალიან გავრცელებულია, დაწყებული უძველესი დროიდან. შდრ.: „უსასყიდლოდ მიგიღებებს, უსასყიდლოდცა მისცემდით“ (მათე, 10,8) (=ბერძნ. *ἑλευθερον λαμβανεις, δωρεαν δεις* = სომხ. *აქრ աւիք* & *აქრ თուք* = даром получили, даром дадите).

უსასყიდლო ნიშნავს ძველ ქართულში აგრეთვე ძვირფასს, ფასი რომ არ დაედება. ისეთს. შდრ. უსასყიდლო მარგალიტი დავითნის მიმართ გიორგი მთაწმიდელის ცნობილ ანდერძში: „უკუეთუ მე გლახაკიან ესოდენი ჭირი ვნახე და ესე უსასყიდლო მარგალიტი არა დავიცონე აღწერად განმანათლებლად მკითხველთა და მსმენელთა, მას ორთა სიტყუათა დაწერად რად ზარ-აცა? (ფსალმუნი, მზექალა შანიძის გამოცემა, თბილისი, 969, გვ. 027); აგრეთვე „უსასყიდლო მარგალიტი, ხატი ივერიისა“ (პროლოგ-სენიანქსრის ქართული თარგმანი

XVII საუკ., ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან V XI - V XIII სს, თბილისი, 1960, გვ. 169). ვეფხისტყაოსნის ტექსტის ხსენებულ ადგილას სიტყვა მაინც ჩვეულებრივი მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი (შდრ. კომენტარიები, სტრ. 162).

უშა (=ყრმა) 1. პირვანდელი მნიშვნელობაა „თოთო, ჩჩვილი ბავშვი“ (შდრ. ლუქა, 1, 41: „ალიმღერნა ყრმამან მუცელსა მისსა“ (C) = „პკრთებოდა ყრმა იგი მუცელსა მისსა“ (DE) = *ჩაყაყყ მანოქს ქირიქაქჩი ზირა* = რუს. *шмыгал младенец во чреве ее*; აგრეთვე მათე 2,13: „აღდეგ და წარიყვანე ყრმა ეგე და დედა მავისი, და ივლტოდე ეგვბტდე“ = ბერძნ. *ἐξελθὲς παρὰ μᾶτρὸς τῆς πατρὸς καὶ τῆς μητρός αὐτῆς, καὶ φεθῆς εἰς Ἀγγυπτον* = სომხ. *Արի առ գմանուկը և գմայր իւր, և փախիւր լքիպատս* = რუს. *возьми младенца и матери его, и беги в Египет*) უმთავრესად მამრ. სქესისა; ვაჟი, ვაჟიშვილი (საპირისპირო მნიშვნელობაა ქალი):

ღმერთმან არ მოშვა ყმა-შვილი¹ (= ვაჟი-შვილი), ვარ საწუთროსა თმობითა (63,2).

ყმა არ მოგვცა, ქალი გვივის, ვისგან შექი არ გვაკლია (508,3);

აქა, მიჰხვედეს შესაფრენი ყმა ქალსა და ქალი ყმასა (1468,4).

იხ. ი. აბულ.² გვ. 285.

2. ახალგაზრდა, ყმაწვილი (საპირისპირო მნიშვნელობაა ბერი):

იგი მარტო გაპარულა, ყმა არ ახლავს, არც ბერი (828,3);

რაცა მითხრა, სიკვდილამდის არვის ვუთხრა სულიერსა,

არა ბერსა, არა ყმასა, მოყვარესა, არც მტერსა (1154,1-2);

ვერ ნახუა შენი მნახავი, ვერცა ყმა, ვერცა ბერი (289,3);

3. მსახური; ვასალი, ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი პირი (საპირისპირო მნიშვნელობაა პატრონი):

¹ შდრ. ყმაწვილი.

თანა ყმათა წამოგატან, იმსახურენ, იახლენი (1018,2);
 „ასრუ გიობრა, სამსახური ჩემი გმართებს ამაღ
 რაად;
 პირველ ყმა ზარ, ზორციელი არეინა გვყავს
 შენად სწორად (130,1—2);
 პირველ, ყმა ვარ, წასლეა მინდა პატრო-
 ნისა სამსახურად,—(154,1);
 მგ ვარ ყმა როსტან შეფისა, მოყმე არაბეთს
 ზრდილობით (992,1);
 „ვის ასნია პატრონისა კირსა შიგან ყმი-
 სა რიდი?! (782,2).

4. ვაქეპცი, რაინდი, ქაბუკი.

კიდობანი გაზნეს, პოვეს მუნ აზჯარი სამი
 ტანი,
 რასაცა ვით შეიმოსენ მეთმარნი სამნი ყმანი
 (1369,1—2);
 თქვეს: „ყმა ვინნა, ქაბუკი, არა ჩვენებრე
 რიდითა“ (1036,2).

ძირითადი მნიშვნელობით, აგრეთვე როგორც სოციალური ტერმინი შეესა-
 ტყვისება დასავ. ევროპის საშუალო
 საუკუნეების Puer, pueri, Knabe-ს
 (H. Brunner. Deutsche Rechtsgeschichte, I, 371-372; ივ. ჯავახიშვილი,
 ქართული სამართლის ისტორია, II,
 ნაკვ. I, გვ. 102), შდრ. აგრეთვე არაბ.
 بعلد و بعلد (იხ. R. Brunschwig, 'Abd,
 EI, NE, ტ. I, გვ. 24-40; აგრეთვე
 A. Ю. Якубовский. Махмуд Газневи.
 Фердовси. Ленинград, 1934, გვ. 51.
 შმდ.).

კარგი ყმა 1. ყმა, რომელიც „ყმებ-
 რივი მსახურების“ მოვალეობას პირ-
 ნათლად ასრულებდა; „შეწყალებული“
 ე. ი. რაიმე მოხელეობით, უპირატესო-
 ბით, „საპატიო“ ან „სახარაჯო“ ქა-
 ლაქ-ციხე-სოფლებით თუ მიწებით და-
 საჩუქრებული (ივ. ჯავახიშვილი, ქართ-
 ული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ.
 I, გვ. 82, იქვეა მითითებული ადგილები
 ძველი ქართული ძეგლებიდან; შდრ.
 აგრეთვე, ნ. მარი, TP, XII, გვ. XI,
 შნშენ. 4);

2. კარგი ვაქეპცი, გმირი, რაინდი.

კარგთა ყმათსა ეიქმოდეთ მოწმად
 ჩვენთანა ზღებასა (68,3);
 ნელმწიფისა შვილსა გიობრობ კარგსა
 ყმასა, გულოვანსა (1186,1);

შდრ. ხეცსურული კაი ყმა (საპი-
 რისპ. ცუდი ყმა):

კაი ყმა, მგელი, არწივი, არც ერთ არ გა-
 იწურთნება:

მგელი არ მაშლის მგლობასა, კაი ყმა
 მამაცობასა,
 არწივი არწივობასა, მთის ყურეს ნადირობასა.

(ბ. გაბუერი, ხეცსურული მისალები,
 წელიწადეული, 1, 1923—24, გვ. 244).

კას ყმას ნუ შერობთ სოფელენო: კაი
 ყმა სოფლის ფასია,

კაის ყმის ცხენი, აზჯარი თავდათავ ცუდის
 ფასია (იქვე, გვ. 245);

კაი ყმა მაშინ გატყუდების, რა ღვინო და-
 ძვირდებისა.

ცუდი ყმა მაშინ გატყუდების, რა ომი და-
 კვირდებისა (იქვე, გვ. 245).

შდრ. აგრეთვე ა. შანიძის ლექსიკო-
 ნი, იქვე, გვ. 309; ა. შანიძე, ხალხური
 პოეზია, თბილისი, 1931, გვ. 122 შმდ.;
 ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური
 სიტყვიერება, ქრესტომათია II, თბი-
 ლისი, 1951, გვ. 9.

ლიტერატურა: გარდა ტექსტში და-
 სახელებული შრომებისა აგრეთვე: საბა,
 სიტყვები: ყმა, მოყმე, ყრმა, მარტვილი,
 კაცი; ი. აბულ., 286; ა. შან., ლექს.,
 388; პატრონ-ყმობის ინსტიტუტის შე-
 სახებ იხ. ს. ჯანაშია, ქართული პატრონ-
 ყმობის ბუნებისა და წარმოშობის სა-
 კითხისათვის, შრომები, 195-, გვ.
 434 შმდ ნ. ბერძენიშვილი, Очерк из
 истории развития феодальных отно-
 шений в Грузии (XIII—XVI в.). თბი-
 ლისი, 1938.; ნ. ბერძენიშვილი „მოკიდე-
 ბულისათვის“, მიმოხილველი, I, 1949,
 გვ. 39.; ილ. ბარამიძე, შოთა რუს-
 თაველი, თბილისი, 1958, გვ. 114—
 117; ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის სა-
 ზოგადოებათ მეტყველება, 1958, გვ.
 11—12, 25.

(იხ. მოყმე, ყმა-წყელი, პატრონ-ყმანი, საკარგეზო; უმისყმისოდ; შდრ. მონა).

შრელი (ჭრელისა) 1. ფერადი, ფერად-ფერადი (საქონელი და მისთ.)

აგა და კაბა ჩიცვა, მჯობი ყოვლისა ჭრელისა (121,2)

(შდრ. ჭრელობა).

2. სიცრუე, ტყუილი; სიცბიერე, მაცთურობა (საპირისპირო მნიშვნელობა მართალი).

ყმაზნ უთხრა: „მომისმინე, მართლად გითხრობ, არა ჭრელად (162,1); რადმცა რაჟგადრე მეფესა თხრობა რასაცა ჭრელისა! (1489,3).

იხ. კომენტარები. შდრ, ვისრამიანი, აღ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით. ლექსიკონი იუსტ. აბულაძისა, გვ. 396; მისივე ვეფხ. ტყ.-ის ლექსიკონი, გვ. 293; შაპ-ნამეს ლექსიკონი, ტ. II, გვ. 631.

ჭრელი სემასიოლოგიურად შეესატყვისება სპარს. *كز-ს*, რომლის მნიშვნელობა, იხე, როგორც ქართული ჭრელისა, არის: 1. ფერი; ფერადი, ფერად-ფერადი; 2. სიცრუე, ტყუილი, სიცბიერე, მაცთურობა. *كردن كز* ან *كز كردن* მოტყუება. იხ. Zenker, გვ. 469. Гафаров, Перс.-русск. словарь, s. v.; Мюллер, Перс.-русск. сл., s. v.

ხამ: (ჰამ): ხამს (ამ სიტყვისაგან გვხვდება შემდეგი ფორმები: აწყყ. I. პ. ვხამ; III პ. ხამს და პარალელური ფორმა ემფატიკური დამოლოგებით — ხამსა; ნაწყყ. III. პ. ხამდა და ხმდა) ჯერ არს, საჭიროა, უნდა; შეიძლება.

თუ მიჯნური ვარ, ერთი ვხამ ხელი მინდოთა მე რებად (784,1) (= თუ მიჯნური ვარ, მე ხელმა ერთმა უნდა ვიარო მინდვრად);

ხსოვნა არა ხამს ჭირისა (696,2) (= საჭირო არაა ჭირის, უბედურების ხსოვნა); მაშინ მისგან აღარა ხამს გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა (211,4);

ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს (306,2) (= მისთვის სიკვდილსა და ჭირს თავი არ უნდა აარიდოს);

კაცი ცრუ და მოღალატე ხამს ლახვრითა დასაჭრელად (162,4)

(= ლახვრით უნდა დაიჭრას);

მიზრძანა; თუ: „გონიერი ხამს აროდეს არ აჩქარდეს“ (539,1);

ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული (33,4) (= ბრძენია მის მაქებრად საჭირო და ბევრჯელ — ათითასჯერ — ასი ენა).

ხამსა, კაცმან პატრონისა საწყინარსა არ დახეუნეს (758,1);

გაეიტანე ხათუნები, — მათი ჭმევა ჩემგან ხამსა (125,1);

შესთვალა ხეპირ, რაცა ხმდა, სრულად, მართვითა ჭეია, მან (1324,3) (= შესთვალა, მან ზეპირად რაც საჭირო იყო, სრულად, სწორედ როგორც იყო);

უსისხლოდ მოყვალ იგი ყა, თეკა ხმდა სისხლისა დენით (557,4) (= უსისხლოდ მოვეკალ ის ყმა, თუმცა საჭირო იყო, რომ მოემეკლა სისხლის დენით).

მართლად იჯაეოეს, წუნობა მათი თუ ესე ხმდა ვითა (504,1) (= მართლად იწყინეს, თუ როგორ შეიძლება მათი ეს არაფრად ჩაგდება).

კაცი ხიდა, მისთა ძვერეთათვის ღონეშა ვეჯა რთა (123,3) (მნიშვნელ. ამისათვის იხ აჯ[ე]ბ ა).

იხ. საბა, გვ. 461; იუსტ. აბულ., გვ. 294; ა. შან, ლექს., გვ. 396.

ხელნაწერებში არ მოგვეპოვება. სულ დაეცლია 21 სურათი, ყველა გაიყარა და დატოვდა ფურცლებზე, გარდა ერთისა — „ასმათის და ავთანდილის საუბარი“ რომელიც მე-14 ფურცლის ტექსტის ბოლოსა ამავე ფურცელზე. ჩვენამდის მოღწეულია შემდეგი სურათები: 1. ავთანდილისაგან ტარიელის ამბის ცოდნა (ფურ. 8), 2. ავთანდილის ხეზე გასვლა და ტარიელის და ასმათის ნახვა(10), 3. ასმათის და ავთანდილის საუბარი ქებაში (14), 4. ტარიელის და ავთანდილის ნახვა-შეხვედრა ასმათის საშუალებით (15), 5. ტარიელისაგან თავის ამბის მზობა ავთანდილის წინაშე (22), 6. ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის ნახვა და ტარიელის ავად ვახდომა დარბაზში სეფდისაგან (26), 7. ასმათი აწოდის ტარიელს ნესტან-დარეჯანის წიგნს (29), 8. ტარიელის დაბრუნება კამარჯვებით ზატელებზე ომიდან, რამაზ მეფე შეპყრობილი მოპყავთ (39), 9. შეეღა ტარიელისაგან ფრიდონისა (55), 10. ავთანდილისაგან ტარიელის ამბის მზობა მეფის წინაშე (62), 11. ანდრობი ავთანდილისაგან და მათი ყმის შერმაინის ქანიშინად დაგდება (78), 12. ტარიელისაგან ლომ-ვეფხთა მოკვლა და დაბნედა, ავთანდილის ტარილი (88), 13. ავთანდილისაგან ფრიდონის ნახვა და შეყრა (97), 14. ავთანდილისაგან ზღვაში ომი (104), 15. ფაქმანის მონისაგან ქაჯეთს ნესტან-დარეჯანის ნახვა და წიგნის შირთმევა (129), 16. ავთანდილისაგან ამბის შოტანა და ტარიელის დაბნედა (137), 17. ომი ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონისა ქაჯეთს და ქაჯეთის ციხის აღება (145), 18. ქორწილი ტარავლასა და ნესტან-დარეჯანისა (151), 19. ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა (161), 20. ტარიელისაგან რამაზ მეფის სიკვდილი (168), 21. ინდოეთს ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილი (172).

სურათების მეორე, ცარიელ გვერდზე მერმინდელი მინაწერებია, უმეტეს შემთხვევაში — უღაბათი ლექსები, პირველი სურათის ორი ლექსი იკუთვნის ლუარსაბს თარხნის ზაზას ძეს და დაწერილია 1812 წ. 13 მაისს, თარიღი ასე სწერიან: „მაისის ივ—ტყს უფ თარხნის ზაზას ძე ლუარსაბ“ (ხართლდა).

„ვეფხისტყაოსნის“ ს. კაკაბაძისეული გამოცემის მიხედვით თავში ხელნაწერის აღია 127 ტაბები და ტექსტი იწყება ახლა 128 ტაბების შესაშე ლექსით: „ყოველი პირი მიწისა თქვენ ხრმლითა დაგიმონა“. თავდება 1624 ტაბით, ხოლო ამ ტაბის უკანასკნელი ლექსი იკითხება სულ სხვანაირად: „და აწ გნუთავ ომსა ლაშქარის მოსთვის არ დაზარებულსა“.

ამრავალ, ჩვენს ხელნაწერში, როგორც XVII საუკუნის ყველა ხელნაწერში, არის გაგრძელებ-

ბა „ვეფხისტყაოსნისა“, მაგრამ ამ გაგრძელებიდან დაეცლია მხოლოდ 1611-1624 ტაბები, დანარჩენი აკლია. ხელნაწერში არაა დატოვებული გაგრძელება, არამედ დაეცლია, აგრეთვე მრავალი პარალელური, შემდეგ სხვადასხვა ავტორთა მიერ მიმატებული, ტაბებიც. ამ ტაბების აქ გენჯინებთ ს. კაკაბაძის გამოცემის მიხედვით.

ხედვით: 137¹, 145¹, 137¹ 150¹, 164¹, 168¹, 177¹, 189¹, 197¹, 214¹, 214², 231¹, 236¹, 253¹, 274¹, 274², 276¹, 276², 277¹, 277², 291¹, 292¹, 293¹, 302¹, 308¹, 308², 341¹, 344¹, 347¹, 381¹, 402¹, 452¹, 467¹, 512¹, 512², 545¹, 549¹ 605¹, 620¹, 631¹, 647¹, 672¹, 678¹, 684¹, 727¹, 727², 741¹, 735¹, 737¹, 763¹, 763², 768¹, 782¹, 794¹, 914¹, 927¹, 970¹, 998¹, 1002¹, 1095¹, 1231¹, 1253¹, 1261¹, 1341¹, 1408¹, 1452¹, 1477¹, 1561¹ 1561².

მიმატებული ტაბების მიხედვით ეს ხელნაწერი უახლოვდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერების № № 2829, 4492, 4732 და 5006 და საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების № № 54, 461, 757. არის ტექსტის რამდენიმე სათაური, რომელნიც სხვებში არ გვხვდება, მაგალითად, შემდეგ 385 ტაბისა: „ამბავი ტარიელისა ხარავეთს წასვლისა და გამარჯვება“, შემდეგ 630 ტაბისა: „ავთანდილისაგან დაბრუნება თავის კვლმწიფესთან“. შემდეგ 914 ტაბისა: „აქა ავთანდილ ვარსკულავთ ეტბნების თავის გუნებაში“. ამას ქვემოთ შეიღსავე ტაბს აქვს სათაური, მაჩვენებელი, თუ რომელი ვარსკულავი რის ეტლს წარმოადგენს, 438 ტაბის შემდეგ წითლურით შენიშნა არის: „აქა ასმათისაგან ტარიელის წინსაძრისა მორთვევა“, 823 ტაბის შემდეგ: „პოვნა ავთანდილისაგან ტარიელის საწოლად მღებარისა“. 1285-1289 ტაბები 1294 ტაბის შემდეგ არის მოჭყული. 1351 ტაბის შემდეგ: „თათბირი და რჩევა ტარიელისა და კიდე ვათაევა რჩევისა“. 1364 ტაბის შემდეგ: „აქა ომი ქაჯეთისა ფიცხელი და საყვარელი“, 1377 ტაბ. შემდეგ: „წიგნი ტარიელისა ზღვათა მეფის წინაშე გაგზავნილი“. 1397 ტაბის შემდეგ: „წასვლა ფრიდონისას სამთავანეე მხიარულად“. ხელნაწერში არ არის ტაბები: 152, 231, 795, 935, 1004, 1018. ტაბების რიგი ზოგჯერ შეცვლილია. მაგალითად, ერთმანეთს მისდევნ 1001, 1006, 1002, 1002¹ 1008, 1009, 1003, 1005, 1007, 1010 ტაბები.

1608 ტაბს ჩვენს ხელნაწერში აქვს მიმატებული პარალელი, რომელიც ს. კაკაბაძის გამოცემაში არ არის:



ფრიდონცა არის თავისა მოტყუელი შვიებით ზარებით,
მტერთა საშინო, ერთგულთა მოხაკმარად დაუზარებთ.
მათ შთათა ამის საკითხი არ გაწუდეს კაცი კარებით,
და გასცემდის ოქრო გუარსა, ღარს ნურყინ დაეკარებით.

ვარაანტები სიტყვებში და ლექსებში მრავა- უჩვენებს ტაქს, პატარა ციფრი ტაქსის ლექს-
ლია, ზოგი — საყურადღებო, ზოგი — უმნი- ჯერ მოყვანილი იქნება დაბეჭდილი* ტექსტი,
შენელო, მაგრამ აქ აღნიშნავ მხოლოდ რამდენ- შემდეგ ხელნაწერისა.

- 138₃ ქმარი არ მინდა უშენოდ მამხუდეს ხისაცა რგულისა,
ქმარი არ მინდა უშენო ზე მამხუდეს ედემს რგულისა.
 - 145₁ განაღა ღომისა იმედი დაგედვას რაცა მისადა,
განა აქუს ღომისა იმედი, დაგედვას რაცა მისადა.
 - 153₄ შემცოდესა უფლადკასა ვითა ცვილსა დაადნობდეს,
კაცსა მისსა შემცილესა ვითა ცვილსა დაადნობდეს.
 - 159₁ შერმადინ უთხრა: მართალ ზარო, ნუ ცრემლსა თუათათ დამიწდეთ,
შერმადინ თქუა: დიდებულნო, მართალ ზარო, თუ ცრემლსა დვრიდეთ.
 - 452₂ არ შეგმოსო, მავა კახათა არ აგუდით, — ტურფად გშუენიან,
არ შეგმოს სხუასა კახასა, არაგუდი, ტურფად გშუენიან.
 - 529₂ ერთი და მე ვარ შემკუიდრე; უფლად თქუენ მოგედოშია,
ერთი და მე ვარ შემკუიდრე, წინაშე თქუენი მდგომია.
 - 529₄ სამართლით ტაბტი უჩემოდ არავის მისაგდომია,
უშენოდ ტაბტი აქამდის არავის არ მიხდომია.
 - 545₃ მათ კიდობანი მოქქონდა, ებურნეს არ აქებთა,
მათ კიდობანი მოქქონდა, ებურნეს არა ქებთა.
 - 558₃ უთხარ: „დადეგ, გამოგონე, შენი საქმე შეცა მინა“,
უთხარ: „დადეგ, მომიცადე, თქუენი ნახე შეცა მინა“.
 - 633₃ სისხლსა, მისგან დადენილსა, მკეცი უოვლი გამოლოკლა,
სისხლი მისგან დადენილი მკეცმან უოვლმან გამოლოკლა.
 - 649₂ შუე თუ ვთქუა მგზავსი მისი და ანუ მისისა სახისა,
იგეა ჩემი სიცოცხლე, ჩემი მომცეში ახისა.
 - 691₁ სისხარულსა მისგან ძებნად სრულ პატეთა მოხოლელის ქირსა,
პირველ მისგან ძებნად მისდა პატეთსა და მოხოლელის ქირსა.
 - 674₄ მის მოუურისა მოშორებუა კულავ აბინდებს, არ აღიღებს,
მოუურისა მოშორებუა აჩრდილებს და კულავ აბინდებს.
 - 752₂ ვინ არს ძალთა მეცნიერი, შემწე უოვლთა მიწირთად,
ვის აქუს ძალი უხილავი, შემწე უოვლთა მეცნიერთა.
 - 1045₄ რათამცა ვით ვპოებ, მას ვიქ, გულმან სხუამცა რა ისმინა,
რითაც ვით სჯობს, ამით ვპოებ, გულმან მეტი რა ისმინა.
 - 1119₂ კულავ შესუეს და კულავ აიუსეს სხუა ფარჩნი და სხუა ქიქანი,
აუცნეს და კულავ დაღონა სხუა ფარჩნი და სხუა ქიქანი.
 - 1206₁ ავთანდილ მალვით ცრემლისა წუავს დენად სისხლ ნართავისად,
ავთანდილ მალვით ცრემლისა წვეთს სისხლისა შესართავისად.
- მე-1460 ტაქსი ასეა მოყვანილი:
- ისია ჩემი გამზრდელი და თქუენად მოგებებული,
იქი ვერ მივალ, მრცხუენიან, გულსა საკმილი ღებული,
ჩემდა არაკად სულდგმული კაცი არ დაბადებული,
და რასაცა მიწაში, თქუენ იცით, ფრიდონ თქუენთანა ხლებული.
- 1162₄ შეილთა, ღმერთო, დამაჰმევედა, დამქოლევდა მერმე ქუითა,
შეილთა კბილით დამაჰმევედა, დამქოლევდა მერმე ქუითა.
 - 1231₄ მისსა შუქი მოიცადე, ვარდო, ადრე ნუ დასქენები,
მოიცადე, მისსა შუქო, ვარდო, ადრე ნუ დასქენები.
 - 1232₄ იკითხავს, სულ თქუამს, უსტარსა აღტობს ცრემლითა ცხელითა,
იკითხავს, აღტობს უსტარსა ქალი ცრემლითა ცხელითა.
 - 1357₃ ერთმანერთსა ელაღობნეს ღაღობათა მათთა მშუენთა,
ერთმანერთსა ელაღობნეს საუბართა მათთა ფერთა.



- 1395₁ ზღუათა შეფესა, ეტყოდეს: — სამნივე ერთგან შეფენი,
 ზღუათა შეფესა ეტყოდენ ორნივე შექთა მღენანი.
- 1401₄ აწ გაუსრულა ყოველი მან მისი ნაერთგულები,
 აწ გაუსრულდა ყოველი მას მისი ნაერთგულება.
- 1419₄ ვითა დამივსო საკმილი, უგრევე მისიცა კმა დება,
 ვით მე დამივსო საკმილი, აგრევე მისი კმა დება.
- 1421₄ შენ შენსა ცოლსა არ შეგრთავ, მე ჩემსა არ ვექმარები,
 თუ შენ შენს ცოლსა არ შეგრთავ, მე ჩემსა არ ვექმარები.
- 1441₂ ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,
 ღმერთი კარგსა მოავლინებს, არ ბოროტსა დააბუდებს.
- 1447₄ არა თქუეს თუ, არა გუაქუსო, არცა იუუნეს გულ ნაკლულნი,
 და არ იციან თუ, რა გუაქუსო, იგ ამისთვის გულ ნაკლულნი.
- 1459₄ ამისთვის ვიწუი, საკმილი, გულსა ედების ებავთა,
 ამაღ შედების საკმილი. გულსა ეცხელა, ებავთა.
- 1480₄ რადგან მერჩიო, ნუ მერცხუი, ჩემგან ნულარა გრცხუენიან,
 რადგან მერჩიო, ნუ მერცხუი, ესე არ შენი ზენია.

სხვა ვარიანტების აღნიშვნა აქ შეუძლებელია. — ეს სპეციალური გამოცემის საქმეა. ავიღოთ, მაგალითად, ლექსი:

925₂ მისვე კმისა სიტკბოსაგან წუღით ქუანიცა გამოსხლიან.
 ამის მაგიერ სწერია:

მისვე კმისა სიტკბოსაგან წუღლათ თევზნი გამოსხლიან.

შესვს გარეშეა, რომ აქ თევზნი უნდა, ვინა- ესმოდეს მღერა უმისა სმენად მზეცნი მოვიდინ.
 იდან ადრე სულდგმულ საგნებზეა ლაპარაკი: რა ასეთი მაგალითები ბევრია.



დოქ. გიორგი გიორგიძე

ქართული ფრანკმასონობის საკითხისათვის

ფრანკმასონების, ან, როგორც მათ უფრო ხშირად უწოდებენ, მასონების საიდუმლო საზოგადოების წარმოშობის ისტორია ლეგენდებით არის აღსავსე. მასონური მოძრაობის ნამდვილი ისტორიის შედგენას ადგენებს ის გარემოება, რომ მასონთა ორდენი საიდუმლო ორგანიზაციის წარმოადგენდა და მისი არქივები, რიტუალური რეკვიზიტი, მონაწილეთა სიეზი და სხვა დოკუმენტები გარეშე პირთათვის ხელმიუწვდომელი იყო. იყო პერიოდები, როდესაც მასონური ორგანიზაციები დევნას განიცდიდნენ, იძულებულნი ხდებოდნენ თავისი დოკუმენტაცია და რეკვიზიტი გადაეხალათ, რის გამო იგი ხშირად საშუალოდ იკარგებოდა. მაგრამ საბასტიურებულად შეიძლება ჩათვალოს, რომ მასონური ორგანიზაციები („ლოჯები“) აღმოცენდნენ შუასაუკუნეების და, იქნება, უფრო ადრინდელი ხელისათა კავშირებიდან. ეს კავშირები, აერთიანებდნენ რაკალკული პროფესიის ხელისნებს, შეადგენდნენ კარჩაეტილ კობრობაციებს, რომლებსაც ქმონდათ თავისი პროფესიული საიდუმლოებანი, საწყობები და საკრებულო ბინები (თვით სატყვა „მასონი“ ნიშნავს კალატოზს).

მთელი თავისი მუშაობა მასონებს შესაძლებლად მიაჩნდათ არსებული სოციალური წყობილების ხელშეუხებლად. ფრანკმასონების მოძრაობას ეთიკურ-არელიგიური ხასიათი ჰქონდა. თუმცა მასონობა დამორბეული იყო ოფიციალური, სახელმწიფო რელიგიებისაგან, ხშირად მათ უპირისპირდებოდა კიდევ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მასონთა შორის იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც სერიოზულად, გულწრფელად გატაცებულნი იყვნენ არა მხოლოდ ადამიანთა ზნეობრივი სრულყოფის ამოცანებით, არამედ ცდილობდნენ მოეპოვებინათ პოლიტიკური გავლენა, რათა თავისი იდეები განეხორციელებინათ კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობით. ასეთი წრეებიდან შემდგომში XIX საუკუნე დასაწყისში ჩიფვარა სადუბულო ერთდულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ისეთ თვალსაზრის დარჩენის, როგორც იყო ტრევერდუნდ ვერანიაში, კარბონარობა იტალიაში, პატრიოტული ორგანიზაციები პოლო-

ნეთში, წინადაცხარისტული ორგანიზაციები ტუსეთში და სხვა. თუმცა მასონურ ორგანიზაციებში წევრებად ძირითადად ფეოდალური და ბურჟუაზიული წრეების წარმომადგენლები შედიოდნენ, მაგრამ იყვნენ ე. წ. „რაზნოჩინცებიც“, რომლებიც ზოგჯერ ორდენში დიდ გავლენას მოიპოვებდნენ ხოლმე.

მასონური ორგანიზაციები XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ბევრისთვის იყო დაწინაურების, პირადი წარჩინებისა და მატერიალური, ქონებრივი წარმატების საშუალება. ლოჯაში შეიძლებოდა ვაიკნოთ გავლენიანი პირები, რომლებიც, მასონური ეთიკის შესატყვისად, უხმარებოდნენ თავის თანამელოციებს, დაწინაურებულუყვნენ, თვალსაზრის ადგილი დეკავებინათ მაშინდელ საზოგადოებაში და ადმინისტრაციულ იერარქიაში. ამ პერიოდის მასონურ მოძრაობაში შეიძლება უკვე განვასხვავოთ სამი ძირითადი მიმართულება: 1) წმინდა ფრანკმასონური ლოჯები, რომლებიც ტრადიციულ საიდუმლო ქველმოქმედების ეწეოდნენ და ერთობოდნენ მასონური რიტულებით; 2) როზენკრაიცები ის ორგანიზაციები, სადაც საბოლოოდ მოიკალათეს ავანტურისტებში, რომლებიც შეიძებდნენ ხოლმე შექმნულ ან მალაღობადგობიან პირებს, რომ ეხარებოდათ მათი გავლენით და სიმდიდრით. როზენკრაიცები თავის ნეოფიტებს არწმუნებდნენ, ვიცოდნენ ოქროს ზელოვნება შექმნის საიდუმლოებათ, და არბობდნენ მათ მაგიური აღქმის სენსებით; 3) ილუმინატები, რომლებიც თუმცა არ უარყოფდნენ მუშაობას ადამიანთა ზნეობრივი გასაბეატებისათვის ფარული ლოჯების მეშვეობით, მაგრამ აწარმოებდნენ ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. ამ მიმართულების წარმომადგენელი იყო, მაგალითად, ცნობილი რუსი განმანათლებელი ნიკოლოზ ნოვიკოვი, რომელმაც შექმნა დიდი გამოცემლობა, დაბეჭდა მრავალი სასარგებლო წიგნი (ერთ დროს ნოვიკოვიც როზენკრაიცები იყო).

როგორც აღინიშნა, XIX საუკუნის დასაწყისში მასონური ორგანიზაციების წაადლან,

ან მათი წინააღმდეგობით, წარმოიშვა პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც აწარმოებდნენ გამათავისუფლებელ ან ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას. დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ იტალიისა და პოლონეთში ეს ახალი ტიპის პოლიტიკური ორგანიზაციები მასონური ორგანიზაციების ბაზაზე შეიქმნენ; ყოველ შემთხვევაში ამ ახალ საზოგადოებათა ინიციატორები, ორგანიზატორები და ხელმძღვანელები ხშირად ყოფილი მასონები იყვნენ და ზოგჯერ პარალელურად ორივე ტიპის ორგანიზაციაში შეშვობდნენ.

თავისთავად ცხადია, რომ ეს პოლიტიკური ორგანიზაციები, კარბონარებისა — იტალიაში, პატრიოტებისა — პოლონეთში და სხვა, სიბუნებრივად, ფარული ორგანიზაციები უნდა ყოფილიყო. მათი ორგანიზაციების პრაქტიკაში იყო ბევრი ელემენტი, მასონური ლოჯებიდან გადატანილი, რაც ამ ორგანიზაციების პოლიტიკურ ამოცანებს სრულებით არ შეესაბამებოდა. ყველაზე ჰეაფიო მასონური დალი აზის ამ საზოგადოებათა წესდებაშია. პოლონელი ფილოზოფები და იტალიელი კარბონარები ფართოდ იყენებდნენ ორგანიზაციაში მიღების ფრანკ-მასონურ ცერემონიას, ფიცის ფორმლებს, სხდომების რიტუალს და სხვ. თვით ფორმა ამ პოლიტიკური ორგანიზაციებისა განვითარდა ჰელ, შეუსაყურებრივ კალაპოტში. მანც მთლიან მასონური ორგანიზაციების გამოყენება შეუძლებელი იყო, რადგანაც მათი შეზღვევა ლაზა პოლიტიკურად და ეროვნულად ჰრელი იყო. მასონები იყვნენ, მაგალითად, ნიკოლოზ ნოვიკოვიც და ა. გოლიცინიცი (ალექსანდრე I რეაქციონერი მინისტრი), პავლე ციციანოვიც და ძმანი ჭილაშვილები. მასონი უნდა ყოფილიყო რამდენიმე ქართველი ბაგრატიონი, ცხადია, მათი ერთად შეშვობა ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციაში შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, ასეთსავე ვარაუდობას ჰქონდა ალფიო, რამდენადაც ჩვენ ვიცით, პოლონეთში და ასევე იქნებოდა იტალიაში.

მასონური მოძრაობა ემყარებოდა ამა თუ იმ ქვეყნის მატერიალური მოწინავე რაზმების სულსკვეობასა და მისწრაფებებს. ქართული ინტელექტუალური ის ნაწილი, რომელიც XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის დამდეგს ემიგრაციაში იყოფილებოდა, ან სხვადასხვა მიზეზების გამო მოცილებული იყო სამშობლოს, ასე თუ ისე ნაზიარები იყო ევროპული კულტურის ყველა გამოვლინებას. რუსეთში მყოფი ბევრი

მათგანი არა თუ არ ჩამორჩებოდა მშობლიურ კულტურულ მოძრაობას, არამედ ზოგი მათგანი თვალსაჩინო როლსაც კი ასრულებდა. ასეთი იყო, მაგალითად, მიხეილ პეტრეს-ძე, ჰანსთაშვილი, სიმპირსკის გუბერნიის შემავლელ და ქართველი პატრიოტი, რომელმაც შეადგინა მეცნიერული ნაშრომი ქართულ ნემიზმატიკაზე „Нумизматические факты Грузинского царства“. სპб., 1844). მიხეილ ბარათაშვილი იყო რუსული მასონური ლოჯების გამაერთიანებელი ცენტრის, „ფენიქსის კაპიტულის“ ერთ-ერთი დამაარსებელი. მ. ბარათაშვილი იმდენად იყო გატაცებული მასონობით, რომ თავისი ახლადდაბადებული ვაჟი, 9 დღისა, წარუდგინა თავის ლოჯას და მისთვის მფარველობა სთხოვა. ამით მან თავისი ვაჟი წინასწარვე მასონად ვახადა.

ძნელი დავადგინოთ ქართველი მასონების ზუსტი სია. ძნელია იმეტომ, რომ მასონური ლოჯების სამგზის დევნას, ერთხელ — პავლე I დროს, 1797 წელს, მეორედ — ალექსანდრე I მიერ 1822 წელს და, მესამედ — ნიკოლოზ I დროს 1826 წელს, მოჰყვა ლოჯების არქივების მოსპობა. ვარდა ამისა, თვით მასონები თავის მიწერ-პოწერაში ერთმანეთს ასახელებდნენ დევაზებით, რომლებიც ყველა მათგანს ჰქონდა მიჩენილი ლოჯაში მიღების დრო.

მნიშვნელოვან დასაბრუნებს გვიწევს ტატიანა ბაკუნინას შრომა, რომელიც შეიცავს რუსეთის XVIII—XIX სასის ლოჯების წევრთა სიებს. ამ სიაში რამდენიმე ქართველია დასახელებული:

1. ციციშვილი დიმიტრი ელისესძე. 1776 წელს ირიტებოდა წევრად ლოჯაში Nemesis.

2. ციციშვილი იაგორ დიმიტრის-ძე, პერო-ბრავესკის პოლკის ბოშბარდირი. შვილი ზემოდანსახელებული დიმიტრისა, იგი თავის ძმასთან ერთად თარგმნიდა ფრანგულიდან სამხედრო-საინჟინრო და ფილოსოფიურ წიგნებს.

3. ციციშვილი პავლე დიმიტრის-ძე (1754—1806 წ.წ.), ახალგაზრდობაში ეტანებოდა ლიტერატურას, თარგმნიდა სამხედრო-საინჟინრო და ფილოსოფიურ წიგნებს.

4. ბაგრატიონი მიხეილ, სიმპირსკის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლად ნაყოფი: 1821 წელს იყო წევრი სიმპირსკის მასონური ლოჯის „სათნობის გასაღები“ (clef de la vertu).

5. ბარათაშვილი პეტრე მელქისედეკის-ძე, გენერალ-ლეიტენანტი, სიმპირსკის გენერალ-გუბერნატორი 1784—1787 წლებში, იყო წევრი ლოჯისა „კურონ გვირგვინი“ (Couronne d'or).

6. ბარათაშვილი მიხეილ პეტრეს-ძე (1784—1856), როგორც ერთ დროს მისი შამა, იყო სიმპირსკის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი, შემდეგ კი პეტერბურგის არქილო-

¹ იბ. Сидоренко Е. итальянские угодники начала XIX века. спб 1913; და избранные произведения прогрессивных польских мыслителей т. II. м. 1958.

გური საზოგადოების წევრი — დამაარსებელი, ხიმბარსკში მან მოაწყო რამდენიმე საქველმოქმედო საზოგადოება, რუსულ ენაზე თარგმნა რამდენიმე მასონური რიტუალის წიგნი; 1817 წ. დააარსა ლოჯა „Alexandre du triple salut“. მ. ბარათაშვილი იყო გამოძიების ქვეშ დევარისტთა საქმეზე, მაგრამ საზოგადოების წევრად ვერ დაუმტკიცეს. იყო სპაიტო წევრი 7 ლოჯის, წევრი უმაღლესი მასონური ორგანიზაციის — „ფენიქსის კაპიტულისა“, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა ყველა ლოჯა; აქ, მ. ბარათაშვილს ჰქონდა „ტამარის რიანდის“ ხარისხი (Grade de chevalier du Temple), მასონური სახელწოდება იყო: დიდა არწივის რანდი (Egues ab aquila magna). ხოლო ლევიზა: ვუმერ შუხ და არ მაინენგს ელვის შუტი (solem intueor, nec timeo flumen).

7. ბებთთაშვილი ეასილ ოსეფასძე (1791—1888), წევრი ლოჯისა „სამი სათნოება“ (Trois Vertus).

8. ბატონიშვილი ვრანგოლ ივანესძე (1789—1830), წევრი საზოგადოებისა „შეერთებული მეგობრები“.

9. ჭილაშვილი პეტრე, ოფიცერი. 1822 წელს იყო წევრი ლოჯისა Prèjugé vaincu.

10. ჭილაშვილი ბორის ვაბრიელისძე (1798-1850), მიღებული იქნა ლოჯაში „მომაკვდავი სფინქსი“ 1819 წელს.

11. ჭილაშვილი იაკობ ვაბრიელისძე, 1830—1840 წლებში იყო საქართველოს პროკურორად. თარგმნა ფრანგულიდან შაბლის და მონტესკიეს თხზულებანი. შეადგინა: Начертание права народного. Спб, 1812, და Песнь на кончину Голенничева-Кутузова. ³

1815 წ. მიღებულ იქნა ლოჯაში „მომაკვდავი სფინქსი“ და მიადწია მასონობის მაღალ საფეხურს.

12. ჭილაშვილი კონსტანტინე ვაბრიელისძე, 1819 წ. მიღებული იქნა იმავე ლოჯაში. ვარდიიცეალა ახალგაზრდობაში.

ტატიანა ბაქენინას ნუსხა საერთოდ არ არის სრული, ტირა სოკოლოვსკაია თავის შრომაში ასახელებს კიდევ ორ ქართველ მასონს, რომლებიც არ არიან ბაქენინას სიაში:

1. ზერხეულიძე ზაქარია სვიმონისძე, ვენერალ-მაიორი. იყო სამხედრო გუბერნატორად მინსკსა და სმოლენსკში, 1818—1819 წ. წ. იყო წევრი ლოჯისა არუსეთის არწივი¹.

2. შალიაშვილი პეტრე ივანესძე (1767—

1852), მწერალი და მოაზრებელი წერდა ნუნტიმენტალურ ლექსებს.

ამგვარად, ქართველ მასონთა შორის ვხვდებით სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური მიმართულების პიროვნებებს.

მასონური იდეები აისახა არა მხოლოდ გისტორიკურ და ეთიკურ ფილოსოფიურ ლიტერატურაში, არამედ პოეზიაშიც. თვით მასონები თავისი რიტუალის შესრულების დროს ფართოდ იყენებდნენ ლექსად დაწერილ ჰიმნებს და სხვა საგალობლებს. ასეთი მასონური პოეზიის ანარქული ზეენს პოეზიაშიც მოიხილება. ბევრი ქართველი, რუსეთში მცხოვრები ან ნაყოფა, შეიძლება არც კი იყო მასონი, მაგრამ მათ არა თუ იცოდნენ მასონობის არსებობა და საქმიანობა, არამედ თავის წრეში პერსონალურად, პირადად იცნობდნენ ხოლმე მასონებს, იცოდნენ, ვინ იყო მათში ამ ორღენის წევრი, დავით გურამიშვილის ერთგორი ლექსი „ზოგთა შვის გურამიშვილი“ წარმოადგენს შვის ლოცვას, და მას მასონური წარმოშობის აშკარა ნიშნები აქვს. თვით პოეტი ქვესათურში აღნიშნავს: „ამის ხმას ეწოდება რუსულად: „მასონ“, აღსანიშნავია სიტყვები:

შუვე, მახარე შენსა მოსვლით,
ახლით მშოსე შესამოსლით,
არ მათბობს მე ძველი ქურჭი,
ვანმათბე, მომფინე შექი!

ქართველი ემიგრანტების ყოფა-ცხოვრება, მათი პოლიტიკური და კულტურული კავშირები, მათი მეცნიერული და პოეტური მემკვიდრეობა ჩერ კიდევ არ არის საკმარისად გამოკვლეული. ჩვენთვის ერთგორ ფრიალ საყურადღებო მასალას წარმოადგენს დიმიტრი ბაგრატიონის და დიმიტრი სააკაძის პოეტური მიწერა-მოწერა. ლექსში „დიმიტრი ვიორჯის ძის ბაგრატიონისადმი“ დიმიტრი სააკაძე ამბობს:

თქვენი მოგვესმა, პატრონო,
შექმნილხარით ფარმაზონია,
ზოგთა სთქვეს: „არის მართალი“
და ზოგთა: „არა მგონია“.

ბრისტეს უარისმყოფლობა
მე თქვენგან არა მგონია,
თუ მართალია — მოიქეც,
სხუა მეტი არა ღონია.

როგორც ვხედავთ, ქართველი ემიგრანტების წრეებში კარგად ესმოდათ ფრანკმასონობის არსი, იცოდნენ, რომ ზოგი მისი მიმართულება უარყოფდა ორთოდოქსალურ ეკლესიას.

გუქრობთ, რომ სათანადო ცნუვამ ქართველი ფრანკმასონების სია შეიძლება მნიშვნელოვნად გააფართოოს. ამას საბუთად შეიძლება

¹ об. Тира Соколовская. Капитул Феникса. Высшее тайное масонское правление в России (1778—1822) пгд. 1916.

² ცნობილი მასონი, —გ. გ.

10. „მწათობი“ № 2.

მივიღოთ „აქტი გონიური“, შედგენილი, როგორც ტრადიციის გადმოცემის, ფილადელფოს კონკრეტის მიერ. თვით ტექსტი ამ აქტისა, უკვე აღსანიშნავად, არის გადაღება მასონური წესდებებისა, ისევე, როგორც იყვნენ გადაღებული კარბონარების, აგრეთვე, პოლონელი ფილანთებისა და პატრიოტების წესდებები. კვლევა-ძიებას მოჰყვებათ დასკვნამდე, რომ „აქტი გონიური“-ს დედანი სწორედ მასონური წესდებების შორის უნდა ვეძებოთ. აქ ჩვენ შევხვებით საერთო „აქტის“ წყაროების შესახებ. სამი წყარო იყო შესაძლებელი: 1) უშუალოდ რომელიმე მასონური რუსული წესდება; 2) პოლონელი პატრიოტების წესდება; 3) ევროპული მასონების წესდება. შესაძლებელია, ფილადელფოს კონკრეტის რამდენიმე წესდება ჰქონდა ხელთ, როცა თავის შესანიშნავ დოკუმენტს აღკვენიდა. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დავით ბატონიშვილიც, რომელსაც ფილადელფოსის ასახელებს, მასონი იყო, თუმცა არც პიპინს, და არც ბაქუნინსაც არა ჰყავთ იგი დასახელებული. მას კი „აქტის“ შედგენის ისტორიაში რაღაც ადგილი უნდა იქონიოს.

მასონური ლოგებში წყაროდ ყოფნა ქართულ მასონებს საშუალებას უქმნიდა ვაცნობოდნენ და დახლოებოდნენ მაშინდელი რუსეთის ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს, ან პირიქით, კავშირი რუსეთის ინტელიგენციასთან მათ გზას უხსნიდა მასონთა ლოგებისაკენ.

ასე, მაგალითად, „შეერთებული მეგობრობის“ ლოგაში, რომელსაც ეკუთვნოდა ბატონიშვილი გრაგოლი, შედიოდაც: პეტრე ჩადაევი, ალექსანდრე გრაბოვდოვი, დეკაბრისტი პეტრეო. „სამი სათნოების“ ლოგაში, რომელსაც ეკუთვნოდა ვასილ ბებუთაშვილი, იხილებოდნენ: სერგეი ვოლკონსკი, სერგეი ტრუბეკოვი, ალექსანდრე იფილანტი, მათე შერაიკოვ-აოსტროლი, სერგეი შერაიკოვ-აოსტროლი, ნიკიტა შერაიკოვი, ალექსანდრე შერაიკოვი. ყველა ესენი დეკაბრისტების მთავარი წარმომადგენლები იყვნენ შემდგომში.

თუმცა ჯერჯერობით არა გვაქვს ქართველ მასონების სრული სია, მაინც შეგვიძლია ამ დასკვნის გამოტანა, რომ ქართველი ემიგრანტები და რუსეთში დროებით მცხოვრები ქართველები ახლო კავშირში იყვნენ რუსეთის მოწინავე საზოგადოებასთან, რასაც სხვა წყაროებთან ერთად ქართველ მასონთა ეს პატარა ნუსხაც ცხადყოფს.

მაგრამ მეორე საკითხია, იყვნენ თუ არა მასონები თვით საქართველოში. ჩვენ ამ არ ვგულისხმობთ რუს სამხედრო პირებსა და აღნი-

ნისტრატორებს, რომელთა შორის, რასაც ვერცხვით ვხედავთ მასონები (თუნდაც ჰყავდათ ციციანოვი). ეს კი უნდა ნიშნავდეს რუსულ-ქართულში მათ ლოგა არც დაქვეყნებულა. პიპინის მიერ შედგენილ ლოგების სიაში არის დასახელებული ოდესა და სხვა ახალი იმდინისტრაციული ცენტრები, სადაც ვახსენებ ლოგები, მაგრამ არც თბილისი და საქართველოს არც სხვა რომელიმე ადგილი ა. პიპინს არა აქვს დასახელებული.

მასონური წესდებების, განსაკუთრებით კი, კარბონარული და პოლონური პატრიოტების წესდებების ზეგავლენის კვალი აშკარად აჩვენებს 1832 წლის ქართულ შეთქმულთა წესდებას, რომელსაც მათ დაარქვეს „აქტი გონიური“. შეთქმულთა უცხოურნი კავშირები რამდენიმე გიმართლებით შეიძლება წარმოვიდგინოთ. ერთი ხაზი — ეს არის ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან, მათი ხელისუფლების ანდა საზოგადოებრივი წრეების სახით, მეორე — დამოკიდებულება საქართველოში მყოფ უცხოელებთან, მესამე — უცხოეთის რევოლუციური და პატრიოტულ მოძრაობათა შავალითი. არ არის გამოჩენილი გავლენა დეკაბრისტებისა, რომლებიც იმყოფებოდნენ კავკასიის არმიაში. უცხოეთთან კავშირის ერთ-ერთი გზა იყო ირანი და თურქეთი. ინგლის ამ პერიოდში აწარმოებდა თავის ტრადიციულ პოლიტიკის რუსეთის წინააღმდეგ, საქართველოს ამ ორ მოსახლურ ქვეყანაში ინგლისს ჰქონდა კარგად ორგანიზებული დაზვერვის აპარატი, რომლის ძაფები თბილისსაც წვდებოდა. ალექსანდრე ბატონიშვილიც არ იდგა განუც, რასაც ცხადყოფს მაშინდელი მთავარმართებლის როზინის მოხსენებებში. 2 რაგორც ამ მოხსენებებიდან ჩანს, ს. რაზმაძე ირანში მიემგზავრებოდა და გზად თბილისშიც იყო. ალექსანდრე ორბელიანმა მიწერა ალექსანდრე ბატონიშვილს, მღვდელი ტალიაშვილი ვაგზაზე თავირში ჩაზაპიისა და ინგლისის მისიასთან კავშირის დასაწყობებლად. ეს წერილი აღ. ორბელიანმა გაატანა „აოსთარს“ ბალა-მამედს, რომელიც ამ დროს დალსტინიდან ბრუნდებოდა განსაკუთრებულ დავალების შესრულების შემდეგ. ბალა-მამედმა უამბო აღ. ორბელიანს: 1832 წლის დამდეგს ბატონიშვილ ალექსანდრესთან მოვიდა ორი კაცი ჭაღალდით ვეკაპტის ფანაზანო. ეს ფანა, მუჰამედ ალი, ამ დროს ეურბე-

1 А. Пыпин, *დასახელებული შრომა*, გვ. 498-535.

2 აქაც და შემდეგაც ესარგებლობ გამოძიების მისაღებით, რომლებიც გამოქვეყნებულა პროფ. გ. ვოხლიშვილის შრომაში: 1832 წლის შეთქმულება. ტ. I ტფ. 1935.

ბოლა სულთანს, დამოუკიდებელ საჯარო პო-
ლიტიკას აწარმოებდა და იბრძოდა ხალიფატის
დასამყრობად.

საგამომიებლო კომისია მის განკარგულე-
ბაში მყოფი საბუთებიდან ისვენის, რომ, რომ-
ღესაც შეთქმულება აღექვანდრე ბატონი-
შვილს წინადადება მასცეს, ჩამოსულიყო კა-
ხეთში და აჯანყების სთავეში ჩამდგარიყო,
მან, „при всем левоверии своем“, ფარი შე-
მოთავა. მაგრამ შემდგომ, 1831 წლის ბოლოს,
თეთონ ცდილობდა დაწვრილებით გაეგო შე-
თქმულებას ვითარება. ეგვიპტის ფაშას წერალო
რომ მიილა, იფიქრა: ეგვიპტის ფაშასა და
სულთან შორის ომის შემთხვევაში რუსეთი
რომ აქტიურად არ დახმარებოდა სულთანს,
საქირო იყო იგი საქართველოში და დაღის-
ტანში ყოფილიყო დაკავებულიყო. ასეთი კო-
მიხის დასკვნა, სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით,
რას სწერდა ეგვიპტელი მუჰამედი-ალი აღექ-
სანდრე ბატონიშვილს.

კომისიის დასკვნით, ოქრობიარ და დიმიტრი
ბატონიშვილებს, რომლებიც შეთქმულების მო-
ნაწილებად და წამქეზებლად ითვლებოდნენ,
აპაიეთარი კავშირი საზღვაგარეთთან არ
ქონდათ. მაგრამ კომისია ყურადღებას აქცევს
ერთ „უცნაურ“ გარემოებას: საფრანგეთის
საკონსულოს მდივანი თბილისში ლეტელი,
რომელმაც შეისწავლა ქართული ენა და დაახ-
ლოებული იყო ქართველ საზოგადოებასთან,
პეტერბურგში ჩასვლასას გაეცნო ჰესართა
პოლკის ოფიცერის ერისთავს (აღბათ ელიზა-
ბარს) და გვარდიის პარამორშის დიმიტრი
ობრელანს და მათთან პირველსავე შეხვედ-
რისას აშკარად „ბოროტრახივანი“ (რუსეთის
მიმართ) სუბარო იქონია. ეს ლეტელი ოქრო-
ბიარ ბატონიშვილსაც დაუხლოდა.

იმას, რომ შეთქმულებს ქონდათ უცხოეთ-
თან დაკავშირების გეგმები, მოწმობს ჩვენება
ელიზბარ ერისთავისა, რომლის თანახმადაც
თათქმის დიმიტრი ბატონიშვილი ამბობდა:
„საქიროა ერთი ჩვენი ბატონიშვილთაგანი
დახმარების სათხოვნელად საფრანგეთში წაი-
ღესო“. ასევე უჩვენა გიორგი ერისთავმა: დი-
მიტრი ბატონიშვილი უცხოეთის სახელმწიფო-
ებთან ურთიერთობის დაწყარებას აპირებდაო.

შედეგად მესხიშვილთან და ნათალიშვილ-
თან ფილადელფოს კენჭის ნალაპარაკებიდან
(ცხებში) ჩანს, რომ შეთქმულებაში უსათუოდ
უცხოელნიც ერივნენ. „მაშინ ოქრობიარმან
მოხარაო; შაზადესთან (აბბას მირზასთან) რომ
ღვერი არისო, იმან, აგრეთვე აქ რომ ფრან-
ციეია, რომელ ქართულსაც სწავლობს (იგუ-
ლისხმება, ილბათ, ლეტელი — გ. გ.) იმან
და ერთი, აგრეთვე, წვერნაღები მოხუცი კაცი
დადიოდა, იმანაც იციისო“.

პროფ. ვ. გოხალიშვილის დასკვნით, დაღის-
ტრებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ
მ. ბროსეს კავშირი ქონდა ქართველ შეთქმუ-
ლებთან, კერძოდ, ვახტანგ ბატონიშვილთან
პარიზში ყოფნის დროს მათ დაკავშირება
ბროსეს, რომელსაც, როგორც ჩანს, მხოლოდ
თავისი პირადი სიმათიები კი არ ამოძრავებდა,
არამედ მოქმედებდა, როგორც პირი, რომელ-
საც დავალებული ქონდა მათთან კავშირის
დაწყარება.

შეთქმულებთან მკიდრო კავშირი ქონდათ
პოლონელებს, რომლებიც გაღმოსახლებულნი
იყვნენ სამშობლოდან 1831 წლის აჯანყების
ჩაქრობის შემდეგ, როგორც სხვადასხვა მსა-
ლებიდან ჩანს, პოლონელები თეთონიც ცდი-
ლობდნენ ქართველ საზოგადოებასთან დაახ-
ლოებას, და ქართველებიც მათ სიმათიურად
გაქრობოდნენ. ევგენარევა მათი მონაწილეობა
შეთქმულებაში. შეთქმულთა ანგარიშით, 500
პოლონელი მზად იყო აქტიური მონაწილეობა
მიელო აჯანყებაში. მაშასადამე, არ არის გამო-
რიცხული, რომ იმათ თავისი გამოცდილება,
პატრიოტული ორგანიზაციების სტრუქტურა
და წესდებებიც გაეცნეს ქართველ შეთქმუ-
ლებს.

განსაკუთრებით საინტერესოა შეთქმულებაში
მონაწილეობა პ. ზავილესისა, რომელიც იმ
დროს იყო თბილისის სამოქალაქო გუბერნა-
ტორი. 1831 წლის 18 ოქტომბერს პეტერბურ-
გიდან მოსული განკარგულების საფუძველზე
ზავილესიკი მოხსნილი იქნა თანამდებობიდან
და მის ადგილზე ნ. ფაღალანიშვილი დაინიშ-
ნა. პეტერბურგში მიმავალი პ. ზავილესიკი
რამდენიმე წინთ მოსკოვში ჩჩება და იქ უახ-
ლოდებდა ოქრობიარ ბატონიშვილს და ქარ-
თველთა კოლონიის სხვა წევრებს.

ღღემდე არ არის გამოჩვენული, რა იყო
მიზეზი პ. ზავილესიკის მოხსნისა მაშინ, როდეს-
საც ჯერ შეთქმულების აშბავი არ იყო გამოშ-
ვლანებული. შესაძლებელია, მის ქონდა ურ-
თიერთობა თბილისში გაღმოსახლებულ პოლო-
ნელებთან (თეთ პ. ზავილესიკი პოლონელი
იყო), ან იქნენ მეტიც — კავშირი ქონდა პო-
ლონეთის აჯანყებასთან. ყოველ შემთხვევაში,
დავითების დროს, ზოგ შეთქმულს კომისია
საკათხს უსვამდა ზოლზე პ. ზავილესიკისთან
ურთიერთობის შესახებ.

ეკვიტანდათა შორის კომისიამ იკვლია რამ-
დენიმე რუსი (ან უკრაინელი) მოხელის სა-
კათხი, რომლებიც ქართველთა სიძეები იყვნენ,
ქართველი ქალები უყავდათ ცოლებად (მგ-
მელნიკოვა). შესაძლებელია, მათი დაახლოება
ქართველ შეთქმულებთან მათი „დეკარბიზმით“
იყოს გამოწვეული, ან „უკრაინოფილობით“
(როგორც, მაგ., პულშენკო), მაგრამ შეიძლება
ეს ერთგვარი იფანტურიზმის შედეგი ყოფი-

ლყო, თეთ ტოტლებენის მოქმედება ერეკლე II-თან კონფლიქტის დროს მოწმობს, რომ მას უნდოდა ერეკლე გადაეყენებინა და თავისი თავი გამოეცხადებინა საქართველოს მმართველად. ამავე დროს ასეთსავე ავანტიურას აშუალებდა ენმე პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი.¹ შესაძლებელია, რომ რუსეთიდან ჩამოყვანილ მოხელეთა შორის, რომლებსაც საქართველოში ზნობად სასჯელის მოსახდელად გზავნიდნენ, აუყენ ისეთი პირებიც, რომლებიც უარს არ იტყოდნენ ხელი მოეთხოვთ პოლიტიკური კრიზისის პირობებში.

ბევრი მათგანი არ სყრდნობოდა ხელუფასს და მოხელის იმდროინდელ „შემოსავალს“, იძენდნენ უძრავ ქონებას, ჰქონდათ სახლბა და ღუმელი, აარსებდნენ ქარხნებს. ასე, მაგალითად, უნობილია, რომ პ. ზავილეისკიმ გამოართა შუშის ქარხანა ბოჩკოვში. როგორც ვამოძიებდნენ ჩანს, პაუშენკო და მელნიკოვი კარგად იყვნენ გაცნობილნი შეთქმულთა გეგმებს და ჩვევა-დარიგებებსაც კი აძლევდნენ, ე. ი. კონსულტანტების როლს ასრულებდნენ.

როგორც შეთქმულების გამოძიების მასალებიდან ჩანს, ქართველ შეთქმულებს ძლიერ აინტერესებდათ პოლიტიკურის პატრიოტული მოძრაობა და ცდილობდნენ გაეზიარებინათ პოლონელთა ბრძოლის მეოთხედი. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აწაყვების გამარჯვებით დამთავრების შემთხვევაში პირველი ხანებისათვის მხოლოდ დროებითი მთავრობა იყო გათვალისწინებული. საქართველოს სახელმწიფოებრივი წილობების საკითხი ჯერ არ იყო გადაწყვეტილი. შეთქმულთა შორის ბევრი იყო რესპუბლიკის მომხრე, რომლებიც აღარ იზიარებდნენ ბაგრატიონების „აღდგენის“ იდეას.

ამრიგად, ჩვენ ვიპოვეს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ქართველ შეთქმულთა ორგანიზაციის ძირითადი დოკუმენტი, „აქტი გონიური“, არის არა მარტო ევროპისა და რუსეთის პროგრესული გამოათავისუფლებელი იდეების ანტიკლი, არამედ ფიქტიურადაც კონკრეტულად, კარბონარულ და უფრო მეტად კი პოლონური „ფილოზოფური“ ორგანიზაციების წესდებათა მიხედვით (თუ უშუალოდ მასონური წესდება არ იყო გამოყენებული).

„აქტი გონიურის“ შედგენა ფილადელფოს კონაქტს მიეწერება. თვითონ ის არ უარყოფს ამ გარემოებას, მხოლოდ ცდილობს იგი უმნიშვნელო, უკუხეზვლ დოკუმენტად ჩათვლიყონოს საგამომძიებლო კომისიის წევრებს.

მაგრამ, თუ გამომძიებლები და თვით მთავარმართველები გენერალი რიზენი ლმობიერებას

იჩენდნენ საზოგადოების წევრ არისტოკრატების მიმართ, ისინი შეუწყინარებლად ეკიდებოდნენ დაბალი წრებიდან გამოსულ ქართველ მხურთველებს, როგორც იყვნენ უკუაღმრთელები. რაზმაძე და ფილადელფოს კიკნაძე. მათ უფრო მძიმე სასჯელიც მიიღეს. განსაკუთრებულად მკვეთრი ხასიათი მიიღო გამოძიებამ ფილადელფოსის მიმართ. შუამთიდან თბილისში ფილადელფოსი თოვტამბაშული ფეხით მიყავდათ ცხენოსან კაზაკებს. ჯერ ისევ შუამთაში ჩხრეკის დროს ფილადელფოსი გალაპა იმდროინდელმა ეგზარხოსმა, თუმცა როგორც ერთ-ერთ დამსწრეს — მღვდელ-მონაზონ გენადის უამბოი ზაქარია კიკნაძისათვის,¹ არც ფილადელფოსი და ჩინელი ვალში. ასეა თუ ისე, ფილადელფოსს ციხიდან თავი აღარ დაუღწევია, გარდაცვლილა მრავალი ტანჯვისა და გვემის შედეგად.

რომ „აქტი გონიური“ შინაარსობრივად და მასონთა წესდებებთან არის დაკავშირებული, ამასი დეგვარწმუნებს პირველივე შედარება. როგორც ემევე აღინიშნა, „აქტი“ შინის უშუალო ასლი არ არის ამ წესდებებისა; იგი აშკარად გადმოდებელია იმ წესდებათა პოლიტიკური გაზიარებებიდან, რომლებიც პოლონეთში ან იტალიაში იყო გავრცელებული.

კომისიის „აქტი გონიურის“ მასონურ წარმომობაში გვეყი ე უპარებოდა. როგორც ფილადელფოსის პასუხიდან ჩანს, მას შეკითხვებიან, რატომ ისარგებლე აკრძალული დოკუმენტებით, ფილადელფოსს უპასუხნია, არ ვცოდი, თუ ეს საზოგადოებანი აკრძალული იყვნენო, ფ. კიკნაძე მედღობა იცავდა თავს, და თანამებრძოლებისაგან განსხვავებით, ცდილობდა არავინ ვაება საქმეში, ამიტომ თავისი მოქმედების მონაწილეებად უფრო ზნობად გარდაცვლილ პირებს ასახელებდა.

ფილადელფოსს კიკნაძე დაკითხვის დროს თვითონ ასახელებს თავისი „აქტის“ წყაროებს. კითხვანი: „ვინ იყო შემწე შენი, შენ არ შეგვეძლო მისა მოგონება“, ფილადელფოსი უპასუხებებს: „არავინ არა მუავს მას შინა შემწე და აგრეთვე არავინ არ იცოდა, ვარნა პირველისამებრ მოხსენებისა ამას კომისიისა შინა“. შემდეგ ამბობს: როდესაც გიორგი ერისთავმა გამოამიკნადა, რომელ მათ რადენთამე გამააქვს შეერთებული სივარტული, სურს კვლავ მოპოვებად მარადის ეთილია და განათლებულთა კაცთა მეგობრად, და სურსთ მარადის ეთილ მოქალაქობრივი ცხოვრება“, მაშინ ვიკისრე „აქტი გონიურის“ შედგენაო. ფილადელფოსის სიტყვით, რუსეთში ნამყოფს ესტატე

¹ იხ. А. Сагарели. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии. т. I. спб. 1891.

¹ იხ. ზ. კიკნაძე. ისტორია ფარული საზოგადოების დამაარსებელი ბიოგრაფიებით. ფილადელფოს კიკნაძე. თბ. 1919.

კიციშვილს უთქვამს მისთვის: „იყო რუსეთში დაფარული სექტორი, იპოვეს ქაილალი, რომელშიაც იყო რამდენიმე პუნქტი, ბორტონი განზრახულბანად სარწმუნოვებზე, სახელმწიფოზე და საზოგადოებებზე. ამისათვის მრავალნი სასტიკად დასაჯეს და მრავალნი დაშინნო“. აქან მასონთა ლოგების დახტრება იგულისხმება 1826 წელს, ან დეკაბრისტების შეთქმულება, დამახასიათებელია სიტყვები: „მრავალნი დაშინნო“. აქ დეკაბრისტები იგულისხმება, ეს სიტყვები მოწმობს, რომ დეკაბრისტთა რიცხვი არ ამოიწურებოდა დაკითხულებითა და დასჯილებით. ბევრს აცდა მოაგრობის ეჭვი, რაც ამდროინდელ საზოგადოებაში კარგად იცოდნენ.

თუმცა ფილადელფოსი პირველად ამბობს, მე შევადგინე „აქტი“, მაგრამ თავს იმართებს იმით, რომ გადააკეთა ოდონოპური მუხლები და გაწმინდა ისინი ბორტონისაგან, შეთხზა მათ ნაცვლად საწინააღმდეგო შინაარსის მუხლები. ასე წარმოიშვა, მისი თქმით, „აქტი გონიერი“. ფილადელფოსი ცდილობს დააყვაროს გამომძიებლები, ჩემი მიზანი იყოთ „დამტკიცება სამისა ნდობისა: სიყვარულისა ღვთისა, მორწმუნეობისა ზელმწიფისა და სიყვარულისა ურთიერთისა“. მაგრამ კომისიის წევრებმა, არ დაიჯერეს რა ფილადელფოსის გულბრყვილობა და კრავისებური უმანკოება, რამდენიმეჯერ დაჯინებით დაკითხეს „აქტის“ შედგენის თაობაზე. ფილადელფოსმა სცადა სრული გამოტყდომის თაიდან აცილება, მაგრამ იძულებული იყო, ცოტათი მანცე ფარდა აეხადა ზოგა მოქმედისათვის. მიუხედავად კომისიის ცდასა, საბოლოოდ ფილადელფოსი მიანიც ვერ გამოტყდეს და სრული სურათი „აქტის“ წყარობისა და ინსპირატორებისა ვერ ვადაშლევინეს, ფ. კიკნაძე ცდილობს მონაწილეებად გამოიყვანოს უცყე ვარდაცელი პარტი, რომ სმსჯელი არავის მიაყენოს იგი აცხადებს: „მე ვარ საშინელსა ფიცისა და წყევლისა, რომ არავის ვუთხრა და არ განვაქაბადო“. თან დასძენს, რომ არცა ღირს თქმად, რადგანაც ვარდაცელი არ პაროვნებანი უნდა დავასახელიოთ. რომ არაფერი გაუვიდა, ფილადელფოსმა კომისიის ასეთი ამბავი მოუთხრო: იერომონახა პარტიერი დიდხანს იყო ბატონიშვილებთან პეტრებურგს. შემდეგ ვანწესდა თბილისის ფერისცვალების მონასტერში, იგი განისაგან (ქოლერისაგან) ვარდაცელია. ფილადელფოსი და პორტიერი ერთ სენაში ცხოვრობდნენ. პორტიერი ხშირად უმტკიცებდა ფილადელფოსს, მაღე რუბელი საჭირველოს დავლიანო. ერთხელ პორტიერი ფილადელფოსს თხოვა, დაეწერა რამ „საქართველოს დავების“ შესახებ, „მე ფული ბევრი მაქვს და დავაბეჭდვინებო“. რამდენიმეჯერ საზოგადოება ფილადელფოსმა დაწერა „დაცემისათვის

საქართველოსა აღელდორიებ პოემა ტრადიციული, არა თუ აწინდლისათვის მდგომარეობისა, არამედ დროისათვის, ოდეს მუხრანს ყრუბანს სპარსეთისაგან სრულგებით მოწმობრა იქნა“. პოემის ბოლოში, ფილადელფოსის თქმით, იყო „მადლობა რუსულისა მფარველობისა“. პორტიერიმ წაიკითხა ეს პოემა, უკან გადაუდგო აქტორს და უთხრა, „როშალოო ქება როსიისა მთავრობისაო“. ერთხელ პორტიერი ფილადელფოსს უთხრა, მე შენ გინჯენებ ერთს საყვარელ წიგნსაო. წავიდა ქალაქს, მოიტანა იქიდან უბით წიგნი პატარა, ჩამოართვა ფილადელფოსს ფიცი, რომ არავის ეტყოდა, და მისცა წასაკითხავად. იგი იყო „რაგორც იახონ ფოზონის კარანდაშის წიგნი, ისე შეკრული, შიგ ვაყრილი კარანდაში ვეცხლისა ვეცხლის რგოლებით, ძალიან მშვენიერად შეკრული“. რომ გახსნა ფილადელფოსმა, შიგ, ცარიელი სუფთა ფურცლების პეტრა, არაფერი აღმოჩნდა. პორტიერის გაყენა და წიგნაგის ყდიდან ამოღო რამდენიმე ფურცელი თხელი ქაილალი, რომელზედაც ეწერა ეს „აქტი გონიერი“. პორტიერი წაიგია ბაზრად და უთხრა ფილადელფოსს, მინამ დაბრუნდები, წაიკითხე, მაგრამ არავის აჩვენოთ ფილადელფოსმა, რაგორც თვითონ წერს კომისიისადმი მიცემულ ახსნა-განმარტებაში, მინამ პორტიერი დაბრუნდებოდა, სანქაროდ გადაწერა „აქტი“, ხოლო ვხადავა ზოგი მუხლი გადააკეთა. ფილადელფოსი ეითომ ჩააცვია პორტიერის, საიდან გაქვს ეს ნაწერი. პორტიერს უმასტხნა, დაეით ბატონიშვილმა მომცა სიყვარულის წინ აღსარების დროს და მთხოვა, დაწყოთ, ხოლო პორტიერის შეუხანახეს. პორტიერი ფილადელფოსს განუმარტავა: „გარდა ისტორია იმ აქტებისა, თქმულად დავითისაგან“, საიდანაც შეიძლება დავასკენათ, რომ პორტიერის ამ საბუთის ამბავი მხოლოდ აღსარების დროს არ გაუვიდა ამ ვერსიით, რადგან ანტონ კათალიკოს I სწავლობდა ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიას პატრი ფილპესაგან, ამ უკანასკნელს მიუციო ეს „აქტი“ ანტონისათვის, რათა მისი მეშვეობით უფრო ადვილად მოენადირა ქართველი საზოგადოება და „გაფრანგებინა“ ქართველი ხალხი. რადგან ანტონი განდევნილი იქნა, „აქტი“, კათალიკოსის სხვა ქალაღლებთან ერთად, მეფე ერეკლესთან იყო. როდესაც გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ, დაე-თმა დაიწყო მეფის მოვალეობის შესრულება, მას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. დავითს უნდოდა საიდუმლოდ შემოემტკიცებინა თანამოაზრენი მოწინააღმდეგებთან ბრძოლის მიზნად. მაგრამ მღეე საქართველოს ბედი გადაწყვიტეს პავლე I და ალექსანდრე I მან-ფესტებმა, და განზრახვა დავითისა არ განმორციელდა. ფილადელფოსის თქმით, მე გავებუმიერ პორტიერს: „თუ არ გა-

მოკცხადე ვე აქტი, არ იქნებოა“. მაშინ პორტორამ ფილადელფოსთან ერთად სწირა, წირვის დროს ზელში აიღო ბარძიმი-ფეშხუმი და დაემუქრა: ამით დაგწყველო, თუ სადმე იტყვი. ამავე დღეს პორტორამ ცეცხლი დაანთო სენაქში და დაწვა წიგნაი, ხოლო ფილადელფოსის გადაწერილი კი ამ უკანასკნელთან დარჩა.

ფილადელფოსი უჩვენებს, როდესაც გიორგი ერთსთავა გამანდო არამდენიმე ვართ, გვიყვარს ერთმანეთი, ვეძიებთ კვლად შემატებას, გვსურს ყოველთვის კეთილი შევიძინოთ, გვერნდეს რამ შეერთებულეზაო“, გამახსენდა ჩემი აქტი, გადავიყეთე იგი, შევიცვალე კათოლიკური რელიგიის დოგმატი მართმადიდებლურით, იესოს მოსაყდრე მოციქულ პეტრესადმი თავიანთსებამ შევიცვალე ზელშიფიფისადმი თავიანთსებადო. შემდეგ ფილადელფოსი აღნიშნავს განსხვავებას უკვე სამ ვარაზტს შორის: პატარის აქტით წევრად მიღება შეიძლებოდა მხოლოდ სწავლულებისა; დავით ბატონიშვილის აზრით, — იმათი, „ვინც მღვდლანი და დიდგვაროვანი იყვნენ“; ფილადელფოსის „აქტი“ კი არ განსაზღვრავს პროზელტების სოციალურ მდგომარეობას (57) და საჭიროდ თვლის მხოლოდ, რომ პოქონლი წევრნი იქცეოდნენ კეთილად სჯელისა ქვეშე აქტისასა. უნდა აქვინდეს საფრთხილე, არა შემოგპაროთ კაცი ვნებული, ზემოშოლია, დადეფლებული და დახლია, არამედ ოდენ მგანმობელი სჯელისა მგანმობელისა შერტასა კეთილმადიდებლებისასა და კეთილშობილურთა სწავლულთა, ანუ ბუნებით განათლებულთა“.

ამრიგად, როგორი ვერსიაც არ უნდა მივიღოთ საბოლოოდ, „აქტის“ წინამორბედნი უნდა ეეძიოთ ან საქართველოში მყოფ კათოლიკე მისიონერებთან, ან რუსეთის მასონთა ლოჯებში. ორივე შემთხვევაში ეპეს გავრეშეა, რომ საქართველოში ასე თუ ისე გავრცელებული იყო მასონური წესდებები, რომლებიც აქ ჩამოქონდათ უზულოდ ევროპიდან ან რუსეთიდან. უნდა ვიგულისხმოთ შესაძლებელი შესაძე გზაც — პოლონეთის პატრიოტების ფარული ორგანიზაციების წესდებები, რომლებიც ან თვით პოლონელმა ვადმოსახლებულმა ან პოლონეთში ნაშახტურმა ქართველმა ოფიცერებმა ჩამოიტანეს. ა. პიპინის დასკვნით, 1817-18 წლებში პოლონეთში მყოფი რუსული არმიის შრავალი ოფიცერი წევრად შევიდა პოლონურ ლოჯებში. უფრადსაღებია ფილადელფოსის მიერ გამოცემული პორტორის ნათქვამი, დავით ბატონიშვილი აბარებდა საქართველოში მასონურა ორდენის დაარსებას.

თვით „აქტის“ ტექსტის შედარება მასონურ, კარბონალურ და პოლონურ პატრიოტებებს წესდებებთან ამდევნებს მსგავსებას [ქართულ] ლოდ შინაარსით, ზრახვებით, არამედ ფორმითაც კი. ფილადელფოსი იმდენად ბაძებს მასონურ წესდებებს, რომ წევრთა ერთმანეთის საცნობებლად აწესებს ნიშანს, რომელიც ჰქონდათ მიღებული ზოგ ლოჯებში: მარჯვენა ნიჯით შეზღლის მოფხანას, მუხლების თანამიმდევრობითიქმის ისეთივეა, დამაწყისი დეკლარაციულია, არა აქვს ორგანული კავშირი შემდეგ მუხლებთან და კიდევაც ეწინააღმდეგება საზოგადოების მიზანს: ხელმწიფისადმი მორჩილებამ

მაგრამ ფილადელფოსის „აქტი გონიერი“, მიუხედავად მისი განწყობილი, ზემოთაღიშნებლობითი შინაარსისა, პრაქტიკულად გამოყენებული იყო შეთქმულების წევრთა შემოსამტკიცებლად და მხოლოდ ამ მიზნით იქმნა შედგენილი აეტორის მიერ. თუმცა ფილადელფოსი ამას ზუსტად არ აღნიშნავს, მაგრამ ჩნის, რომ იგი თავის საზოგადოებას შენიღბვლობას უფრო დემოკრატიულად გულისხმობს, ვიდრე პატრი ფილაძე და ბატონიშვილი დავით ერთ-ერთ ჩვენებაში ფილადელფოსი ამბობს, დედანი შვილდ პორტორისაგან და საჩქაროდ გადაწერის დროს გზადაგზა მასში ზოგი წევრობება შევიტანეო. მაგრამ შემდგომი ჩვენებებიდან ირკვევა, რომ მას რთულად რედაქტორული შემოაბა ჩატარებია. ყოველ შემთხვევაში, მას ხელთ ჰქონია პატრი ფილიპეს და დავით ბატონიშვილის ტექსტები. რგი აღნიშნავს ამ ორი რედაქციის ზოგ პრინციულ განსხვავებას. მასსადაამე, მას გათვალისწინებული ჰქონია ის პოლიტიკური მიზნები, რისთვისაც გამოყენებული უნდა ყოფილიყო „აქტი გონიერი“.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველი ინტელიგენციის არა ერთი წარმომადგენელი შედიოდა მასონურ ორდენში, განსაკუთრებით, რუსეთში ცხოვრების დროს; რომ საქართველოში XVIII საუკუნიდან იმყოფებოდნენ მასონები, რომლებიც ცულობდნენ აქვე შეეჭმნათ მასონური ორგანიზაცია; რომ მასონური ორგანიზაციების სტრუქტურა და წესდებები გამოყენებული იქმნა პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ, იტალიელი და პოლონელი მემასონების მსგავსად.

არანაკლებ მნიშვნელოვანია იდეური გავლენა იმ პერიოდის ევროპის სხვადასხვა ქვეყნის გამათავისუფლებელი მოძრაობისა. ამ მოძრაობებიდან იღებდნენ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები მავალით და იმპულსსაც, და თუ თავის ლოკუმენტებს მათი წამაძვით იღვენდნენ, ეს გასაყვარი როლია!

კუპაი პაპაიძე

კოტე მარჯანიშვილი რეპერტიუაზე*

კოტე მარჯანიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა ორიგინალურ ქართულ დრამატურგიას. მისი რწმენით ქართული რეპერტუარი უნდა ყოფილიყო წამყვანი ქართულ თეატრში, ქართული თეატრის წინსვლა და განვითარება ქართულ რეპერტუარზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. კოტე კარგად იცნობდა ქართულ ორიგინალურ დრამატურგიას, იგი დიდად აფასებდა დღეით კლდიაშვილს, როგორც დრამატურგს, განსაკუთრებით აღნიშნავდა „ღარსხანის გასაქარს“, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო პიესათაგანს და სურდა მისი სცენაზე განსახიერებო. მოსწონდა შალვა დადიანის „გუმინდელი“ და ამბობდა, ამ პიესის დადგმას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მონახული სათანადო ფორმა. მას მოსწონდა სანდრო შანშიაშვილის დრამატურგიული ნაწარმოებები, კლდეაც შეიტანა რეპერტუარში და მისი ინიციატივით განხორციელდა თეატრში „ლატეარას“ დადგმა, შემდეგ ეს პიესა კოტე მარჯანიშვილმა შესთავაზა ზაქარია ფალიაშვილს ოპერის ლიბრეტოდ.

„ცხურის წყაროს“ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, კოტე მარჯანიშვილმა დადგა ინტროვის „მზის დაბნელება საქართველოში“. ამ უკანასკნელს არანაკლები გამარჯვება ხედა წილად და მას დიდი ხნის განმავლობაში სპატიო აღიერილი ეპირა რუსთაველის თეატრის რეპერტუარში. თუ ვინმეს კიდევ ეჭვი ეპარებოდა, რომ კოტეს, საქართველოში ხანგრძლივად არყოფნის გამო, დაფიქრებული ჰქონდა ქართული კულტურა, ამ სპექტაკლმა ნათლად დანახა თუ რა ღრმა მცოდნე, დიდი პატივისცემული და მოტრფილე იყო კოტე ქართული კულტურისა, რა სიყვარულით და ვატაცებით ვკადრებდა ქართული ეროვნული თეატრის აღორძინებას. ხან-გამით აღსანიშნავია ისიც, რომ კოტემ ეს საანტერესო და კოლორიტული სპექტაკლი სულ 14 რეპერტიციით განახორციელა. რეპერტიციები დაიწყო 1922 წლის 8 დეკემბერს და წარმოდგენა დაიღდა 1923 წლის 1 იანვარს.

1923-1924 წლის სეზონი რუსთაველის თეატრმა გიორგი ერისთავის „გაყრით“ გახსნა. კოტე

მარჯანიშვილის აზრით, ქართული ახალი თეატრის დამაარსებლს გიორგი ერისთავის პიესა „გაყრით“ ქართული თეატრის რეპერტუარში აუცილებლად უნდა ყოფილიყო შეტანილი. ამ პიესას მხოლოდ სიცილი კი არ უნდა გამოეწვია და თანავრძნობა მოქმედ პირთა მიმართ, იგი მამხილებელიც უნდა ყოფილიყო, რომ დაეგმო ასეთივე ტიპები თინამედროვეობაშიც („გაყრის“ დადგმას კოტე მარჯანიშვილმა 15 რეპერტიუა მოაწოდო).

კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით დაიდგა „ლონდა“, „ლამარა“, „მალსტრეში“, სანდრო შანშიაშვილის „მათახის პანაშვილი“, აზიანის „ღებურტარა“, პირველი ქართული პანტომიმა „მზეთა-მზე“, პოლიკარპე კაკაბაძის „მიწისძვრა ლისიბონში“, ი. გვედეანიშვილის „ლამარი-ფეერია“ „სინათლე“ და სხვ.

გვედეანიშვილის „სინათლე“ არის ჩვენი დღევანდელი საუბრის საგანი. სამწუხაროდ, სარეპერტიციო დღიურის ჩანაწერები არ იძლევა საკმარის მასალას. დღიურებში ძალიან ძუნწულია ჩაწერილი კოტეს გამოთქმები. ეს არის ბრალი მიხეილ უშუალო თანაშემწეებისა, რომელთა მოვალეობას შეადგენდა რეპერტიციის ზუსტი მსვლელობის და კოტეს გამოხსენების ჩაწერა. მათ რომ ეს შეეხრებოდნათ, დაგვრჩებოდა კოტეს მრავალი აზრი და დებულება, თეატრის, მსახიობის შემოქმედების, თეატრის განვითარების გზების შესახებ და სხვ., და ამას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ქართული თეატრის წინსვლისა და განვითარებისათვის, მაგრამ კოტეს თანაშემწეები არცთუ ისე ვასამტუქნარნი არიან ამ საქმეში. კოტე მარჯანიშვილის ცეცხლოვანი რეპერტიციები, მისი შეტყუებული სახე და თეატრები, მისი მგზნებარე სიტყვები იმდენად იტაცებდა არა მარტო მსახიობს, არამედ რეპერტიციის ყველა დამსწრეს, რომ მოყოლოებულ ატმოსფეროში, სიდავ მთელი ყურადღება კოტესკენ იყო მიპყრობილი, სუნთქვა იყრებოდა. ყველა იღილობდა არ გამორჩენოდა კოტეს არც ერთი სიტყვა, არც ერთი მოძრაობა, მიხვრამოხვრა, ყველას თითქმის ერთი გულსცემა ჰქონდა, ამიტომ შეუძლებელი იყო ვინმეს გულგრილად ფანქარი სჭეროდა ხელში და კოტის

* ნაწყვეტი მოგონებებიდან.

ნიტყეები ჩაეწერა. მისი შემოქმედება იმდენად გვიყარბდა და გვაღივებდა, გვიმონებდა და გვირაცებდა, რომ რეპუბლიკის დამოაყრების შემდეგაც კი ჩვენ კიდევ დიდხანს ვყოფიეთ მისი გავლენის ქვეშ... ეს ყველაფერი ასე იყო, მაგრამ ამ ჩანაწერების უქონლობა მაინც დიდი დანაკლისია.

ოსებ გუდვინიშვილის პიესას „სინათლეს“ ქართულ თეატრში დიდი ტრადიცია ჰქონდა! თუ არ ვცდები, ის პირველად თბილისის ქართულ თეატრში 1913 წელს დაიდგა. პიესამ და სპექტაკლმა არამყუდობრივი გამოხმაურება მოუტოვა. ყველას პირზე ეკრა სპექტაკლი „სინათლე“, მისი ვიორები, კუბუკ ავთანდილის გამარჯვება, ვიორაჯვება ნათელის ბნელეთზე, გამარჯვება გემლისა — ბოროტზე. პიესის დიდი გამოხმაურება ჰქონდა ქართულ საზოგადოებაში, დასი ესტუმრა ჯერ ქუთაისს და შემდეგ სხვა ქალაქებსაც.

მე ეს პიესა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდად ქუთაისში ვნახე. ბილეთის შოვნა მეტად ძნელი იყო, დიდი წყალობით, თხოვნით და მუდართით, სხვა თეატრისმოყვარულ ახალგაზრდებთან ერთად ძლივს შევძელი ბილეთის შოვნა. წარმოდგენამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. წარმოდგენის დამოაყრების შემდეგ თეატრს წინ მდგომი დამსწრე საზოგადოება დიდ ხანს არ დაშლილა და ყოველ მონაწილე მსახიობს ტაშის გრილით აცლებდნენ.

ასეთი გამოხმაურება ქართულ საზოგადოებაში პიესამ იმიტომ დაიმსახურა, რომ იგი მიზნდათ მეფის რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის სიმბოლოდ და თეატრი ამ ტრიბუნად, სიღიანაც ხალხს ესმოდა ბრძოლისადმი მოწოდება თვითმპყრობელობის დასაშობად.

პიესა კარგახანს შერჩა ქართული თეატრის რეპერტუარს, მაგრამ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პიესამ დაკარგა თავისი აქტუალობა და პოლიტიკური მნიშვნელობა. ამის შემდეგ იღვმებოდა, როგორც სახავვეო სპექტაკლი — ზღაპარი. მაგრამ ბავშვის უშუალო გონებისა და სათუთი გრანობებისათვის პიესის ზოგიერთი მოქმედი პირი გაუგებარი რჩებოდა და პიესა თანდათანობით ჰკარგავდა თავის მიმზიდველობას.

ახეთი იყო მდგომარეობა, როდესაც კოტე მარჯანიშვილი დაინტერესდა ამ პიესით. უნდა ილინიშნოს, რომ ამ დროს სახავვეო თეატრები, არ არსებობდა, წაჩხვლილი თუ იღვმებოდა აქავე საქხავვეო პიესს, ეს უფრო შემთხვევითი ხასიათის მოვლენა იყო.

კოტე მარჯანიშვილი ვძებნა ქართული თეატრისათვის სახავვეო პიესას, უნდოდა შეეძინა აღზრდებლობითი მნიშვნელობის სახავვეო სპექტაკლი. სხვადასხვა პიესის შესწავლის შემდეგ, მან „სინათლის“ დადგმა გადაწყვიტა.

როგორც ზემოთ აიყო აღნიშნული, პიესამ პოლიტიკური მნიშვნელობა დაკარგა კოტეს... ეს კარგად ვსმოდა. თავისი შეხედულებების დადგმავ კოტემ შემდეგანარად განგვიმარტა: „ის რაც ავტორს, იოსებ გუდვინიშვილს, აწუხებდა, ე. ი. ეროვნული საკითხი, თვითმპყრობელობის დამშობა, და, რაც მას იდეად ჰქონდა, ეს საკითხი ამჟამად აღარ დავს, და ასეთი გადაწყვეტილებით პიესა დღევანდელ მყურებელს არ ააღივებს. დღეს ამ პიესას თანამედროვე თეატრისათვის უნდა შევეხოთ, შეიძლება შევცვალოთ იდეაც და ფორმაც. განსაკუთრებით ხაზს ვუსვამ ამ მოქმედებებს, სადაც ფერები და ჯოჯოხეთი, ჩვენ ისინი უფრო სატირისა და იუმორის ფორმაში უნდა გადავწყვიტოთ.“

სატირის საშუალებით დავცინებთ უარყოფით მოვლენებს. ვამხელთ საზოგადოებრივ ბოროტებას, და წარმავლ მოვლენათა არარობას, სატირას ყოველთვის მიზნად აქვს პროგრესული მოვლენების განმტკიცება. სატირა უღობულად ამითახებს შათ, ვის წინააღმდეგაცაა მიმართული. დანაჩენ ტიპებს კი, რომელნიც დღებთადაა გამოყვანილი პიესაში, აუმორით მოვებყრობით.

ჩვენ ასევე, როგორც პიესაშია, მოქმედ პირებს ორ ბანაკად დავყოფთ: ბოროტი და კეთილი. ბოროტებში უნდა დავინახოთ თანამედროვე უარყოფითი პროვინციები, რომელნიც ხელს უშლიან ცხოვრების წინსვლას. შეიძლება მათში ჩვენ კონკრეტული პროვინციები გამოვიყვანოთ, ისე რომ ბარტერში მქდომმა იცნოს თავისი თავი.

ზღაპარი თავისთავად ზღაპრად დარჩება, თღონდ გველეშაები, ტიპები, დავრიშები და ეშმაკები თანამედროვე აღმინებლად უნდა გამოვიყვანოთ, ვამხლოთ და გავამთარახოთ. ბრძოლა კეთილისა და ბოროტების — ეს ხომ ზღაპრების მუდმივი თემაა და ზღაპრები ყოველთვის კეთილის გამარჯვებით მთავრდება.

ახლა ორიოდე სიტყვა საკეთის განმსახივრებლებზე. ავტორს ისინი ფერებიების სახით ჰყავს მოცემული. ეს ფერები უფრო რელიეფურია, მისტიკურ საწყისს წარმოადგენენ, ცხოვრებისაგან სრულიად გათიშულნი არიან, ჯოჯოხეთის, ქვესკნელის წარმომადგენლებს ისინი ებრძვიან, ეს თითქმის თავისთავად განყენებულად ხდება.

ისინი ცხოვრების სიბოლოდესთან უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი, ჩვენ ეს საფუძვლიანად უნდა შევცვალოთ. ფერები საფუძვლიანობით ბუნების ისეთ მოვლენებს, რომლებთან ჩვენ ყოველდღიურად გვაქვს საქმე, მავალითად, მზე, მთავარ, წყალი, ცეცხლი და სხვა ამგვარი. ამ ახალ გადაწყვეტას ავტორის ძველი ტექსტი აღარ გამოადგება და საჭიროა აწინება ახალი ტექსტის დაწერა. მიუხედავად იმისა, რომ პიესის ავტორი ცოცხალია და მეტად მოხარულიც არის, რომ ჩვენ მისი პიესის დადგმა განვიზრახეთ,

მინც მას არ მოეწევეთ ტექსტის დასაწერად. ახლი ტექსტი უნდა დაიწეროს თეატრში. რეპერტუარების პროცესში, იმპროვიზაციის სახით, ვარჯიშულ ამოცანებთან დაკავშირებით. ამას ვარდა, ასეთი მუშაობა მსახიობებში ერთობაშიაში გამოიწვევს, თეატრი ხომ სხაბრუნის სა-მეფოა, არაწვეულებრივ ბრწყინვალე სხაბრუნისა. ასეთ მუშაობაში მსახიობი იგრძნობს შე-მოქმედებით სხაბრუნს. ახლი ტექსტი პიესის-სათვის გამოიწველი, თავისთავად დაბადება აქ-ტორში.“

დადგმაზე, კოტემ მხატვართან ცალკე საუბარი ჩაატარა. ეს ის დრო იყო, როდესაც თეატრში მხატვრის როლი მეტრისმეტად განდიდებული იყო. დადგმებს აბასობებდა დეკორაციების სამხატვრო. სცენური სურათი დაფარული იყო მკ-შინერით. კომპოზიციები, ქონსტრუქციები, მრავალსართუ-ლიანი სახლები, კაბეები, მოედნები, ამალღებუ-ლი და დაბადებული, უხარმარარი ხეები ფი-რავდა სცენას. ჩვენი აზრით, სექტაციისათვის დეკორაციების სწორედ ამგვარი გადაწყვეტა შეეფერებოდა „სინათლეს“, ზღაპრს, სადაც ფანტასტიკური ვარგომ უფარავი დეკორაციე-ბით უნდა ყოფილიყო შექმნილი. ასეთივე აზ-რისა იყო ჩვენი მხატვარი ირ. გამრეკელი. მის უკვე შედგენილი ქმონდა გეგმა. ფანტასტიკა, ირეალიზმი, საზღაპრო მეფის დარბაზები, ჯოჯო-ბეთი, სამოთხე, ელემენტური ქრელი კოსტუმები, უჩვეულო რეკვიზიტები. ირ. გამრეკელი დიდი ხა-ნიდა ოცნებობდა ისეთი პიესის ვაფორმებამე, სადაც მისი მდიდარი ფანტაზია ფართოდ გაშ-ლიდა ფრთებს. კოტე მარჯანიშვილთან პიესის მხატვრული ვაფორმების შესახებ პირველი სა-უბრის შემდეგ ირ. გამრეკელი ფრთხილმოყ-რილი დარჩა. კოტემ მისთვის, რომ დეკორა-ციები გამოხატული ყოფილიყო მცირე, მეტრ-ველი დეტალებით. მაგალითად, პირველი მოქ-მედება, სადაც გამრეკელს უნდოდა დიდი, მო-წმენტილური ქართული დარბაზის აგება ზღაპ-რული ხეობით, კოტეს ჩანაფიქრით უნდა ყოფი-ლიყო ის ადგილი, სადაც მეფის ვანშატოვება სურდა, სურდა მოსცილებოდა სასახლის ზმა-ურს, სადაიადეს და უახლოეს პირებთან ვანგ-რძი ლხინი, მისცემოდა თავდავიწყებას. ავტო-რის რემარკა ასეთი იყო: „მარჯანიშვილს სასახლის შესვლით კარები, წინ უბო, სამი დიდი კაქლის ხე, შუა ხის ძირში ბალდაბინი მელღ-დელაფლი-ხაფის. შუაში ვაწყობილა დიდი სურფა, უკან კი — მოსჩანდა სასახლის დიდი ბაღი“. კოტე არ ეთანხმებოდა ავტორს.

კოტეს აზრით, უნდა მოწყობილიყო ინტიმ-ური კუთხე. „აქვე მსახური სწავას მწეადებს, დგას პატარა მივება, სადაც მხოლოდ ოთხი კა-ნი მოთავსდება; ხოლო, რაც შეეხება ტყვის, ახ-ლის დაბატვა საჭირო არ არის, ასეთი ტყე ჩვენ უკვე გვაქვს, წინა წარმოდგენაში გამოყენებული და თუ ის დაქველდებულია, განახლებთ“, —

უთხრა კოტემ გამრეკელს. კოტემ მოითხოვ-ყოფილიყო მხოლოდ ორი მძალი, ტემი, კრ-თი ალისფერი და მეორე მტრედისფერი, რთ. მელნად სიმბოლურად გამოხატავდა პირობისა და კეთილის ბრძოლას. „კი მაგრამ ხომ საჭე-რია კლდე, რომელიც უნდა გასდეს და საიდა-ნაც დაერიში უნდა გამოვიდეს?“ — გაკვირვებით შეკითხა ირ. გამრეკელი. „დაერიში ამირანი ხომ არ გგონიათ? — უბასუხა კოტემ. — რა-ტამ უკავშირებთ მას აუცილებლად კლდეს-დაერიშს, ამათ, ფრენაც შეუძლია, დეი იფრინოს, ჩამოფრინდეს, თუ შეუძლია.“ აქ, მაგრამ, ჯოჯოხეთი როგორ ვავიგოთ? — კეთ-ხეზოდა გაკვირვებული ირეკელი, — აქ ხომ აუცილებელია ფანტასტიკური ვარგომ? — იც-კითხავე კითხვით უბასუხა კოტემ. — არ გხვდ-ბათ ქართულ ზღაპრებში? — გამოქვაბულა, ცეცხლი, დიდი ქვაბი, დიდი კოჭი, ჯაჭვი, დამ-წვარი ზე. აი ჯოჯოხეთის მოწყობილობა. მოთხა-რით, რა არის აქ არარეალური, ფანტასტიკური? ამას ვარდა, მე მგონია, ჯოჯოხეთი უველგანა, სადაც ცელი ხალხი ცხოვრობს. ჯოჯოხეთს ხალ-ხი ქმნის და არა ჯოჯოხეთი ხალხს. მაგრამ რთ-გორ შექმნით ატმოსფეროს, როგორ შეახამებთ ფერებს, — ეს თქვენი საქმეა. ამგვარიც, ვთხოვთ, კონსტრუქტულად, მცირე დეტალებით, მაგრამ დიდი გამოსახულებით შექმნათ მეტრ-ველი დეკორაციები“.

ავტორის პიესაში სამი მოქმედება აქვს 7 სურა-თად, კოტე მარჯანიშვილის გადაწყვეტით მას უნდა დამატებოდა კიდევ ორი სურათი. პირველი სურათი იყო უსიტყვო, პანტომიმა მუსიკით, ხა-ლად დღის რეგრეზე დედოფალს თავისი ამა-ლით უნდა მოეწვეოდა ვარდი და შეეცა. აქ დე-კორაციულად საინტერესო იყო ვარდის ბუჩქი და დილის რეგრეზე. შემდეგი სურათი მეფის სასა-ხლე: კოტემ შეუქვეთა მხოლოდ ერთი ხახ სვეტი ქართული ჩუქურთმებით და სამეფო ტახ-ტი ყოფილიყო ბალდაბინის ვარგე, ფერიების სცენას კოტე მარჯანიშვილი ასე ხსნიდა, რომ მზე, მივარე, ცეცხლი, წყალი — ეს ყოველ-დღიური მოვლენები და შეიძლება იყენენ მე-ფის დარბაზშიც, სამეფო ბაღშიც და საერთოდ უველგან, ხოლო საინტერესო იყო, თუ როგორ განათებდა, როგორ ვაბარწყინებდა მზე და მივარე ვარგემოს.

— უკანასკნელ მოქმედებაში კი, სადაც გვე-ლეშაბი გამოჩნდება, — დასძინა კოტემ, — არაა საჭირო კლდეების გახეთქვა, ხეების მოგ-ლეჯა და სხვ. ასეთი ცხოველები ან მღონარის ნაირზე ირანი ან ველზე დაღიან, დაქებენ თა-ვის მსხვერპლს. თუ გსურთ, შეგძლიათ ამე-ღლებით ადგილი შექმნათ, ეს — გამარჯვებუ-ლი ავთანდილისათვის, ხოლო ქვეყნების ძა-ლა — გველშაბი დაბლა იქნება დაგდებულ-შემდეგ უნდა გვახსოვდეს, რომ გველშაბი ზე-

ბერია, დღემ მოსაზრებულობით არ გამოირჩევა და მის მიერ, დასმულ კითხვებზე ავთანდილი ძალიან ადვილად უპასუხებს*.

არ, გამრეველი კარგად მიუხვდა კოტე შარვაშივილს ჩანადიერს. მისთვის ვახაგები იყო, თუ როგორ უნდა გამოეხატა არეალური სამყარო რეალობაში. შარვამ ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, თუ როგორი იქნებოდა კოსტუმები და შესვლადა თუ არა თავისი დაუმრეტელი ფანტაზიის გამოყენების. კოტე შარვაშივილი მიუხვდა ზრახვებს და მოკლედ მოუტრა: „შეგონი, ახალი ტანისამოსის შექმნა არ დაგვიბრუნდება, ახლახან სწორედ ოპერაში ჩემი დღეგმით განზორციელდა „აბესალომ და ეთერი“ შევარდნაძის მხატვრობით, შესანიშნავი ტანისამოსით. „აბესალომიც“ ხომ ლეგენდაა, ფანტასტიკურობის გამოხატულები მუდამა, დედოფლისა და სასახლის სტეა წვერითათვის ის ტანისამოსი გამოკიყნოთ, აუცილებლად კარგად გამოვადგვება რაც შეეხება ფერიებს, ისინი მათ სახელებს დაემაგვასთ — ცეცხლი, მზე, მთვარე და სხვა. ცოცხლებში კი თანამედროვე ტანისამოსი ჩავაყვით მოქმედ პირებს. მხოლოდ დღევანდით ვრძელი კედი და თავზე პატარა რქები. დაერიშს კი არც კედი უნდა და არც რქები. დაერიშს ხომ შეუძლია სხვადასხვა სახედ გარდაიქმნას, ისე როგორც ცხოვრებაში ყოველ მლიქვნელს, შავენ და ბოროტი ზრახვების ადამიანს. თქვენ თუ ამითი ტექსტიკა ვაინტერესებთ, ეს მე ჯერ არა მაქვს, ეს შეიქმნება იმპროვიზულად, რემეტიციების მსვლელობაში, რაშიც თქვენ აუცილებლად ატრირ მონაწილეობას მიიღებთ. თქვენ ხომ გაყვართ რემეტიციებზე დასწრება.“ და შარვად, არ. გამრეველი თითქმის ყველა რემეტიციას ესწრებოდა. იგი არასოდეს არ ქმნიდა განყენებულ დეკორაციას ან კოსტუმს, კვლელთვის გამომდინარეობდა წარმოდგენაში მონაწილე მსახიობის მოქმედებისაგან. ეს იყო მისი დიდი ღირსება.

არა თქმა უნდა, ისეთ ზღაპარს და სანახაობით წარმოდგენას, როგორც „სინათლე“ იყო, მუსიკალური გაფორმება უნდა ჰქონოდა. კომპოზიტორ თამარ ვახუშტაშვილს, რომელსაც ეს საქმე დაეკისრა, კოტემ სთხოვა მუსიკა მხოლოდ ხალხურ მოტივებზე და ხალხურ პანგებზე აეგო. მასში არაფერი არ უნდა ყოფილიყო ისეთი, რაც მავრტებლისათვის უცხო იქნებოდა. ლიტერატურად კოტემ კომპოზიტორს ურჩია აეღო ვარაშვილის „სამშობლო“, ეს ყველასათვის ცნობილი და საყვარელი პანგი. სპექტაკლი „სამშობლო“ პანგებზე ამოკანებული მუსიკით იწყებოდა. სპექტაკლის მიმდინარეობაში იგი ვხადავდა გამოვლინდებოდა ხოლმე, ხოლო ბოლოს, საკულმინაციო სცენაში, ზეიმზე, გამარჯვებული ხალხი „სამშობლოს“ მღერობდა.

ქართველი ხალხის მებრძოლი სულის გამოსახატავად კოტემ მიზანშეწონილად ცნო გამო-

ყენებელი ყოფილიყო ხალხური გმირული სიმღერა „ქართული, ხელი ხმალს იყარ“. ამასთან, კოტე დაიფენებით მოითხოვდა მუსიკურ რუგანულად შერწყმობა მოქმედებას, მოქმედებებზე სულიერ სამყაროს და არ ყოფილიყო ზოგადი, საერთო ილუსტრაცია, როგორც ეს ზნობრად ხდებოდა მამინდელ წარმოდგენებში. ასევე როგორც მხატვარს ირავლი გამრეველს, თამარ ვახუშტაშვილსაც ჰქონდა უნარი ჩამწვდომოდა კოტეს ჩანადიერს, სწორედ ვიგო მის მიერ სპექტაკლის გადაწყვეტა.

მოსალოდნელი იყო, რომ წარმოდგენას ბევრი ტექნიკური სიმრეულე ვადელობებოდა. ამტომ კოტე შარვაშივილმა დეტალურად დაამუშავა სპექტაკლის ეს მხარე სცენის მემანქანესთან და საამქროების ვაშგევეთან ერთად. სცენის ტექნიკურ პერსონალს უყვარდა კოტე. მისი ყოველი სიტყვა და სურვილი სტიმული იყო მათი თავდადებული შემოხობისა. როლები განაწილებაში ბევრი უჩვეული ამბავი მოხდა. დასის შემადგენლობა კარგად იცნობდა პიესას, შარვამ როლების გამოცხადებულ განაწილებაში იყენებ ისეთი მოქმედა პირები, რომელნიც ატორის არ ჰქონდა, და არავინ იცოდა, თუ რას წარმოადგენდნენ ისინი. ფერიების როლები, რომელსაც წინათ ჩვეულებრივ ქალები ასრულებდნენ, ახლა უნდა შეესრულებინათ ვე მსახიობებს შ. ლამბაშიძეს, მ. ლორთქიფანიძეს, და შ. მალაკელიძეს, აგრეთვე ცოცხლების სცენებში მათვე უნდა განესახიერებინათ ეშმაკი-ლიაკანი, ეშმაკი — ვეარბი, ეშმაკი—გორილოვი, ეშმაკი — რეცენზენტი, ეშმაკი „არც იქითა ვარ, არც აქით“ და სხვა. ამასთან დამატებული იყო ჰიმები. მათი შესრულება დავიკრათ დამსახურებულ არტისტ ქალებს — ნ. დავითაშვილს, ნ. ჯავახიშვილს, ც. წერეთელს, შ. შოთაძეს. წინათ გველშეპას როლს ყოველთვის ასახიერებდა დაბალი, შგრვინივი ხმის მფლობელი მსახილ სარაული. შარვაშივილის სპექტაკლში კი გველშეპას როლი უნდა შეესრულებინა ბატონი კარიშვილი, რომელსაც ეს თვისება სრულებით არ ჰქონდა და უფრო სახასიათო როლებს ასრულებდა, და ასე შემდეგ. როლებს განაწილების თავისებურება რომ უფრო თვალსაწიწი ვახდეს, ჩამოვეთვლოთ მათი შემსრულებლები: მედევი გომურაი — უშანგი ჩხეიძე, დედოფალი — ც. ამირჯიანი, ელ. დონაური; მფლის შვილები: ავთანდილი — ბ. შავიშვილი და გორგასია — ბ. გამრეველი, ნ. მესხიშვილი; სპასალარი — ბ. კანდელაკი; ევზირი — გ. ჯიქია; I დესპანი (ჩრდილოეთიდან) — გ. შავია; II დესპანი (ჩრდილოეთიდან) — გ. სარჩიშვილი; I კარისკაცი — შ. წერეთელი; II კარისკაცი — ნ. ჩხეიძე; I გლეხკაცი — ს. სარაული; II გლეხკაცი — შ. ვარდოშვილი. დავარიში, ქაქთა მედევი — ა. ხორავა; ქაქთისანი, მისი დედა — ნ. ჯავახიშვილი, ც. წერეთელი; ეშმაკები: ყარამანი, — გურული გაფხეკელი ახ-

ნაფრი — ს. ეორეოლიანი; ეშმაკი სომეხი ვა-
კარი — ვ. გოძიაშვილი; ეშმაკი, დიაკვანი —
სულავერი; ეშმაკი — კომპოზიტორი-რე-
კონსტრუქტი — ბერიამვილი; ეშმაკი-დრამატურ-
გი — ეშმაკი — გიორგიშვილი. 3. კობახიძე:
ეშმაკი — „არც იქით, არც აქით“. ფერები: პი-
რაზზე — ვ. ანკაფაბიძე, თ. წულუკიძე; მთვარია
— შ. ლაშაშვიდი, ნათელა (ეცხლო) — მ. ლორ-
თიფანიძე; ანკარა (წყალი) — თ. ჭავჭავაძე;
მხედარი — ბ. მაღალაძე; ძიძები: ნ. ჭავ-
ხიშვილი, ნ. დავითაშვილი, ც. წულუკიძე, პ. შო-
თაძე და კიდევ 6 თანამშრომელი ქალი.

როლებს განაწილებს დართული ჰქონდა
განყარვლება, რომ მისობრივ სცენებში მონა-
წილობა მიიღო მთელ დასს და პიესის ყველა
თუთი ენას სიცოცხლეშივე მის ნაწერებში განუყოფად ასწორებდნენ „მიუღებელ“ ფშაურ ენობრივ ფორმებს თუ სიტყვებს. ამ ნიშნავზე ვაჟს ყოველთვის ბრძოლა უბღებოდა რედაქციებსა და გამოცემლობებთან. ვაჟს ენას სხვადასხვა რედაქციები და გამოცემლობები სხვადასხვაგვარად ეკიდებოდნენ: ზოგს მეტი ცვალებები შეჰქონდა ტექსტში, ზოგს — ნაკლები. პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისას ესეც გათვალისწინებულ უნდა იქნეს. ყველაზე მეტი სამსახურის გაწევა მიიწევს ვაჟს ავტორგაფებსა და ფშაური დიალექტის თავისებურებების გულდასმით შესწავლას შეუძლია.

აქედმეორ გამოცემაში ზოგჯერ ცალიან ხოლმე პირველნაბეჭდში დადასტურებულ ფშაურ ფორმებს. ეფიქრობთ, ეს ყოველად დაუშვებელია: უავტორგაფო ტექსტში პირველნაბეჭდისეული ფშაური ფორმა თუ სიტყვა უნდა დაეტოვოთ, რადგან ფაქტია, რომ ის ვაჟს ენათვის: რედაქციას ხომ არ შეეძლო ვაჟს მიერ ლიტერატურულად გამართული სიტყვა თუ ფრაზა ფშაურად გადაეცეთინა? ხდებოდა სწორედ პირიქით.

ვაჟს თხზულებათა გამოცემებში დაშვებული შეცდომების დიდი წილი პირველნაბეჭდისეულია: პოეტის ტექსტს ზოგჯერ რედაქციებში ასწორებდნენ, ზოგჯერ კიდევ შეცდომებს უშვებდნენ იმის გამო, რომ ტექსტი ან სიტყვა არ ენობრად და გაუგებარ ადვილს თავისებურად „ააზრობანდნენ“, თავისებურად ცვლიდნენ.

ამგვარი შეცდომები, სამწუხაროდ, ახალ გამოცემებშიც შეორდება. ვიღაც შეცდომების განხილვაზე გადავიდოდეთ, ვაჟს ტექსტისადმი გამოცემელი დამოკიდებულების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს. მოთხრობაში „წისკვილი“ კეთილბოლო: „ზოგი „საღვარეში“ ძვრებოდა და ბორბლებს ჰინჯავდა“

(III, 93,7); ა „ზოგი „საღვარეში“ შეტარა.“ (III, 96,11). პირველნაბეჭდში „საღვარე“ ნაცვლად იყოთება „სალორე“ (წიქქელის ქვედა სართული). III ტომის გამოცემებში (გაშარაშენი და ლ. სანაძე) ვაჟსეული სიტყვა „სალორე“ „საღვარე“დ გადაკეთეს და შენიშნეს: „თუმცა ეს უკანასკნელი ფორმა („სალორე“ — ა. ჯ.) ჩვეულებრივი ფშაური დიალექტისათვის, მაგრამ მსიური მკითხველსათვის გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მისი იარიანტი გატანა გამოცემაში“ (ტ. III, გვ. 532). ჩვენი აზრით, ასეთი გასწორება დაუშვებელია. ამგვარი ფორმების შეცვლა მწერლის ენას დაამახინჯებს. გაუგებარი ლექსიკონში ან სქოლიოში უნდა აიხსნას, ხოლო ავტორისეული წაკითხვა ტექსტში უცვლელი დარჩეს. განა შეიძლება, რომ რუსთაველს „გაუგებარი“ სიტყვები გასაგებთ შეეცვალოთ? ალბათ, ბევრი ვაჟსეული „გაუგებარი“ სიტყვა თუ ფორმა ასეთი პრინციპით სწორდებოდა პირველნაბეჭდებსა და ადრეულ გამოცემებში. ამიტომ იტყობნა ასეთი სიტყვულ ვაჟს უავტორგაფო თხზულებებში, ამიტომ ჰირს ვაჟს ტექსტის ენის დადგენა.

ამ წერილში ჩვენ განვიხილავთ ისეთ შეცდომებს, რომლებიც ტექსტის ან ცალკეული სიტყვის მნიშვნელობას ამახინჯებენ. სხვა რიგის შეცდომებს მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეხებით, როცა ისინი ორ ან მეტ გამოცემაში შეორდებიან, რადგან ასეთი გამეორება იმის ნიშნია, რომ გამოცემლები ვერ ამჩნევენ ან არ თვლიან მათ შეცდომად.

შეცდომების ერთი წილი გრაფიკული ხასიათისაა: გამოცემლები მცდარად კითხულობენ, ერთმანეთში ურევენ დაწერალობის მიხედვით მსგავს ასოებს.

ზნორად ირევა რ და ს ასოები. პირველნაბეჭდში დაშვებული ზოგი ასეთი შეცდომა გასწორებულია შეიღომეულსა და აქედმეორ გამოცემაში. პირველნაბეჭდში იყო: „სამახს“, — გასწორებულია: „სამარხ“ (V 338,8). იყო: „ორახ ტყეამა“, — გასწორებულია: „ოხის ტყეამა“ (IV, 302,3); იყო: „სახელ“, — გასწორებულია: „რახელ“ (როგორ; V, 351,1); იყო: „გადარეული“, — გასწორებულია: „გადარეული“ (I, 326, 10); იყო: „მორევა“, — გასწორებულია: „მიხევა“ (I, 81, 20; რითმა: „ისევა“).

როცა გამოცემა საგანგებოდ არ არის აღნიშნული, ვგულისხმობთ უკანასკნელ, აქედმეორ გამოცემას. პირველი ციფრი გვჩვენს აღნიშნავს, მეორე — სტრაქონს (ზემოდან); ლექსებსა და პოემებში „A“ პირველ ხვერს აღნიშნავს, „B“ — მეორეს. აბაშელისეულ შეიღომიან გამოცემას აღნიშნავთ შემოკლებით — „შეიღომ“.

სამწუხაროდ, ანალოგიური შეცდომები ზოგან ახლაც ვაუსწორებლად დარჩენილა; მაგალითად: „(გაბანის ცხვარ-მროხა) ასობით სამდენ იქნება, სწორად არ ვიცი; რა ვითხრა“ (IV, 149, 21; ასეა შეიღტომ.); ხელნაწერშია: „რამდენ იქნება“ (ეს სწორი ფორმა ვატანილია ვაჩიანტში).

„სად მიზნი, ნეტავ, ბედლავ, სასყელს რად ვაეშორებნი? (II, 42, B 31; ასეა შეიღტომ.); დევი ბედელა სასყელს იმიტომ „ვაეშორება“ (ვაურზის, ემალება), რომ სიკვდილი მოვილის. ამდინად კითხვა: „რად ვაეშორებნი?“ უაზროა. უნდა: „სად ვაეშორებნი?“ ბედელას ეკითხებიან: რამ მიზნიზარ, სად ვინდა წახვიდე, ლუთისაგან მოვლენილ რისხვას სად დაემალება („ვაეშორებნი“-ო?

„დიდ ბრალ არავ, დიდ ღმერთის წყენაი“ (V, 45,1); უნდა: „ბრალ ასავ“ (- არისო). „აღარ არ შიელი“ (V, 338,7); უნდა: „ას“. ასევეა იქვე: V, 338,18; V, 175,34; IV, 204,19 და სხვ.

„რალაც ხმა მას აქელ ამერია და მომძახის“ (IV, 584,7); უნდა: „ამხია“ (ამევა, ამედვენა, ვადამკეილი).

ვყავსთან ავათხება ასეთი წინადადება: „მოიკათ, ქაჟან, რა გეჩქარებთ: ზოგი ბიჭობა შემოღგომავზე დაიკვეხეთ, როცა საბასოდ ვაემგზავრებთოი — ამბობდნენ კალმანები ღიმილით“ (IV, 55,35; ასეა შეიღტომ.); ლაბარაკია არაგვიმ ქვირითის დასაყრელად ასული ორაგულების უკან, ბარში ღამრუნებზე და იმ ვასპირზე, რაც მათ ამ გზაზე მოელოთ და ცხადია, უნდა აკითხებოდეს „საბაროდ ვაემგზავრებთოი“ და არა „საბასოდ“. იქვე ვევა წერს: „(კალმასს) ჭირივით ვაერებოდა ქვეით, ბარად ჩამოსვლა“-ო (IV, 58,16). „საბაროდ“ ფშავრად ნიშნავს: „ბარისკენ“. სიტყვა „საბაროდ“ რ და ს ასობების აღრევის ნიდაგზე წაეთხელქენა, როგორც „საბასოდ“, ხოლო ა (სიტყვის ვასამართავად) ჩავატა და მივიღეთ „საბასოდ“.

სხვაგან ვევა წერს: „ზედ თვით ზევსური შემჯარა... და ზაყხაყით მიძქმუნულუს საბარად თავის „ჟორჟასა“-ო (V, 452,8); აქაც უნდა: „საბაროდ“, რადგან კონტექსტის მიხედვით ზევსურები „საბარად“ (საბარავად) ვი არ მიდიან, არამედ საბაროდ (ბარში, ბარისკენ) მიდიან და ცოცხები მიავთ ვასაყოფად. შდრ. აგრეთვე: „საბაროდ ვადამავთოდა ამბავს ვკითხვდით წერითა (II, 74, „B“.).

ვევის აქვს ერთი ლექსი, რომელიც იბეჭდება სათურით: „იმედი საზიკაული“ (ტ. 1, გვ. 80). ამ ლექსის შესახებ აღ. იმედი შენიშნავდა: „ამ ლექსის ავტორადი ჟერჟერობით ვერ აღმოვიჩინეთ. ვეადიგებებს ვეარი ს ა ბ ე კ ა უ ლ ი. შესაძლოა დედანში ყოფილიყო რაზიკაული“-ო

(შეიღტომ. 1. გვ. 339). ჩვენთვის ესა ვასვენებული პოეტის ვარაუდი უამკველი ფაქტი: თავი რომ დავანებოთ რ და ს (სხვებში) ლტყვის შემოთავანილულ მაგალიტებში („რაზიკაული“ ამოუკითხავთ, როგორც „საზიკაული“), არის კიდევ სხვა უტყუარი საბუთი იმის დასამტყაყებლად, რომ ავტორადი უნდა ყოფილიყო „რაზიკაული“.

თი, რაზიკაულიის მიერ შეკრებულ ფშავრ ლექსებში არის ლექსი „სიკვდილი იმედი რაზიკაულიისა“ (გვ. 44). ჩვენ ეს ლექსი მოვყავს მთლიანად, ვინიდან ის არის წყარო ვეას ზემოსხენებული მშვენიერი ლექსისა. ხალხურისა და ვეას ლექსის შეპირისპირება თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ როგორ. ასტატურად იყენება და ამუშავდება ჩვენი გენიალური პოეტი ხალხურ პოეზიის. აი, ეს ხალხური ლექსი:

„იმედო რაზიკაულიო, ღმერთმა ვაცხონის მკვდარიო, რად დავგაობლე სოფელი, თავზე რად დაგვეცე ცანიო? ვინლა მელის სოფელსა, ვისლა აქვს იმის თავიო? ვისლა შავარტყათ წელზედა შენი ნარტყამი ხმლიო? ვამეილადება დეშმანი, პირიჭით დაღისტანიო. წამოვლენ სამეკობროდა, უნდა იყარონ ჯაგრიო. ბევრი გამობრეს ყორნებმა ლეკო, შენის ხმლით მკვდარიო. ბევრ მონადირე შახვდება, სადაც შენ ნაოშარიო. შინდობით მოვიხსენიებს: „სულთ იაღმიც არიო! ღიამც დავხვდება, იმედო, დიდი სამოთხის ჯარიო! ბევრის ტყვის დედას შავრე ცრემლით ნაბანი თვლიო! სოფელი დავენამუსე, არ მაყავნე ვეარიო!“

მეორე ხალხურ ლექსში („ჩარგალში მტერი მოვიდა“, რაზიკ გვ. 69) მოთხრობილია, თუ როგორ ვმართლად შეხვდნენ ჩარგალელი ვა-

1 „ხალხური სიტყვიერება, ტ. III, ხალხური ლექსები თედო რაზიკაულიის მიერ ჩაწერილი, მის. ჩოქვიანის რედაქციით, 1953 წ. (ქვემოთ, შემოკლებით — „რაზიკ.“). ეს ლექსი და ვადმოკება იმედი რაზიკაულიზე მოყვანილია აგრეთვე ვეას შამის ბ. რაზიკაულიის ავტობიოგრაფიულ ნაწყვეტში, რომელიც 1937 წ. ს. ყ უ ბ ა ნ ე თ ვ ი ლ მ ა ვამთაქვეყნა წიგნში: „ვეა-ფშაველა, დოკუმენტები და მისაღები“ (გვ. 4, 8).

ტყელები სამეკობროდ მოსულ ლეკებს. სხვა-
თან ერთად ქება-დადებით არის მოხსენებუ-
ლი იმედო რაზიკაშვილიც. შტრის თავდასხმა
„ჩარგლის კარს იმედს გავგო, მოჭროდა ნიავ-
ჭარია... იმედო რაზიკაშვილო, მგელო, გაიხვენი
გზანიას... სადილობისას გაიღო იმედის თოფმა
ბმინია...“

აი, ეს ხალხური ლექსები დასდებიო საფუძ-
ვლად ვეყს ერთერთ საეკეთესო ლექსს. ვეყს
ზოგი გამოთქმა პირდაპირ ეხმარება ხალხუ-
რი ლექსისას. შეადარეთ: ხალხური: ბევრის
ტყვის დედას შააშრე ცრემლით ნაზანი თვა-
ლიო¹ ვეყ: „ვინდა შააშრობს ტყვეებსა
ცრემლს, ჩაშომდინარეს თვალზედა?“

რაზიკაშვილების გენეალოგიურ შტოში იმედა
ვეყს პაპის პაპია: ლუკა (ვაყ) — პაეღე —
გვიე — ბერო — იმედა — ქუმსი — რაზიკა.
ჩარგალში, ვეყს სახლის ახლოს ახლაც უჩვე-
ნებენ ადგილს, სადაც ამ იმედას ჩაურგავს გა-
კლის ხე. ამ ადგილს ახლაც იმედს კაკლო
ეწოდება.² როგორც ჩანს სწორად ეს იმედა,
როგორც ხალხური ლექსებისა, ისე ვეყს ლექ-
სის გმირი. შეიძლება ვინმემ იფიქროს: ვეგბა
ვეყამ შეგნებულად გადააკეთა „რაზიკაული“
„საზიკაულ“-ადო, მაგრამ ვეყს არ უყვარს გა-
მოგონილი გვარსახელები, მას ყოველთვის
ცნობილი გვარსახელების ხალხი ჰყავს გმირე-
ბად, ზოლო ვეყარი საზიკაული მთაში არ არხე-
ზობს. ამიტომ განხილულ ლექსში „საზიკაუ-
ლო“ უნდა გადაკეთდეს „რაზიკაულ“-ად.

ვეყს ფტოგრაფთა ცუდად ამოკითხვის შე-
დგედალ არეულთა აგრეთვე ს და ო: სწორედ
რომ იტყვიან, დროყმი უქელმა შობარუნდას,
ამაზე იტყვიან³ (IV, 649, 1); უნდა: „მობრუნ-
დაო“.

„ღმერთ დასწყიოს შონა სული. რახელ მოგ-
ეხიბლა ვაყებს“ (IV, 206, 2); უნდა: „ღმერთო“,
„ვაყებო“.

„მეველი ნახვართან“ (III, 424, 33); უნდა:
„ნოვგურთან“ (ყაცის სახელია). შტრ. იქვე,
ქვემოთ: „ნოვგური კარგა დამიხვდა“ (III,
425, 35).

ზოგი ასეთი პირველნაბეჭდისეული შეცდომა
ვასწორებელია: „მპოვო“ (V, 278, 21), იყო:
„მპოვასა“; „სახუნაოდი“ (I, 101, 25), იყო: „სა-
ბუნასადა“; „თავმოსაპარხიო“ (IV, 118, 17),
იყო: „თავმოსაპარხის“ და სხვ.

ასევე არეულთა ი და თ: „ვაგ მათ თუ
ვტყუე“ (I, 11, 147, 19; ასეა შეიღტომ.); უნდა
„ვაგმაი, თუ ვტყუე“ (-აჰა, თუ ვტყუე; აი,
თუ ვტყუე). „შაიჭან ღებილია (ბროხა), შაიჭ-
-

მიჭან მგელიო“ (IV, 154, 3; ასეა შეიღტომ.);
უნდა: „შაიჭმიჭან მგელიო“. შტრ. შერთე ან-
დაზა: „გომია აქეს და მგელნი/შეგეპუსო“,
„წვერთა პეშლეკდის, თაემომწინასა/ჩახხარ-
კონათ“ (V, 294, 9; ასეა შეიღტომ.); უნდა: „ჩა-
ხარკონათ“, რაც ნიშნავს ქონდრასკაცს, რი-
გორც ეს ვეყსაც აქეს იქვე, ფრწილემში ვინ-
მარტებელი. ეს ამბავი შეიტყო გმირმა გიგ-
ელიმ და გამოუღდა „მეგობარი“ (V, 461, 29);
უნდა: „მეგობარი“. ძირითად ტექსტში სწორა-
დაა დაბეჭდილი, აქ კი ხელნაწერი მუდარად
ამოკეთისათე. „ფშავეში ეს ლექსი მშვენიერია
და სხვაგან კი გაუგებრებული, მართლდს მო-
კლებული“ (V, 45, 28; ასეა შეიღტომ.) ვეყს
კონტექსტის მიხედვით უნდა იკითხებოდეს:
„მარლიდ მოკლებული“. „ნაძღენვეი ნაწიარმე-
ბი როგორ შეიძლება დაიწეროს ისე, რომ ვი-
საც უძღენ, იმათი დახსიათება არ გაერთოს“
(V, 273, 17); უნდა: „აერთოს“, როგორც ეს
იმაშელთანაა. ახალი გამოცემა მეჭანეტრად
იხორავს პირველნაბეჭდისეულ შეცდომას.
„რარეგს ზოლი გამაჰყუდებს“ (IV, 202, 15;
ასეა შეიღტომ.); უნდა: „ზოლი გამაჰყუდებს“;
„სახ სარჩი ავაგხვ“ (V, 252, 37; ასეა შეიღ-
ტომ.); უნდა: „სარჩოთ“ (სარჩოთი, ქონებოთ).

ვეყს ხელნაწერში ერთნაირი მოყვანილობი-
საა და ბეჭდვამი ვრევეთ აგრეთვე წ და ზ ასო-
ები: „ვაჟმინდა სისხლიანი წრო (სხარზე დასაგე-
ბი წვეტიანი რეინა)“ (III, 496, 21); უნდა:
„წრო“, როგორც ეს შეიღტომეულშია. „(ბზო)
წყაიებზე ფეხი უსხლტებოდა“ (IV, 582, 21),
უნდა: „წლავებზე“ (ზღვი — ხის ან ქვის ია-
ტეი მოსელში). ზოგი ამ სახის შეცდომა ვას-
წარებელია: იყო: „ლაზა-ღუზი“, ამაშელმა
გაასწორა: „ლაწა-ღუწი“ (შეიღტომ. VI, გვ.
550).

წ-წ: „წინან-გაუბოხელი“ (IV, 204, 26; ასეა
შეიღტომ.); უნდა: „წინან-გაუბოხელი“ (ტუნ-
წო, ჭეხარშივე). წიწანი — ხევსურულად პა-
ტარა, სავრბოე ქამს ეწოდება.

წ-ზ: „სურდოს (ხამანდის) ლოკეა“ (V, 62,
21; ასეა შეიღტომ.); უნდა: „ხამანდის“. ხამა-
ზდი ფშაურად სურდოს ეწოდება. ასეა ხევსურ-
ულადაც. შტრ.: „მელექსეს თუ რას იკით-
ხავთ, გამაბობთ „ხამანდინა“ (ხეეს. პოეზ.
გვ. 265).⁴

შ-ა: „დასავლეთისევე მვედიოთ შვეცა ჰქრე-
ბა“ (IV, 300, 6); უნდა: „დასავლეთისევე“
(დასავლეთისევე; — კენ თანდებელი ფშაურში
ხშირად გვხვდება — კე, კ ფორმით). „გამორე-
კა საქონელი შინათვე“ (V, 381, 16; ასეა შეიღ-
ტომ.); კონტექსტის მიხედვით „შინათვე“ უად-
გილოა, უნდა: „შინათვე“ (სახლსკენ). „ისრა-

¹ იხ. ს. ყუბანიევილი, ვაჟა-ფშაველა, დოკუმენტები და მასალები, 1937 წ. გვ. 45.

² თეთონ ვეყ წერს: „ერთხელ მაიპქვენებმა ჩხუბი გამიხადეს... იმედის კაკლით, აღდგომა აღდეს“ (III, 418, 27).

⁴ ა. წინიძე, ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, 1931 წ. (შემოკლებით: „ხეეს. პოეზ.“).

30 წერილთ-გორისაგან წამივიდნენ“ (III, 63, 16; ასეა შეიღტომი); უნდა: „ისრიკე, წერილთ-გორისაგან“ (ისრიკე — იქით, იქითყენ). შდრ. აგრეთვე ანალოგიური შეცდომები: „მარცხნისაგ ჩამოვიარა, მარცხნისაგ ვიყავა ზინი“ (რისიკე, გვ. 24); უნდა: „მარცხნისაგ“, „მარცხნისაგ“.

კ—გ: გასწორებულია კ და ვ ასოების აღრევის ნიადაგზე პირველნაბეჭდში გასარული შეცდომები; იყო: ვარებულადა, — გასწორებულია ვარებულადა (ხარებულადა V, 309, 4); იყო: ვარია, — გასწორებულია: ვარია (ხარია, V, 200, 27); იყო: ავდება, — გასწორებულია ავდება (ახდება, V, 309, 4) და სხვ. ამ რიგის შეცდომები ზოგჯერ ახალ გამოცემებშიაც იბარება: „ნივზურს ხელი წამოვიღო, დაღვეს ცეცხლის ჩინჩხელაო... ისეთ მკლავებ დაგიქნო, როგორც თხის ძირხვენაო“. (IV, 148, 17, 19). ეს ნაბეჭდი ტექსტი გამოცემულებს ხელნაწერისათვის შეუღებიათ და შენიშვნებში (გვ. 643) წერენ: ხელნაწერში „ხელა“-ს ნაცვლად „ველი“ იკითხება, „თხის“ ნაცვლად „თივის“-ო. ცხადია, ხელნაწერში იკითხება არა „ველი“ და „თივის“, არამედ „ველი“ და „თივის“.

ზ—ბ: „სადა ხარ, ნემო არწივო, გულზედ ნისკარო დამკარა, გულიდამ სისხლი მიღწე, თუაღიღამ ცრემლი ანკარამ დაწქუხდი ტირილისაგა, ცრემლი არ შეკარებნისა; გული შეკამა ვარამმა, არაღის ებრაელებისა (I, გვ. 62).

ესეა არწივის ეხვეწება: როგორც სისხლი და ცრემლი მიღწე, რომ გულა მოვიხოო, ბოლმა ამოვიყარო, თორემ ტირილი მიწა და „ცრემლი არ შეკარებნისა“-ო. ასეთ კონტექსტში უაზროა სტრიქონი: „დაწქუხდი ტირილისაგა“ (შეიღტომულში: „ტირილისაგან“). გამოცემულებს „დაწქუხება“ ვაუგვიათ, როგორც შეწუხება, შეიკვირება. მიანც უაზრობაა: თუ ვეცა ტირილისაგან შეწუხდა, მობერდა, რატოლა ამბობთ: „ცრემლი არ შეკარებნისა“-ო? ფშურში „დაწქუხება“ მონატრებას ნიშნავს (შდრ. „დაწქუხებულმა, არაგეო, რო გნახე, გვიხარეთ“, I, 50 A 21; „დაწქუხდი (მომენტარა) ტირილისაგან“), აგრეთვე უაზრობაა უნდა „დაწქუხდა ტირილისაგა“ (ტირილისაგან). ასეთ ფორმაში კ „წქუხენ“ თანდებულის ნაშთია, ხოლო „პროსოდულად ხმოვანია. შდრ.: „თმებს უჯიურის ნაფიღ, ცისკე დაიწყებს ცქერასა“ (I, 50, B, 13); ზემოთმოყვანილ ლექსის ხელნაწერში (ლოტ. მუზეუმი, № 1059) და ვეფას სხვა ნაწერებშიაც კ და ვ ასოები ძალან ჰგანან ერთმანეთს, ამან გამოიწვია ვიუგებრობა. „ეხლა

ნახოს გემო წყოსი“ (V, 209, 41). უნდა: „წყოსი“ (თამაქოსი).

ბა—ფ: „ჩარქვას გალაწოდა ხელი, გვერდზე ნადგომ ყანწით პირდახვეულსა“ (IV, 85, 28; ასეა შეიღტომი); „ყანწით პირდახვეულსა“ უაზრობაა უნდა: „გვერდზე ნადგომს, ყანწით პირდახვეულსა“. „პირდახვეული“ ფშურად პირდახვეული ნიშნავს, დაცობას „დაფიფა ეწოდება, ხოლო საცობს — საფიფი. შდრ. ვეცა:

„შეცალს არ სწადის სიკვილი, ფეცს არა ჰკარავს მგლისასა, მავგლევს, დაფიფებს წულულშია

მწუანეს ბალახსა მთისასა“.

(II, 32, B, 14).

უ—ძ: „კიღობანზე ეკიღა პირებ — ჭაუღლილი ნახიხი“ (III, 415, 24); ასეა შეიღტომი); ამაშელი შენიშნავს: „შესაძლოა დედანში ყოფილიყო პირებ-ჭაუღლი“-ო (ტ. VI, გვ. 550); არც დაბეჭდილი და არც ნაწარადვეე სიტყვა ფშურში არ არსებობს და ეცაქვრული არაა. უნდა „პირებ-ჩაუღლილი“ (დაბლაგვებული, პირებ-ჩამატრეული). შეცდომა ჩ — ჭ და უ — უ ასოების აღრევის ნიადაგზეა გაჩენილი. ეს ასოები მართლა ჰგანან ვეცას ხელნაწერებში ერთმანეთს.

ჯ—ჩ: „(ის) ყურს უფდება ჭირავი ქინჯარი, ათასწლოვანი მუხები“ (I, 268, 6; ასეა შეიღტომი); უნდა: „ჭირავი, ქინჯარი...“ შდრ. აქვე, ზემოთ: „ჯაუღლილი“ „ჩაუღლილი“-ს ნაცვლად.

ბა—ბ: „პაღურა ვეარი“ (V, 133, 24); „პაღურა ვეარი“ (V, 133, 24); ორგანვე ასეა შეიღტომულშია. უნდა: „პაღურა ვეარი“ (ხარ); პაღურ სოფელი პირაქეთ ხვესტურეთში, იმ სოფლის ბატლე ლაბაჩაი. „ღული და პატარა სრულ დედაკაცების „ნალაპში“, „ამოვკათარია“ (V, 134, 14; შეიღტომი: „ნალაპში“). უნდა: „ნალაპში“ (ნალაპში, ნავაღში).

კ—მ: „კეცები... ელდის თავიდან უყველქენებდნენ“ (V, 160, 30; ასეა შეიღტომი); უნდა: „უყველქენებდნენ“ (ვისრის, ყვლის აწვეით უყველქენებდნენ).

მ—ძ: „თქვენი ერთმანეთის ძეღვაში და ცემატყევაში ნაყოფილეითა დღე-ყამანი“ (IV, 205, 12; ასეა შეიღტომი); უნდა: „ქეღვაში“. ლექსში „შთა და ბარი (1,71, A, 9) არის სტრიქონი: „ყენკემა, ურძან-ქუჩითა“. „ივერიაში“ ვითხოვლობთ: „ყენკემა, ურძან-ქუჩითა“, ე. ი. პირველნაბეჭდში არქული იყო ქ და მ ასოები.

შ — მ: „(ხარი) ქედ — ვახტეგელი უღლისაგან, დამწვარი, დადავლა“ (I, 231, 19; ასეა შეიღტომი); უნდა: „ქედ-ვახტეგელი“, რაც ქედ-გაყვითილს, ქედ-ატყვეულს ნიშნავს. პირველნაბეჭდში, მ და შ ასოების აღრევის შე-

დგოდ დაბეჭდილია „ქედ-ვაჭრებილი“. ეს დგოდ უაზრო იყო და გაკეთდა კონიქტურა: „ქედ-ვაჭრებილი“, რაც აგრეთვე შეედგება: შდრ.: „ხარი ფერდ-ფერდზე მიკრული, ვადაბ-რეშლის ქედითა“ (I, 307, 31).

„ბადრი უსიბი, ამირან თბლები შევიყარნით“ (IV, 203, 6; ასეა შეიღტომ.); პირველნაბეჭდშია სწორი ფორმა: „მევიყარნით“, რაც ნიშნავს: დატოვებულ ვიქმენი, დანართი. ბადრი, უსი. პი და ამირანი ძმებია და იმათავე „შეყრი-ლები“ არიან, ასე, რომ „მევიყარნით“ ამ კონ-ტექსტში უაზროა. შდრ. ამ ხვესტურული ლექსის მეორე ვარიანტი: „ამირან, ბადრი-ურსიბი თბლები მევიყარნით...“

„მეიდა ხომარაული“ (IV, 147, 37); „მეუქ-ნევს ხომარაული“ (IV, 148, 3; ასეა შეიღტომ.); ეს არის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული (№ 201) ხელნაწერის სწორი წაკითხვა. იქვეა ვაჟის ხელნაწერები (№№ 27, 41, 186) სადაც გა-მომცემლების მტკიცებით (იხ. IV, გვ. 643) თითქმის ორივე შემთხვევაში აღნიშნულ სტრიქონში იკითხება „ხომარაული“. იქ იკითხება „ხომუ-რაული“ და არა „ხომურაული“. შდრ. გვიგო ხომურაულმა აღბარა ზოგავს თავისთა“ (დ. ხიზა-ნიშვილი, ფსაური ლექსები, 1887 წ. გვ. 59); „ვაიკებს ხომურაული, წელი მამართკყამს ხმალსა“ (რახიკ. გვ. 28), ე. ი. ერთ ხელნა-წერში „ხომურაული“ იკითხება, მეორეში — „ხომარაული“. ეს ორივე სწორი წაკითხვაა. ეს კია: „ხომურაული“ ფსაე-ხვესტურეთში ცნობი-ლი ვაჟია, ხოლო „ხომარაული“ გვხვდება ვა-ჟის მიერ ჩაწერილ ლექსში და მის პოემა „მხა-ტრიონში“. შესაძლებელია „ხომარაული“ ხო-მურაულის“ გვიანდელი ვაჭრება იყოს (სოფ. ხომარას მიხედვით: „ხომარა — ხომარაული“).

გ — მ: „გამიწუდა სახსენებელი, ძველადების არემარეო“ (IV, 147, 2; ასეა შეიღტომ ხელ-ნაწერშია: „გაგიწუდა სახსენებელი“ (მოლექსე წყვილის ადგილს, სადაც იგი გამოკვეთს).

„მამალი... გამოიქიმა თვალსაჩინო ადგილას... და იქიდან აღვივებდა თვალყურს ფრანველთა მიდგომობას“ (III, 471, 14; ასეა შეიღტომ.); უნდა: „მიდმომობას“ (მისელა-ამოხვლას, დაუ-დგომლობას), შდრ.

ლაშვი, თენდი, ლაშვი, თენდი, ლაშვი, რად არ ვაპთენდები? ამდენს მიდმომობაშია, მველო, რად არ დაპპერდები? (რახიკ. გვ. 134).

„ზარალი ღმერთმა ზარალად ვაკმაგოსთ და მამის ვამოგინედ დიდხანს ვაყოცბლოსთ“ (IV, 108, 32; ასეა შეიღტომ.); უნდა: „მამოგინედ“, ე. ი. ვარდაცვლილ მამის მომგონებლად (შდრ. III, 384, 27). „სახელს შასდგებს“, მოიხსენიებს, „გამოგინე“ იმ შაკვალებულისა“ (V, 60, 30); უნდა: „გამოგონე“.

„(ირემმა) ქინღართ ვამანადგურა, კინად პირ-

დაპირ მეძგერა“ (II, 18, A, 14; ასეა შეიღტომ.); უნდა: „მამანადგურა“. გამოცემებშია გააზრი-ანს, „გვასწორეს“ თევისთავად მცლდარს აქურა-სიეული ფორმა „გამინადგურა“ (რახიკ. და მ. ასოების აღრევით იყო მიღებული) და გაკეთდა „გამანადგურა“. ასეთი გასწორებით იკარგება ვაჟისეული სიტყვა „მამანადგურებს“, რაც ნიშ-ნავს: ფეხით გათელავს, გაქელავს, გასწორავს. შდრ.: „ხოვენ ფეხით მამანადგურნა, ზოგებს ნამ-გლითა სჭირდავ“ (რახიკ. გვ. 44); „ვადმოვიც-ვაედენ ვაჯაკო, მამანადგურენ წიხლითა“ (რა-ხიკ. გვ. 53).

ღ — ღ: „გამოთბლენტე ვე ვაბეცებული-გოგრა“ (IV, 583, 22); უნდა: „გამოთბლერტე“. (ხვესტურში) აიღოს ხელში ფარი და ხმალა, უღლტრის არაღობს“ (V, 252, 12; ასეა შეიღტომ.); უნდა: „უღლტრის“. აქ უ და ზ-ც არეულია ერ-თმანეთში.

„(იას) უფრს უფდებს ჭირგვი ქინჯარი, ათასწლოვანი მუხები, ჩაიუბნებებს თავისთვის: „დაზღობებს გასაფუჭებია...“ (I, 268, B 6; უნდა: „დაზღობებს“ (ლაზღანდარობს, ერთობა, ტიპტიკებს);

ქედლებს თოვლისა და ყინვის იმედი ჰქონ-დათ, ვითომ ზამთრის სუსხი მოსამობდა თავებს და ამიტომ არავითარი ღრე არ იღონეს, რა თქმა უნდა, მოტყუდნენ; არსად თოვლია, არ-სად ყინვა და თავეცი ვაზფხულისთვის შესა-ნიშნავ დოღა გვიპრდება (V, 393, 14, ასეა შეიღტომ.); ვაჟა ჩივის, რომ თავისი გამარადუ-ბას ხელს არაიენ უშლის და თავეცი ვაზფხუ-ლისთვის შესანიშნავ „დოღას“ გვიპრდებათ. ში-რაქში ყოველთვის ცხვრის ფარები იდგა და დოღასთან. ცხვრის დოღს ვაჟამ თავეცების დო-ლი შეუპირისპირა და შექმნა კომიკური სიტუა-ცია პირველნაბეჭდში ღ ღ — ღ შეიკეალა და „თავეცების დოღის“ მაგიერ მივიღეთ „თავეცების დოღი“... ღ და ღ ასობის აღრევისათვის შდრ. აგრეთვე: „ციცა ციხეში შევიდა, წელითი და-კეტა კარია... გამაგრდა თავის ციხეში, წელითი: დაკეტა კარია“ (რახიკ. გვ. გვ. 250, 251); უნდა: „წელითი დაკეტა კარია“, რაც კარისათვის შე-აზე (წელზე) კეტის ვაჟრას ნიშნავს; შდრ.: „შა-ვალის საღღღეშია, წელითი დაკეტავს კარსა“ (რახიკ. გვ. 28).

ი — ი: „ესროლა თოფი მამისთვის „საქმო-დამ“ (V, 378, 18; ასეა შეიღტომ.); უნდა: „საქ-მიდამ“ (საკომუროდან; საკომი — საკომიდა); „ფარსმინის თავს ვეფხვი დაჯიჯედ“ (II, 341 B 35); უნდა: „დაჯიჯედ“ შდრ. ვარიანტი: „შილ-დის თავს ქორი დაჯიჯედ“ „იმან გაუქირ უფრო-რუსს საქმეი“ (V, 208, 20); უნდა: „საქმეი“, როგორც ეს შეიღტომეულშია.

ბ — ბ: „იანქელას, ღუხუმა ორივეს გადა-ხეილა“ (II, 220, B, 24; ასეა შეიღტომ.) პირ-

ღ უნდა: „ჩირვეცი, ქინჯარი“...

ველანამეღშია „ლუხუმა“; ხელნაწერშიაც
ჩვენ. ინსტიტუტის ვაჟს ფონდი № 115) ვარ.
ჟვეთ იკითხება „ლუხუმა“; (იღრეული ყვაფი-
ლია ერთგვარია); გამოცემულს ხელნაწერი
მედარად ამოკითხა და პირველნამეღის
სწორი წაკითხვაც („ლუხუმა“) ვარიანტად ვა-
უტანათ. შდრ.: „დღესამდე ობლად ჰყავოდა
ია, ლუხუმა ვარდია“ (I, 300, 9; ასეა შეიღრმ.);
„ლ. ამაშელი შენიშნავს: „ლექსის მეორე სტრი-
ქონში ლუხუმა სიტყვის ნაცვლად პირველ-
ნამეღშია „ლუხუმა. შევასწორეთ ხელნაწერის
მიხედვით“-ო (შეიღრმ. II, გვ. 384). შდრ.
აგრეთვე ვაჟს ლექსი: „ია და, ლუხუმა.“ რო-
გორც ჩანს, ვაჟს ტექსტში „ლუხუმა“ ყოველ-
თვის მიღებულია „ლუხუმა“-ს მედარი წაკითხ-
ვით.

„პერზედაც ჩამოყიდებულ იყო ლახტი, რა-
ზედაც ვასახობდა ხაქოს ავერები ელაგა“ (III,
537, 17); უნდა: „ლახტი“ (ჩეღრტ).

ასეთი ვრაფიკულ ნიდაგზე აღმოცენებული
შეცდომები ვეა-ფშაველას თხზულებათა გა-
მოცემებში.

სხვა შეცდომების წყარო ნაირნაირია. მათი
ღიდი ნაწილი პირველნამეღებიდან შოდის, მაგ-
რამ აკადემიურ გამოცემებშიაც ბევრი სწორი
ფორმა დამახინჯდა. ჩვენ ამ შეცდომებს განვი-
ხილავთ ახალი გამოცემის ცალკეული ტომების
მიხედვით. განსახილველი შეცდომების დასა-
წყისში მივუთითებთ გვერდს და სტრიქონს, სა-
დაც ეს შეცდომია ახალ გამოცემაში.

ტომი I.

1933 წელს მ. დუდუჩავამ გამოაქვეყნა წერილი,
რომელიც ვაჟს ეუტრნ. „ქეჩელი“-ის რედაქ-
ციისათვის მიუწერია (იხ. ეუტრნ. „დროში“,
1933 წ. № 19-20, გვ. 23). ვაჟი სწერს: ერთსა
ვთხოვს, კორექტურას გაუფრთხილოთ. უკა-
ნასკნელს „ქეჩელის“ ნომერში ხუთი თუ ექვს-
სი შეცდომია კორექტურული. სადაც უნდა
იყოს — „ნუ ღალღებებ“ (დაამუღრეებ), სწე-
რია — „დაგუბებ“, უნდა იყოს „ამირანს“,
სწერია — „ამირან“ და სხვ. ლექსს ამისთანა
შეცდომები ძალიან ამახინჯებს. ამისთან ვთხოვთ
უმორჩილესად, ბგერა „პ“ დაიცვათ ჩემს ნა-
წერებში ისე, როგორც მე ვხმარებ“-ო და სხვ.
ეს წერილი ს. უზბანიშვილმა 1937 წელს გადა-
ბეჭდა წიგნში — „ვეა-ფშაველა, დოკუმენტები
და მასალები“ (გვ. 305). ამ წიგნში „ამირანს“
მივიტრ დაბეჭდა „ამირანს“. აკადემიური გამოცე-
მა დავყრდნო ამ მცდარ ფორმას და ახლა ერთი
სტრიქონი ლექსისა „ბუნების სურათები“ იკი-
თება ასე:

მათ შებლი მოუქმეხენია,
უფრო გულგრილად დამღვარა
ნამინარევეს ჰგავს ამირანს,
თითქოს ამ წუთს ამღვარა...“ (I, 128, B, 17).
შეცდომა სწორედ იმ წერილში ვაიპარა, რო-
მელშიაც ვაჟი ითხოვდა, შეცდომებს ნუ უშ-
ვებთო, და, ის ლექსი დამახინჯდა, რომელ-
ზედაც ვაჟი ჩიოდა: „ლექსს ამისთანა შეცდომე-
ბი ძალიან ამახინჯებს“-ო.

288, B, 21. „გავიგე რადაც სტრიქონი (გული)
რა ჩისათვისაც ბნდებოდა:

ქვეყნის ავ-კარგის ვაცნობას
თურმე თან ცრემლი მხდებოდა“ ასეა შეიღ-
რმ.).

აღ. ამაშელი შენიშნავს: „როგორც პირველნა-
მეღში, ისე ხელნაწერში, მხდებოდა სიტყვის
ადვილას არის მხდებოდა“-ო (შეიღრმ., II,
გვ. 378). ე. ი. ვასწორება ამაშელს ეკუთვნის
და იგი ახალ გამოცემაშიც ვადმოვიდა. ვას-
წორება უმართებულთა, რადგან „მხდებოდა“
ფშაურად ნიშნავს „უხდებოდა“, „შვენიოდა“,
რაც კარვად უღვება კონტექსტს. ეს სიტყვა
მეორეგვანად არის დამახინჯებული აკადემიურ
გამოცემაში: „(ხევსურებმა) დისხაღღრეს ფა-
რები, თავზე ჩაიჭნები მხვდებოა“ (V, 42, 20;
ასეა შეიღრმ.); უნდა: „მხდებოა“ (შვენიოდა).
ვასწორება (მხდებოა) სტრიქონს უაზროს
ხდის, ლექსს ამახინჯებს. მეორეგვან (V, 42, 15)
დამბეჭდილია სწორი ფორმა და ვაჟისეული გან-
მარტებაც ახლავს („უხდებოა“).

57, B 24. „მეორესა ვეარ ხანჯარი,
ვაფთხენენ, ვაიქენენ სხვანია.
ვინდა დავებებს ნადავლას,
ოლონდ ვაიჯონ ვანია“.

უნდა: ვაიღონ ვგანია როგორც ეს „იე-
რიაში“ და შეიღრმეულშია. „გზათ ვაღება
ფშაურში იდიომატური გამოთქმა და სწრაფად
წასვლას ვაღვლას ნიშნავს, შდრ.: „დაამწყალობ-
ნე მღვარნი შორად ვაიღონ ვგანია“.
(რაზიკ. გვ. 69).

266, B 8 („შვილის მხსნელს) დედა უკონის
ხელფხსა,
დაპეწყებეყო შეილია,
სიკოცხლის მომნიქებელსა
სიტყვები უთხრა ტბილია,
ლოცვა სულ ლოცვა უსაზღრო,
მხეხავი ვადამილია“

(ასეა შეიღრმ.).

აღ. ამაშელი წერს: „ლექსის მეორე ნაწილში,

რომლის ხელნაწერი არ არის, პირველნაბეჭდის ერთ სტრიქონშია: „მზესავით გადაშლილია“, რაც უთუოდ კორექტურული შეცდომის შედეგია. უნდა იყოს: „მზესავით გადაშლილია“ (შვიდტომ. II, 375). ეს გასწორება ახალ გამოცემაშიაც ვაზიარებულია, მაგრამ იგი მცდარია, ვინაიდან „მზე“ აქ სიმრავლის, სიუხვის გამოხატველი სიტყვაა, იგი ეგუება კონტექსტს („ლოცვა, ხელ ლოცვა, უხაზდრო...“) და ექვს ვარეშვამ, ვაეასეულია; უნდა იდგეს: „მზესავით გადაშლილია“.

155, 25. „ზოგნი ზარბაზნებს მოუდგენენ და მომზადდეს ფალია“ (ასეა შვიდტომ.); პირველნაბეჭდში იკითხება „მოუზადდეს“, რაც ეგზავურება წინამთავალ ზმნის („მოუდგენენ“). ამდენად გასწორება უმართებულად ჩანს.

361, A 21. ქალო, ქართველთა სულის დგმაჲ, ქალო, ქართველთა დედაო!

ტუილად ვამზობთ შენს სიკვდილს,
თამარს ცოცხალსა გხვდითა“ (ასეა შვიდტომ.); „სახალხო ფურცელში“, რომელიც ერთადერთი წყაროა ამ ლექსისა, იკითხება — „გხვდითა“. ეფექტობთ, რომ პირველნაბეჭდის გასწორებისათვის საფუძველი არ არსებობს: მეორე პირისადმი მიმართვა („ქალო“, „დედაო...“) მეოთხე სტრიქონში განზოგადებულია და მესამე პირით იცვლება („თამარს ცოცხალსა“), შესაბამისად ზმნაც მესამე პირშია შეწყობილი („გხვდითა“). მეორე პირისადმი მიმართვისას („გხვდითა“) მოსალოდნელი იყო: „თამარო, ცოცხალს (ან ცოცხლად)“...

II ტომი.

პოემაში „მოხუცის ნათქვამი“ არის ასეთი სტროფები:

„მე უკან ვინაბეობდი,
როგორც უნაში მწვერია,
მსურდა ქურდულად შემეცო
მეფის ვრი და ფერია“ (შვიდტომ., III,

გვ. 10) ახალ გამოცემაში (ტ. II, 7, B, 37) უკანასკნელი სტრიქონი ასე იკითხება: „მეფის აერი, ფერია“. ამ გასწორების შესახებ ც. კალაძე წერს: „საკმაოა უბრალო დაკვირვება და შეითხველი მიხვდება, რომ მე-4 სტრიქონში რაღაც გაუგებრობაა (ზაზი ზენია, ილ. კ.). იმ ხუთი წყაროდან, რომელიც გამოცემელს ხელთ ჰქონდა, ხუთივე ნაბეჭდი გვაძლევს ამგვარ, გასაგებ წყაიბებს: „მეფის აერი, ფერია“ ერთადერთი წყარო კა — აეტოგრაფი — გვი-

ჩვენებდ ზემოთ მოყვანილ წყაიბებს. რასაკვირველია, მხოლოდ აეტოგრაფის, უსაფუძვლო ფეტიშნიაციით თუ აესხნით, ამგვარი შეთხვევაში ამ წყაიბებს დატოვებას ძირითად ტექსტში (მით უფრო, რომ გამოცემის შენიშვნებში ამ აეტოგრაფის შესახებ აღნიშნულია, რომ ის ძველი და შეიაა“).

ფშაურში „ერი“ და „ფერი“ ერთი სიტყვის ორი ფორმაა, ერთიდაიმავე მნიშვნელობის მქონეა ორივე. მოთხრობაში „სოფლის სურათები“ ვაფა ასე მიმართავს სოფელს: „შენი იერი მთოცებს, სირცხვილით ვაფიწურები“-ო, ხოლო აქვე ქვემოთ ეუბნება: „რაც იყავ, ისე ის დარჩი ზნე-ხასიათით, ერთა“-ო (ტ. III, გვ. 228), „პაბტრიონში“ ვაფა კვირიაზე წერს: „ადვილად საცნობი იყო კაცი ფშაურის ერთა“- (ტ. II, გვ. 72). ასე, რომ ვაფასთანაც „ერი“ და „ერი“ ერთი მნიშვნელობის მქონეა. შდრ. აგრეთვე „ეღფერი“, რაც „ერ-ფერ“-იდანაა მიღებული.

ამრიგად, ვაფასეულია ის წყაიბები, რომელიც ხელნაწერში დასტურდება და, რომელსაც ახალშელისეული გამოცემა იცავს. შეიძლება ვინმემ იკითხოს: ეგება ვაფამ ეს სტრიქონი თვითონ შეცვალა დასაბეჭდად გადაცემულ ხელნაწერში? ასეთი რამ შეუძლებელი არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში მოულოდნელია: ხელნაწერისეული წყაიბების შეცვლა ლექსს არაფერს მატებს, პირიქით—ლექსი ასეთი წყაიბებით რიტმიულობას კარგავს, დუნდება. რაც შეეხება ძველნაბეჭდ წყაროებს, იქ სტრიქონი იმავე მიზნით გადაუცემებიათ, რა მიზნითაც ახალ გამოცემაში გადაკეთდა: სტრიქონის აზრი გაუგებარი ეჩვენათ და გასაგებით შეცვალეს.

იმავე წერილში (გვ. 380) ც. კალაძე წერს: „...ჩვენამდე მოღწეულია ვაფა-ფშაველას პოემა „მონადირის“ ივერისეული ტექსტი, ჩასწორებული აეტორას ხელით. გასწორებათა შორის არის ერთი ასეთი გასწორება: ირმის — ირმებს:

წუხელ ნანახი სომარო
მითც არ მოცდება, — ცხადია.
ამ სომართ ბეგრეულ თორღვამა
ირმებს ხუცება ვწვადია —

ამ გასწორებით სტილი გაუმართავია, ეტყობა, ვაფის უნდოდა უკანასკნელი სტრიქონის შეცვ-

1 „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XVIII, 1962 წ. გვ. 382.

ლა, დაიწყო კლდეც, მაგრამ აღარ დაუშთავრებია, შეცვლილი სიტყვის ძველი ფორმით აღგნა კი დაიწყო. ვფიქრობთ, შეუძლებელია ძირითად ტექსტში გადავიტანოთ ეს ავტორისეული ჩასწორება (შდრ. ვაჟას შედგენილის III ტომი, გვ. 34), რაც აზრს უკარგავს პოეტ სტროფს-ო. აქაც გავგებობა. „იჩმებს სუკები ვწვადია“ სრულიად ნორმალური და გამართული წინადადებაა, რადგან „ვწვადია“ ნიშნავს (ამო)ვწვადე, (ამო)ვაძრე, (ამო)ვუღე. ეს სიტყვა ვერც „ივერის“ რედაქციამ გავიით და რგი ასე „გაუფრებიათ“: „იჩმეს სუკები სწვა და“, სადაც „სწვა“ შეწვას, მწვადეს გაკეთებას გულისხმობს, ხოლო „და“ ძველი ქართულიდან მომდინარე სიტყვაა. ვაჟას ეს დამახინჯებული ფორმა გაუსწორებია და სტრაქონიც გამართულა. სტილისტურად გუმართავი და გავგებობია სწორედ ახალი გამოცემის წყაობზეა („იჩმის სუკები ვწვადია“). რას ნიშნავს ამ წინადადებაში „ვწვადია“? ზნა „წვა“-დან „ვწვადია“ ფორმა არ მიიღება. რატომ ამჯობინებს ეს წყაობზეა ხელნაწერს ავტორის მიერ ჩასწორებულ წყაობებს?

განსაკუთრებული მადლობაა იმავე შეთქმულებს, რომ ხელნაწერისეულ და ავტორის მიერ ჩასწორებულ ფორმებს შორის ნდობით უნდა მოვიხერხოთ. კერძოდ, მეტი სიფრთხილეა საჭირო ვაჟას თხზულებათა პუბლიკაციისას, რადგან მათში ბევრი რამ დიალექტურია და გავგებობარა. უავტორგრაფო თხზულებებში იმავე გავგებობის მიხედვით ბევრი რამ არის ხოლმე შეცვლილი და დამახინჯებული.

140, A 29. პოემა „სისხლის ძიებაში“ არის ასეთი სტროფი:

„(ქიჩირი) მიინე წინ მიდის დივლსკე,
 გულში იმედის კრთომითა,
 გული ძალევა მხედარსა
 მტერთან შეყრისა ნდომითა“.

ავტორგრაფი არა გვაქვს ერთადერთი პირველნაბეჭდი წყარო „ქვალა“, რომელიც ასეთ წყაობებს იძლევა; ვფიქრობთ, აქ უნდა ყოფილიყო „იღვავა“. საეპიკურია, რომ „ქვალა“-ს რედაქციამ „გული იღვავა“ ვერ გავიით და ასე გაუფრებიათ „გული იძლევა“; ქიჩირს გულოვნობა და გულმოცემულობა არ აკლია, ვგაი მხოლოდ, რომ მტერთან შეხვედრა ეჩიარება, მოთმინება აღარ ჰყოფნის.

ფინს, „გული იღვავა“. ამ გამოთქმას ვაჟა ხელნაწერს ხმარობს: „ერთკლე მეფეს“ მოუკლენ არაგველები, გულ-გადაღვიო ერისს“ (I, 142 A 38); „მოლოდინით გული გადაღვიო“ (IV, 42, 24).

76, A 28. „პასტრონიში“ კვირია ეუბნება სახათას: „დიღანს საუბარს ვაგრძელებ, სვლას კი არ ვფიქრობ რადა მე?“ (ასეა შედგენილი); ხელნაწერში (ხელნაწ. ინსტიტუტი, 26127) ვარკვევით წერია: „სვლას კი არ ვფიქრობ რადა მე...“ (ერთად და მრავალწერტილით). „რადა მე“ ფშვრად ნიშნავს „რატომღაც“ (შდრ. რადმე) და იგი აქ უნდა დაიწეროს სწორედ ერთად და უკითხვისნიშნოდ, მრავალწერტილით: კვირია თავს უსაყვედურებს: ამ მოუძღვლდროს ლაბარავს შევეყვი და წასვლას კი რატომღაც („რადამე“) ვაყოვნებ, არ ვფიქრობ. მეორეგან ამირანი ჩივის: უფალი ყოველთვის შეხმარებოდა, „ახლა-კი ზურგი მაქცი, მიჭირს, არა მშველს რადა მე? 1,125 B, 33; ასეა შედგენილი; აქაც „რადამე“ ნიშნავს „რატომღაც, ამ სიტყვის დაყოფითა და კითხვის ნიშნით დაწერა ცელის ლექსის აზრს.

6, B 24. „სიხში მიღვას კალთაში...“ პირველნაბეჭდსა და შედგენილში ცითხება: „მიძე“. შდრ. „წელანის ხალი შეესქამე, გულშიც მიძე მრავალი“ (II, 78, B 31) ვაჟა „მიძე“, „გიძე“, „უძე“ ფორმებს ხშირად ხმარობს და სადაც ხმარობს, უნდა დაეუტოვოთ.

23, B 23. „გამეგებენ ილდას ძმა, ძმისწულეი საშინა“ (ასეა შედგენილი); უნდა „ძმისძმისწულეი საშინა“, ე. ი. ძმა და მისი ძმისწული, სულ სამი. მოღებულა წყაობით გუმოღის, რომ ილდას ჰყავდა ძმა და სამი ძმისწული. ეს შეუძლებელი არ არის, მაგრამ წყაობზეა: „ძმა, ძმისწულეი საშინა“, მხოლოდ აფუქებს ლექსს და ვაჟას ენისთვისაც არაა ბუნებრივი. ფშვრის „ძმა-ძმისწულეი“ არის მტკიცე კომპოზიტი და, ექვს ვარსევა, ასეა იგი ნახშირი ვაჟასთან. ნათესაობის აღნიშვნელ სიტყვებში ასეთი კომპოზიტები ჩვეულებრივია ფშვრისათვის. შდრ.: „შინა ვართ ბაძა-ძმისწულნი სახლ-კარ გაგვიწირათ“. (რაზიკ. გვ. 3); „ღისწულ—ღედომში გუხდა ნაბაღზე გაფრნახედა“ (რაზიკ. გვ. 35); „ვარ ჭალაფობა დალიე, მერმეც ქალ ქალიშვილითა“ (რაზიკ. გვ. 18) და მასთ.

82, B 4. „პასტრონიში“ მხედრებმა ლელას უარი უთხრეს სალაშქროდ წაყვანაზე. ლელა გულდაწყვეტილი დაბრუნდა უკან. მის გზაში დაეწია კვირია და ეუბნება.

„თუმც კი ღამიქა ჰქვამია
 შენი გაცოლა თანა...
 აჩამდენ, იუკადრასეს
 ღიაცის წამოყენათ“.

ვაქს ავტოგრაფში (ხელნაწ. ინსტრუმენტი, № 127) გარკვევით იკითხება: „ჩაქარდენ... იუტადრისის დიციის წამოყვანა“. ეს მართებული წაკითხვაა დაეული შეიდრომეულშიც. კვირია ამით ამბობს: იქარეს, ნაჩქარველ გადაწვეტეს შენი წაყვანა — აწაყვანას საკოხიო (როგორც პოემიდან ვიცით, მერე კერძომ და ლელამ უფრო გონივრული, თუმცა სარისყო, გადაწვეტილება მიიღეს და სიცოცხლის გაწირვით ხელი შეუწყვეს ციხის აღებაში ლაშქარს). ამდენად, ხელნაწერისა და პირველნაბეჭდის გასწორება აქ ყოველად გაუმართლებელია.

36, B 12. — „გაურჯულეულს არჯულეს, შენ ეს არ შავიხდებისა“ (ასეა შეიდრომ.); „გაურჯულეული“ უაზრო, არასწორი ფორმაა. უნდა: „გაურჯულეებს“ (არჯულად, წესად დაუდებელს). ამ პოემის კერძეულიმისეულ გამოცემაში დასტურდება სწორი ფორმა („გაურჯულეებს“).

35, A 12. „ხვესტრან შაწენის ისხდენა“ (ასეა შეიდრომ.); „შაწენის“ აქ უაზრო, უმართებულო ფორმაა. უნდა: „შაწენით“ (მოწყენით, გულჯარიანად).

218, A 17. „დამწიფებული იარა, ნესტარით გამოსარწავი“ (ასეა შეიდრომ.); ხელნაწერში იკითხება „დამწიფებული“-ს ფშაური სინონიმი „დამამებული“, რომელიც, ვფიქრობთ, უნდა აღდგეს. შდრ.: „ქალო, შენეული ვაშლი უბეს მიძე, შიფამებუა“ (რახიკ. გვ. 161); მიფამებუა-მიმწიფებუა.

8, A 28. „რადლა გეინდოდა მოზარედ შავად ჩაცმული ქალები, როდესაც შეფე დასტარის ქარში მიმავალს ხალხსაო?“ (ასეა შეიდრომ.).

ხელნაწერში გარკვევით იკითხება: „მოზარეთ“. როგორც ცნობილია, ვაქასათვის უცხოა „კაცაო“, „მტკიცეთ“, „დამზარეთ“ და მისთ. ფორმები: ვითარებით ბრუნვის—დ ფორმანტის ნაცვლად მასთან არ დასტურდება მისი დაყრუებული ვარიანტი თ. ამდენად, ხელნაწერისეული „მოზარეთ“ ვითარებით ბრუნვის ფორმა კი არ არის, არამედ მიცემით ბრუნვის მრავლობითა და ნიშნავს: „მოზარეუბის“. ასეთი გაგებით კი სტროფის აზრიც სხვაგვარი გამოდის: მოხუცი ამბობს: შეფე, შეფისწული და ჩვენ ვტრობით და მტარებებს,

მოზარეებს („მოზარეთ“) მგლოვიარე შავად ჩაცმული ქალები რადლა გეინდოდაო... 79, A 81. „გაგებელე... შინდებ... მტარავს შავი ვეშაპი ქშენითა“ (ასეა შეიდრომ.); ხელნაწერშია ამ სიტყვის ფშაური ფორმა „შქენითა“, რაც უბრალოდ ქშენას კი არა არამედ ამ „შქენელს“ მუქარასაც ნიშნავს: გველი „შქენს“, როცა საცბენად იწვევს, კატები „უშქენენ“ ერთმანეთს ჩხუბის წინ და სხვ. შდრ.: (კატ)... თავისს აჩრდილს სარკეში გარედამ უშქენს... (ბაჩანა, გვ. 248). ამდენად, უნდა აღდგეს ხელნაწერისეული ფორმა.

45, B 4. დედინაცვალი ეუბნება ეთერს: „თანთან ვეშაკად მიიქეც, ვაგაწყურეს ჩემი გამჩენი“ (ასეა შეიდრომ.); ხელნაწერშია: „ეშაკად მიიქეც“, რაც ნიშნავს: „ეშაკად გადიამეცი, ვაგაშაკად“, ეს კი სულ სხვაა, ვიდრე „ეშაკად მიქეცეა. ამიტომ ხელნაწერისეული წაკითხვა უნდა აღდგეს.

18, A 12. „ნეტავი არ ავხდევავ, მონადირობა შეწყველა“ (ასეა შეიდრომ.); უნდა: „ავხვეივავ“ (= ამომერემბინა, ამეკვიტებინა, ამეხირებინა); ასეა ხელნაწერში და აველა ნაბეჭდ წყაროში.

162, A 85. ხმა კვე-გარკვევით მესმოდა“ (ასეა შეიდრომ.); უნდა „ხმა-კვეა გარკვევით მესმოდა“. „კვეა“-ს ფშაურში აქვს მეორე, დამატებითი მნიშვნელობა: ჩქაში“, „ხმა“. ასე, რომ „ხმა-კვეა“ ისეთივე კომპოზიტია ფშაურში, როგორც კვეა-ქუხილი, წივილ-კივილი და სხვ.

85, B 7. (თათრები) იკლებენ საქართველოსა, ბუმბერაზობით დაღიან“ (ასეა შეიდრომ.); ხელნაწერშია ფშაური „ბუმბარგობით“, რაც ნიშნავს: ამაყად, თავაშვებულად უტოფრად. ვფიქრობთ, უნდა აღდგეს ხელნაწერისეული წაკითხვა.

42, A 19. „(დევეებს) წასასვლელ არხათია აქვთ, აველენით დახშული კარია“ (ასეა შეიდრომ.). „ივერიაში“ იკითხება: „არცაილა აქეს“. „არცად“, „არცაით“ ფშაური ფორმაა, რომელსაც რა თქმა უნდა, „ივერია“ ვერ შეთხზავდა ცხადია, ხელნაწერში უნდა ყოფილიყო: „არცაითლა“ (აღარსად არა), რაც ეგუება კონტექსტს. „ივერიაში“ კორექტურული შეცდომაა: თ ივლია სიტყვა.

41, A 84. „ლომელოთ უძახეს კობალას: ღმერთმ ნება, მოგცა, ძალითა

თალიე ქვეყნის მღევლები,
ლახტი იხმარე ტარიითა“

(ასეა შეიდტომ.);

ივერიისეული წაკითხვა: „ღმერთმ ნება მოგვ-
ცა ძალითა“ გასწორა ალ. აბაშელმა. გასწო-
რება მართებული არაა და აი, რატომ: მთაში
ადამიანების ურთიერთობა ღმერთების პანთე-
ონთან ასე წარმოგვიდგება: ადამიანები შეამ-
დგომლობას სთხოვენ უველაზე დაბლა მდგომ
ღმერთებს მათზე მაღლა მდგომებთან. ეს უკა-
ნასკნელნი მათზე მაღლა მდგომებს მიმართა-
ვენ და ა. შ. უმაღლესი ღმერთის პასუხიც
ასეთივე თანმიმდევრობით ჩამოდის დედამიწა-
ზე. ვაყვანებ სწორედ ასეთი შემთხვევაა აღწე-
რილი. ბერმა კოპალამ „ღვთიშვილი“ (ანგე-
ლოზებს) მიმართა ლოცვით, რათა მას დევე-
ბის ამოცლერის ნება და შეძლება მიეღოთ
ღმერთისაგან. „ღვთიშვილი“ თვითონ არიან
ქვეყნის ავ-კარგის მოწყვარეების უშუალო
მონაწილენი. როცა მათ ღმერთისგან მოქმედე-
ბის ნება მიიღეს, დაბრუნდნენ და „უძახეს“
კოპალას: „ღმერთმ ნება მოგვცა ძალითა“ო,
რაც ამას ნიშნავს: „ნება ძალითურთ მოგვცა,

ნება და ძალითა ორივე მოგვცა“ო რაი ინგე-
ლოზებმა ნებათა და ძალითა მოგვცა (მოგვ-
ცა“), ისინი, თავის მხრით, კოპალას/ადამიან
ნებას და ძალას: „დალიე ქვეყნის მღევლები,
ლახტი იხმარე ტარიითა“ო. ამიტომ უნდა
დარჩეს პირველნაბეჭდული წაკითხვა:
„ღმერთმ ნება მოგვცა ძალითა“...

228, B 84. „ერთხელ ნავგასა ჰქეჭავდა
ჩვეულებრივად წიწილა“ (ასეა შეიდტომ.), ხელ-
ნაწერშია ამ სიტყვის ფშაური და ვაყვანული
ფორმა: „ჰქეჭავდა“. შდრ.:

„ერთივე დაპრჩება ბებერი
კერას სანახავადა...
იმასთან ერთი ქათამი
ნაცარ-ცეცხთ ხაჭაჭავადა“
(რაზიყ. გვ. 201).

უნდა აღდგეს ხელნაწერისეული წაკითხვა.

84, A 44. „გამოქცევიხარ ქისტიშვილს, გა-
დუქცევიხარ ქალადა“ (ასეა შეიდტომ.); პირ-
ველნაბეჭდშია ფშაური, „გამოქცევიხარ“ (შდრ.
„გადუქცევიხარ“), რომელიც აშკარად ვაყვისე-
ულია, რადგან მას რედაქცია ვერ შეთხზავდა.
უნდა აღდგეს პირველნაბეჭდის წაკითხვა.

(ვაგრძელება იქნება)

საქურადღებო გამოკვლევა

საქართველო თუმცა უმთავრესად იყო სასოფლო-სამეურნეო ქვეყანა, სადაც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს გლეხობა შეადგენდა, ამ ყოველთვის ჩქეფდა ინდივიდუალური საქალაქო ცხოვრება. კლასიკური ხანის მწერლები, ხაზელდობრ, ჯერ კიდევ სტრაბონი, აღნიშნავენ და უძველესი იბერიის (ქართლის) ქალაქების ხუროთმოძღვრულ ღირსებებს, რასაც ამ ბოლოდროინდელი არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებენ. მე-19 საუკუნეში თბილისის გონება-მახვილ კენტოს და დაბრახისელ ყარაბაგებს საქართველოში უჭირავთ ისეთივე ადგილი, რომელიც შეიძლება შევადაროთ ლონდონის კოენისა და ქალაქის ოლდერმენებს ინგლისის ნაციონალურ ცხოვრებაში. იოსებ გრიშაშვილმა ძველი თბილისის სოციალური ყოფა უკვლევს ორი მონოგრაფიით: „საათონოვა და ძველი თბილისი“ და „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოქემა“. არსებობს, აგრეთვე, თბილისის ხუროთმოძღვრების რამოდენიმე ნინეზული გამოკვლევა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ ვახტანგ ბერიძის 1960 წელს გამოცემული შრომა, რომელიც მოიცავს პერიოდს 1801 წლიდან ვიდრე 1917 წლამდე.

მეორეს მხრივ, ზაგრატიონების დროინდელ საქართველოს ქალაქების მართვა-გამგეობისა, საქალაქო წესწყობილების და ქვეყნის განვითარებაში ქალაქების როლის სისტემატური ისტორიული შესწავლის მხოლოდ უმნიშვნელო ცდებია მოცემული.

პროფ. მესხიას შრომა, ფაქტურად წარმოადგენს პირველ სპეციალურ მონოგრაფიას ამ საკითხზე, პლატონ იოსელიანის მოკლე და დიდი ხნის უკვე მოძველებული ნაშრომის (გამოცა 1850 წელს), შემდეგ, ავტორი იწყებს საქართველოში საქალაქო ცხოვრების განვითარების მიმოხილვას წინაქრისტიანულ პერიოდით, შემდეგ ვადადის ადრინდელი ფეოდალური ხა-

ნის მიმოხილვაზე — ვიდრე „ოჭობის ხანამდე“ — მე-12 საუკუნემდე. ოგი კვალდაკვალ განიხილავს მონგოლთა შემოსევის საბუდისწერო შედეგებს და მომდევნო სულტან-ოტომანებისა და სეფეველი შაჰების დამყრობებს, რომლებმაც მე-15-16 საუკ. მიიყენა ქვეყანა საქალაქო ცხოვრებისა და ვაჭრობის შესამჩნევ დაყვამდე.

მეორე თავი შეიცავს მე-17-18 საუკუნის საქართველოში, როგორც ქართლ-კახეთში, ისევე იმერეთში არსებულ მთავარი და მცირე ქალაქების გეოგრაფიულსა და სტატისტიკურ მონაცემებს. ავტორი აღწერს ქალაქების მოსახლეობის რაოდენობას, მათ საქმიანობას, წარმოებას, ხელსნობას მოცემული ხანის სხვადასხვა პერიოდში. ამის შემდეგ, პროფესორი მესხია ვადადის ქალაქის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის განხილვაზე: ვეაქლებს ყმებისა და ვასალების შეფარდებას თავისუფალ მოქალაქეებთან, ბიურკრეებისა (მოქალაქეები) — ქალაქის არისტოკრატისთან და აღწერს ინტერესთა იმ შეჭახებებს, რომლებიც დრო და დრო წარმოაშობოდა ამა თუ იმ სოციალურ ფენას ან ნაციონალურ თუ რელიგიურ ჯგუფებს შორის. მეოთხე თავი, რომელიც შეეხება ზაგრატიონთა მონაქაქის უფრო მოგვიანო ხანის საქართველოს ქალაქების მართვა-გამგეობას, ემყარება ხელნაწერი წყაროების ამომწურავ შესწავლას და უაღრესად საინტერესო ცნობებს შეიცავს. ვინაიდან, საქართველო ამ პერიოდში დაფიქსირებული იყო ოტომანების თურქეთთან და სპარსეთთან, ქალაქების მართვა-გამგეობის ოფიციალური იერარქიის წვერების ტრეტულები და ფუნქციები მრავლის მხრივ შეესაბამება მეზობელ ისლამური სახელმწიფოების მსგავს თანამდებობებს თუ ტრეტულებს, საიდანაც, როგორც ეს ნათლად ჩანს, წარმომდგარა ტექნიკური ტერმინოლოგია, რომელიც გამოყენებოდა საქართველოს სამთხველო წყობაში. არა ნაკლებ საინტერესოა შეექვსე თავი, რომელშიაც აღწერილია სავაჭრო ვილდიებისა და პროფესიულ მშობობა, განსაკუთრებით, ამქარის წარმოშობა და განვითარება. უკანასკნელი თავი, რომელიც, შესაძლებელია, აქობებდა წიგნის

¹ III. Месхиа. „Города и городской строй феодальной Грузии XVII-XVIII вв.“ თსუ გამომცემლობა, 1959.
12. „მნათობი“ № 2.

დასაწყისში ყოფილიყო, შეეხება საქართველოს ქალაქების გარეგან სახეს რუსეთთან შეერთებამდე — საზოგადოებრივი ნაგებობანი, საცხოვრებელი სახლები, ციხეები, პალატა, აბანოები და ა. შ. წიგნს დართული აქვს სპეციალური ტერმინთა საძიებელი, გეოგრაფიული ინდექსი და ვრცელი სქოლიოები. რომლებიც ნათელყოფენ ავტორის დიდ განათლებას. წიგნს არა აქვს დართული საერთო ბიბლიოგრაფია, რაც ხელს უწყობს გამოყენებულ იქნას ეს წიგნი, როგორც ცნობარი.

პროფესორ მესხიას მიერ გამოყენებულ წყაროთა შორის არის უცხოელ მოგზაურობა, თანამედროვეთა მემორარები და როგორც ოდიცი-ალური, ასევე პირადი ხასიათის დოკუმენტები. ყველა ეს დოკუმენტი უძველესი საქართველოს ქალაქების სოციალური და ეკონომიური პირობების ანალიზს აცხოველებს და მრავალფეროვნებას ანიჭებს. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ავტორი შეირდ იფაღისწინებს საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებზე გამოქვეყნებულ იმ მეცნიერთა შრომებს, რომლებიც შესრულებულია საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ. მხედველობაში გვაქვს პროფესორ შინორსკის სტატია, მის მიერ თარგმნილი და გამოცემული მე-18 საუკუნის მნიშვნელოვანი გარიგება —

Tadhkirat al—Muluk (ლონდონი, 1943) რომელიც შექს პეტენს მრავალ სპარსულსა და თურქულს თანამდებობას თუ ადმინისტრაციულ ტერმინს, რომელიც მაშინ იხმარებოდა. ეს წერილი, ხანს, უცნობია პროფ. მესხიასათვის, არ არის მოხსენიებული ვ. ე. ალინის **„A History of the Georgian People“** ქართული ხალხის ისტორია — ლონდონი (1932).

Captain de Grailly de Foix- მემორარები რომელიც ახლდა გრაფ ტოტლემენს 1769 წელს საქართველოში, და რომელმაც იმდროინდელ თბილისზე და სხვა ქართულ ქალაქებზე რამდენიმე საინტერესო მოგონება დაავიტოვა.

(გამოცემული D. M. Lang-ის მიერ — Bulletin of the school of Oriental and African Studies ტ. 13, ლონდონი 1951). რაც მთავარწიგნში, მისი მოზ ნებული J: Karst-ის ვეფხტორიანი — Corpus Juris Caucasici (ატრაბურგი, 1-31-40);

იგი შეიცავს მეფე ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის კრიტიკულ თარგმანს კომენტარებით და გამოკვლევებს საქართველოს სამართალზე. საზოგადოებრივ ინსტიტუტებზე, დაწესებულებებსა და რანგებზე; ფინანსიურ უწყებებზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ ეხება პროფ. მესხიას მიერ დასმულ პრობლემებს. ქართველი მეცნიერები ხანდახან ჩივიან, რომ საზღვარგარეთ უფულებიყოფნა საქართველოს ისტორიასა და კულტურას. სამართალაზნობა მოითხოვს ითქვას, რომ დასავლეთის სპეციალისტებს დიდად წააქვებდა ხელი მოეციათ მეცნიერების ამ დარგისათვის, თუ მათ პეტიციაციებს მოიხსენიებდნენ მათს თაყიანთ გამოკვლევებში მათი ქართველი კოლეგები.

ამის მიუხედავად, პროფ. მესხიას წიგნი წარმოადგენს ისეთ ნაშრომს, რომელიც უპასუხებს მეცნიერების უმაღლეს მოთხოვნილებებს და წარმოადგენს აუცილებელ წიგნს კავკასიის ისტორიის სერიოზულ შეკვლევართათვის. ეს ნაშრომი ძვირფასია, აგრეთვე, მსოფლიოს მრავალი სხვა ქვეყნის ურბანული ისტორიკოსებისა და მართვა-გამგეობის შედარებითი შესწავლის მოხსენისათვის.

დავით მ. ლახვი

მონოგრაფია ვაჟა-ფშაველასზე

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ არა ერთი და ორი საგანგებო გამოკვლევა დაიწერა და კიდევ დაიწერება. მისი მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა ამოუწურავ მასალას იძლევა ყოველი დაკვირვებელი და უნარიანი მკვლევარისათვის.

დოქტორ ბენაშვილის მონოგრაფია „ვაჟა-ფშაველა, შემოქმედი და მოაზროვნე“, შედგება თორმეტი თავისაგან. შრომის შესავალში ერთი მხრივ, მოცემულია ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის ისტორია

დ. ბენაშვილი — „ვაჟა-ფშაველა შემოქმედი და მოაზროვნე“, საბჭოთა მწერალი* 1951 წ.

და მეორე მხრივ წამოყენებულია პრობლემები, რომელთა გარკვევის საფუძველზე შეცნობილი უნდა იქნას ვაჟა-ფშაველა, როგორც მხატვარი და მოაზროვნე.

შესავალშივე დ. ბენაშვილი ეხება ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მიმართულებისა და მსოფლმხედველობის საკითხს. მისი აზრით, ამ საკითხის გაანალიზებისა და გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია იმ პრობლემების ამოხსნა რომლებიც ვაჟა-ფშაველას გარშემო იყრის თავს. ავტორის ამ განცხადებას უნდა დავეთანხმობით.

ავტორის აზრით, ვაჟა-ფშაველა რეალისტი,

მაგრამ მისი რეალიზმი თავისი ელფერიტ განსხვავდება XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართული მწერლების რეალიზმისაგან. ვაჟა-ფშაველა კლასიკურ რეალიზმს გმირულ ხასიათს ანიჭებს და ამით თავის სუბიექტურ ბეჭედს ასვამს მას.

მონოგრაფიის მეორე თავი ეხება ვაჟა-ფშაველას ცხოვრებას. აქ ავტორი ეკამათება იმით, რომლებიც კატეგორიულად უარყოფდნენ მწერლის ბიოგრაფიის მნიშვნელობას შემოქმედებით პრობლემების ასწისა და გადაწყვეტიბრის. დ. ბენაშვილი დღემდე უცნობი მსაუღლებით აძლიერებს ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიის შესწავლის საქმეს.

შრომის მესამე თავი მიძღვნილია ვაჟა-ფშაველას პოეტური ეპოსისადმი. ავტორს განაწილებული აქვს ოთხი პოემა: „აღუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველის შქამე-ლი“ და „ბაბტიონი“. პოემების იდეური და შხატერული ანალიზის დროს ავტორი არ ეთანხმება მათ ტრადიციულ შეფასებას. კერძოდ, ეს იოჭის „გველის შქამელის“ შესახებ, როგორც ცნობილია, ტრადიციული შეფასებით მინდია იგვე ვაჟა-ფშაველა დ. ბენაშვილი კატეგორიულად უარყოფს ამ მოსაზრებას. მისი აზრით, გველისაგან მიღებულმა სიბრძნემ ასწავლა მინდიას უსულო ბუნების საიდუმლო ენა. რიგვე სიბრძნე დაუპირისპირდა დედაცაც (მზის), როგორც ცხოვრების სიმბოლოს. მინდია საკუთარ შვილებს უარყოფს სიბრძნის დეკარვეის შიშის გამო. იმავე სიბრძნემ ჩიტების სუბრის დროს დაარწმუნა იგი, რომ ზრუნვა შვილებისათვის, შთამომავლობისათვის არის ბუნების უმაღლესი კანონი. გველისაგან მიღებული სიბრძნე მინდიას სარდლობის უნარს ანიჭებს და საზოგადოებრივი სიეთისათვის ბრძოლას უწყობს ხელს. მაგრამ იმავე სიბრძნემ ხელს ააღებინა მინდიას ოჯახისათვის ზრუნვაზე და დაუპირისპირა ის საზოგადოებრივ ინტერესს მოდგამათა გავრცელების საქმეში. ჩიტების საუბრის დროს მინდიას თავისი სიბრძნის ქვეშაობით ეჭვი შეეპარა. ეჭვი და ქვეშაობითება კი ერთად ვერ იტყობებოდნენ. ამ წინააღმდეგობის შედეგად მინდიამ მარცხი განიცადა. მინდიას სულში გველური სიბრძნე დამარცხდა, ხოლო აღმართურმა იდეალებმა გაიმარჯვეს.

დ. ბენაშვილის აზრით, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ერთ ფრთხულეს პრობლემას წარმოადგენს თემისა და პიროვნების ურთიერთობის საკითხი. თემისა და პიროვნების ურთიერთობაში მსაზღვრელ ძალად ვაჟას შემოქმედებაში გველიანება საზოგადოებრივი ეთიკური ნორმები. ამ საფუძველზე, თუ კი პიროვნება თემთან კონფლიქტის დროს არღვევს ზნეობრივ კანონს, რომელსაც ეწოდნობა საზოგადოება, პიროვნება მარცხდება მორალურად. „მოკვე-

თილში“ ბაბა ერთი გამოკვეთილი სახეა ზნეობრივად დამარცხებული პიროვნებისა.

პიროვნებისა და თემის შეჯახების დროს პიროვნების დამარცხების განსაკუთრებულ დროს მსათან ვაჟას საქმე პოემა „სტუმარ-მასპინძელი“ში. აქ ზნეობრივი ქვეშაობითება პიროვნების მხარზეა, რადგანაც პიროვნება იცავს თემში განმტკიცებულ სტუმარ-მასპინძლობის „საღვთო კანონს“, ხოლო თემი კი სუბიექტური თვალსაზრისის გამო ამ წესს არღვევს და ქოუოლას სახელში შესულ სტუმარს — ზეიადურს აბატობრებს. თემმა რაც უნდა საპატიო მოტივი წამოაყენოს თავისი შემცდარი ნაბიჯის გასამართლებლად ის მაინც მორალურად დამნაშავეა. მაშინდიანურმა თემმა არ შეიწყნარა ქრისტიანი ზეიადურის, როგორც ქოუოლას სტუმარის, ხელშეუხებლობა. თემისა და პიროვნების ამგვარ კონფლიქტთან ვაჟას საქმე პოემა „აღუდა ქეთელაური“ში. ქრისტიანულმა თემმა არ შეიწყნარა მაშინდიანი მუცლის სახსოვრად აღუდა ქეთელაურის მიერ ზეიადურის მსხვერპლად შეწირვა. ზნეობრივად აღუდა ქეთელაური მარიალია, რადგან ის იცავს წინაპართა ტრადიციას ვაჟა-ფშაველად დღემდე მყოფის სოცისადმი ზეიადურის შეწირვას.

გამოკველვის მეოთხე თავი მიძღვნილია ვაჟა-ფშაველას ლირიკისადმი. დ. ბენაშვილი დასაწყისში ზოგადად მიმოხილავს ქართულ ლირიკულ პოეზიას. შემდეგ დ. ბენაშვილი ვრცლად მიმოხილავს საეთის, თუ რა სიხლმე და თრინინინობა შეიტანა ვაჟა-ფშაველამ ქართულ სალირიკო პოეზიაში. ვაჟას ლირიკის ანალიზი იგი ახდენს იმ მათეარი მოტივების მიხედვით, რომლებიც სტიმულს აძლევენ ვაჟას ლირიკული ლექსების შესაქმნელად.

შემდეგ მეხუთე თავში განხილულია ვაჟა-ფშაველას პროზა. ვაჟა-ფშაველა სიტყვეერი ზეიადურების ამ სფეროშიაც გამოირჩევა, როგორც ფრთად ორიგინალური შემოქმედი. პროზაში ვაჟამ მოგვეცა ვენიალური ნიმუშები. დ. ბენაშვილი ვრცელ ანალიზს იძლევა ვაჟას პუბლიცისას, რომელიც აგრე ძლიერად არის გამოშქავენებული მის მოთბარობებში.

შრომის მეექვსე თავი შეეხება ვაჟა-ფშაველას დრამატურგიას. ავტორი იხილავს „მოკვეთილში“ დრამატულ კონფლიქტებსა და კოლიზებს, რომლებიც ხელს უწყობენ პიესაში მოქმედ პერსონაჟების სულიერ ცხოვრების წარმოსახვას. შემდეგ იგი კონკრეტულ ანალიზს იძლევა პიესის სამი მთავარი მოქმედი პერსონაჟისა: ჩონთას, ბაბას და ვაჟიარას ხასიათისას. ანალიზის შედეგად დ. ბენაშვილი აკეთებს დასკვნას, რომ ჩონთა და ვაჟიარა იდეური გამირები არიან, რომლებიც ეროვნულ ტრადიციებზე დაყრდნობით აღწევენ ზოგადი აღმინების სახეს. რაც შეეხება ბაბას, როგორც დრამატულ ხასიათს, იგი

მორალურად დამარცხებული და შერცხვნილი თავისი სამშობლოს, საყურადღებო ხალხის წინაშე. ბაბუა პირადი შერიცხვის ნიადაგზე მტერი მე-უსია თავის ქვეყანას და ამ ნიადაგზე თემიდან ვანდენენს იგი, როგორც მოღალატე. მკვლევი ვრცლად იხილავს ზეისის სცენიურ ხასიათს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ „მოკვთილი“, როგორც დრამა უარესად თეატრალური და სცენური.

გამოკვლევის მეშვიდე თავი — „ვაჟის ესთეტიკა და ეთიკა“, განსაკუთრებით საყურადღებოა არა მარტო ფაქტებითა და მათი მეცნიერული გააზრებით, არამედ იმიტომაც, რომ ეს ხა-კითხი ასეთი ფართო მასშტაბით პირველად არ-ის დამუშავებული. ვაჟა-ფშაველას ესთეტიკური კონცეფციის ანალიზის შედეგად შეკვლევაში მი-ლის დასკვნამდე, რომ ეს კონცეფცია ვერდნობა ობიექტური სინამდვილის რეალისტურ შემეც-ნებას.

ვაჟა-ფშაველას ესთეტიკურ კონცეფციაში ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს მხატვრული ენის პრობლემა. სიტყვა მაშინ არის ძლიერი, როდესაც ის თავისი ფესვებით დაკავშირებულ-ხალხურ მენტელებასთან. ვაჟას აზრით ხალხა მშობელი ენისა, ის აძლევს სიტყვას სი-ცოცხლის უნაჩს.

დ. ბენაშვილის შრომის საინტერესო თავს წი-რმოადგენს „ვაჟა-ფშაველა, როგორც ეთნოგრა-ფი და ფოლკლორისტი“.

მეცხრე თავში განხილულია ვაჟა, როგორც პუბლიცისტი. საარტიკო და სამწებულო მისა-ბუზე დაყრდნობით დ. ბენაშვილი სავანებოდ შეეხება ვაჟა-ფშაველას, როგორც უარესად სა-ინტერესო პუბლიცისტს. მდიდარი მასალებს შეგროვების შედეგად გაფანტულია ლეგენდა, თითქოს ვაჟას არ აინტერესებდა თავისი დროის პოლიტიკური საკითხები, ინდენფერენტულად იყო განწყობილი თავისი დროის მწვევე პრობ-ლემათა მიმართ. ნაშრომში ნათლად ჩანს ვაჟა-ფშაველას მებრძოლი პუბლიცისტის სახე ერო-ვნულ, სოციალურ, პოლიტიკურ და სხვა საკი-თებში, ვაჟა არა მარტო პრესის საშუალებით, არამედ პრაქტიკული მოღვაწეობითაც ხელს უწყობდა უსამართლობასაგან გატანჯულ მშრო-მელ ხალხს მდგომარეობის შემსუბუქებაში. დ. ბენაშვილი ვრცლად ჩერდება ამ პუბლიცისტურ წერილებზე, რომლებიც ეხებიან 1905 წლის რევოლუციისა და რეაქციის პერიოდს. ამ წლე-ბში ყველაზე ნათლად ჩანს ვაჟა-ფშაველას ვა-ეაქციური ბუნება რეაქციის წინააღმდეგ ბრძო-ლაში.

საყურადღებოა ვაჟას ფილოსოფიური შეხე-დულებანი“. დ. ბენაშვილის აზრით, ბუნების გაუნაზღვრელ სამეფოში და აღამიანთა ცხოვ-რებაში მომხდარ მოვლენებისადმი ვაჟა-ფშავე-ლას ფილოსოფიური თვალსაზრისის დამოკიდე-

ბუნებას განსაზღვრავდა მატერიის მოძრაობის დიდი კანონი. შრომის ეს თავი ნათელ წარმო-დგენას გვაძლევს, თუ რამდენად ღრმად და ორიგინალურად ფილოსოფიური შეხედულებანი ჰქონდა ვაჟა-ფშაველას ბუნებაზე და აღამიანთა ცხოვრებაზე.

მეთორმეტე თავი შეეხება ვერსიფიკაციის პრობლემას ვაჟა-ფშაველას პოეზიაში. დ. ბენა-შვილი ამ თავის დასაწყისში იძლევა ქართული ლექსის ბუნების ანალიზს. შემდეგ იგი კრიტი-კულად იხილავს შრომებს ვაჟას ვერსიფიკაცია-ზე. იგი არ ეთანხმება იპოლიტე ვითაგავას, მელიტონ კელენჯერიძეს და სხვებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ვერსიფიკაციის თვალსაზრ-ისით ვაჟას ლექსები თითქოს სუსტია. ვაჟას ლექსების ვერსიფიკაციის ანალიზით შეკვლევი მიდის დასკვნამდე, რომ პირველს ლექსის რიტ-მი ემყარება ტავში ტერფების თაყისებურ კ-ონტაქტს, ხოლო ამ კონტაქტის იმანენტურ კ-ანონზომიერებას, მისი პოტენციის ძალის განსა-ზღვრავს ლექსის მტერი.

ბოლო მეთორმეტე თავი ვხვდა ვაჟას ნაწარ-მოებათ ტექსტების საკითხს. შრომისში შორანი-ლი მავალითების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ ვაჟას დედანში ბევრი არსებითი ცვლილე-ბები შეჰქონდა, რომელიც არა მარტო აზრობ-რივად აღმოჩნდა და დედანს, არამედ მხატვ-რული თვალსაზრისითაც.

დ. ბენაშვილის გამოკვლევის სახით ჩვენს სა-ქმე გვაქვს სერიოზულ შრომასთან, ის დაწერი-ლია საგნის ღრმა ცოდნით და სიყვარულით.

მაგარა გამოკვლევაში ზოგი პრობლემა ხადა-ეოა და მათი გადაწყვეტა საყამათო.

დ. ბენაშვილი ცდილობს დაარღვიოს ქართ-ულ სალიტერატურო კრიტიკაში ვაგრცელებუ-ლი შეხედულება. იმ საკითხზე, თუ რა ნიადაგზე იქმნება კონფლიქტი თემსა და პირიყენებას შო-რის. მისი მტყიცება ხშირ შემთხვევაში არ არის მოკლებული ერთგვი ინტერესს, მაგრამ ზოგი-ერთთ მოსაზრება მაინც მიგვაჩინა არამართებუ-ლად. არ მიგვაჩინა მართებულად სისხლის აღე-ბისა და მარჯვენა მკლავის მოკვეთის ინტერ-პრეტაცია. დ. ბენაშვილის აზრით, პოემა „ალე-და ქეთელაურში“ თემსა და პირიყენებას შო-რის კონფლიქტი იწყება არა მკლავის მოკვეთის, არამედ ალუდას მიერ ქრისტიანული რელიგიის დოგმატის დარღვევის გამო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თემთან კონფლიქტი დაიწყო მაშინ, როდეს-საც თემმა ვაგიო ალუდას მოქმედება და დარ-წმუნდა იმაში, რომ ალუდამ არ მოსჭრა მარჯ-ვენა მუცელი.

დ. ბენაშვილი აღინიშნავს, რომ დღემდე ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მკვლევარი ალუდა ქე-თელაურის მოქმედებას ხსნიდნენ, როგორც ზო-ვად ბრძოლას სისხლის აღებისა და მკლავის მო-კვეთის წინააღმდეგ. ეს ვაგრცელებული მოსა-

ზრება მის არ მიანია მისილება. იგი პირდაპირ წერს: „ამგვარი ახსნა საფუძველშივე შეუძლებელია. მაგრამ ამ შემთხვევაში დ. ბენაშვილია შემცდარი და არა ის მკვლევარნი, რომელნიც იზიარებენ იმ აზრს, რომ ალუდა ქეთელაურის მიერ მარჯვენა მკლავის მოკვეთის ტრადიცია მოტივირებულია სურათი, ზოგადი ადამიანური მორალთა.“

დ. ბენაშვილი განაგრძობს: „ვაჟა-ფშაველას ალუდა ქეთელაური პირველი აუჯანუხა ამ ტრადიციას ე. ი. მკლავის მოკვეთის ტრადიციას ზნეობრივი თვალსაზრისით; მაგრამ შეცდომა იქნებოდა გეგმობრა, რომ ეს აჯანუხება მიმართული იყო მოწინააღმდეგეისათვის მკლავის მოკვეთის ზოგადი ფორმის წინააღმდეგ, არა, ქეთელაური ზოგადად არ ეწინააღმდეგება მკლავის მოკვეთის ფაქტს. არამედ ამ ფაქტის ერთ კონკრეტულ გამოვლენას“. ალუდა ქეთელაურის სიდიადე, მისი მაღალი ადამიანობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ილაშქრებს მკლავის მოკვეთის ტრადიციის არა ერთი კონკრეტული, არამედ ზოგადი ფორმის წინააღმდეგ. დ. ბენაშვილი ამ შემთხვევაში ძალზე ამიერებს, აიწერებს იმ დრამა და ფართო აზრს, რაც ვაჟა-ფშაველამ ჩასდო თავის პოემაში, როდესაც ალუდა ქეთელაური გაბედულად შეაბრაძა თეში გაერყელებულ ადამიანებს.

საგელისძე, რომ შემდეგში დ. ბენაშვილი თითქოს იხეგს უკან თავის მოსაზრებისაგან. ქვემოთ, მის შრომაში ეკითხულობს: „დიდი ხელმოკლეობისათვის აუცილებელი კოლიზია ალუდა ქეთელაური“ იქნება იმ მომენტთან, როდესაც გმირის სულში იბადება მოთხოვნისება თეში გაბატონებული ტრადიციის წინააღმდეგ ბრძოლისა“. ამივე აზრს იგი იმეორებს სხვა ადგილაც — იქაც ალუდა ქეთელაური გამოჰყავს ტრადიციის წინააღმდეგ მებრძოლად. ამ უძველესი წინააღმდეგობასთან გვევს საქმეთუ ალუდა ქეთელაური ზელის მოკვეთის მარტოდენ ერთ კონკრეტულ გამოვლენებს ეწინააღმდეგება, მაშინ როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ, რომ იგი თეში გაბატონებული ტრადიციის წინააღმდეგ მებრძოლია. ერთი კონკრეტული შემთხვევა არ გულისხმობს ტრადიციის ზოგადი, სურათი სახით უარყოფას.

დაბოლოს, დ. ბენაშვილს თემა და ალუდა ქეთელაურის შორის წარმოშობილი კონფლიქტი დაჰყავს მარტოდენ სარწმუნოებრივი ეთიკის საფუძველზე წარმოშობილ კონფლიქტად. ამ დებულებას იგი იმეორებს ვაჟა-ფშაველას მეორე პოემის „სტუმარ-მასპინძლის“ განხილვისას: „როგორც ეხედავთ, შურისძიების საკითხი ისე, როგორც ალუდა ქეთელაური“, სარწმუნოების საფუძველზე ამყენდება“. ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით. მართალია, სარწმუნოებრივი მოქმეტი დიდად მნიშვნელოვანია, მაგრამ

ალუდა ქეთელაურის კონფლიქტს თემა სხვა არსებითი მომენტები ახლდა თან. მათ გაამაჟარეს ეს კონფლიქტი.

დ. ბენაშვილს უნდა გაეახსენებინა კარლ შარტის მიითთება თავის თეზისებში ფოიერბახის შესახებ. შარტი წერს: „ფოიერბახის რელიგიური არსება ადამიანის არსებობაზე დაჰყავს. მაგრამ ადამიანური არსება როდია აბსტრაქტი, რომელიც ცალკე ინდივიდში ცხოვრობს. ნამდვილად იგი საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთობლიობაა. ფოიერბახი ვერ ხედავს, რომ თვით „რელიგიური გრანობა“ საზოგადოებრივი პროდუქტია და რომ განყენებული პარონება, რომელსაც იგი ანალიზს უყუთებს, სინამდვილეში საზოგადოების განსაზღვრულ ფორმას ეერთვნის“. ამ ამოტიმ არის, რომ თემა და პარონებას შორის წარმოშობილი წინააღმდეგობას საფუძვლად უდევს არა მარტოდენ რელიგიური შეგნება, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობის მთელი ერთობლიობა, ასევე ეს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაშიც.

არ შეგვიძლია ვაეზიაროთ ვაჟა-ფშაველას და მინდიას დამოკიდებულებს პრობლემის იმგვარი გადაწყვეტა, როგორც ეს ამ გამოკვლევაში წარმოვგინილი. ვერ დავეთანხმებით აეტორის იმაში, თითქოს მინდიას და ვაჟას თვალსაზრისს შორის უფსკრული იყოს; პირიქით, ვაჟა ბეერ არსებით საკითხებში ეთანხმება მინდიას.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში განმტკიცებულია ეს აზრი, რომ „გველის მჭამელი“ ვაჟა-ფშაველამ ფილოსოფიური აზრისა და სიღრმის შემცველი ნაწარმოები დაწერა ეს უძველესად ასეა. ამ პოემაში მთავარი პრობლემა სიბრძნისა, პრობლემა ყოვლისმცოდნეობისა.

მინდია არის ამ სიბრძნისა და ყოვლისმცოდნეობის განსაზღვრელი. „გველის მჭამელი“ ვაჟა-ფშაველას მიერ გარკვევით არის აღნიშნული, რომ მინდიას გველის ზორცის ჰამის შემდეგ თავის ბუნება შეეცვლება („ვაჟა-ფშაველა, ტ. V გვ. 27). გველის ზორცის სახით აჩვენებს მას სიბრძნე („სიბრძნე აჩვენებს გველად“, იქვე, გვ. 27); მინდია შეითვისა ქაქუჩის სიბრძნე, იქვე გვ. 27 და ამის შემდეგ „მას მუსაფი დაწეწო ცამ, დედაშიწამ, ტყემაო“ (იქვე გვ. 28). მინდია გამეცნიერდა („გამეცნიერდა გლეხი“, იქვე გვ. 28), მინდიას ეს გამეცნიერება „პრაქტიკულად იმოსხანს. თუ მან დაჰრძის ცაცხალს მოუსწრო, „ნუ აქვს სიყვარლის დარღობა“, იქვე გვ. 28), მინდიას მის უებარი წამალი“ (იქვე, გვ. 28), მარტოა მინდიას ესმის ყვაილთა და ხედა „ყენესა და ჩივილი“ (იქვე, გვ. 29), ხალხს მინდია დმერთან მთლამარადეც მიანია (იქვე, გვ. 45). თავის პუბლიცისტურ-კრიტიკულ წერილებშიც ვაჟა-ფშაველა „გველის მჭამელი“ გამო წერს:

„გველის ქამამ სრულიად სხვა ნაყოფი გამოიღო: მინდია ბრძენ კაცად გადაიქცა“. ს. ყუბანეიშვილი „ვაჟა-ფშაველა“, გვ. 284). სხვაგან ვაჟა-ფშაველა კვლავ აღნიშნავს: „საწამლავმა, ჭაჭუბის მიერ შეზღაღებულმა, ზიანის მიგვირად არგო მინდას. ხეესტური შეიქმნა ბ რ ძ ე ნ ი“ (იქვე, გვ. 294), ამ სიტყვებით ვაჟა-ფშაველა გარკვევით მითითებს მინდას სიბრძნეზე, გამეცნიერებაზე.

დ. ბენაშვილი ამ პოემაში გამოთქმული იდეის შესახებ წერს: „გველის მკამელით“ ვაჟას სურს დაადასტუროს, რომ სულიერი კავშირის დამყარება უსულო ბუნებასთან ეწინააღმდეგება ცხოვრების უზუნაეს კანონს“, ამავე აზრს იმეორებს იგი თავისი გამოკვლევის სხვა ადგილებს. შემდეგ დ. ბენაშვილი აღნიშნავს, რომ ვაჟა-ფშაველა საესკებით შიანს მხარეზე და მას ამართლებს ყველაფერშიო.

ვაჟა-ფშაველა მინდას დიდი თანაგრძნობით და სიყვარულით ეპყრობა. მინდია გამეცნიერების შემდეგ გახდა თემის მეთაური, სარდალი, მკურნალი. ავტორი ამ პოემაში სრულიად არ ამტკიცებს, თითქმის სულიერი კავშირის დამყარება ბუნებასთან ეწინააღმდეგება ცხოვრების უზუნაეს კანონს და ამან გამოიწვია მინდას გაწმინდება. ნამდვილად კი, ოჯახის პრაქტიკულმა საქარობამ მინდია შალღ მისწრაფებათა მწვერვლიდან ძირს დააგორა და მიწას დაანარცხა. მინდია განსაკუთარებული მწუხარებით არის შეპყრობილი იმის გამო, რომ ქვეყანას, საზოგადოებას, ხალხს ველარაფერს არგებს. ვაჟა-ფშაველას აზრით, მინდია დაიღუპა მაშინ, როდესაც მან უღალატა თავის მალღ იდეალს, კავშირი გასწყვეტა ბუნებასთან, დათოქვა მისი სიყვარული და სიღალღე.

დ. ბენაშვილი არ იზიარებს ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გავრცელებულ შეხედულებას ვაჟა-ფშაველას პანთეისტობის შესახებ. იგი პირდაპირ აღნიშნავს: „ვაჟა პანთეისტი როდღ იყო“; ამავე აზრს იმეორებს „ბახტრიონის“ განალიზისას. პანთეისტობა ფილოსოფიური მოძღვრების მიხედვით ღვთაება, როგორც უპიროვნო სულიერა საწყისი, იმყოფება არა ბუნების გარეთ, არამედ თვით ბუნებაში, გაბნეულა ბუნების მოვლენებში, განაპირობებს რა მათ მოძრაობას და განვითარებას. ვაჟა-ფშაველასთვის ბუნების სიღალღე და სიმშვენიერე არ იყო უბრალო რამ, იგი მასში მთელი ღვთაური ძალისა და სხვის გამოვლინებას ხედავს. ბუნება მას ატყუირობს უზუნაესთან, ღმერთთან:

მთის ვიჟავ, მწვერვალზე ვიღვავ,
თვალწინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთარე,
ვლამპარკობდი ღმერთთანა.

ალ. სიღარიბე — ვაჟა-ფშაველას უახლოესი

მეგობარი იგონებს, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვაჟა-ფშაველაზე რუსი პოეტის ბარატინსკის ლექსმა „გოეთეს სიყვებღზე“. სადაღ რუსი პოეტი ამბობს, რომ გოეთე ბუნების სუნთქვით ცხოვრობდა, რომ მისთვის გასაგებნი იყო ნაკადულის ლიკიკი და მცენარეთა ფოთლების საუბარი, რომ იგი ბალახის აღმოცენებას გრძნობდა, ვარსკვლავების წიგნი მისთვის ნათელი იყო, ხოლო ზღვის ტალღის ბუტბუტი მისაწვდომიო, „მთელი მთა სიხარულისა ამოსკდა ღუკას გულიდან, ციბურტრევით ტრაიღებდა ჩემს ოთახში და გაიძახოდა: აი ჩემი სარკე. შე ეპიოვე ჩემს თავი. ღუკა, ენს ჩინასაშვივე გენიღური ნიშნის გლეხი, ბუნების შეგრძნობასა და გაგებაში ორივე ფეხით იღგა სპინოზის პანთეისტურ თელსაზრისზე და ღმერთად მიანდა საწყაროს გასულიერებული სუბსტანცია“. ვაჟა-ფშაველა იზიარებს შეხედულებას სიცოცხლის ერთიანი სულის შესახებ, რომელღც, მისი წირომღველით, გაბნეულია მთელ საწყაროში. ამიტომღა, რომ ვაჟა-ფშაველას პანთეიზმი ორგანულია, გარკვეული სისტემის, მსოფღმღველობის ხსიათს ატარებს.

არ არის ნათელი, თუ რამდენად შეეხება პოემა „ბახტრიონი“ თემისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემას. გამოკვლევა ამ მხრით არ იძღვგა გარკვეულ წარმოდგენას.

სადაღოდ მიგვაზნია ავტორისა და ნაწარმოების პერსონაჟის თელსაზრისის ურთიერთდამოკიდებულებას ისეთი გაღმეყვეტა, როგორც ეს გამოვლენავაში წარმოდგენიღა. დ. ბენაშვილის აზრით, იდენტურობა ნაწარმოების პერსონაჟთა და ავტორის მსოფღმღველელობას შორის შეფღმღებღა. საწინაღმდეგოდ ამ დღებულებას, მრავალი მგაღლითის მოტანა შეიძღლება, იმის ნათელსაყოფად, რომ ნაწარმოების მთავარი გმირთ სავსებით გამოხატავს მწერლის თელსაზრისს.

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მიმართულების განსაზღვრის დროს არ არის მითითებული იმ განსხეავებაზე, რომელიც არსებობს ვაჟას რეალიზმსა და კრიტიკულ რეალიზმს შორის. ამ განმასხეავებელი ნიშნების ანალიზის გარეშე შეუღმღებღია სრულყოფილი წარმოდგენა ვაჟას რეალიზმზე, როგორც შემოქმედების მეთოდზე. ამავე დროს, ამ ნიშნების ხანგასმა უფრო დამაყერებელს გახდიღა და, ბენაშვილის მტკიცებას, რომ ვაჟა-ფშაველა არ არის სიმბოლისტი.

მიუხედავად ამ მცირე შენიშვნებისა დ. ბენაშვილის შრომა მნიშვნელოვანი და საყურადღებო შენაჭენია ქართულ ლიტერატურათმოდღნეობისათვის.

ბას; ჩვენ ვფიქრობთ, თუკი ავტორი ამ შენიშვნებს გაიზიარებს, შესაძლოა, მათ გარკვეული, თუნდაც მცირე, დახმარება აღმოუჩინონ მას მსგავსი მუშაობის დროს.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ მართალია ნ. კეკელიძის გამოყენებული აქვს მარავარიცხოვანი ლატვიანები, როგორც თითო არიანეს შესახებ, ისე მისი ცნობების ანალიზისათვის და ამ მხრივ სარეცენზიო წიგნი თითქმის არ იწვევს შენიშვნას, მაგრამ ავტორის უსათუოდ უნდა აღვნიშნა, რომ არიანეს საქართველოს შესახებ ცნობების განხილვას მიძღვნილი აქვს საუკეთესო გამოკვლევა, რომელიც მ. ინაძეს ეკუთვნის. ეს გამოკვლევა ჩერკოძე 1953 წელს დაიწერა; იგი შეიცავს არიანეს შრომის სრულ ქართულ თარგმანს, არიანეს ბიოგრაფიას, მისი მოღვაწეობისა და კერძოდ ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოების საქმიან ვრცელ დახასიათებას და არიანეს ცნობების საფუძველზე საქართველოს იმდროინდელი ვითარების მეცნიერულ განხილვას. მართალია ეს ნაშრომი მთლიანი სახით არ გამოქვეყნებულა, მაგრამ იგი დღევანდელი იყო როგორც საკანდიდატო დისერტაცია ივ. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში, დაიბეჭდა მისი ავტორი ვერტრეტიც და ნ. კეკელიძის სრული შესაძლებლობა ჰქონდა ვასცნობოდა მას.

რამდენადაც სარეცენზიო წიგნი არიანეს „შავი ზღვის პერიპლუსის“ მეცნიერულ პუნლიკაციას წარმოადგენს, ჩვენი აზრით ავტორის უფრო ვრცელად უნდა მოეცა თითო ამ შრომის დახასიათება, მის თავისებურებათა აღნიშვნა, მისი აღწერის, ცალკეულ ნაწილთა სანდოობის შესახებ მსჯელობა. ვფიქრობთ, ამ მხრივ საკმარისი არ არის ის მოკლე განცხადება, რომ „პერიპლუსის“ მეორე ნაწილში არიანე კმაყოფილება მხოლოდ დასახლებული პუნქტების და მდინარეების ჩამოთვლით, ხოლო მესამე ნაწილს კი ნაკლებ სანდოა და შეუძლებელია სავსე (გვ. 5). განსაკუთრებით ნაკლებად გვეჩვენება ჩვენ არიანეს წყაროებზე ლაპარაკი; ავტორი კმაყოფილება მხოლოდ მოკლე აღნიშვნით, რომ შრომის „მეორე და მესამე ნაწილი არიანეს შედგენილი აქვს ძველი წყაროების მიხედვით. ამ წყაროთაგან ცნობილი ჰერაკლეს პერიპლუსთან შენახული „შინა ზღვის პერიპლუსი“ შენიშნავს პერგამონელისა (გვ. 5). მაგრამ ამ წყაროებს გარდა არიანეს ხომ სხვა წყაროებიც აქვს გამოყენებული და მათ საფუძველზე შედგენილი თავისი შრომის გარკვეული ნაწილები. აღსანიშნავია, რომ „პერიპლუსის“ პირველი ნაწილისთვისაც კი, რომელიც დაწერილია არიანეს პირადი დიკტირების საფუძველზე, ივარაუდება ზოგიერთი წყაროს გამოყენება (ქსენოფონტის,

რომაული გზამკვლეებისა და მანამდე შედგენილი პერიპლუსების), ხოლო დანარჩენი თორი ნაწილის წყაროთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია გარკვეული მისახმობები (მ. როსტოვეცი, კ. მიულერი, ფრ. რუსი); ამ საკითხებზე საკმაოდ ვრცელი მსჯელობა აქვს მ. ინაძესაც თავის ზემოთხსენებ გამოკვლევაში (გვ. 23-27). ამ წყაროთა დადგენა მეტად მნიშვნელოვანია არიანეს ცნობების შეფასებისათვის და ავტორს, ჩვენი აზრით, უნდა დაეთმო თავის ნაშრომში ადგილი ასეთი კვლევისათვის.

ნ. კეკელიძის ნაშრომი შეიცავს V საუკუნის ანონიმის თხზულების ტექსტსა და ქართულ თარგმანს, მაგრამ ამ ნაშრომს რატომღაც არ ახლავს კომენტარები და არც არიანეს „პერიპლუსის“ შენიშვნებში არის ანონიმი გათვალისწინებული.

მე-13 გვერდზე ნ. კეკელიძე ეგება რომის როსს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ახ. წ. 11 საუკუნისათვის წარმოქმნილ სახელმწიფოებრივ ერთეულთა ჩამოყალიბებაში. ავტორი ეკმათება აკად. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით 1956 წ. გამოსულ ავტორთა კონკლუზიის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს, სადაც ამ სახელმწიფოთა წარმოქმნა დახასიათებულია, როგორც გარკვეული რეაქცია, ძველისაგან უაქციების ცდა, რასაც მემართავდა რომის ხელისუფლება. ნ. კეკელიძე ამ აზრს მცდარად მიიჩნევს; მისი აზრით, „რომი იმდენად რადიკალური იყო და ქვეყნის შინაგან ცხოვრებაში, რომ მას რაღაც ახალი წყობის დამყარების სურვილი ვასწიოდა. ასეთი რამ სხვა ქვეყნის მიმართ საერთოდ ძნელი მოსახერხებელია.“ ნ. კეკელიძის სიტყვით რომს აინტერესებდა მხოლოდ სამხედრო ვალდებულება და მცირე ხარკის ვალდება, რომის სოფურენობის ცნობა ქართველებისაგან. შემდეგ მას მოაქვს ცნობები ახ. წ. VI საუკუნის ისტორიკოსის აგათის სქოლასტიკოსის ნაშრომიდან, სადაც ნათქვამია, რომ ლახთა მეფე წაუთ დაის თვისტომთ უვლიდა როგორც მას სურდა და როგორც მამამაპური წესი უპარანახებოდა და დასძინს: „მართალია, ეს ცნობა გვიანდელია და ბიზანტიური ხანის ექთენის, მაგრამ აღვრ კიდევ უფრო ზეგრო ხასიათს ატარებდა რომაელებსა ჩიქვლმა ქართველთა შინაურ საქმეებში“. უფრო ქვევით ნ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ „რომაელთა როლი ამ ქვეყნის (დასავლეთ საქართველოს, ნ. ლ.) განვითარების შინაგანი ძალების მოქმედების დროს ნელს უღრიდა“ (გვ. 15).

უნდა აღვნიშნოთ, რომ შესაძლოა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულთა წარმოქმნა ერთგვარად ცალმხრივად არის ახ-

ნალი, მაგრამ არც ნ. კეკელიძის შეხედულება არის მართებული რომის როლის შესახებ. ვერ ერთი, არ შეიძლება ლაპარაკი რომის დამოკიდებულების შესახებ ქართულ სახელმწიფოთა მიმართ საერთოდ; სრულიად სხვა-ღმსავალია იყო ეს დამოკიდებულება დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის) და აღმოსავლეთ საქართველოს (იბერია-ქართლის) მიმართ. არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს იმაზე, რომ დასავლეთ საქართველოს როგორც შინაგან განვითარებაში, ისე გარეპოლიტიკურ ეკონომიკაში რომის როლი უღრესად დიდია იყო. დასავლეთ საქართველო ხომ ძვ. წ. I საუკუნის 50-ანი წლებიდან ფაქტობრივად რომის ხელქვეით იმყოფებოდა; ხან რომის ვასალურ სახელმწიფოთა შემადგენლობაში შედიოდა, ხან-კი უშუალოდ რომის პროვინციულ მმართველობას ექვემდებარებოდა; ამასთან ქვეყნის მდგომარეობას განსაზღვრავდა თვით რომის სახელმწიფოს ინტერესები და პოლიტიკური მიზნები. უფროა ისიც, რომ რომში დიდი როლი შეასრულა დასახლებულ პოლიტიკურ წარმონაქმნთა ჩამოყალიბებაში და რამდენადაც მანამდე კოლხეთი ერთიან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, ხოლო II საუკუნისათვის კი ის რაგ პოლიტიკურ ერთეულად დანაწილდა; ეს ერთგვარ რეაქციას წარმოადგენდა. მართალია ეს რეაქცია გამოწვეული იყო სწორედ იმით, რომ ქვეყნის ადგილობრივ ძალთა აღორძინების პირობებში, რომს სულ უფრო უჭირდა ამ ქვეყანაში თავისი ძალაუფლებას შენარჩუნება, რის გამოც ის მიმართავს ქვეყნის დაქუცმაცებას, მაგრამ, რომ ეს რომელია მართლაც აქედისაკენ ხელოვნური უკუშეცდვის ცდა? იყო, ესეც, ჩვენს აზრით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მეორეს მხრივ, მერმინდელი, ბიზანტიური ხანის ურთიერთობათა დამოწმება წინადრობიდან მდგომარეობის გასარკვევად ამ შემთხვევაში გამართლებულად არ მიგვაჩნია: ამ. წ. II საუკუნეში რომი ვერ კიდევ ფაქტობრივად განაგებს დასავლეთ საქართველოს, ხოლო VI საუკუნეში კი აქ უკვე ერთიანი ადგილობრივი ლახთა (ეგრისის) სამეფოა, რომლის დამოკიდებულება რომზე (უფრო სწორედ, ბიზანტიის იმპერიაზე) საგრძნობლად შესუსტებულია და ძირითადად მართლაც ფორმალურ ხასიათს ატარებს.

მე-15-16 გვერდებზე ნ. კეკელიძე ეხება ჰენოთოტა ტომის სოციალური განვითარების სურათს და არიანეს ცნობებს ჰენოთების შესახებ უდარებს პლინიუსსა და სტრაბონის მოსაზრებებს. ამ შედარების შედეგად მას გამოაქვს დასკვნა, რომ თუ სტრაბონისა და პლინიუსის მიხედვით ჰენოთები საგვარეულო წყობილების საფეხურზე იდგნენ, არიანეს

დროს ამ ტომის განვითარების პროცესი შორს წაივდა და ამ კლასობრივი საზოგადოება ჩვეულებრივად, რომლის სათავეში მონარქი, შემდეგს მაგრამ, საქმე ისაა, რომ არიანეს პენიონები, რომლებიც მაკრონებთან ერთად ერთ სახელმწიფოს ჰქმნიან შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპიროზე, არ არიან იგივენი რაც სტრაბონისა და ავტორის მიერ მოტანილი პლინიუსისეული კონტექსტის ჰენოთები, რომლებიც რამდენიმე ტომად არიან დანაწილებული; ეს უკანასკნელები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მისახლეობენ, ნაწილობრივ თანამედროვე აფხაზეთის, ნაწილობრივ აფხაზეთის მომიჯნავე (ჩრდილო-დასავლეთით) ტერიტორიაზე. ამდენად მათი ურთიერთშედარება და ამ ვითარებაში სამხრეთელი (არიანესეული) ჰენოთების განვითარების გზაზე ლაპარაკი გაუმართლებელია. არ არის ზუსტი აგრეთვე გამოთქმა, რომ არიანეს მიხედვით ჰენოთები მაკრონთა ტომს შეერთებინ და ორი ტომის კავშირი ჩამოყალიბებულა" (გვ. 16). რამდენადაც მაკრონ-ჰენოთთა სამეფოს ჩვენ (და თვით ავტორიც) სახელმწიფოდ, ე. ი. კლასობრივი ურთიერთობის საფეხურზე მდგომ ერთეულად მივიჩნევთ, ამ "ტომთა კავშირზე" ლაპარაკი აღარ შეიძლება. ავტორთა ორგანოს აღნიშნავს, რომ აბასკები (მისი აზრით იგივე აფხაზები) არიანეს მიხედვით ზღვის ნაპირს არ მოსახლეობენ, ნაპირს დაკლებულნი არიან და მთიანეთში ცხოვრობენ (გვ. გვ. 23, 78). ზღვის ნაპირისაკენ დემოკრებით არიან აღნიშნული ისინი, აგრეთვე, ნ. კეკელიძის რეაქციურ ფიქრობთ, რომ საამისო მტკიცების შეჯარი საბუთი არ არსებობს; არიანე ზღვის ნაპირს გასწვრივ მიცურავს და ასახელებს მხოლოდ იმ ტომებს, რომლებიც სანაპიროს ვასწვრივ ცხოვრობენ; საეჭვოა, რომ მას ზღვის ნაპირის მოშორებით მოსახლე ტომის დაესახელებინა, მით უფრო, რომ იგი პირდაპირ წერს: "შემდეგი ტომები გავიარეთ:" და მერ ჩამოთვლის სხვადასხვა ტომებს, მათ შორის "აბასკებსაც. მართალია, არიანეს ცნობის მიხედვით აბასკების წინ დასახლებულ აბსილებსა და შემდეგ ნახსენებ სანიგებს შორის ზღვის სანაპიროზე თითქმის ადგილი არ რჩება, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ აბასკები არიანეს დასახლებულნი ყუფს უკვე იმის საბუთია, რომ მათი ტერიტორია ვიწრო ზოლად მაინც გამოდიოდა სანაპიროზე.

ვერ დავეთანხმებით ავტორს ისეთი პუნქტების ლოკალიზაციისას, როგორიცაა ნაფსას ნაჯა და გურ ი და მდინარე კო რ ა ქ ს ი (კო რ ა ხ ა). ეყრდნობა რა პ. ინგოროვის მოსაზრებას, რომ იოანე სანაპირის თხზულებაში დასახლებული ნაფსას ნავსადგუმი არის იგივე ნიკოფსია, ნ. კეკელიძის ვიწველვაში

შენიშვნის გარეშე შეაქვს ეს გაიგივება კომენტარებშიც და საძიებელშიც (გვ. 83 და 116). ამავე დროს, ამ საკითხზე არსებობს სრულიად სხვა მოსაზრება, რომელიც ჩვენ უფრო გამართლებული გვეჩვენება: ნაფსაჲს ნაფსადგურა იოანე საბანისის კონტექსტის მიხედვით ხალხის თემის ერთ-ერთი პუნქტია, ე. ი. ტრაპიზონ-კოროხის სანაპიროში მდებარეობს და არა შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, სადაც იმყოფებოდა ძველი ნიკოფსია. უოველშემთხვევაში საჭირო იყო ამ განსხვავებული მოსაზრების მოტანაც (იხ. С. Джанашиа. О времени и условиях возникновения Абхазского царства, „შრომები“ ტ. II, 1952, გვ. 335-336).

სრულიად გაუმართლებელია აგრეთვე კლავდიუს პტოლემეის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ დასახელებული მდ. კორაქის

(კორახის) მდ. კელასურთან გაიგივება. პტოლემეის ჩრდილოეთით უერთდება ზღვას, იგი კლავდიუსის ჩრდილოეთ საზღვარს წარმოადგენს და ამდენად არ შეიძლება კელასურს უდრადეს რომელიც სოსტემის სამხრეთით მომდინარეობს. ამ მდინარეს სამართლიანად აიგივებენ მდ. ბზითან. (В. Куфтин Материалы к археологии Колхиды, т. I, 1949, გვ. 124).

ნაშრომი იწვევს ზოგიერთ უფრო უმნიშვნელო შენიშვნებსაც, რომლებიც ძირითადად ტიპნიკური ხასიათისაა, მაგრამ არც ესენი და არც ზემოთ მოტანილი ჩვენი შენიშვნები არ ამცირებენ ნ. კვებლამაძის უდავოდ მნიშვნელოვანი შრომის ღირსებას. ეტყვს არ იწვევს, რომ საჩუკუნოო წიგნი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უცხოური წყაროს — არაანეს „ეგვიპტის პონტოს პერაპლუსის“ საუკეთესო მეცნიერულ პუბლიკაციათაგანია.

რომარ ლომოვი

მამია ასათიანის მოთხრობები

მამია ასათიანი მხატვრულ პროზაში თვალსაჩინო წარმატებას აღწევს მაშინ, როდესაც წერს ზვენი დროის აქტუალურ თემებზე, გმირობის, მამაკობისა და მასების შემოქმედებით გაქანებაზე. კრებულში მოთავსებული ათი მოთხრობა პირობითად შეიძლება გავყოთ ორ ჯგუფად: მოთხრობები, რომელთა შინაარსი რომანტიკულია და ემყარება თქმულებებს, ლეგენდებს და მთარულ სიუჟეტებს; მოთხრობების მეორე ციკლი კი ხასიათდება ცხოვრების რეალისტრი ხილვით, აღქმულ საგანთა სწორი განხილვადებით. მწერალს მეტწილად კარგად აქვს დახატული პერსონაჟთა ხასიათები, ბუნების სურათები. ერთი შეხედვით თითქმის იგი ძენწობს ვარკოხსა და პერსონაჟების დახასიათებაში, მაგრამ დავიწყებული თვალი შეამჩნევს, რომ მოთხრობის განვითარებასთან ერთად ეთარდება ვარკოხსა და პერსონაჟების დამახასიათებელი ნიშანდობლივი მხარეები და პოლოს ერთ მთლიან შეყრულ სურათად გველენება.

სიყვარულის თემა ლამაზადაა გახსნილი მოთხრობაში „მიაგელის“ სიყვარული“. მწერალს კარგად ესმის ოქავის მნიშვნელობა. აი, როგორ აღსაბარებს მოთხრობის ერთ-ერთ ეპირს ბეწუ პირველს: „იცი, რა ვითარა, მარგველანო, მიაგელი გულიდან უნდა ამოიღო. იფაკეთ ცოლშვილს ვერ უღატარებს. ქვეყნის ვედე ოქავია და იმას მიხედ, თუ ის შეგერყია, სიცოცხლეც ჩაგიმწარდება; ხალხის ყბაში თავი არ ჩაივლო!“ ედიქრობთ, ზედმეტია მოთხ-

რობაში ორი ტიპის — დარბანესა და მიაგელის სიღამაზის დაპარისებრება. სწორედ ეს იქცევა ოქავის ორპოფობის მიზეზად, რასაც მხატვრული დასაბუთება აკლია, მკითხველი იფიქრებს, თუ დარიანე სიღამაზით მიაგელს ჩამოეყარა და მკლავს, მაშინ ოქავა ამ უკანასკნელს აირჩევდა და პირიქით, ამ შემთხვევაში მოსხინილია ოქავის მთლიანობის საკითხი, იგი ქრება მკითხველის ცნობიერებიდან.

სიყვარულის მაგიური ძალა ნაჩვენებია ისტორიულ თქმულებაზე შექმნილ მოთხრობაში „თქმულება ქეთისზე“. დადამისა და აიტიის შედის ასულის სიყვარული საწინდარო ხედვებისა, რომ აფენებთათ ახალი ციხე-სიმაგრე, გაერთიანებით ქართველი ერი, რათა ვარგშე მტრებზეათვის საკადრისა პასუხი გაეცათ. აქ ნათლად დაგვიანხა მწერალმა სიყვარულის ძალა და მნიშვნელობა. ამავე მოთხრობაში ნახვენებია ძველი ადამ-წყისების რღვევის პროცესი. მოთხრდება თქმულება, მაგრამ იქმნება ახალი თქმულებები, ახალი სავირო სიუჟეტები. ახალი ეპოქა ახალ თქმულებას თუ ლეგენდას ბადებს და ამის სულ რამდენიმე სტრიქონით, ორიოდე შტრიხის მოსმით ახერხებს მწერალი:

„ახლა, როცა რიონის ტალღებით აბრუნებულ გენერატორებს ცეცხლის ნაპერწკლებით გადაუქვდავთ შისი თაღები, როცა შისი ვაკე-ციების ხტლით შექმნილი მძლავრი მანქანები ჩვენი ქვეყნის მდარობაში თუ ველ-მინდრებზე სახალხო სიმდიდრესა და სიღვრეს აქმნიან, ამ თქმულებას შეგი ძალა და ღონე აქვს.“

ქვეშაობად ქვათათიანი ვაქცაეები ავთუ-
ბენ ამ დიდ საქმეს.

მოთხრობით „ამირანის მშობილი“ მწერალი
გვამცნობს ჩვენი ერის შორეულ წარსულს.
მწერალმა შესწოლი ნათლად გადმოგვცა მამონ-
დელი ადამიანების ნახევრადელური ყოფა,
რომელნიც ცეცხლს უფრთხიან, მაგრამ მით
ცნობიერებაში თანდათან მკვიდრდება ცეცხ-
ლის სარგებლიანობა, მისი როლი ცხოვრებაში.
იი, რას ვუხანება ამირანის პატარა ძმობილი
ზორბოტ კაცს — დარისპანს: „არა ხარ მართა-
ლი, კოქლო დარისპან, — არ აცალა სიტყვის
დმარულება ავთო-ბიჭმა. — ცეცხლი ჩვენ
გვათბობს. რაც ზრდილობისკენ გამოვიწყეთ,
იგი ჩვენი სანატრელი მეგობარი ვახდა. ნახე,
ამ ნაკერცხალმა როგორი სანუქარი მოგვიტა-
ნა. ჰმანუცა ამიყად ასწია ხელი და თითებში
ჩაბრუნედი ლითონი ვამახებელი პირით
წაბლის ტოტს გააკრა. ტოტი ფრთქალით
მოსწყდა ხეს და მიწაზე მოსხლტით დაეცა“.

მწერალს დამაყრებლად აქვს აღწერილი
ლითონისა და ღვინის პოვნის დეტალები, რაც
ერთბელ კიდევ მოაგონებს მკითხველს, რომ
რკინა და ღვინო ჩვენი ერის უძველესი და უმ-
ნიშვნელოვანესი მონამოვარია.

თქმულების ცენტრალური გმირია ამირანი,
რომელიც ხალხის მომხრე, მათთვის მებრძო-
ლია ჩაინდო. მისი ბრძოლის მიზანია — ხალხს
სიკეთე — ცეცხლი მოეტრას.

დარისპანის სახით მწერალმა დაგვიხატა ბო-
როტი, ცბიერი ადამიანის სახე, რომელიც კე-
თილს მუდამ კვლადაკალ აჩრდილიაით დას-
დევს. ბოროტება სიკეთის მტერია და დარის-
პანიც, როგორც ბოროტების საწყისი, მტრუ-
ლად გვაღება ყველაფერს. მწერალი კარგად
იყენებს კონტრასტულ ხერხებს. ბოროტისა და
სიკეთის საწყისების ბრძოლაში იმარჯვებს
კეთილი, რომლის სამშობლოცია სახეა ამირანი,
იგი ღვთის ნათლულია, ხალხის კეთილისმსურ-
ველი და ქომავი. მან არ იცის რა არის კაცის
კვლა, არ მისდევს შერისბიებას.

პატარა ხალხიამ, ამირანის უგულითადესმა
მეგობარმა, იხოვა ეახის ხე, მანვე პირველმა
აღმოაჩინა, რომ ყურძნის წვენი საამო სასწე-
ლი იყო.

მაგრამ ბოროტი კაცი — დარისპანი ლითონ-
საც იპარავს, უფრძინს წვენსაც და ამით ხალხს
უკარგავს სიკეთის დესლს. დარისპანი ფოლა-
დის მახვილით კლავს ხალხს კეთილდღეობი-
სათვის მებრძოლ ხალხებს. ამირანი გუბრის
მას არა შიშის კარნახით; მისთვის უცხოა შიში,
ქედის მოხრა მოძალადის წინაშე, მას ვერასო-
დეს დაუფრტება შერისბიების გრანობა. ამი-
რანის სუსტი მხარე — „აქილევის ქუსლს“
მისი გულკეთილობა და უაღრესი კაცთმოყუ-
რობაა. იგი აღესილია სიკეთისა და გულითა-
დობის გრანობით. მას მტკიცედ სჯერა სიკეთის

გამარჯვება, ვინაიდან „ბოროტებს დარისპანს
სიკოცხლე არ უწერია“. ამირანი ხალხს უყ-
ვას, სჯერა მისი. რაც დრო გადის, ამირანის
სახელი სულ უფრო იზრდება და მოხელარუ-
ლი ხდება ხალხში.

ახალგაზრდა ხალხია ამირანივით ახლის ძიე-
ბითაა გატაცებული და ამაში იგი ხალხის კე-
თილდღეობას, მისი შრომის შემსუბუქებას,
ბედნიერებას ხედავს. სასიკვდილოდ დატყილი
კაბუკი კიდევ ხალხზე, მის მომავალზე ფიქ-
რობს: „როივეს ვახსოვდეთ, — განავრთბს
ბიჭი, — ცეცხლი და ლითონი დარისპანა უნდა
წაართვათ, ხომ მიხვდით; ასეთი კაცი ყოველ
სიკეთის მარცვალს ბოროტების ნეშოში გა-
ვევს. ამირანს შეეხვეწეთ, ეს არ დივიწყოს,
თორემ მასაც დიდ სიმწარეს ანახებებს, მე კი
ყველაზე მაღალ მთაზე ჩამვალთი, ერთს სხ-
ნისი ჩამატანეთ, ხომ გახსოვთ, მე რომ ლითონ-
ის წვერი გავეძავთ...“

ხალხებს სახეში ავტორმა გამოაქანდაცა ხალ-
ხის მისწრაფება, ლტოლვა სიახლისკენ, ახლის
ძიების სურვილი, ყოფაცხოვრების ახალი ფორ-
მების დამკვიდრების ურყევი რწმენა. ამ მოთ-
რობის მიზანია მკითხველი აღანთოს გმირული,
პატრიოტული სულით, განაწყოს იგი დიდი,
საზოგადოებრივი საქმისათვის საბრძოლველად.
ეს ერთობადა ზრდის ნაწარმოების შემეცნე-
ბითსა და აღმზრდელობით ღირებულებას.

საინტერესოა, აგრეთვე, მოარულ სიუჟე-
ტზე შექმნილი მოთხრობა—„როგორ გა-
ჩინა წყლის წვეთმა ნაპერწყალი“, რომელიც
ავტორი დამაყრებლად გადმოგვცემს ქართუ-
ლი ერის ისტორიულ ბედს. მიშხიდველია ბრძე-
ნი მოხუცის სახე, იგი შეიღებ მტრისად დედის
ასე მიუგებს, „შენმა თვალებმა ბედნიერი ნა-
პერწყალი დაბრდა, ქალი. დასამაზიდან წყალი
და ცეცხლი მტრები იყვნენ. წყლის წვეთი აჭ-
რობდა ნაპერწყალს. ცეცხლი ამრობდა წყალს.
ოღესღაც შთამომავალი გაიგებენ შენი თვა-
ლების წვეთის ნაპერწყლის საიდუმლოებას. ეს
ნაპერწყალი ბედნიერებასა და სინათლეს მოუ-
ტანს ხალხს“. ამ ღამაზე თქმულებას ავტორი
საფუძვლად უდებს გმირულ დღეიანდობის,
ჩვენმა ხალხმა ისწავლა და ახლა უკვე იცის
მდინარის ტალღებისაგან ნაპერწყლის მიღება
და ეს სინათლე არსებობს ხალხის სასიკეთოდ.

მეორე თავ მოთხრობებში („მეეტლე და შვი-
ლოშვილი“, „სანუქარი“ და სხვ.) მამია ასათი-
ნი იყენებს ეპიკურიული აღწერილობის ხერხს.
რაც განსაკუთრებით შესაძნეველია მოთხრობაში
„მეეტლე და შვილოშვილი“, რომელიც ქველი-
სა და ახლის დამპირსპირების ცდაა, მაგრამ
მხატვრული მოტივირება აკლია ადამიანთა
ურთიერთობას, რაც კონტრასტულ ხასიათთა
გამოყვეთაში იჩენს თავს. მოთხრობაში მკა-

ყოფილ ჩანს, რომ ძველი თაობის კაცი — დათა ბლის, შანჭანის მოძულეა. მის ეტლი ურჩევნი ტყვესის ამ უახლეს მიღწევას. მაგრამ დგება კრიტიკული მომენტი: დათას შვილიშვილი ავად ხდება, ექიმთან სასწრაფოდ მიყვანა მხოლოდ შანჭანით შეიძლება. და ამ წუთიდან ვრამბამდ ხდება დათას გარდაქმნა.

„სანუქარა“ და „უღუქსო დღე“ ნათლად წარმოადგენს ორ კოლორიტულ ფიგურას — ვორკისა და აკაის, მათს შარბათლ სახეებს და სახათებს. ავტორის მიერ შექმნილი სიტუაციები საესტეტი ბუნებრივია და ხელს უწყობენ ნაწარმოებთა სიუჟეტის განვითარებას. ორივე მოთხრობას ახასიათებს დრეკტივური პროზის, ნარკვევის ნიშნები.

პირველ მოთხრობაში მკითხველი ეცნობა მაქსიმ გორკის მოგზაურობას საქართველოში. კერძოდ, იმერეთის რაიონებში. მ. გორკი ქუთაისიდან ბაღდადისკენ მიმავალ გზაზე ხდება უცნობ მეთევვეს, ეცნობა მომხიბლავ და ჯადოსნურ ბუნებას. იგი აღტაცებული რჩება ორმაგად: ბუნებით და ადამიანით — ქართველი კაცის გამჭვირავობით, ტყვეის სილამაზითა და გულითადობით.

დასამახსოვრებელი ეპიზოდია ქუთაისში პედიგვ იასონ ნიკოლაიშვილის ბინაზე გორკისა და აკაის შეხვედრა, მათი შთამავლონებელი საუბარი, მ. გორკის აღიარება: „საქართველო, მეგობრებო, ჩემი შემოქმედების აჯანია. იგი ჩემი მეორე სამშობლოა ამ ვრცელ მიწაზე. მისმა ჯადოსნურმა ბუნებამ არაერთ მწერალზე მოხდინა ვალუნა და კალამი ააღებინა“...

„უღუქსო დღეში“ მხატვრულად გამოთქმულია საყოველთაო ტემპირიტება: საქართველოში პეტროსა და აკაის სახელი ვინეყოფელი ერთმანეთისაგან. მხოლოდ ერთადერთ

დღეს — აკაის გარდაცვალების დღეს არ წარმოთქმულა ლექსი; მოსწავლე ახალგაზრდობ, მთელი ქართველი ხალხი ამ დღეს მღერძარედ იღგა თვდახრილი და აყო სანჯათო გლოვა.

მოთხრობა დაწერილია დახვეწილად, პლასტიკური ენით. მწერლის მტყუყულება და ლექსიკა მრავალფეროვანია და მდიდარია.

მხატვრული ნარკვევის სტილს უახლოვდება „ყრმა ვალოდიას დარდი“. მასში გახსნილია ტუბუკი მთიაცოცვის ტემპერამენტისა და ხასითის ზოგეგერთი ნიშან-თვისება: ძიება, დაცუხრომობა, რევოლუციური ალტერნება, სწრაფვა დიადისა და ამიღლებულისაკენ.

მამია ასათიანი ამ მოთხრობაში კარგად ხატავს რაონისპირის კოლორიტულ გარემოს, გინაზიცილ ტოღმეგობართა სამოქმედო ასპარეზს, აქ მწერლის თხრობა ლაღად და დინამიკურად მძაყუება მოუღენათა მსგულლობას. მოთხრობაში კარგადაა ჩართული მამია წულუკიძის ავადმყოფობის ამბავი. ამ მგზნებარე რევიოლუციონერის სახელი ხიბლავდა არა მხოლოდ მეშებს, არამედ გინაზიცილებსაც. ყრმა ვალოდია და მისი თანატოლებიც შთაგონებული იყუნენ წულუკიძის მოქმედებით და ავტორიტეტით. მამია ასათიანს არსად არ ღალატობს მწერლას, ალღო, აქვს მკვეთრი ხედვა და დეტალების ხორცყუსხმის უნარი.

წიგნში წარმოდგენილი მოთხრობები ჯანსაღ რეალიზმითაა გაფენილი, აღმეყდილია სოსადავითა და მხატვრული ზომიერების ტანობით. მამია ასათიანის პროზაში სიციცხლე ხარობს, ცხოვრება გვიღმის პოეტური ელვარებით და მწერალი თვითონაც ოპტიმისტის თვლით უყურებს მომავალს, სვე-ბედნიერ ადამიანთა სახეებს.

სიმონ არაშვალამ.

შრომა ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიაზე

ეთნოგრაფ ვ. ათონიშვილის სარკვევნიო შრომა „ქართველ მთიელთა სოფახო ურთიერთობის ისტორიიდან“ პირველი ცდაა მთნოგრაფიულად იქნას შესწავლილი ხევის საქორწინო-მეტრიტური ადგილობრივი ეთნოგრაფიული მახალის ვანზოგადრებისა და სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების გზით. ავტორს აგრეთვე შორბანილი აქვს უხვი პარალელური მახალა ჯავახოსლ ტომებისა და მოძმე ეთნიკური ჯგუფების ზენაყუელებიდან.

წინასიტყვაობაში დადგენილია საყველი ობიექტის — ხევის გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული და ეთნოგრაფიული საზღვრები.

შესავალში მიმოხილულია საქორწინო და სოფახო ურთიერთობის შესახებ არსებული

სპეციალური ლიტერატურა. ამასთანავე დამაჯერებლად და საინტერესოდ ვაღმოცეპულია საყველი სავნის ისტორია.

პირველ თავში დაქორწინებისათვის საყველელელო წინაპრობათა ნორმების დადგენისათვის ავტორი არკვევს ნათესაობის სისტემას ხევეში და მოპოებული ეთნოგრაფიული მასალებს მიხედვლად გამოყოფს ნათესაობის სამ ფორმას: სისხლერი, მოყრობითი და ხელოვნური.

სისხლერი ნათესაობის სფეროს განეკუთვნება „ჩამავალობა“, რომელიც მამის ხაზით გერთიანებული მოდგმა (ავნატორი) და „ჩამადვენება“ დედის ხაზით შექმნილი შთამომავლობა (კვანტორი). შემდეგ ნახვენება გვა-

რის დიფერენციაციის მკაფიო სურათი. მკვლევარი ამტკიცებს, რომ „ნათესაური ურთიერთობის დადგენის პროცესში „ჩამამალებობაზე“ ნაშუალებად არც „ჩამადღვენებაში“ ექვეოდა უფრადლება და ეს ორი ცნება თითქმის ერთმანეთს უტოლდება“. (გვ. 24).

მოხვეუები მტკიცედ იცავდნენ ეგზოგამიას. ოღონდ ცალკეულ ნათესაურ წევრებს შორის ამ მხრივ განსხვავება არსებობდა. „ჩამამალებობაში“ და „ჩამადღვენებაში“, როგორც მშისა და დღის მხრიდან სისხლით ნათესაური შტოებში თანაბარი სიმკაცრით იყო დატული ქორწინებას აკრძალავდა.

მკვლევარი კონკრეტული მკვლევების საფუძველზე ნათესაურ გვარის შიგნით ქორწინების აკრძალვას და არა მარტო ერთი გვარის შიგნით არამედ მთელ „სახლიკაცობაშიც“.

დღის მხრივ ნათესაობის დადგენა და დაცვა ხერხდება დღის სისხლიერი ახლობლების „დისწულებად“, „დღისძმებად“ დაყოფის შემთხვევაში. „ჩამადღვენების“ ხაზით მკაცრი ეგზოგამია, „დისწულ“ — „დღისძმების“ ფართო ინსტიტუტი აფიქტირებს ავტორს, რომ ხევის ეთნოგრაფიულ ყოფაში უკანასკნელ ხანებამდე ცოცხლობდა მატრიარქატის გადმონათობა.

ეგზოგამია ერთ უბანში (მოხ. „ქუნა“) დატული იყო, რასაც აპირებდა ის ვარჯიშობა, რომ ჩვეულებრივ უბანში ერთი გვარი ცხოვრობდა. დროთა განმავლობაში, როცა უბანი აღარ წარმოადგენდა ერთგვაროვანს მოხვეუები მუშაობდნენ შორის მანც ვარიტეტოდნენ ცოლქმრული კავშირის დამყარებას. და უფრო მეტიც, ქორწინება აკრძალული იყო ერთი სოფლის ქალ-ვაჟთა შორისაც“ (გვ. 63), რაც ავტორის აზრით, ვადღენამით უნდა იყოს იმ დროსა, როცა სოფელი ერთი გვარით იყო დასახლებული. სამაგიეროდ უფრო დიდ სოციალურ ერთეულში — თემში სრული ენდოვანია არსებობდა და პირაქით, მოხვეუები სოცოლედ ყოველთვის თავიანთი თემის ქალს არჩევდნენ.

ხევი კლასობრივი დიფერენციაციის შექრამ თავისი დღი დასვა საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგებასაც. მკვლევარის ვარაუდით, ხევი კლასობრივი უთანასწორობის გაჩენა XIV ს. მეორე ნახევრიდან შეკარად შეიძინევა, ხოლო აგვიანფოდალურ ხევიმ ბატონყობის არსებობა ინსტირული სინამდვილეა და მისი უარყოფა შეუძლებელია“ (გვ. 90). მაგრამ ავტორი იფარგლება რა ნაშრომის თემით ამ რთულ საკითხებზე მსჯელობას აღარ აგრძობებს, ხოლო იქვე ნათესაუფს, რომ იდგილობრივ პრივილეგიურ გვართა შორის (ღუღუშუაურები, ჩოფიკაშვილები (ყაზბეგი), მხოლოდ ყაზბეგებმა შესძლეს ხევის ვარჯთ სხვა მალა-

წოდების მქონე გვარებთან სამოყვრო კავშირი დამყარება, ისიც XIX ს. პირველ ნახევრიდან. როცა ეს გვარი რუსეთის ცარიზმის წყალობით ქლეამოსილი გახდა.

საქორწინო ურთიერთობაზე ვაგუნას ახდენდა თვით გლეხთა შიგნით სოციალური განსხვავებულობა (თავისუფალი, ყმა) და ქონებრივი უთანასწორობა. დაქორწინებისათვის უკანასკნელი, მაგრამ სავალდებულო წინაპირობა იყო თვითონ წყელითა, როგორც სულიერი თავისებუბი. ისე თიზიკური მონაცემები. აქვე აღსანიშნავია, რომ ქორწინება არავითარ შემთხვევაში „გრძინებზე“ არ ყოფილა დამყარებული, არამედ ოჯახების ურთიერთ სარგებლობაზე.

ხევი ნიშნობის სხვადასხვა ფორმები არსებობდა, ამთვან აღსანიშნავია ავანში დანიშვნა, რასაც განაპირობებდა ზვილთა შრომების ერთმანეთისადაში კეთილი განწყობილება. ხშირი იყო აგრეთვე მცირეწლოვანთა დანიშვნა. ზოგჯერ მცირეწლოვან გოგონას მიიყვანდნენ საქმროს ოჯახში, მაგრამ მათი ჩვეულებრივი ცოლქმრული ცხოვრება იწყებოდა ქალის სქესობრივი მოშფიფების შემდგომ.

ნიშნობის ყველაზე უფრო უმთავრეს სახედ „გარიგებით“ ე. ი. შევაცობით ნიშნობა თავლებოდა. სხვათაშორის „გარიგებით“ ნიშნობის ერთერთი აუცილებელი პირობა დასაქორწინებელ პირთა სრულსაკოვანობა იყო.

სოფელში ავტორიტეტულ პირთაგან შერჩეულ შევაცობის ჩვეულებრივ ვაჟის ოჯახი აგზავნიდა. მათ ვასამრჯლო არ ეძლეოდათ. ნიშნის გადაცემამდე ქალის გვარის უფროსი და აუენებდა საკითხს ურჯავის გადახდის შესახებ. ურჯავის რაოდენობას განსაზღვრავდა ვასთხოვარის „ჩამამალებობა-ჩამადღვენება“, „ჯომ-ქილაგი“ და პირადად თვისებების ხარისხი. რაც უფრო უკეთესი მონაცემები ქონდა ქალს, ვაჟის ოჯახი ვალდებული იყო მით უფრო მეტი ურჯავი გადაეხადა.

ნიშნობის სხვა სახეთაგან აღსანიშნავია „საევეთით“ ნიშნობა ე. ი. ძმობილის მეშვეობით. დანიშვნა ხდებოდა ფულით, ვერცხლის ჭვრებით, იარაღით და სხვ.

ნიშნობის ერთ-ერთი ორიგინალური და თავისებური წესი იყო — „ქრუფის დამახება“. მკვლევარი არჩევს ქვრივი მამაკაცის შვირქვრივი დედაკაცის საცოლედ აღიარების ზღის სხვადასხვანაირი საშუალებას, ოღონდ ხეთიერ ერთი პრინციპი აქვს: ქვრივი მამაკაცი ჭრა დადვ მიცევალებულის დაქრძალვამდე მღღის მის სახლში და სახალხოვ აცხადებს ახლადქვრივებულის დასაქვრებას. ერთი წლის შემდეგ, როცა შესრულდებოდა გლოვის სავალდებულო „რიგი“ შესაძლებელი იყო ნიშნობის გამართვა. ქვრივის ვასთხოვება მტრობის მიზეზად ხდებოდა ძველსა და ახალ ქმრეულებს შორის. ხში-

რად საქმე მკვლელობამდე მიდიოდა. ყოველივე აქედან თავის დახსნა შეეძლო თეთონ ქალს, რომელიც ძღვნით მიდიოდა გარდაცვლილი ქმრის ოჯახში („საქრეთელ მისელა“) და თავს აბრალბდა მათ. მშობლების მიერ ქვრივის მკარველობის წესში ავტორი ლევიტარს გადმომამთებს ხელდას.

დამოყრებელი ოჯახები ერთმანეთის ქირსა და ღვინის იზიარებდნენ. ნიშნობის ჩაშლის შეშინებულნი „სამწუნვაროს“ ახლენებდნენ (40-60 ძროხის საფასურით) დამნაშავე მხარეს. როცა დრო ნიშნობიდან ქორწინამდე ჩვეულებრივ მიდიოდა და რაიმე ვაუგებრობას ადგილი არ ქონდა, მაშინ მოკეთე ოჯახებს შორის ურთიერთობა აღებულიდან „თავისებური ჩვეულებების მოსწველი ოთხ საფურხრად იყოფოდა: „სასაძირ მისელა“, „სანახაობის“ ანუ „სანახავად მისელს“ ჩვეულება, ე. წ. „მთხოვართ წვევა“ და შეოთხე საქორწინო მზადება. შემდეგ დაწერილებით გარჩეულია ამ ჩვეულებათა არსი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტორის დასკვნა, რომ სიმამრის სახლში სასიძობს მისელა და რამდენიმე თვე მისი აქ მუშაობა მატრილაკალური დასახლების დროინდელი გადმომამთია, როდესაც მამაკაცი დედაციას სახლში მიდიოდა და „დაქორწინების დღიდან მის საცხოვრებელში მკვიდრდებოდა“ (გვ. 190).

ურვიდის გადახდა ხელებდა უმეტესად მსხვილდება და წვრილდება საქონლით, აგრეთვე ფულით, სპილენძით, იარაღით და გამონაკლის შემთხვევაში სახნავი მიწითაც. ურვიდის საშუალო რაოდენობა — 40 ძროხის უდრდა. ვაყის ოჯახი იხდიდა კიდევ „საბიძოს“ (ერთი ძროხა) „სადედისძი“ (ერთი ცხენი), „გასამზარდელი“ (ერთი ძროხა). ლუღმურით გვარის პრაფილეკია ყოფილა „საგვარტობი“ გადასახადი, რასაც გვარის „ჯიშინაობა“ და სიძლიერე უნდა დასდებოდა საფუძვლად“. (გვ. 221).

თავის მხრივ ქალის ოჯახი საპატარძლოს უმზადებდა „მითივესათავნოს“, რის შემადგენლობაშიც შედიოდა სკავრი, ერთი ხელი ლავინი და სხვ. საყოფაცხოვრებო წყრილობანი.

ქორწინი ცალკე თავშია ვაშლილული. აქ საინტერესოდ არის გადმოცემული მთელი ცერემონიული ტანსაცმელი, საქორწინო ღვინის თვისებებზე, სუფრასთან ქდომის წესი, საღვარდნეობების რიგი, სიძურები, ცეკვები და სხვ.

ვაყის ოჯახში გამართულ ძველ მოხეტრ საქორწინო რიტუალს ავტორი ოთხ ეტაპად ყოფს. ამ დროის განმავლობაში პატარძალი იშვიათად თუ გამოჩნდება სუფრასთან. ის „თავის ქბილა ქლიბთან“ სუნში, ან „კარსუკან“ იმყოფება, ნივეთ კი სუფრის მდებში წევრობს. მამასაღამე ნიფის დამადლის ჩვეულება, რაც ახასიათებს

ბევრ კავასიელ ტომებს (აფხაზები, ჩერქეზები, ოსები და სხვ.) მოხვედებისათვის უცხოა.

პატარძლის საერთო შრომის უწყვეტობა ჩაბმა იწყებოდა „წყალზე გაყვანის“ შემდგომ რაც ჩვეულებრივ ერთი თვის თავზე ხდებოდა. ამ დღიდან ქალი ოჯახის მძიმე ტვირთს იზიარებდა, შრომობდა „მესწორად რძლების“ მხარდასმარს, ღინასლისას მარხილი. პატარძალს შტკიეულ უნდა დავეცა უფროს-უმცროსობის ტრადიციით განმტკიცებული სავალდებულო წესები.

ავტორი საქორწინო ხნე-ჩვეულებათა აღწერას ძეობით ამთავრებს, რადგან ძეობს მიანიხი მონოგამიურ ქორწინებასთან დაკავშირებული ადათების საბოლოო საფუხრად.

უკანასკნელი თავი ნაოლად არის ნაჩვენების ცვლილებები, რაც საქორწინო ურთიერთობაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ახალი ყოფა მძლავრად შეიქრახევი, დაარღვია საუკუნეებით განმტკიცებული ტრადიციები. აქედან უხარკებლო და დამაბრკოლებელი დავიწყებას მიეცა. შეიცვალა ნათესაობის ძველი ნორმები. აუარ არის ვაზოგამია ერთი წინამართს მქონე სხვადასხვა ვარტებში. დავიწროვდა კოვანტიკური ნათესაობის ფორმებიც. ვარდაიქმა აგრეთვე ხელოვნური ნათესაობის საფუძველზე წარმოქმნილი ეგზოგამიაც. რეოლუციის შემდეგ ყოველგვარი საფუძველი გამოვალა სოციალური უთანასწორობით შუპირობულ აკრძალვებს, დღისათვის მათი მკრთალი გადმონაშთიც აღარ არსებობს. ახლა ქორწინებას თეთონ წყალითა სერვილი განაპირობებს და არა დრომოქმული ჩვეულებანი. დავიწყებას მიეცა ნიშნობის რთული ინსტიტუტი, მოისპო ურვალი და სხვა გკონომიური თვალსაზრისის ვალდებულებანი, ახალი ელფერი მიეცა საქორწინო ღვინს. ქალი ოჯახის სრულფლებიან წევრად იქცა იგი ვანთავისუფლდა მთელი რიგი ვალდებულებებისაგან. ამგვარად, ხვეის ისტორიაში მხოლოდ სოციალისტური წყობილების გამარჯვების შემდეგ ვახდა შესაძლებელი თანასწორულებანი, ნამდვილი მონოგამიური ოჯახის შექმნა.

მკვლევარი ამოწურავად გადმოგვეცემს ეთნოგრაფიულ ფაქტებს, ამასთანავე კარგად ახერხებს მათ შეცნიერულ ანალიზს. აკცენტო მნიშვნელოვანი მოვლენა განმარტების ვარემუ არ არის დატოვებული. სპეციალური ლიტერატურის რბმა ცოდნა და კრიტიკული აზროვნების უნარი ამჩნევია სარეცენზიო შრომის ყველა თავს, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ შრომაში მეცნიერულად დასაბუთებულია ყველა იმ ადათის არსი, რამაც თავის დროზე, შთაავონა აღყახებებს დრამატუზმით აღსავსე რომანები შექმნა. ამასთანავე სარეცენზიო წიგნი უტუფარი დადასტურებია ჩვენში, კაცობრიობის ვანეთა-

რების ორი უდიდესი საფეხურის—მატრიარქატის და პატრიარქატის არსებობისა.

ბოლოს გამოეთქვათ რამდენიმე შენიშვნას:

1. მონოგრაფიაში ავტორს უხვად აქვს ნათესაური ურთიერთობის გამომხატველი ადგილობრივი (მოხერცი) ტერმინოლოგია, რაც მისასაღებელი ფაქტია. მაგრამ ეკეთესი იქნებოდა აქვე წარმოგვეჩინა ძველ ქართულ წყაროებში შემონახული ნათესაობის გამომხატველი ტერმინები, აგრეთვე, თანამედროვე ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ტერმინები საქართველოს სხვადასხვა კუთხის მიხედვით.

2. როგორც აღნიშნული გვექონდა მკვლევარი მტკიცებებს, რომ აგნატიკური და კონატიკური ნათესაობის ზნით ეგზოგამია თანაბრად არის დაცული. ჩვენი აზრით ამის მტკიცებისათვის უფრო მეტი ფაქტობრივი მასალა საჭიროა აგნატიკურ ნათესაურ სისტემას ძირითადად შინც აწესრიგება ერთი სახელწოდების გვარი, რაც არ მოეპოვება კონატიკურ სისტემას. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ საფიქრებელია, დედის მხრივ ნათესაური შტოს უფრო მალე დაერღვეოდა თავისი „სიწმინდე“, ვიდრე მამის მხრივ. ეს იმიტომ, რომ ერთი „სახლიკაცობის“ ნათესაობის დადგენის უველაზე ადვილი და ამსთანავე თავისთავად დასაბუთებული საშუა-

ლებაა გვარო, ასე თუ ისე კონატიკური ნათესაობა შინც უფრო ხშირად ირღვეოდა, რის მაგალითებიც თვითონ ავტორსა აქვს (რ. გვ. 48).

3. საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად ხეშვილ საეპარქიოლო ყოფილა ნეფის მიერ კარის ზღურბლთან დაპირქვავებული თეფშის ფეხით დამსხვრევა. (გვ. 252). სამწუხაროა, რომ ამ მეტად გავრცელებული ჩვეულების შესახებ მკვლევარს მონოგრაფიაში არც მეცნიერული და არც ზალხური ახსნა არ მოეპოვება.

4. წიგნის სათაური „ქართველ მთიელთა სოფანო ურთიერთობის ისტორიიდან“ იმის მნიშვნეზელია, რომ ავტორი არ იზღუდება მართოდენ ხევის ეთნოგრაფიული ფარგლებით და მართლაც, მას სხვა მთიელთა ყოფის რეალებიც უხვად აქვს მოტანილი. ოღონდ არ მოეპოვება მასლები რაჭაზე. ეს მით უფრო დანაშაუანია, რომ მეტად საგულისხმო ბარალელების მოძებნა შეიძლებოდა განსაკუთრებით მთის რაჭის საქორწინო წესებში.

5. წიგნს არ ახლავს რეზიუმე რუსულ ან რომელიმე უცხო ენაზე, არც საძიებელი აპარატურა, რაც მეცნიერული ხასიათის მონოგრაფიისათვის აუცილებელია.

ლევან ზვანიძე



ახალი წიგნები

გამომცემლობა „საბავთა საქართველო“

- ხელნაწი-საბა ორბელიანი — თბულებანი. ტ. II, ილ. პარამიძისა და ე. მტკვრელის რედაქციით. გამომცემლობის რედ. შ. ბაქრაძე, გვ. 456, ფასი 1 მან. 70 კაპ.
- აკაკი წერეთელი — ტომი XIII, პუბლიცისტური წერილები. რედ. ლ. ელიოზიშვილი, გვ. 576 ფასი 1 მან. 80 კაპ.
- შიო არაგვისბირელი — მოთხრობები. რედ. კ. ზობოხიძე, გვ. 516, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- გრიგოლ ჩიქოვანი — ცაცხვის ქვეშ. რედ. ბ. შირცხელაძე, გვ. 498, ფასი 1 მან.
- შალვა ამისფლაშვილი — სოემები. რედ. ვ. ჯავახიძე, გვ. 120, ფასი 25 კაპ.
- გიორგი ზუბაშვილი — მწერალი და დრო. რედ. ვ. ჯავახიძე, გვ. 120, ფასი 27 კაპ.
- შრომის სიმღერები — ხალხური ლექსები და სიმღერები შრომაზე. ტექსტი გამოსაცემად შოაბ-ხადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო თამარ ოჭროშიძემ, რედ. შ. ამისფლაშვილი, გვ. 192, ფასი 62 კაპ.

„ნაბადული“

- ტიციან ტაბიძე — ლექსი შეწყვარი. რედ. შ. დემეტრაძე, გვ. 108, ფასი 34 კაპ.
- ლადო ახათიანი — კრწანისის უყაჩოები. რედ. რ. ორჯონიკაძე, გვ. 126, ფასი 35 კაპ.
- მ. შოლოხოვი — ვატეხილი ყამირი, წიგნი I, თარგ. ა. რ. ისტოქუმბაძისა, რედ. თ. ბუჩიძე, გვ. 720, ფასი 1 მან. 45 კაპ.
- ი. ტურგენევი — მემუ. თარგ. შ. თაბუკაშვილისა, რედ. ლ. გეგელია, გვ. 40, ფასი 10 კაპ.
- ოლია ჭავჭავაძე — დედა ჩიტი. რედ. შ. ამისფელი. გვ. 14, ფასი 10 კაპ.
- ნინო ნაკაშიძე — ჩჩიქული II, რედ. თ. ჯობაძე, გვ. 344, ფასი 82 კაპ.
- ალექსანდრე ბარაშჩე — კორნელი კეკელიძე. რედ. ლ. ცაგარეიშვილი. გვ. 70, ფასი 14 კაპ.
- რევაზ ჯაფარიძე — ფალავანი. რედ. ქ. ნადირაძე, გვ. 28, ფასი 13 კაპ.
- რევაზ ინანიშვილი — ზეიმი სხენწში. რედ. ლ. გეგელია გვ. 18, ფასი 5 კაპ.
- შალვა მარიაშვილი — აფრიკის ტყეებში. რედ. მ. ჭახრაია, გვ. 90, ფასი 13 კაპ.
- სიმონ მოვარაძე — ფალავანი. რედ. ა. ლეინიშვილი, გვ. 98, ფასი 13 კაპ.
- ხ. რემონიძე — ბუნების სამეფოში. რედ. ა. თევზაძე, გვ. 148, ფასი 15 კაპ.
- მიქი და დათვი — ბულგარული ხალხური ზღაპრები. თარგ. ქ. ნადირაძისა, რედ. ლ. გეგელია, გვ. 116, ფასი 22 კაპ.
- გ. ტიტოვი — 700.000 კილომეტრი კოსმოსში. რედ. რ. ინანიშვილი, გვ. 158, ფასი 21 კაპ.
- ფრიდრიხ ვოლფი — ძალი ბოლა, კრუნი ბულუა და შამალი ცისკარა. გერმანულიდან თარგმნეს მ. ოქროპირაძემ და ო. ხუციშვილმა. რედ. ნ. კალანდარიშვილი, გვ. 98, ფასი 17 კაპ.
- გ. კარპენკო — როგორ ვიზრდებოდით. თარგ. შ. შატაშვილისა, რედ. გ. ციციშვილი. გვ. 172, ფასი 40 კაპ.
- პონლი კეშელაძე — ვარდის სტუმარი. რედ. ვ. კაპახიძე, გვ. 56, ფასი 10 კაპ.
- იოსებ დურგლიშვილი — ტყემ შოისხა ფოთოლი. რედ. გ. ლეონიძე, გვ. 68, ფასი 6 კაპ.
- გოდერძი ქვიციანი — შოლოდინი. რედ. ვ. გეგელია, გვ. 108, ფასი 12 კაპ.
- ლამარა გვარამაძე — ნინო ნაკაშიძე. რედ. ვ. ძიძიგური. გვ. 52, ფასი 15 კაპ.

ფანის 80 კპპ.

6 1100



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„**М Н А Т О Б И**“

ИЗДАТЕЛЬСТВО „САБЧОТА МЦЕРАЛИ“